ნაზირა ვაჩნაძე

დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2005

ეს წიგნი „კავკასიურმა სახლმა“ პირველად 2004 წელს რუსულ ენაზე გამოსცა და მიუძღვნა 1944 წლის ნოემბრის თვეში სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიან მესხთა დეპორტაციის მე-60 წლისთავს.

რედაქტორი ნაირა გელაშვილი

მხატვარი გოგი ფერეთელი

რუსულიდან თარგმნა ასმათ ფიცხლაურ-ფარჯიანმა

(ავტორიზირებული თარგმანი)

© „კავკასიური სახლი“

ISBN 99928-71-73-3

დეპორტირებული
მესხი ქალის — ნაზირას შესახებ

ნაზირა ვაჩნაძე 1989 წელს გავიცანი, რა ვითარებაში — არ მახსოვს. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ყოველთვის ჩემთან იყო. თუ როგორ გავიცანით ერთმანეთი, ეს ნაზირას ახსოვს. საერთოდ, მას ყველაფერი ახსოვს. ეს წიგნი სწორედ მისი ფენომენალური მეხსიერების ნაყოფია, თუმცა ამაზე მოგვიანებით. ნაზირას ახსოვს, რომ ჩვენ ქირმან დვალიძემ, მისმა ბავშვობის მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთს. ის ხშირად ჩამოდიოდა თბილისში უზბეკეთიდან, სადაც, ისე როგორც ნაზირა, სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის შუა აზიასა და ყაზახეთში დეპორტაციის შედეგად მოხვდა. თუმცა ქირმან დვალიძე არ გადაუსახლებიათ, იმ უბრალო მიზეზით, რომ გადასახლების დროს შინ არ იმყოფებოდა. ის, როგორც ყველა ბრძოლისუნარიანი მესხი მამაკაცი და ჭაბუკი, ფრონტზე იყო და ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. სამშობლოში დაბრუნებულს კი დაცარიელებული სოფლები და კარაჭედილი სახლები დახვდა. ქირმანიც, როგორც ომიდან ცარიელ სახლში დაბრუნებული მშიერი, უზომოდ დაქანცული ან დაჭრილი ყველა მაჰმადიანი მესხი, თავისიანების საძებნელად გაემგზავრა, მიაგნო მათ უზბეკეთში და ნაზირაც იქ იპოვა მის ახლობლებთან ერთად. მაგრამ ნაზირას ოჯახმა ჯერ კიდევ 1954 წელს, საკომენდანტო ზედამხედველობის გაუქმებამდე ორი წლით ადრე, მოახერხა თბილისში დაბრუნება. ეს ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, ვინაიდან სტალინის სიკვდილის მერეც მესხებს საქართველოში დაბრუნება ეკრძალებოდათ. თვითონ დაბრუნდა, მაგრამ ყველა მისი ნათესავი იქ, უცხო მხარეში დარჩა: დეიდები, მამიდები, ბიძები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, მათი შვილები... ეს გაუსაძლისად მტკივნეულია მესხებისათვის, რომელთათვისაც ნათესაურ კავშირებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისევე, როგორც სასაფლაოს მშობლიურ მიწაზე. ახლა კი ცოცხლებიცა და მკვდრებიც მიმოფანტულ-მიმობნეულნი არიან უზარმაზარ ტერიტორიაზე შუა აზიასა და ყაზახეთში, ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში. ისინი ისე იხოცებიან, რომ ნათესავები ამის შესახებ დაგვიანებით იგებენ, შორიდან გლოვობენ გარდაცვლილებს, რადგან იციან : მათი საფლავების მონახულებას ვერასდროს შეძლებენ. თუ რას ნიშნავს ეს კავკასიელი ხალხებისათვის, ეს მხოლოდ თვითონ იციან...

მაგრამ 1989 წელს უნდა დავუბრუნდე, რადგან ეს წელი სამუდამოდ დამამახსოვრდა არა მხოლოდ როგორც კოშმარი, არამედ

როგორც დასწყისი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის შინაგანი ემიგრაციისა, რაც დღემდე გრძელდება. მეც ამ ნაწილს ვეკუთვნი.

რა თქმა უნდა, კოშმარი იყო — "9 აპრილის" სადამსჯელო ოპერაცია, როცა საბჭოთა ჯარისკაცები, მომწამვლელი ქიმიური იარაღისა და მესანგრის ნიჩბებით მხეცურად გაუსწორდნენ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს, 20 გოგონა და ქალი ადგილზევე მოკლეს, ასეულობით ადამიანი კი სამუდამოდ დაავადდა და დღემდე კვდება! მაგრამ „9 აპრილის" საზოგადოების მცირე ნაწილისათვის ნამდვილ კოშმარად იქცა ის, რომ საერთო მწუხარებისა და საკუთარი ღირსების შეგრძნების, ანუ კათარსისის, პირველმა ტალღამ სწრაფად გაიარა და დარჩა გაღიზიანება, შეუწყნარებლობა, სახელისუფლებო რუტინა და „ახალ ძალთა" დემაგოგია, ნებისმიერი ხერხებით რომ ესწრაფოდნენ ხელისუფლებაში მოსვლას. „9 აპრილიც" ასეთი „ხერხი" გახლდათ, ზვიად გამსახურდიას და მის თანამებრძოლებს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭირო პოპულარობა რომ მოუტანა. და აი ეს, აქამდე საქართველოში უცნობი ქსენოფობია, განსაკუთრებული ძალით სწორედ დეპორტირებულ ხალხს დაატყდა თავს, რამაც „მაჰმადიან მესხთა უფლებების დამცველი ლიგის" თავმჯდომარეს, ზურაბ მამალაძეს ათქმევინა: „ქართულმა ფაშიზმმა აპრობაცია მუსლიმ-მესხებზე გაიარაო".

ეს კი ასე მოხდა: „9 აპრილიდან" ორი თვის შემდეგ დაიწყო ფერღანის კატასტროფა: იქ მცხოვრები დეპორტირებული მესხების დარბევა-დაწიოკება 17 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ადამიანებს და პირუტყვს ცოცხლად წვავდნენ, სახლები, ბაღები გადაუბუგეს, ქალებს მამებისა და ქმრების თვალწინ აწამებდნენ, აუპატიურებდნენ...

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დევნილობაში მყოფი ხალხი, არავის რომ არ ეკუთვნოდა, საშველად ხელს სამშობლოსაკენ, საქართველოსაკენ იწვდიდა...

აქ კი „მესაჭეებად" უკვე ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლები იყვნენ. 60-იან წლებში ზ. გამსახურდია დოქტორ რ. შტაინერის ანთროპოსოფიის სახით ქრისტიანულ ოკულტიზმს უწევდა პროპაგანდას. ის ხშირად უსვამდა ხაზს თავად „ანთროპოსოფიის", — კაცთმოყვარეობის ცნების ღრმა მნიშვნელობას. ის თვლიდა, რომ სწორედ ადამიანისადმი სიყვარულზე ყურადღების გამახვილება იყო ყველაზე აქტუალური, რადგან მხოლოდ სიყვარულს შეეძლო ეხსნა ეს სამყარო, რომელიც სულ უფრო სასტიკი და აგრესიული ხდებოდა.

70-იან წლებში ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა დისიდენტი — სამართალდამცველები გახდნენ. თავიანთი პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად მათ დეპორტირებული მესხების უფლებების, უპირველეს ყოვლისა, მათი რეპატრიაციის უფლების დაცვა აღიარეს. ამით მათ საქართველოში უკვე არსებული ზნეო-

ბრივი ტრადიცია გააგრძელეს: მესხების გასახლებისთანავე ხუთმა უდიდესმა ქართველმა მეცნიერმა წერილობით მიმართა სტალინს უსამართლოდ დასჯილი მესხების სამშობლოში დაბრუნების თხოვნით. 1979 წლის თებერვალში კი ქართული სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელმა დაჟინებით სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს მდივანს ე. შევარდნაძეს: „აღდგეს სამართლიანობა ქართველი ხალხის ასე მძიმედ დაზარალებული ნაწილის მიმართ". და ე. შევარდნაძემ ეს თხოვნა დააკმაყოფილა: მისი მმართველობის პერიოდში მუსლიმი მესხების 300 ოჯახი საქართველოში დასახლდა.

ჯერ კიდევ 1989 წლის ივნისში, გაზეთ „თბილისში" ზ. გამსახურდიამ პოლიტიკური გაერთიანების — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა — პროგრამის ცალკეული პუნქტების დაზუსტება მოახდინა. იგი წერდა, რომ აუცილებელი იყო 300 000 დეპორტირებული მუსლიმი ქართველის სამშობლოში დაბრუნება, ხოლო ვისაც უკვე დაეკარგა ქართული თვითშეგნება და თავს თურქად თვლიდა, მათთან განმანათლებლური სამუშაოს ჩატარება. მალევე ამ სტატიის გამოქვეყნებიდან დაიწყო მესხთა დარბევა უზბეკეთის ოლქ ფერღანაში და მათი საქართველოში დაბრუნების საკითხი თავისთავად დადგა დღის წესრიგში. აი მაშინ კი, ზ. გამსახურდია რადიკალურად ცვლის პოზიციას. მის ლოზუნგად იქცევა — „არც ერთი თურქი ქართულ მინაზე!" თუმცა, ყოფილი სამართალდამცველისა და დისიდენტის (რომელმაც, სხვათა შორის, 1978 წელს საჯაროდ მოინანია ანტისაბჭოთა მოღვაწეობა) ამგვარი გარდასახვა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობიდან ახალდაბრუნებული ქართული ჰუმანიტარული ინტელიგენციის წარმომადგენელთა გავლენით მოხდა. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი იქ დეპორტირებული მესხების იმ წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც თავს თურქებად აცხადებდნენ და ქართულად არ ლაპარაკობდნენ. ამან გადაწყვიტა მთელი ხალხის ბედი. „ერთმა ლტოლვილმა მესხმაც რომ შემოაბიჯოს ქართულ მიწაზე, საქართველოს ისტორია დამთავრდება", — განაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა — მორალურ ავტორიტეტად აღიარებულმა აკაკი ბაქრაძემ.

ზ. გამსახურდია მიხვდა, რომ ეს იდეა უფრო მეტ პოპულარობას მოუტანდა, ვიდრე უკვე „გათურქებული" ხალხის რეპატრიაციისაკენ მოწოდება. ამგვარი, სამართლისა და ჰუმანიზმის პრინციპების საბოლოოდ უარმყოფელი განწყობილებების საპირისპიროდ, სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II განაცხადა: „ადრე თუ გვიან, ეს ადამიანები დაგვიბრუნდებიან. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიზრუნოთ მათზე". და მან ფერღანაში წამლები და კვების პროდუ-

ქტები გააგზავნა. მრავალი ადამიანი იზიარებდა პატრიარქის პოზიციას, გამოთქვამდნენ მზადყოფნას, მიეღოთ გაუბედურებული ადამიანები და ეზრუნათ მათზე. მაგრამ ზ. გამსახურდიასა და ა. ბაქრაძის გავლენა მაშინ უფრო ძლიერი იყო: საქართველოში ანტიმესხური ისტერია დაიწყო. ფერღანის ტრაგედიამ, აქ, სისასტიკისა და ვანდალიზმის საწინააღმდეგო აღშფოთებაში კი არ ჰპოვა გამოძახილი, არამედ 70-იანი წლებიდან (ე. შევარდნაძისა და ქართული ინტელიგენციის წყალობით) ქვეყანაში დაბრუნებული მუსლიმი მესხების დარბევაში. ამან გამოიწვია ის, რომ 1989-91 წლებში ზ. გამსახურდიას მომხრეებმა მოახდინეს უკვე ადაპტირებული მესხების 200 ოჯახის საქართველოდან ხელმეორე დეპორტაცია. მათ შორის აღმოჩნდა ძმებ დვალიძეების ოჯახებიც, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა 1989 წელს, ფერღანის ტრაგედიიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში რომ დავასახლეთ.

ქართული გვარების პასპორტში შენარჩუნება დეპორტირებულების მხრიდან ნამდვილ გმირობას უდრიდა. მათ — საკომენდანტო რეჟიმში მცხოვრებთ — ნებისმიერი ეროვნებისა და გვარის მიღების უფლებას აძლევდნენ, ოღონდ ქართულზე უარი ეთქვათ. ყოველი შვილის დაბადება დვალიძეებს კარცერში ჯდომად უჯდებოდათ, ვინაიდან ისინი ჯიუტად ცდილობდნენ შვილის დაბადების მოწმობაში ქართული გვარის შენარჩუნებას. და აი, ეს ხალხი, კაცები, მოხუცები, ბავშვები, ქალები — მაშინ სამოცდაორნი იყვნენ, — სცემეს, გაძარცვეს, შეურაცხყვეს: „ქართველმა პატრიოტებმა“... ახალგაზრდა დედა, ქირმან დვალიძის რძალი, მაია, ჩვილ ბავშვთან და სამი წლის გოგონასთან ერთად საკუთარ სახლში შევიფარე. ნაზირა, მე და ცისანა კობიძე, ჩემი მეგობარი, ვუვლიდით მათ. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრებს — თამრიკო ჩხეიძესა და სხვებს კი ბავშვებისათვის პროდუქტები მოჰქონდათ. ზ. გამსახურდიას მომხრეებმა ჩემთანაც დაიწყეს რეკვა, მე და ჩემს გოგონას გვემუქრებოდნენ, მოვალთ და დაგარბევთ, თუ მაგ თურქებს არ გაყრითო. იძულებულნი გავხდით, დედა და ორი ბავშვი მესხთა უფლებების დამცველი ლიგის თავმჯდომარესთან ზურაბ მამალაძესთან გადაგვეყვანა ხუდადოვის ქ. 41-ში, მაგრამ ისინი დაარბიეს და ზურაბმა სასწაულად მოახერხა დედისა და ბავშვების გადარჩენა...

მთავრობის სასახლის წინ გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე ზ. გამსახურდია საზოგადოებას ყველა მუსლიმი მესხის საქართველოდან განდევნისაკენ მოუწოდებდა და რეზო ჩხეიძეს, გურამ მამულიას, თამრიკო ჩხეიძეს, მე და სხვებს „კრემლის აგენტებს“ გვიწოდებდა, რომლებიც უნდა გაენადგურებინათ. ნაზირა, ცისანა და მე ღმერთს შევთხოვდით, რომ ჩვენც არ დავერბიეთ. ახალგაზრდა დედა, ასეთი სათნო, უწყინარი გოგონა, ისედაც შიშით

რომ ცახცახებდა, ამას ვერ გადაიტანდა... არასდროს დამავიწყდება უსაზღვრო შიშით, მწუხარებითა და გაოცებით აღვსილი მისი ღრმა, შავი თვალები; ვცდილობდი როგორმე ამეხსნა, რა ხდებოდა, მაგრამ ამის გაგება ვერ შეძლო... მოგვიანებით თვითმკვლელობა სცადა, მისი სულიერი წონასწორობა სამუდამოდ დაირღვა...

ქირმან დვალიძე კი, რომელიც ამაყობდა რომ ძმები სამშობლოში დააბრუნა და დააბინავა, მას მერე საქართველოში აღარც ჩამოსულა. ძმები დვალიძეები ოჯახებითურთ მთელ რუსეთში გაიფანტნენ.

აი, ხომ ხედავთ, ნაზირაზე მინდოდა მომეთხრო და პოლიტიკაზე კი ავლაპარაკდი. დიახ, ჯერ კიდევ ნაპოლეონი ამბობდა, რომ „ახლა ბედისწერა პოლიტიკაა“. მუსლიმი მესხები ხომ სამი იმპერიის: ოსმალეთის, რუსეთის, საბჭოთა და ახლა უკვე საქართველოს რესპუბლიკის მსხვერპლნი არიან.

ნაზირასაც, შეიძლება ითქვას, „პირადი ცხოვრება“ არ გააჩნია — ის შინაგანად სავსეა მთელი ხალხის, თავისი ხალხისა და საქართველოს სატანჯველით.

ნაზირა ხშირად მიყვება თავის ცხოვრებაზე, თავის სიზმრებზე (წინასწარმეტყველურ სიზმრებს ხშირად ხედავს), წინათგრძნობებზე და ისევ და ისევ ბავშვობაზე... და ყოველჯერ მაოცებს იმ დეტალების სიუხვე, მახსოვრობას რომ შემოუნახავს, მახსოვრობას, რომელიც ეტყობა სწორედ ამ სტრესმა — სამშობლოდან განდევნამ — კიდევ უფრო გაუმძაფრა. გახსოვდეს ყველაფერი — ბავშვობის დეტალები, დეპორტაცია, ყველა შემდგომი უბედურება და ჩუმი სიხარულები — ეს შეიძლება ქვეცნობიერი რევანშიც იყოს, რევანში მთელ ხალხზე ჩატარებულ ექსპერიმენტზე, ხალხზე, რომელსაც ყველაფერი წაართვეს: სახლი, ბავშვობა, სამშობლო, საყვარელი საგნები...

1999 წელს, საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე დეპორტირებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ვალდებულება აიღო, მაგრამ იგი დღემდე თავს არიდებდა აღებული ვალდებულების შესრულებას. ხელისუფლება გამუდმებით (რატომღაც ამაყად და გამომწვევად) აცხადებდა, რომ „ქვეყანა ამისთვის მზად არ არის“. ეს, როგორც ჩანს, მართლაც ასეა. სამწუხაროდ, ძნელი სათქმელია, საერთოდ რისთვისაა ის მზად. მაგრამ სად არის, სიტყვები თუ არა, სინანულის ინტონაცია მაინც? სად არის უზომოდ ტანჯული ხალხისადმი, უსამშობლოო ხალხისადმი ელემენტარული თანაგრძნობის ინტონაცია, პოლიტიკოს ქალთაგან მაინც? ხელისუფლების სიტყვები, ინტონაცია და ქცევა, გადამდებია. ბატონი დეპუტატების მიერ „თურქი-მესხების“ ყოველი გულგრილი ხსენება (თითქოს ქვებზე ლაპარაკობდნენ) — ნაზირას და, ცხადია, ყველა მუსლიმ მესხს, ვინც ამას უსმენს, გულში დანასავით ესობა. ხოლო როდესაც ერთგვარი მანიაკური გულმოდგინებით

შეურაცხყოფენ ისედაც შეურაცხყოფილ, უმწეო ხალხს, ცილს სწამებენ, ამ ხალხისგან მონსტრს ქმნიან, რითაც უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში გამუდმებით არის დაკავებული ჩვენი მასმედია, რომელიც ისეთ ოდიოზურ ფიგურებს იყენებს, როგორიც არის, მაგალითად, გურამ შარაძე — „წითელი ინტელიგენციის" ტიპიური წარმომადგენელი, — მაშინ ნაზირა უბრალოდ ავად ხდება. ის ტირის, ეშინია რომელიმე მეზობელმა აგრესია არ გამოამჟღავნოს მისადმი, მისი შვილებისა და სხვა მესხებისადმი. ასეთი რამ ხომ არაერთხელ მომხდარა. ნაზირა თითქოსდა ყველა დეპორტირებული მუსლიმი მესხის მგლოვიარე დედაა, დედა, რომელიც მათ გადარჩენაზე ლოცულობს.

ნაზირას ძალზე ავადმყოფი გული, ტანჯული სახე და ხმა აქვს, მაგრამ იგი უჩვეულოდ ნიჭიერი ქალია: ფლობს რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ყაზახურ, სომხურ ენებს. მან შესანიშნავად თარგმნა თურქულ ენაზე ადიღური, ინგუშური, ჩეჩნური, აფხაზური, ოსური, ყარაჩაი-ბალყარული ფოლკლორი, სერიიდან „კავკასიელ ხალხთა ფოლკლორი", რომელიც „კავკასიურმა სახლმა" ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა. და მას სურს, რომ ამ სერიაში შევიდეს მუსლიმი მესხების ფოლკლორიც, რომელიც ნაწილობრივ თვითონ დაამახსოვრდა, ნაწილობრივ კი შეკრიბა. ნაზირას შესანიშნავად ეხერხება კერვა, ქარგვა, ხატვა, თხრობა, აღზრდა, ავადმყოფების, ბავშვების, ცხოველების, ყვავილების, მიწის მოვლა; საპარიკმახერო და კულინარიულ ხელოვნებასაც ფლობს და ერთგულად ემსახურება ყველა ახლობელს. და აი ასეთ ნაზირას შველის სამყაროს მხატვრული და რელიგიური აღქმის უნარი, სიყვარულის უნარი. მას შველის ღმერთისა და ღვთაებრივი სამართლიანობის რწმენა, რომელიც დაუსრულებელმა მწუხარებამ კიდევ უფრო განუმტკიცა. მან იცის, რომ ღვთაებრივი სამართლიანობა — ტანჯვით აღვსილი სამყაროს მთავარი საიდუმლოა და თავის ღმერთს შეკითხვებს არ უსვამს.

ნაზირა პირველი მილოცავს შობას და აღდგომას. ხშირად ერთად ვღებავთ წითელ კვერცხებს ვნების პარასკევობით. მეც ვულოცავ ხოლმე რამადანს. ვერც შევამჩნიე, თანდათან როგორ იქცა იგი ჩემს მეორე დედად. და ეს ისეთი კარგია — როცა ორი დედა გყავს — ერთი ქრისტიანი, მეორე — მუსლიმი, მაშინ უშუალოდ გრძნობ, რომ მხოლოდ სიყვარულია ის ძალა, რომელსაც შეუძლია ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამყაროებს ბედნიერი თანაარსებობა მიანიჭოს.

ნაირა გელაშვილი
მწერალი, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის
„კავკასიური სახლის" ხელმძღვანელი
2004წლისნოემბერი

დავიბადე ახალციხის მაზრის სოფელ აწყურში 1926 წლის პირველ აგვისტოს. მამაჩემი შაჰფანდარ-ოღლი მუადინი (ორჯონიკიძე) 1901 წელს დაიბადა, დედა — ზათი სულეიმან-ყიზი (ვაჩნაძე) — 1907 წელს.

როცა დავიბადე, ჩემი უფროსი და, ფიქრია, ექვსი წლის იყო. 1929 წელს მამა ადიგენის რაიონში სამუშაოდ, კოლმეურნეობების ჩამოსაყალიბებლად გააგზავნეს. 1933 წლამდე სოფლიდან სოფელში გადავდიოდით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გვქონია. 1933 წელს ს. რაბათის დაწყებით სკოლაში შემიყვანეს. 1937 წელს ეს სკოლა „ფრიადზე" დავამთავრე და სოფელ ადიგენის შვიდწლედში შევედი. შვიდწლედს რომ ვამთავრებდი, რაბათის რაიონულ ცენტრში პედაგოგიური ტექნიკუმი გაიხსნა. შვიდწლედიც „ფრიადზე" დავამთავრე და ყოველგვარი სირთულის გარეშე, 1940 წელს, პედტექნიკუმში ჩავირიცხე.

როცა ომი დაიწყო და ყველა მასწავლებელი ფრონტზე წაიყვანეს, ჩვენ, — პირველიდან მესამე კურსის ჩათვლით, — სტუდენტები სკოლებში გაგვანაწილეს, რათა მათ ნაცვლად გვესწავლებინა. მე სოფელ გორგულში გამაგზავნეს. დილით სკოლაში ვასწავლიდი და შეთავსებით კოლმეურნეობაში შრომადღეების აღრიცხვას ვაწარმოებდი, საღამოობით კი ტექნიკუმში სწავლას ვაგრძელებდი. 1940 წელს ოჯახში უმცროსი და —ემა შეგვემატა. 1943 წელს სწავლა „ფრიადზე" დავამთავრე და ს. ლილოვანის სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად მუშაობა დავიწყე. პარალელურად კოლმეურნეობაში ბუღალტრად ვმუშაობდი

1944 წლის 15 ნოემბერს უზბეკეთში გადაგვასახლეს, სადაც მე და ჩემი ოჯახი 1954 წლამდე ვცხოვრობდით. 1946 წელს იქ გავთხოვდი. 1947 წელს შემეძინა ქალიშვილი, 1949 წელს კი — ვაჟი.

გადასახლებაში საბავშვო ბაღში მასწავლებლად მოვეწყვე, შემდეგ კი ბუღალტრად და ბამბის მკრეფავად ვმუშაობდი საბჭოთა მეურნეობაში. ვმუშაობდი ყველგან — სადაც კი შეიძლე-

ბოდა ლუკმაპურის ფული მეშოვნა. ერთადერთი მიზანი თავის გადარჩენა იყო.

იმ განცხადებების წყალობით, მამა მოსკოვში რომ აგზავნიდა, 1954 წელს, კომენდანტის ზედამხედველობის გაუქმებამდე ორი წლით ადრე, ჩვენ, ერთადერთ ოჯახს, საქართველოში დაბრუნების უფლება მოგვცეს. 1954 წლიდან 1959 წლამდე მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად დმანისში ვცხოვრობდი, ჩემი ვაჟი ჩემს მშობლებთან და დასთან ერთად თბილისში ცხოვრობდა.

დმანისის საბავშვო ბაღში აღმზრდელად ვმუშაობდი, მეუღლე კი სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა 1959 წელს ბავშვებთან ერთად საცხოვრებლად მშობლებთან, თბილისში, გადავედი. 1969 წელს დავიწყე მუშაობა სუვენირული ნაკეთობების კომბინატში ბატიკის მხატვრად. 1983 წელს პენსიაზე გავედი, თუმცა 1989 წლამდე მუშაობას განვაგრძობდი. ამ წელს კომბინატში მომუშავე ყველა არაქართველი შეამცირეს. 1990 წელს ნაირა გელაშვილის მიწვევით დავიწყე მუშაობა „კავკასიურ სახლში", მესხების ფოლკლორული ნიმუშების შემკრებად, სადაც 1997 წლამდე დავყავი.

ბავშვობიდანვე ძალზე ცოდნის მოყვარული გახლდით. ადრევე მივხვდი, რომ ჩვენ, რატომღაც, ისეთები არა ვართ, როგორც ყველა დანარჩენი და ყოველთვის ვეკითხებოდი უფროსებს — ვინ ვართ-მეთქი. ჩვენი ხალხის ისტორია მაინტერესებდა. როდესაც პენსიაში გავედი, გადავწყვიტე — დრო ბევრი მაქვს, დავწერ ყველაფერს, რაც ჩემი თვალით მინახავს, მსმენია, რისი შეკრებაც მოვახერხე, რაც გამოვცადე. მაგრამ იმ მიზნით არ ვწერ, რომ ვინმეს თავი შევაბრალო, არა! მინდა ხმა მივაწვდინო ადამიანებს, შევატყობინო თუ ვინ ვართ ჩვენ, ვისაც „თურქ-მესხებს" გვიწოდებენ, და ვინც სინამდვილეში მაჰმადიანი მესხები ვართ, ანუ ეთნიკური ქართველები.

დიდი იმედი მაქვს, ჩემი მოგონებების წაკითხვის შემდეგ, საზოგადოება წარმოდგენას შეიცვლის და ჩვენ შვილებს გაუთავებლად აღარ დასჭირდებათ იმის ახსნა-განმარტება, თუ ვინ არიან. ხოლო იმ ოჯახებს, რომელთა რიცხვი ძალზე მცირეა და რომელთაც სასწაულებრივად მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება, შეუმსუბუქებს ცხოვრებას, რომელიც ისედაც არ არის იოლი დედამიწის მკვიდრთათვის.

* * *

დადგა 1944 წელი, ომის მეოთხე წელიწადი. ჩვენთვის, მესხებისათვის, ეს ყველაზე მძიმე წელი გახლდათ. ომის დაწყებიდანვე მესხეთში მამაკაცს იშვიათად შეხვდებოდით. მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენელის მობილიზაცია მოახდინეს და ყველა ფრონტზე გაგზავნეს. დარჩნენ ისინი, ვისაც ჯავშანი — „ბრონი" ჰქონდა, ხოლო 1944 წელს მათ დაჭრილები, უხელფეხო ინვალიდები დაემატნენ. მიუხედავად ამისა, მინდვრებში მუშაობა არ შეწყვეტილა. ადამიანები ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობდნენ ბორჯომი-ვალეს რკინიგზაზე. ამ გზის მშენებლობა 1943 წელს დაიწყო. თავიდან აუჩქარებლად გაჰყავდათ გზა. მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და როგორც ვიცოდით იმ შემთხვევისათვის იყო აუცილებელი, თუკი ომი ჩვენამდე მოაღწევდა. უცებ მისი მშენებლობა დააჩქარეს, ამას იმით ხსნიდნენ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავი ახლოვდებოდა და ობიექტი ამ დროისათვის უნდა ჩაებარებინათ. პარტიის რაიკომის განკარგულებით, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები კოლმეურნეებისგან შრომით ბრიგადებს აყალიბებდნენ. ამ ბრიგადების შემადგენლობაში ისევ იგივე ქალები და ომის წლებში უკვე წამოზრდილი ყმაწვილები და ქალიშვილები მოხვდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ისინი, ვინც კოლმეურნეობაში მუშაობდა, ღამით სახლებში ბრუნდებოდნენ, ხოლო შრომითი ბრიგადების წევრები დღე და ღამ შრომობდნენ. იქაც და იქაც ხელით მუშაობდნენ, არანაირი ტექნიკა არ არსებობდა. პერიოდულად იცვლებოდნენ, რკინიგზის მშენებლობაზე დაღლილ ადამიანებს მინდვრის სამუშაოებზე „დასვენებული" მშრომელებით ცვლიდნენ. მაგრამ ქვეყანას იმედი არ გავუცრუეთ. რევოლუციის წლისთავისათვის რკინიგზის მშენებლობა დასრულდა. რის ფასად მოხდა ამ ამოცანის შესრულება?! როცა წარსულის სურათებს მეხსიერებაში კინოფირის კადრებივით ვატრიალებ და ფიქრებით იმ შორეულ ხანაში ვბრუნდები, ახლა მეჩვენება, რომ ჯერ კიდევ მაშინ, ჩვენი ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო ობიექტის უმოკლეს ვადებში ჩაბარების ნამდვილი მიზეზი. ადამიანებს, თითქმის მშივრებს, აიძულებდნენ სიცივეში ემუშავათ. რამდენი

დაიღუპა გამოფიტვით. მათი რიგები, როგორც ფრონტზე, სულ უფრო შეთხელდა, თუმცა ფრონტისათვის დახმარებაზე უარი არავის უთქვამს, ვინაიდან ესმოდათ, რომ ზურგში მუშაობით ომის დამთავრებას უწყობდნენ ხელს და ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცებს ეხმარებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მამაცურად დაიღუპნენ ზურგის ხაზზე, თუმცა ეს ხალხი არავის ახსოვს.

ყოველ წელს კომკავშირლები და აქტივისტები მეომრებისთვის საჩუქრებს აგროვებდნენ და ამანათებს აგზავნიდნენ ფრონტზე. გამონაკლისი არც ეს წელი ყოფილა. ამ წელს საჩუქრების შესაგროვებლად სხვებთან ერთად კარდაკარ მეც დავდიოდი. ომის მეოთხე წელი იდგა და ხალხს გასაცემი თითქმის აღარაფერი შემორჩა. მაგრამ რაც შემორჩათ, იმ უკანასკნელსაც — ნაქსოვ წინდებს, ხელთათმანებს, ბამბის საბნისგან შეკერილ წვივსახვევებს — კეთილი სურვილებითა და ლოცვა-კურთხევით გასცემდნენ. ქალიშვილები ხავერდის ნაკუწებისგან შეკერილ და მოქარგულ ცხვირსახოცებსა და ქისებს გვაძლევდნენ და როცა უკანასკნელს გაიღებდნენ, გვეუბნებოდნენ: არა უშავს, ჩვენ ხომ შინ ვართ, როგორმე გავძლებთ, თავს გავიტანთ. როცა შინ ხარ, კედლებიც კი გეხმარებიან. ოღონდაც ომი მალე დამთავრდეს და ჩვენი მამაკაცები ცოცხლები დაბრუნდნენო.

რასაც შევკრებდით, ყუთებში ვფუთავდით და ვაგზავნიდით, თანაც გულუბრყვილოდ სააქეთო მისამართასაც მივუთითებდით. მაშინ ხომ არ ვიცოდით, რომ სამადლობელი წერილები რომც მოეწერათ, ადრესატებს იმ კედლებიდან, მათ რომ უნდა დახმარებოდნენ, მანამდე გააძევებდნენ და მათ მიერვე გაყვანილი რკინიგზით გაუყენებდნენ გზას, რათა მისი საიმედოობა და ვარგისიანობა მათზევე გამოეცადათ.

მოხუცების მრავლისმომსწრე, ქალების გამრჯე და ბავშვების ნაზი ხელები სასწაულებს ახდენდნენ მინდვრებში. 1944 წლის მოსავალი გეგმის გადაჭარბებით ავიღეთ. თიბვას მოვრჩით და საქონლის საკვები ზამთრის დადგომამდე დავამზადეთ.

პედტექნიკუმში ვსწავლობდი. ვინაიდან ყველა მასწავლებელი ფრონტზე წაიყვანეს, დაწყებით სკოლებში მათ ჩვენ, სტუ-

დენტები, ვცელიდით. მე სოფელ გორგულში გამანაწილეს. ძალიან დაკავებულები ვიყავით, დასვენების დრო არ გვქონდა, მაგრამ პატარ-პატარა ზეიმების მოწყობას მაინც ვახერხებდით. ერთხელ, კვირა დღეს, მეგობარმა გოგონებმა ჟოლოს მოსაკრეფად წამიყვანეს. სოფელს გავცდით. თვალწარმტაცი ადგილები იყო. კენკრას ვაგროვებდით და ბილიკს მთისკენ მივუყვებოდით. კრეფა-კრეფაში ისე გავერთეთ, ვერც შევამჩნიეთ, სასაზღვრო საგუშაგოს როგორ მივუახლოვდით. მესაზღვრეები რომ არა, ალბათ სახელმწიფო საზღვარს ისე გადავკვეთდით, ვერც კი შევნიშნავდით. მეგობრებისგან განსხვავებით, ეს ჩემთვის პირველი ექსკურსია იყო. ყურადღება მივაქციე იმას, რომ ირგვლივ გაველურებული ხეხილი იზრდებოდა. ადიგენის ტყეებში ბევრი ასეთი მიტოვებული ბაღი არსებობდა, თუმცა იქაურობა ადრე ხალხით ყოფილა დასახლებული. მერე, დროთა განმავლობაში, ბარად, მდინარესთან ახლოს ჩამოსახლებულან. მეურნეობები შეუქმნიათ, ახალი ბაღები გაუშენებიათ. ტყეებში დარჩენილი ხეხილის ბაღები კი მთლად გაველურებულა.

სოფელ ფლატეში სამკურნალო წყაროც არსებობდა, „ფლატე-ჩერმუგს“ ეძახდნენ. მთის ფერდობზე, მიწიდან, კამკამა, ცივი წყალი ამოჩქეფდა და ქვემოთ იღვრებოდა. იქ, სადაც წყარო ამოდიოდა, პატარა, საკმაოდ ღრმა აუზი იყო. სახსრებდაავადებული ხალხი იქ აბაზანების მისაღებად დადიოდა. საერთოდ, ჩვენს მხარეში, ასეთი წყაროები იშვიათობა არ ყოფილა, აბასთუმანში კი ცხელი წყაროები ამოდიოდა. ავადმყოფები იქ მთელი წლის განმავლობაში მკურნალობდნენ. „ფლატე-ჩერმუგში“ კი აბაზანების მიღება მხოლოდ ზაფხულობით შეიძლებოდა. წყაროს ფსკერს სხვადასხვა შეფერილობა ჰქონდა. ყვითელი, თეთრი ზოლები დაჰყვებოდა, წყალი კი ბროლივით გამჭვირვალე იყო. წყაროსთან დიდი, მძლავრტოტებიანი ხე — „კნაპი“ — იზრდებოდა. მცირე ზომის, თხილისებურ ნაყოფს ისხამდა, ფერით კარალიოკს რომ მოგაგონებდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფს ბევრი კურკა ჰქონდა, ძალიან ტკბილი და გემრიელი იყო. მთელი ხე ბაფთებით მოერთოთ. ავადმყოფი, წყაროს წყლის აბაზანის მიღების შემდეგ, თეთრ ბაფთას აბამდა და ხეს გამოჯანმრთელებას შესთხოვდა. გარშემო კოწახურის, ასკილის ბუჩქები და ტყემლის ხეები იზრდე-

ბოდა. ეს მცენარეები მესხეთის მხოლოდ ამ მხარეში არ ყოფილა გავრცელებული. ისინი, პრაქტიკულად, ყოველი სოფლის ირგვლივ ხარობდა.

ერთი ასეთი მცენარე მახსოვს, „სატაცურს“ ეძახდნენ. გარეგნულად ფანქარს წააგავდა. უფოთლო ღეროს სიგრძე 15-20 სანტიმეტრს აღწევდა. მომწვანო-მოიისფრო ფერი დაჰკრავდა. ღეროს თავი პატარა ბუსუსებს დაეფარა. ძირითად ღეროს ირგვლივ ასეთივე, ოღონდ მთავარ ღეროზე უფრო მოკლე წანაზარდები ჰქონდა. მისგან კერძს ამზადებდნენ. ისპანახივით მზადდებოდა. უნდა მოხარშო, მერე მოხრაკულ ხახვთან ერთად მოთუშო, კვერცხით შეკმაზო და მაწონი მოასხა. ასეთივე კერძს ჭინჭრისგანაც ამზადებდნენ. ლიმისა და ბატიფეხურასგან კი მწნილეულობას აკეთებდნენ.

ერთი ბალახი იყო, „დიტა“ ერქვა, მწვანილივით ჭამდნენ. გემოთი წიწმატს ჰგავს. იქ „მიწის ვაშლიც“ იზრდებოდა. კარტოფილის ჯიშისაა და ჰგავს კიდეც კარტოფილს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები მიწავაშლას ბოლქვებს წამლად იყენებდნენ.

როგორც წესი, კოლმეურნეები ავანსს ნოემბერში იღებდნენ, ხოლო ძირითადი, სრული ანგარიშსწორება ახალი წლისთვის ხდებოდა. ვფიქრობ, მოსალოდნელი ცვლილებების გამო ესეც შეცვალეს. შრომადღეების მიხედვით ჭირნახულის განაწილება შეაჩერეს, რათა ის დღეებიც არ დაეკარგათ, რომელთა რაოდენობაც სულ უფრო მცირდებოდა. გვითხრეს, სასწრაფოდ დაგვეწყო საშემოდგომო სამუშაოები, რათა თოვლის მოსვლამდე მოგვესწრო მიწის მოხვნა და დათესვა. დაგვპირდნენ, რომ კოლმეურნეობა ამ სამუშაოს დამთავრებისთანავე გაგვისწორებდა ანგარიშს. არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილიყო. როგორც ყოველთვის, ჩუმად, სრული შემადგენლობით გავედით მინდვრებში. ტრაქტორები არ გვქონდა, ხარებით, კავითა და გუთნით ვხნავდით მიწას. მიწა დავამუშავეთ და 1945 წლის მოსავალიც დავთესეთ, თუმცა მისი აღება არ გვეღირსა.

ისეთი უხვი მოსავალი, როგორიც იმ წელს მოვიწიეთ, ამ

მხარეში კარგა ხანია არ ყოფილა. ბუნებამ, მძიმე ჯაფისთვის თითქოს ჩვენი დაჯილდოება გადაწყვიტა. კოლმეურნეობაში მოანგარიშედ მუშაობისათვის, ყოველთვე 90 შრომადღე მეთვლებოდა. ერთ შრომადღეზე 17 კგ მარცვლეული და რძის პროდუქტები — ყველი თუ კარაქი — მეკუთვნოდა. ამას ხელფასი, ფულადი დანარიცხი ემატებოდა. მარტო ჩემი შრომადღეების ხარჯზე შეეძლო ოჯახს უზრუნველად ეცხოვრა. რამდენი რამ მეკუთვნოდა ერთწლიანი შრომის საფასურად, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფარატინა ფურცელზე დარჩა აღნუსხული. არავის არაფერი მიუღია. არც სხვებს მიუღიათ რამე. ვის ერგო ეს ყველაფერი, რომ იკითხოს კაცმა, ვის ეცოდინება? ან რომც იცოდეს, ამ შეკითხვას ალბათ არც უპასუხებს.

ბარაქიანი წელი დადგა, ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოვიდა. რაიონულ ცენტრში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა მოეწყო. ხალხს თავისი ბაღჩა-ბაღებიდან გასაოცარი სიდიდის ბოსტნეული მოჰქონდა: ზოგს კარტოფილი, თითო თავი 700-800 გრამს რომ იწონიდა, ზოგსაც — 15 კილოიანი გოგრა, 8-10-კილოიანი კომბოსტოს თავები.

მოხუცები შეშფოთებულნი ამბობდნენ: ეს კარგს არაფერს მოასწავებსო. თითქოს ნათელმხილველები ყოფილიყვნენ. მოხუცების შეშფოთება გამართლდა, თუმცა რატომღაც ეს უბედურება მარტო მუსლიმ მესხებს დაატყდა თავს. თურმე ყველაზე მთავარი გამოცდა-განსაცდელი გადარჩენისთვის ბრძოლაში ჯერ კიდევ წინ გველოდა. ის, რისი გადატანაც მანამდე მოგვიხდა, არაფერს წარმოადგენდა იმასთან შედარებით, რაც მერე უნდა გადაგვეტანა. ახლა, გარკვეული დროის შემდეგ, როცა მახსოვრობაში ვამოწმებ და აღვადგენ იმ მძიმე დღეებს, ჩვენი იმდროინდელი ხელმძღვანელების უდანაშაულობაში ეჭვი მეპარება. ჩემი აზრით, შეიძლება ყველასთვის არა, მაგრამ უმრავლესობისთვის ცნობილი იყო განაჩენი, ჩვენ, მუსლიმ მესხებს რომ გამოგვიტანეს. ის, რომ ჩვენ ჩვენს სახლებში ცხოვრების უკანასკნელი დღეები დათვლილი გვქონდა, იმათაც კი იცოდნენ, ვინც მერე ჩვენს სახლებში დააბინავეს. უფრო მეტიც, ყველაზე თადარიგიანები ჩვენს გამგზავრებას არც დაელოდნენ, უკვე კარდაკარ

დადიოდნენ და კარგ ადგილმდებარეობასა და ხარისხიანად აშენებულ სახლებს ირჩევდნენ. ვერც კი წარმოგვედგინა ჩვენს მიმართ ასეთ ცინიზმსა და პირფერობას თუ გამოიჩენდნენ. ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა, მაგრამ ამ ჭორებს თავის თავზე არავინ ილებდა. და, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მიეღოთ თავის თავზე? პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება ზუსტად და უდავოდ „ფრიადზე" შეეასრულეთ, ამიტომ ბოლო წუთამდე ვერ ვირწმუნეთ ვერც ერთი ჭორი. სამწუხაროდ, არც მაშინ, წარსულ წლებში, არც ახლა, როცა ათწლეულები გვაშორებს იმ დღეს, როცა უსამართლო, საშინელი სასჯელი გამოგვიტანეს და სისრულეში მოიყვანეს, არც ერთმა ჩვენგანმა (დღემდე) არ იცოდა და არ იცის ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რისთვის დაგვსაჯეს. კიდევ რამდენ ხანს იქნება ეს კითხვა ჰაერში გამოკიდებული, კიდევ რამდენ ხანს გასტანს ხალხის ტანჯვა. ვიღაც-ვიღაცეები მუსლიმი მესხების, ქრისტიანი მესხების, სომხების ურთიერთშეუგუებლობაზე ახლა ალაპარაკდნენ. გაუგებარია, მანამდე, საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ როგორღა ვცხოვრობდით, ვმეგობრობდით, გვიყვარდა ერთმანეთი, ვქორწინდებოდით, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით, შეხმატკბილებულად ვმეზობლობდით. სარწმუნოება და ეროვნება კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ხელს ვერ გვიშლიდა. ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს პატივს ვცემდით და მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული სარწმუნოება გვქონდა, რელიგიურ დღესასწაულებს ერთმანეთს ყოველთვის ვულოცავდით. ბავშვები ბავშვობიდანვე პოლიგლოტებად იზრდებოდნენ, იცოდნენ ის სამი ენა, რა ენაზეც ადგილობრივი მაცხოვრებლები ლაპარაკობდნენ, ხოლო საერთაშორისო ენად რუსული ენა ითვლებოდა. თვალის ერთ დახამხამებაში ყველაფერი გაანადგურეს, წლობით ნაშენი საძირკველი ერთ წამში მოშალეს. შიგ გულში დაგვჭრეს. 60 წელი გავიდა, მაგრამ ვინც გადარჩა, ნათესავები, ღვიძლი ძმები გაერთიანებას დღემდე ვერ ახერხებენ. ეს არის სამართლიანობა, — გაასახლო ხალხი იმის გამო, რომ ოდესღაც მათი დაცვა ვერ შეძლეს და გამარჯვებულმა მომხვდურმა ქრისტიანი ქართველები იძულებით გაამუსლიმა?!

უცებ გაავლეს განსხვავებულობის მკვეთრი ზღვარი იმ ხალხს შორის, რომელსაც საერთო ფესვები ჰქონდა. ნაწილი

ადგილზე დატოვეს, ნაწილი კი სატვირთო ვაგონებში ჩასხეს და როგორც ამბობენ, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო! ეს ლინჩის კანონზე უარესი რამ იყო. ლინჩის წესით, სიკვდილით დასჯის წინ, ადამიანს დასჯის მიზეზს მაინც უმხელენ. ჩვენთვის კი არც ის აუხსნიათ, რა დავაშავეთ და არც სამუდამო სასჯელის მოხდის ვადა დაუსახელებიათ; ამის გამო დღემდე თავდახრილებმა უნდა ვიაროთ, უდანაშაულოებმა ყველას პატიება უნდა ვთხოვოთ, რომ არ დავიხოცეთ, ცოცხლები რომ დავრჩით და მიძინებულ სინდისს მოსვენებას არ ვაძლევთ.

ადგილობრივ ადმინისტრაციას რთული ამოცანის შესრულება დაეკალა — სწრაფად უნდა მოვეშორებინეთ თავიდან და თანაც ყველა საქმის ჩვენი ხელით მოგვარებაც მოესწრო. ასე უსიტყვოდ, გასამრჯელოს გარეშე, დღეს ვის აიძულებ მოსავლის აღებას და რკინიგზის მშენებლობას? მაგრამ მაშინ, ომის წლებში, ხალხს სჯეროდა „ხალხის მამის" ყოველი სიტყვისა. რადიოდან გვესმოდა მისი დაპირებები: ზეიმი ჩვენ ქუჩაზეც იქნებაო. ჩვენ, მესხებს, ზეიმის მოლოდინში 60 წელი თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა. ჩვენ ბედს ახლა სხვა „მამები" წყვეტენ.

თუკი ომის დამთავრებისას, როცა მახსოვრობაში ყველაფერი ჯერ ისევ ცოცხლობდა, საკუთარ მიწაზე დაბრუნება ვერ მოვახერხეთ, ახლა მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ ეს მოახერხოს. ასე ვიქეცით მიგდებულ ბავშვებად. საბჭოთა ხელისუფლების ნამოქმედარის გამო, რაკიღა ომმა ერთხელ მოწყვიტა მშობლიურ მიწას, ჩვენ ხალხს, ახლაც, ქარქვეტას ეკალივით ხან საით გაიტაცებს ქარიშხალი და ხან საით. მშობლიურ მიწაზე მაცხოვრებლები ვერასდროს გაითავისებენ ჩვენს ნოსტალგიას, ჩვენს ტკივილს.

და მაინც, უკეთესის იმედით ვაგრძელებ თხრობას.

1944 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ჩვენს რაიონში თანდათან ჯარისკაცებმა იწყეს ჩამოსვლა ამერიკული „სტუდებეკერებით". ისინი მთელ რაიონში განლაგდნენ, ყოველ სოფელთან რამდენიმე მანქანა იდგა. ჯარისკაცები ბევრნი არ იყვნენ, ერთ

სახლზე ორი ჯარისკაცი მოდიოდა. სოფელში არ შემოდიოდნენ. სოფლის განაპირას განლაგდნენ, გაშალეს საველე სამზარეულოები და იქიდან ფეხს არ იცვლიდნენ. რაბათის რაიონული ცენტრის ყველა მნიშვნელოვან ობიექტს დაცვა მიუჩინეს. ხალხმა ვერაფერი გაიგო, ათასნაირი ჭორი გავრცელდა. ზოგი იმასაც ამბობდა, საომარი მოქმედებებია მოსალოდნელიო, მაგრამ ეს ნაკლებ სარწმუნო იყო, რადგან ჯარისკაცები ძალზე ცოტანი იყვნენ.

მათ შემდეგ ადიგენის ცენტრში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, ზურგჩანთაწამოკიდებული ხალხი გამოჩნდა. ისევ დაირხა ხმები: ახალჩამოსულებს პარტიზანული ომის გამოცდილება აქვთ და საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ადგილობრივ მოიერიშე ბატალიონს დაეხმარებიანო. ვერ ვიტყვი, სხვაგან სადმე თუ კიდევ არსებობდა ასეთი ბატალიონები, არ ვიცი, მაგრამ ადიგენის რაიონში ნამდვილად იყო. ბატალიონის მეთაური ჩემი უფროსი დის ქმარი გახლდათ, კომისარი კი — მამაჩემი. ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკთაგან ანუ იმათგან, ვისაც ჯავშანი (ბრონი) ჰქონდა, ბატალიონი ჩამოაყალიბეს. მამაკაცებს მაშინ ჯავშანს სამხედრო კომისარიატში აძლევდნენ, მათი ადგილზე დარჩენის აუცილებლობის დასაბუთებით; მათი ჯარში გაწვევა და ფრონტზე გაგზავნა აღარ ხდებოდა. ამ ადამიანებისგან შედგებოდა მოიერიშეთა ბატალიონი, რომლის ამოცანა ის გახლდათ, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში იატაკქვეშეთში წასულიყო და პარტიზანული ბრძოლები ეწარმოებინა. ყველაფერს ლოგიკური ახსნა ჰქონდა და ხალხმა იფიქრა, ალბათ მოიერიშეთა ბატალიონის შევსება მიმდინარეობსო.

მაგრამ, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ამაოდ დაიჯერეს. სამოქალაქოფორმიანი ხალხი იმ რაიონების წარმომადგენლები ყოფილან, საიდანაც ჩვენს მხარეში ახალი მაცხოვრებლები უნდა ჩამოეყვანათ. ისინი რაიონში დადიოდნენ და არჩევდნენ, ათვალიერებდნენ სახლებს, ბაღებს, საქონელს, კარ-მიდამოს. მათ გადაადგილებას ხელს არავინ უშლიდა; მოშორებით მდებარე სოფლებში არ მიდიოდნენ, ძირითადად რაიონული ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობდნენ.

1943 წელს პედტექნიკუმი დავამთავრე, სამუშაოდ სოფელ ლელოვანში მიმავლინეს, სასწავლო ნაწილის გამგედ; შვიდწლედში ფიზიკა-მათემატიკას ვასწავლიდი. სკოლაში მუშაობის გარდა, კოლმეურნეობის ბუღალტერიაში მოანგარიშედ ვმუშაობდი, რადგან იქ ხალხი არ ჰყოფნიდათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მთხოვა სკოლასთან ერთად შეთავსებით კოლმეურნეობაშიც მემუშავა; დილით ბავშვებს ვასწავლიდი, საღამოს კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. სოფელი ლილოვანი რაბათიდან, ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან 6-7 კილომეტრით იყო დაშორებული და რადგან გვიანობამდე ვმუშაობდი, ღამის გასათევად სახლში დაბრუნებას იმავე დღეს ვერ ვახერხებდი. მე და ჩემ კოლეგას, სკოლის დირექტორ ზუბეიდეს, ლელოვანში ოთახი მოგვცეს. ზუბეიდე აზერბაიჯანიდან გაანაწილეს ჩვენს რაიონში სამუშაოდ. კვირაში ერთხელ სახლში ვბრუნდებოდი, ერთი-ორი დღე ვრჩებოდი და მერე უკან ვბრუნდებოდი, იქითა და აქეთა გზასაც ფეხით გავდიოდი. მუდმივი საშვი მქონდა. სანოემბრო ზეიმის დროს ჩვენი ოთახი კლიტით ჩავკეტეთ, რადგან ნივთები იქ დავტოვეთ და ჩვენ-ჩვენ სახლებში დავბრუნდით. იქ იმის მერე ვეღარც მოვხვდი. მამის ნაჩუქარი მაჯის საათი მქონდა — „ომეგა“. დღესასწაულზე შინ დაბრუნება ისე მეჩქარებოდა, რომ იმ ოთახში მაგიდაზე დამრჩა. მამის საჩუქარს ვერ გავუფრთხილდი.

როცა ლელოვანიდან შინ მივდიოდი, ირგვლივ რაღაც ცვლილებები შევნიშნე, თუმცა ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ოჯახთან 3-4 დღე დავყავი და საზეიმო დღეების შემდეგ, ისე რომ არაფერი მიეჭვია, დილით სახლიდან გამოვედი და ნაცნობ გზას სამსახურისკენ ფეხით გავუყევი. რაიონულ ცენტრზე მდინარე გადიოდა, ქობლიან-ჩაის ხიდი უნდა გადამევლო, რომ მარჯვენა სანაპიროზე, ანუ იმ სოფელში მოვხვედრილიყავი, სადაც ვმუშაობდი.

მდინარის მარჯვენა მხარე №1 სასაზღვრო ზონად ითვლებოდა და იქ საშვის გარეშე შესვლა არ შეიძლებოდა. სასაზღვრო საგუშაგოების გასავლელად, მუდმივი საშვი მქონდა; ამ გზაზე ხშირად დავდიოდი და მესაზღვრეები უკვე კარგად მიცნობდნენ, მცნობდნენ და როცა გვერდით ჩავუვლიდი ხოლმე, არ მაჩერებდ-

ნენ. ისინი მრავალ ადგილობრივ მაცხოვრებელს უშვებდნენ შეუმოწმებლად, რადგან დიდი ხანია აქ იდგნენ და ბევრის დამახსოვრება მოასწრეს. მაგრამ ამ დღისით პოსტებზე მესაზღვრები კი არ იდგნენ, არამედ ახალჩამოსული ჯარისკაცები. არც მომისმინეს, როცა შევეცადე ამეხსნა: ორ ადგილზე ვმუშაობ, სამსახურში მეჩქარება და დაგვიანების უფლება არა მაქვს-მეთქი. მაშინ, საომარი მდგომარეობის გამო, სამსახურში დაგვიანება საბოტაჟად ითვლებოდა და ამის გამო ასამართლებდნენ კიდეც. ამიხსნეს: რადგან საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული, არავინ დაგსჯის, რადგან ამის შესახებ ყველა ხელმძღვანელი უკვე გაფრთხილებულიაო. სახლში დაბრუნება შემომთავაზეს, თანაც დამამშვიდეს, მალე ყველაფერი დამთავრდებაო. უკან გამოებრუნდი. გზად შევნიშნე, რომ მნიშვნელოვანი ობიექტების დამცველი ჯარისკაცები ყველას უკან აბრუნებდნენ.

რაბათის ცენტრში მდებარე, ბახშიბეგ მაჩაბლის ყოფილ სამსართულიან სახლში ადიგენის რაიონის ადმინისტრაცია და პარტიის რაიკომი იყო განლაგებული. ეს ჩვენი ადგილობრივი მთავრობის სახლი გახლდათ და შესაბამისად, იქ ყოველთვის იდგა დაცვა. სანამ ჩვენ სახლამდე მივიდოდი, ამ შენობასთან უნდა გამევლო. ობიექტის დაცვის წევრები კარგად მიცნობდნენ. ერთი-ორჯერ რაღაც-რაღაცეების გარეცხვა მთხოვეს. გაქათქათებულ-გაპიწკინებულ თეთრეულთან ერთად, დედა ნუგბარ-ნუგბარ კერძებსაც მატანდა მათთან. ისინიც გემრიელად შეექცეოდნენ მირთმეულ საჭმელს და გულითად, გულწრფელ მადლობას მიხდიდნენ. ერთხელ, ერთმა მათგანმა ისიც კი მითხრა: დობილო, ჩვენთან არ დაგეკარგება, გადაგვეხადოსო. მაშინ ამ სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე, ისეთი რა უნდა მოეცათ ჩემთვის ჯარისკაცებს და რომც მოეცათ, არაფერს გამოვართმევდი. ობიექტთან ერთად ჩვენი სახლისა და სიმშვიდის დაცვა შეეძლოთ, ჯარისკაცებისგან ამაზე მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?

ვუახლოვდები იმ კოშმარული დღეების, იმ საშინელი მოვლენების აღწერას, რაც უნდა მოგითხროთ და რაც მაშინ დაიწყო, როცა ჩვენთვის გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანის დრო მოვიდა. რაც უფრო ვუახლოვდები ამ თემას, აზრის

მოკრება მით უფრო მიძნელდება. ამის თაობაზე ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა იყო, ამბობდნენ მოსახლეობის ევაკუაცია მოხდება და უსაფრთხოების მიზნით სადმე ახლო-მახლო დაგვასახლებენო. ბავშვები ზოგმა ბებიასთან გაამგზავრა, ზოგი თვითონ წავიდა ან ჩამოვიდა სტუმრად, ზოგიც საქმეების მოსაგვარებლად გაემგზავრა. ყველა თავ-თავის სახლში დაბრუნებას ჩქარობდა. დაიწყო მოუსვენარი მიმოსვლა და გადაადგილება.

ჩვენი მამაკაცები ხომ ყველანი ფრონტზე იბრძოდნენ. სამსახურიდან თავისუფალ დროს, საოჯახო მეურნეობას ქალები უძღვებოდნენ, რადგან მოხუცები და ბავშვები მარცვლითა და კარტოფილით სავსე ტომრებს ზურგზე ვერ მოიკიდებდნენ და სხვა რამეზე მათ გასაცვლელად მეზობელ რაიონში, ანდა მარცვლის დასაფქველად წისქვილში ვერ წავიდოდნენ. ისინი, ვინც მკაცრი რეჟიმის გამოცხადებამდე მოასწრო წისქვილში წასვლა, უკან ველარ ბრუნდებოდნენ, არ უშვებდნენ. ისინი კი, ვინც ახალი წასული იყო, უკან გამოაბრუნეს. სოფლიდან ნახევარ კილომეტრზე მეტ მანძილზე წასვლა გვეკრძალებოდა. როცა გვასახლებდნენ, წისქვილში დარჩენილები ცალკე მოხვდნენ. ისინი იქვე ჩატვირთეს მანქანებში და საერთო კოლონაში უკრეს თავი. ვისაც სად წაასწრებდნენ იქ იჭერდნენ და მანამდე აკავებდნენ, სანამ მის ვინაობასა და შინ არყოფნის მიზეზს არ გაარკვევდნენ. თუკი ახლო-მახლო სახლობდა, უკან აბრუნებდნენ. ყოველგვარი მოძრაობა-გადაადგილება აიკრძალა. ხალხს გადაეკიდნენ, შეკითხვებით ჩააცივდნენ: რატომ აწრიალდითო. სიმართლე იცოდნენ და ეგონათ, რომ ინფორმაციამ გაჟონა და ხალხმა მოსალოდნელ ოპერაციაზე ყველაფერი შეიტყო. ამიტომ გააფაციცეს ყურადღება.

ჩვენი სახლის აივნიდან კარგად მოჩანდა ის ადგილი, სადაც რაიონული ციხე და შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის შენობა მდებარეობდა. იქიდან ვაკვირდებოდით ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. ბოლო სამ-ოთხ დღეში ციხის ეზოცა და ციხეც ტუსაღებით, ან, როგორც მათ ეძახდნენ, დაკავებულებით აივსო. დაკავებულები კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, ბრიგადირები, დაბების საბჭოების თავმჯდომარეები და ომიდან დაბრუნებუ-

ლი ინვალიდებიც კი იყვნენ, ანუ, პრაქტიკულად, მოსახლეობის მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენელი. დაკავებულთა შორის იყო ერთი შესანიშნავი ადამიანი — ხონალი ყურბანი. ის სოფელ ხონადან იყო, რომელიც ზედ თურქეთის საზღვართან მდებარეობდა. როგორღაც შეუტყვია მუსლიმი მესხების გასახლების ამბავი და თურმე ჩვენს გაფრთხილებას აპირებდა, რომ გადასახლებისთვის ხელი შეეშალა. ამბობდნენ: ვისგანაც ეს ამბავი შეიტყო, იმ ოფიცერს შეეშინდა და თვითონვე დაასმინაო. და რადგან არ იცოდნენ, მოასწრო თუ არა ხონალი ყურბანმა ვინმეს გაფრთხილება, ადგნენ და მასთან ერთად ყველა მამაკაცი დააპატიმრეს. ისინი ვაჟკაცური და მამაცი ადამიანები იყვნენ და უკანონობას არ დაუშვებდნენ. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც იმ მკაცრ დღეებში, ერთი მუჭა მუშახელის დახმარებით, შეუძლებელ ამოცანებს ასრულებდნენ. ეს ადამიანები თანაპოლკელების ზურგს არასდროს ამოჰფარებიან და ფრონტზე მამაცურად ებრძოდნენ მტერს საკუთარი დედების, ცოლების, შვილების, სამშობლოს დასაცავად. ისინი თავისიანების მიერ აბუჩად აგდებას არ დაუშვებდნენ. ეს კარგად ესმოდათ ამ საქმის თაოსნებს და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ქუდზე კაცი გამოვიდოდა და ხონალის გვერდით დაუდგებოდა, წინააღმდეგობას გასწევდნენ და ოპერაციას ჩაშლიდნენ. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, რომ მათ სხვების გაფრთხილება ვერ მოასწრეს და წინააღმდეგობის გაწევისაკენ არ მოუწოდეს ხალხს, რადგან გაირკვა, რომ ნაბრძანები ჰქონიათ: დაუმორჩილებლობის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში მათთვის ესროლათ. სრული შემადგენლობით ჩვენ გაყვანამდე ისინი ციხეში იმყოფებოდნენ. ყველაზე ბოლოს ისინი გამოიყვანეს და უკანასკნელ ვაგონში ჩასხეს. დაახლოებით 90 კაცი იყო. ისინი საკუთარ ოჯახებს მოსწყდნენ და მერეც დიდხანს ეძებდნენ თავისიანებს. იგივე ბედი ეწიათ მოზარდებს, რომლებიც, რკინიგზის მშენებლობის დამთავრების მერე, სამშენებლო ნაგვისგან იქაურობის გასაწმენდად დატოვეს. მათ, გარდა იმისა, რომ ვადამდე ადრე ჩაბარებული ობიექტი უნდა დაესუფთავებინათ, უმოკლეს ხანებში უნდა დაესრულებინათ სხვადასხვა სახის წვრილმანი სამუშაოები. როცა მანქანებში გვსხამდნენ, ამ ბავშვების მშობლები ანერვიულდნენ, მაგრამ

დასამშვიდებლად უთხრეს, — აქ დარჩენილებს გზადაგზა დაგაწ-ევთ და იმ ვაგონებში ჩავსხამთ, სადაც მშობლები იქნებიანო. და... ამჯერადაც იცრუეს. მოგვიანებით, უკვე გადასახლებაში, ეს ბავშვები ერთი ოლქიდან მეორეში დაეხეტებოდნენ და მშობლებს ეძებდნენ. თურმე ეს ბავშვებიც და შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის ეზოში იზოლირებული პატიმრებიც მას მერე ჩამ-ოიყვანეს, რაც ჩვენი ვაგონები დააკომპლექტეს და გაამგზავრეს. ისინი ვაგონში ჩასხეს და ბოლო ეშელონს მიამაგრეს, რომელიც უკვე გადიოდა.

მოიერიშე ბატალიონის მებრძოლებს 14 ნოემბერს პარტიის რაიკომის შენობაში შეკრება უბრძანეს. მამაჩემი, რომელიც ბატალ-იონის კომისარი იყო, ასევე გამოიძახეს. გუშინდელივით მახსოვს, როგორ გავაცილეთ...

ციხე გადაჭედილია, არავინ იცის, რა ხდება. ამბობენ, გერ-მანელები შემოიჭრნენ და საჰაერო თავდასხმაა მოსალოდნელიო. ყველანი ცას მივჩერებივართ. ცა კი ნათელი და მოკრიალებუ-ლია. უზარმაზარი ვარსკვლავები ცაში გამოჩენილი გერმანული თვითმფრინავები გვგონია, დედა ღელავს. შიშს დიდი თვალები აქვს, ვიღაცა ცისკენ ხელს იშვერს და ამტკიცებს, თვითმფრინავს ვხედავდო.

მამა ადრეც გამოუძახებიათ, ხანდახან გამთენიისას ბრუნ-დებოდა შინ, მაგრამ დაპატიმრებების გამო არავინ არაფერში აღარ იყო დარწმუნებული. არც ის იყო გამორიცხული, რომ კიდეც დაეპატიმრებინათ, თუმცა სახლიდან სხვა მიზეზით გაიხმეს.

ის საღამოს წავიდა. დედა სუფრას შლიდა, უნდა გვევახშ-მა. კარგად მახსოვს, ვახშმად წითელი ლობიო მოამზადა. ვივახ-შმეთ, მამის ულუფას კი დედამ ტილო გადააფარა და ტანსაც-მლიანად წამოწვა ბავშვებთან. მამა აგვიანებდა, შუაღამე რომ გადავიდა, დედა კიდევ უფრო შეშფოთდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ მამა დავალების შესასრულებლად გაგზავნეს. აჭარისა და მესხეთის ტყეებში ძალიან ბევრმა დეზერტირმა მოიყარა თავი. მაშინ ყური მოვკარი, თურმე როცა საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა და აჭარიდან ახალწვეული ჯარისკაცების კოლონა მოემართებოდა, ტყიან მონაკვეთს რომ მიახლოვებიან, პირველი

მანქანა შეუჩერებიათ; ახალწვეულებს ამით უსარგებლიათ, ბევრი მათგანი მანქანებიდან გადამხტარა და თავი ტყისთვის შეუფარებია. მათი მეთაურები იყვნენ ჯამბულათი და ზელიმხანი. მათი ხელმძღვანელობით ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირები დასახლებულ პუნქტებს ესხმოდნენ თავს და კვების პროდუქტებს იტაცებდნენ. ვინ იყვნენ, ან ჩვენს მხარეში საიდან მოხვდნენ, — არავინ იცოდა. რომელი დეზერტირის დაჭერასაც ახერხებდნენ, მას ისევ ფრონტზე აგზავნიდნენ, თუმცა ისინი ცოტანი, ერთეულები იყვნენ... ის ხალხი, ვინც ადგილობრივ მოსახლეობას აწიოკებდა, სისასტიკით გამოირჩეოდა. კარგად იყვნენ შეიარაღებული და წინააღმდეგობას უწევდნენ მოიერიშე ბატალიონის მეომრებს, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელობის დავალებით, პერიოდულად მათ დასაჭერად გადიოდნენ ხოლმე. ხანდახან, აი ასეთ დავალებებზე აგზავნიდნენ მამას, დედაც ამის გამო ღელავდა. ერთხელ, დეზერტირებთან გაჩაღებული სროლისას შემნახველი სალაროს გამგე, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი, ვაჰანი, დაიღუპა. მძიმედ დაიჭრა ბაშირ ალიევი, იმ პედტექნიკუმის დირექტორი, რომელშიც ვსწავლობდი. სისხლისგან იცლებოდა და სიკვდილის პირას იყო. ცოლი გერმანელი ჰყავდა. ქმრის ამბავი შეატყობინეს. ყველა გააოგნა მისმა საქციელმა, როცა ქმრისთვის სისხლის გადასხმაზე კატეგორიული უარი განაცხადა. თავისი უარი ასე ახსნა: თუკი კვდება, ჩემი სისხლი რატომ გადავუსხა, ვაითუ ვერ გადაარჩინოთ. მე კი, სისხლი რომ გადავუსხა დავსუსტდები და შეიძლება მოვკვდე; ორი ქალიშვილი მყავს, იმათ რაღა ეშველებათო?

ჩვენი დირექტორი ძალიან კარგი ადამიანი იყო და სტუდენტებს ძალიან უყვარდათ. მე და ჩემმა მეგობარმა გოგონამ, ისრაფ ნანიშვილმა, 200-200 გრამი სისხლი გადავუსხით. დირექტორი გადარჩა.

მე და დედა ძალიან ვღელავდით ხოლმე, როცა მამა აგვიანებდა. შუაღამისას, სადღაც პირველი საათის შემდეგ, კარი უცებ გაიღო და ოთახში მამა შემოვიდა ორი ჯარისკაცისა და ოფიცრის, კაპიტნის თანხლებით. დედა ადგილზევე გაქვავდა; ეგონა რომ მისი შიში გამართლდა, მამა დააპატიმრეს და ბადრაგის თანხლებით ოჯახთან დასამშვიდობებლად გამოუშვეს. დედა,

მაშინაც კი, როცა მამამ მშვიდად უთხრა, — არ ინერვიულო, ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ უსაფრთხოების მიზნით გარკვეული დროით სხვა ადგილზე გადავყავართო, — თავს ვერ მოერია. მამამ გვითხრა, რომ მოსამზადებლად საათნახევარი გექონდა. მხოლოდ ერთი ხელი თეთრეულისა და თითო თბილი ტანსაცმლის წაღება შეგვეძლო. გვითხრა, რომ ჩაგვეცვა, ბავშვი გაგვეღვიძებია, საგზალი აუჩქარებლად, მშვიდად მოგვემზადებია. დედა ვერაფრით მშვიდდებოდა, ბავშვის ნივთებსაც კი ვერ მიაგნო. დაბნეული აქეთ-იქით დაიარებოდა ოთახში. მამას რომ თან ახლდა, ის კაპიტანიც ოთახში დადიოდა, ყოველ კუთხე-კუნჭულს ათვალიერებდა, კედლებზე აკაკუნებდა. უცებ ჩვენი მწვანე სკივრი დაინახა, რომელშიც დედა ნაჭრებს, ახალ ნივთებს, პირსახოცებსა და თეთრეულს ინახავდა. სკივრს თავი ახადა, თვალი მოავლო მასში ჩაწყობილ ნივთებს და დედას უღრიალა: „ყველაფერი მოგიმზადებიათ, რატომ მოაგროვეთ, რაღაც იცოდით, არა? როგორ გაიგეთ? ვინ გითხრათ?“ დედა ეუბნება: „ყოველთვის ყველაფერს მანდ ვაწყობდი. ვის რა უნდა ეთქვა, რა უნდა ვიცოდე?“

მამას ჩვენამდე უკვე აღარ უშვებენ, წინ ჯარისკაცები გადაეღობნენ. ისინი ხმისამოუღებლად დგანან და ყველაფერს, რაც ხდება, ჩუმად აკვირდებიან. კაპიტანი ოთახში მიმორბის და დედას უყვირის: „სად გადამალეთ ოქრო?“ სკივრის ჩხრეკა დაიწყო, ყველაფერი აურ-დაურია და მიყარ-მოყარა. უცებ გაჩუმდა. სკივრის კუთხეში პატარა ყუთს მიაგნო. როცა გახსნა, შიგ სამი ორმოცდაათმანეთიანი, ანუ 150 მანეთი იპოვა. იმ დროისთვის ეს ბევრი არ იყო. ამ თანხით 10-15 კილო ფქვილი თუ მოგვივიდოდა, სხვა არაფერი. ხელახლა გადაქექა სკივრი, მაგრამ მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. ვერც აღმოაჩენდა. შვიდ ნოემბერს, მთელმა მოსახლეობამ ფული თავდაცვის ფონდში გადარიცხა; ვისაც რა შეეძლო, ის თანხა გაიღო. ჩვენც გადავრიცხეთ და სახლში სახარჯო ფული დავიტოვეთ, მხოლოდ 150 მანეთი. მას მერე კი, როცა მამაჩემის საცვლები და ნაქსოვი წინდები ჯარისკაცებისთვის საჩუქრების შემგროვებლებს გავატანეთ, სკივრში დიდი აღარაფერი დარჩენილა. უცებ კაპიტნის მახვილმა თვალმა მაგიდაზე სადაფისტარიანი დანა შეამჩნია, ვიღაცამ მამას რომ აჩუ-

ქა. ლამაზი დანა იყო. ვითომც არაფერი, ჩექმის ყელში ჩაიდო. დედა ნელ-ნელა გონს მოდიოდა. უკვე ჩააცვა ჩემს დას, რაღაც ნივთები წამოკრიფა და ახლა იმას ფიქრობდა, რაში ჩაეწყო ეს ყველაფერი. ჩანთებისა და ჩემოდნების წაღების უფლება არ მოგვცეს. დედა საკუჭნაოში გავიდა, სადაც ზამთრის მარაგს ვინახავდით. მომარაგებული გვქონდა ბასთურმა, სუჯუკი, ლობიო, კარტოფილი, ხაჰვი. რაკი ვერაფერი იპოვა, დედამ წითელი ლობიო ტომრიდან საკუჭნაოს იატაკზე გადმოყარა, რამაც კაპიტნის მრისხანება გამოიწვია; კაპიტანი ისევ აუყვირდა დედას: „თქვენ რა, განგებ დაყარეთ იატაკზე, ფაშისტებს უტოვებთ?" კიდევ უფრო დაბნეულმა დედამ ჰკითხა: „აბა, ეს ყველაფერი რაში ჩავაწყოო?" და მოგროვებული ნივთები ტომარაში ჩატენა. ყველანი ვსხედვართ, ვიცდით, როდის გაივლის მოცემული საათნახევარი. კაპიტანი ჯერ კიდევ დაბორიალებს და ისევ რაღაცას ეძებს. მერე უცებ რაღაც გადაწყვიტა, ჩვენი გაყვანა დააჩქარა. მამამ ბავშვი თავის ტანსათბურაში გაახვია და ხელში აიყვანა. დედამ ტომარა აიღო, რომელშიც ჩვენი ნივთები ჩააწყო და ოთახიდან დაცვის თანხლებით გამოვედით. კაპიტანმა ჩვენი კარები დალუქა და ქვევით დავეშვით. ჩვენ სახლთან გზატკეცილი გადიოდა. იქ უკვე გაემწკრივებინათ იმ „სტუდენტების" კოლონა, ადრე სოფლის განაპირას რომ იდგა. ჩვენ პირველ მანქანასთან მიგვიყვანეს და მამას უთხრეს: წყნარად, ჩუმად ჩასვი შენი ოჯახი მანქანაში, რომ სხვებმა მოგბაძონო. მომიტევონ შედარებისთვის, მაგრამ მამაჩემს ვაცის როლი უნდა ეთამაშა ცხვრის ფარაში, სასაკლაოზე რომ მიერეკებოდნენ. ჩვენ პირველ მანქანაში ჩავსხედით. განკარგულების გამცემთა ვარაუდი გამართლდა; ხალხმა, როცა დაინახა, რა მშვიდად ჩავსხედით მანქანაში, უხმოდ მიაშურა მანქანებს. პირველ, ჩვენ მანქანაში, მუსლიმი მესხების ოთხი და ფინელების ერთი ოჯახი მოათავსეს. აღარ მახსოვს, ისინი როგორ მოხვდნენ ჩვენს მხარეში. ეს იყო დედა და ორი ქალიშვილი — ელზა და ჰელგა. ელზას თორმეტი წლის ვაჟი ჰყავდა. მეორე მანქანაში მუსლიმი მესხების სამი ოჯახი ჩასვეს და მათთანვე მოათავსეს ორი და — ყირიმელი თათრები. სამი საათის მერე მანქანები ნელ-ნელა შეივსო. ხუთ საათამდე მანქანის ძარაზე ვისხედით და ვიყინებოდით, ვუცდიდით, ყველას

როდის შეკრებდნენ. ჩვენს რაიონულ ცენტრში მუსლიმი მესხების შვიდი ოჯახი სახლობდა. შერეული ოჯახებიც იყო. მათ წამოსაყვანად რომ მიდიოდნენ, სხვა ეროვნების ცოლს ან ქმარს ეკითხებოდნენ ოჯახთან ერთად გამგზავრება უნდოდა თუ დარჩენას ამჯობინებდა. ბევრმა საკუთარ ოჯახზე უარი თქვა და დარჩა. გადასახლების მერე ჩამოაკითხეს, მაგრამ ქმრებმა ისინი აღარ მიიღეს. მხოლოდ ერთადერთმა — ალი ჩხეიძემ — მიიღო თავისი ცოლი, რომელიც რუსი იყო. ისინი მაშინ დაქორწინდნენ, როცა ალი დაქვრივდა. ალის სამი შვილი ჰყავდა, მის ცოლს კი — ორი. მან თავისი შვილები წაიყვანა და საქართველოში დარჩა, მერე კი ფეხდაფეხ მიჰყვა ქმარს უკან, ეძება, იპოვა და ოჯახი ისევ გამთლიანდა. სხვები, რომლებიც ქმრების საძებნელად ჩამოვიდნენ, ცარიელ-ტარიელი დაბრუნდნენ შინ.

მანქანები შეივსო, მაგრამ ადგილიდან არ ვიძროდით, რვა საათამდე ვისხედით და ვიყინებოდით, სანამ სოფლებიდან ჩამოსული მანქანები შემოგვიერთდებოდნენ. ჩვენ რაიონულ ცენტრში მოსამზადებლად საათნახევარი მაინც მოგვცეს. აი სოფლებში კი — ოჯახებში შეუვარდნენ, საწოლებიდან წამოყარეს მძინარე ხალხი, რომელსაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. გონს მოსვლასა და მომზადებას არ აცლიდნენ, მანქანებისკენ ერეკებოდნენ. სიჩქარეში, ვინც რას წამოავლო ხელი, მხოლოდ ის წამოიღო: ზოგმა ერთი ტომარა კარტოფილი, ზოგმა — ხილი. ერთი მანქანა მსხლით იყო დატვირთული და ადამიანები პირდაპირ იმ მსხალზე ისხდნენ.

ყოველ ოჯახს რაიონულ ცენტრში საგზაოდ ერთ ტომარა მარცვალს აძლევდნენ. ჩვენი ტომარა რაიონული აღმასკომის თავმჯდომარემ — ალი აბას-ოღლიმ თავის მანქანაში ჩადო, როცა მანქანებიდან ჩამოვიდოდით, უნდა დაებრუნებინა. მერე ერთმანეთი დავკარგეთ. ისინი ყაზახეთში მოხვდნენ, ჩვენ — უზბეკეთში.

უკვე მანქანებში ვისხედით და არ ვიცოდით, რას ვუცდიდით, როცა ღამით მანქანას ის ჯარისკაცები მოუახლოვდნენ, რომლებსაც სარეცხს ვურეცხავდი და საჭმელს ვუმზადებდით. დამიძახეს და მკითხეს, დალუქული კარის გარდა ჩვენ სახლს სხვა

შესასვლელი ჰქონდა თუ არა. ასეთი შესასვლელი არსებობდა. სახლის უკან პატარა ბაღი იყო. ამ ბაღიდან ფანჯარას მისწვდებოდა და ურდულსაც გადასწევდა კაცი. ჯარისკაცები მანქანიდან ჩამოსვლაში დამეხმარნენ და ჩვენი სახლისკენ ერთად წავედით. მე გადამსვეს და ჩემთან ერთად ფანჯარაში ერთ-ერთი ყმაწვილიც გადმოძვრა. მეორე გარეთ დარჩა. ჩვენ ოთახებში მიმოვდიოდით, მეკითხებოდა, სად რას ვინახავდით, — ჩქარა, ყველაფერი შეაგროვე და მომეციო. დიდი გულადობით არც ახლა გამოვირჩევი, მაშინ კი შიშისგან ამ ქვეყნად ყველაფერი დამავიწყდა. იმის შიშით, რომ გვიპოვნიდნენ, სულ დავიბენი, ადგილზე გაშეშებული ვიდექი და ფიქრებს თავს ვერ ვუყრიდი, დრო კი ილეოდა. მაშინ ჯარისკაცი თვითონ შეუდგა აუცილებელი ნივთების შეგროვებას. მახსოვს ნაქსოვ წინდაში ვერცხლის დანა-ჩანგალი და კოვზები ჩაჩურთა. ხელში წყლით სავსე ჩაიდანი მომაჩეჩა, — შენი დაიკო თუ ატირდება და თუ სიცივე იქნება, გზაში გამოგადგებათ, ბავშვის შესაფუთნად შალის დალიანდაგებული საბანიც დაგჭირდებათო. უკან ისევ ფანჯრიდან გადამაძვრინეს და მანქანისკენ გამიშვეს. ძარაზე ავძვერი, შიშისგან ვკანკალებდი. უცებ დავინახეთ, რომ ჯარისკაცები მანქანისკენ რაღაცას მოათრევდნენ ირგვლივ ბნელოდა, ვერაფერს დაინახავდა კაცი. მამამ შეამჩნია ისინი და მიხვდა, რომ სახლიდან რისი წამოღებაც მოახერხეს, ყველაფერი ჩვენთან მოჰქონდათ. მამა ძალიან მკაცრი კაცი იყო, ნამდვილი კომუნისტი. ის თავს ამის უფლებას არ მისცემდა, თანაც ჯარისკაცების ბედიც ანაღვლებდა. მათი შეჩერება სცადა, უთხრა: — ვინმემ რომ გაიგოს, ან შეგამჩნიოთ, დაგსჯიანო. მაგრამ ბიჭებმა ყური არ ათხოვეს და რაც მოიტანეს, მანქანაში ჩატვირთეს. არც ისე ცოტა რამის გამოტანა მოესწროთ. მიუხედავად იმისა, რომ დრო ცოტა ჰქონდათ, არ შეშინდნენ და... ფეხის საკერავი მანქანა „ზინგერი“ — სადგამიდან მოხსნეს. ხელს გამოაყოლეს ორი ხალიჩა — დედაჩემის მზითევი (ჩვენთან ერთად თბილისში რომ დაბრუნდა 10 წლის შემდეგ), ორი ფარდაგი, სამოვარი თავისი მოწყობილობით (ჩაის დასაყენებელი პატარა ჩაიდანი, ლანგარი და ჭურჭლის გასარეცხი ჯამი), ლუდის კათხა და უთო. აი რამდენი რამ გვაჩუქეს, მათ საქციელს სხვა სიტყვას ვერ დაარქმევ. მაშინ გამახსენდა მათი სიტყვები: — მოვა დრო და სიკეთეს სიკეთით გადაგიხდით, „ჩვენ-

თან არ დაგეკარგებაო". კეთილი, მამაცი ბიჭები იყვნენ და თუ ცოცხლები არიან, ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს.

ნელ-ნელა ინათა. დილის რვა საათზე კოლონა რკინიგზის მიმართულებით დაიძრა. ჩვენ რაიონს გავცდით, კოლონას წინ ჩვენი მანქანა მიუძღოდა, მაგრამ მერე, როცა სხვა მანქანები წამოგვეწია, კოლონის შუაში მოვექეცით.

ოთხი კილომეტრი გავიარეთ და სოფელ „ფაეტონჯი-ჯევრი"-ს მივადექით. ამ სოფლის ერთ მკვიდრს ფაეტონი ჰქონია და ხალხი ახალციხესა და აბასთუმანში დაჰყავდა. სოფელს ჩორ-ჩანი ერქვა, ამ ადამიანის წყალობით სახელი გაითქვა, როგორც — „ჩორჩანლი-ფაეტონჯი-ჯევრმა".* ეს სოფელი სრულიად სწორ ადგილზე მდებარეობს. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ როცა სოფელი გავიარეთ, მოსწორებულ ადგილზე ის მანქანა გადაბ-რუნდა, ჩვენ წინ რომ მიდიოდა. ყველაფერი წამის უსწრაფეს მოხდა. ძილ-ბურანში ვართ, დაქანცულები. ჩვენ წინ მსხლით დატვირთული მანქანა მიდის. ხალხი ამ მსხლებზე ზის. 12-13 წლის ორი ბიჭი მსხალს გემრიელად შეექცევა. ჩემმა სამი წლის დამ დაინახა ისინი და მსხალი მოუნდა. დედამ იმ მანქა-ნის მგზავრებს გასძახა და სთხოვა — ერთი-ორი მსხალი გად-მოგვიგდეთო. იმათაც გადმოუგდეს, დედა მსხლებს იჭერდა და უცებ, თითქოს ვიღაცამ მანქანა ჰაერში აიტაცა და გადააბრუნა. შუა გზაზე მანქანა გდია, ადამიანები ქვეშ მოყვნენ, ყვირიან, შველას ითხოვენ, ბორბლები კი, ამობრუნებულ მანქანაზე ჯერ კიდევ ტრიალებენ. ამ მანქანით რამდენიმე ოჯახი მგზავრობდა. ჯარისკაცებმა, კოლონის გამცილებლებმა და მძღოლებმა სოფელში ჯოხები და ძალაყინი იშოვეს და მანქანის ბორბლებზე დაყენება სცადეს. მამაჩემიც ჩავიდა მანქანიდან და მიეხმარა. ჩვენ წინ მიმავალმა მანქანებმა გზა გააგრძელეს, არც შეჩერებულან. სა-მაგიეროდ, ჩვენ უკან დადგა მანქანების გრძელი რიგი. როგორც იქნა, მანქანა ბორბლებზე დააყენეს და გაირკვა, რომ იმ ორი ბიჭის გარდა, არავის არაფერი დაშავებია; ბიჭები კი, რომლებიც ძარის აქეთ-იქით ნაპირზე ისხდნენ, მანქანის კიდემ ქვეშ მოიყო-ლა, თუმცა არ დახოცილან. მათი დედა მწუხარებისგან შეიშა-

* ჩორჩანელი მეფაეტონე ჯევრი

ლა. მისი ქმარი და უფროსი ვაჟიც ამ მანქანაში ისხდნენ. ერთი უხელო იყო, მეორე — უფეხო, ფრონტიდან ერთი თვის წინ დაბრუნებულიყვნენ. გაუბედურებული ქალი მამაჩემმა ძლივს დააკავა, როცა მან გამცილებელი ოფიცრისთვის თავში უზარმაზარი ქვის ჩარტყმა სცადა. გულგამგმირავად კიოდა, როცა ბიჭები ე. წ. „პოლუტორკაში" მოათავსეს და უთხრეს, — ახალციხის საავადმყოფოში წავიყვანთ, სანამ თქვენ ჩამოხვალთ, სამედიცინო დახმარებას გაუწევენ და მერე წაიყვანეო. 8 წლის მერე, უკვე გადასახლებაში, დედა იმ ბიჭებს შეხვდა. მარცვლეული წაიღო წისქვილში. ბავშვები ბულუნგურის მეურნეობის წისქვილში მუშაობდნენ. დედაჩემი იცნეს. თვითონ მივიდნენ მასთან და თავი შეახსენეს. მშობლებზე არაფერი იცოდნენ და ვისაც კი შეხვდებოდნენ, მათ ამბავს ეკითხებოდნენ. უკვე 6 წელია ეძებდნენ და მათი პოვნის იმედი გადაეწურათ.

მანქანა ბორბლებზე დააყენეს და გზას გავუდექით. ბორჯომამდე არმისული, ზორეთის სადგურზე, კოლონა რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ გაჩერდა. რელსებზე სატვირთო შემადგენლობების გრძელი მწკრივები იდგა. ზოგიერთი შემადგენლობა უკვე ხალხით იყო სავსე. სხვა მანქანების მისვლამდე ხალხი ერთმანეთს ახალ ამბებსა და მგზავრობის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. მაშინ შევიტყვეთ, რომ ხიდზე გადასვლისას ლილოვანიდან მომავალი მანქანა გადაბრუნებულიყო. ძარაზე შვიდი ახალი პატარძალი იმყოფებოდა, შვილები ჯერ არ გასჩენოდათ, რადგან მათი ქმრები ქორწილიდანვე ფრონტზე წაეყვანათ. როგორ მოხვდა შვიდივე ერთ მანქანაში, ამის ახსნა ვერავინ შეძლო. შვიდივე დაიღუპა. გადარჩენილები სხვა მანქანებში გაანაწილეს, ცხედრები კი დასასაფლავებლად ადიგენში გაგზავნეს.

თუ როგორი გაგრძელება ჰქონდა ამ ამბავს, 1989 წელს შევიტყვე. ჩემმა სიძემ მე, ჩემი უმცროსი და და ქალიშვილი მშობლიურ მხარეში ექსკურსიაზე წაგვიყვანა. იქ ძველ მეზობელ ქალს გადავეყარე, კათოლიკე ქართველს, ნინას; მისგან გავიგე, რომ გზის პირას მინდორში დიდი ორმო ამოეთხარათ, ახალგაზრდა ქალებისთვის ლამაზი ხავერდის კაბები გაეხადათ, საცვლების ამარა ჩაეყარათ ორმოში და მიწა მიეყარათ. მანვე მითხრა:

მოგვიანებით, ამ ამბის უცოდინარმა ოჯახმა იქ სახლი აიშენა, ოთხი ვაჟი ჰყავდათ და ყველა, ახალგაზრდა ასაკში, უბედური შემთხვევით დაიღუპაო.

ასეთი იყო მშობლიურ მხარეში ჩემი რამდენიმესაათიანი მოგზაურობა პირველად გადასახლების შემდეგ. აწყურიდან ციხესიმაგრის ნატეხი და ერთი მუჭა მიწა წამოვიღე მამაჩემის საფლავისათვის. ხერთვისიდან კი — დედის საფლავზე მოსაყრელად — მუჭა მიწა. მათი უკანასკნელი თხოვნა შევასრულე, მათ საფლავებს თბილისის შორიახლო, სოფელ მსხალდიდში, მშობლიური მიწა მივაყარე.

იმ ჯარისკაცების წყალობით, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შეაგდეს და მანქანაში ჩვენი ქონების ნაწილი ჩაგვიტვიროეს, გადასახლებაში თავის გატანა მოვახერხეთ. მერე კი, დაბრუნების შემდეგ, მართალია, მშობლები მშობლიურ მხარეში — ჩვენს საყვარელ მესხეთში — ვერ დავკრძალეთ, მაგრამ მათი საფლავები საქართველოშია და არა შუა აზიაში...

სამოვარი მამამ 30 კილოგრამ ბრინჯში გადაცვალა, რამაც ერთ ხანს თავი გაგვატანინა.

მატყლის დალიანდაგებული საბანი კი ჩემმა ხელმარჯვე დედამ დაარღვია. სამსახურის მერე ღამით მასთან ერთად ამ მატყლისგან ძაფს ვართავდი, დღისით კი დედა ამ ძაფით მაქმანივით ნაზ ქალის თავსაბურებს ქსოვდა, რომლებსაც კვირაში ერთხელ რაიმეში ცვლიდა ან ბუკის ბაზარში ყიდდა. ბევრს შიმშილმა და სნეულებამ მოუღო ბოლო, ის ჯარისკაცები რომ არა, ჩვენც ეს ბედი გვეწეოდა...

საღამომდე ლიანდაგებზე ვისხედით და ველოდით, როდის ჩამოვიდოდნენ სხვა მანქანები. თანასოფლელები ერთმანეთს ეცნაურებოდნენ, ზოგი მანქანებში ჩასხდომის დროს დაკარგულ ახლობელს ეძებდა, იყო მიკითხვ-მოკითხვა, მავანი და მავანი ხომ არ გინახავთ, ან როდის ნახეთო. ვინც უკვე იპოვა ერთმანეთი, ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და ერთმანეთს ამ გადაადგილებასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. შემდეგი მანქანა

უთქუსუბნიდან (ადიგენის რაიონი) ჩამოვიდა. მანქანის მგზავრები უცნობ ქალს დაჭრილი მამაკაცის ზურგზე აკიდებაში ეხმარებოდნენ. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ეს კაცი მისი ქმარი იყო, რომელიც ცოტა ხნის წინ ჰოსპიტლიდან ორ მედდას საკაცით მიუყვანია ხერხემალში იყო დაჭრილი. ცოლის გარდა ვერავინ ატარებდა. ქმრის მოხუცი მშობლები და ექვსი მცირეწლოვანი ბავშვი ამას ვერ შეძლებდა. ისინი ისე გამოუყრიათ სახლიდან, საერთოდ ვერაფრის წამოღება ვერ მოუსწრიათ. მთელი ოჯახი ამ ქალს შეჰყურებდა, ელოდნენ, როდის მიუტანდა საჭმელს. გულისტკივილის გარეშე ვერ ვუყურებდით. ყველამ, ვინც მის გვერდით მოვხვდით, ლუკმა გავუნაწილეთ, რომ როგორმე შიმშილი მოეკლა. ბოლოს და ბოლოს, ყველა მანქანა შემოგვიერთდა და ვაგონებში ჩვენი განაწილებაც დაიწყეს. როგორც საკონცენტრაციო ბანაკებში გერმანელები ითვლიდნენ სიის მიხედვით და კრემატორიუმებსა თუ გაზის კამერებში აგზავნიდნენ ადამიანებს, ჩვენც ასე გვთვლიდნენ, 45-50-კაციან ჯგუფებად გვანაწილებდნენ ვაგონებში და კარს ურდულით კეტავდნენ. თავის მრავალსულიან ოჯახთან ერთად, ეს ქალიც ჩვენს ვაგონში მოხვდა. ზურგზე ქმარმოკიდებული ამოძვრა ვაგონში. ქმარი და ოჯახის წევრები ვაგონის კუთხეში დააბინავა და მიყუჩდა. სანამ ვმგზავრობდით და საჭმელს არ გვაძლევდნენ, მათ მთელი ვაგონი კვებავდა. როცა ახალ ადგილზე, უზბეკეთში დავფუძნდით, ამ ქალს ხანდახან გზად ვხვდებოდი ხოლმე. ასევე ქმარწამოკიდებული დადიოდა ერთი ინსტანციიდან მეორეში და დახმარებას ითხოვდა. რამდენიმე შვილი შიმშილისგან მოუკვდა, გადარჩენილები კი თვითონვე ჩააბარა ბავშვთა სახლში იმ იმედით, რომ სიკვდილს იქ მაინც გადაურჩებოდნენ. მის ქმარსა და მოხუცებზე ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ, რომ ერთ ხანს თვალთახედვიდან გაქრა. ამ ქალთან ჩემი ბოლო შეხვედრა შემზარავი იყო. ეს საშინელი სურათი დღესაც თვალწინ მიდგას: გზის პირას თხრილში გდია, ჭუჭყიანი ძონძები აცვია. გვერდით რომ ჩავუარე, ვიფიქრე, ალბათ უპატრონო გლახაკია, ფეხი აუცდა და დაეცა-მეთქი. ასეთნი ხომ მაშინ მრავლად იყვნენ. დავიხარე, რომ წამოდგომაში დავხმარებოდი. სახე ჩემკენ რომ მოაბრუნა, მერეღა ვიცანი. ძაღლებს დაეგლიჯათ, ნაკბენებზე უკვე მატლები

დახვეოდა და საშინელი სუნი ასდიოდა. გამვლელების დახმარებით წამოვაყენე და საავადმყოფოში წავიყვანეთ. მას მერე რა ბედი ეწია, არ ვიცი.

ვაგონებში პირველად ადიგენის რაიონის ბინადარნი ჩასვეს. როდესაც ჩვენი ვაგონი ურდულით ჩაკეტეს, სიბნელე ჩამოწვა. მერე, როცა სიბნელეს თვალი შევაჩვიეთ, დავინახეთ, რომ ვაგონის კიდეებთან თივით მოფენილი ტახტები და ვიწრო, გრძელი მერხები ჩაედგათ. იატაკზეც ჩალა ეყარა. ბავშვები და მოხუცები ამ „საწოლებზე" მოვათავსეთ, თვითონ კი იატაკზე დავწექით. ქანცგამოლეულები, რაკი ბოლოს და ბოლოს დაწოლის საშუალება მოგვეცა, ვიწექით ვაგონის იატაკზე, ჩვენ-ჩვენ ფიქრებთან განმარტოებულნი, ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ და მატარებლის დაძვრას ვუცდიდით, რომ დახუთულ, ხალხით გატენილ ვაგონში ხვრელებიდან და შეუმინავი პატარა სარკმლებიდან სუფთა ჰაერი შემოსულიყო. ზოგმა დაიძინა, ზოგიც საუბრობდა. არ მახსოვს, რა დრო გავიდა, გარეთ უკვე ბნელოდა, როცა მატარებლის შემადგენლობა დაიძრა. ძალიან ნელა მივდიოდით. ორი დღე-ღამის მერეღა ჩავაღწიეთ თბილისში.

დილაუთენია შეეედით ქალაქში. ყველას აინტერესებდა, სად ვიყავით. მამა გაჩერებას ათვალიერებდა და ნავთლუღის სადგური იცნო. ორი დღე და ღამე ისე ვიმგზავრეთ, წყალი არ დაგვილევია. ხალხი წყურვილისგან სულს ღაფავდა და თვალებით ონკანს დაეძებდა. ონკანიდან მოჩხრიალე წყლის ხმა გვესმოდა. ვაგონის კედლების ჭრილებიდან ვხედავდით ჩვენი ვაგონის გასწვრივ მიწაზე დაღვრილ წყალს. გამომშრალი ტუჩების ლოკვით, ხალხი ნატვრით დაჰყურებდა ამ წყალს. მაგრამ რა, თითქოს საერთოდ გადავავიწყდით. ვაგონებთან კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. უცებ მორბენალი ადამიანების ხმა შემოგვესმა. კარებზე ურდულებს ხსნიდნენ და ხალხიც თავპირის მტვრევით გარბოდა წყლისკენ. უნდა გენახათ, რა ხდებოდა. ზოგი წყალს სვამდა, ზოგი იმარაგებდა, ზოგი იბანდა. მოსწრებაზე იყვნენ, რადგან არავინ იცოდა, კიდევ რამდენ ხანს გავჩერდებოდით აქ. ამ ხმაურსა და ალიაქოთზე უცებ შენობიდან დაცვა გამოვარდა. ჯარისკაცე-

ბი და ოფიცრები სადგურში შეშინებული, დაბნეული სახით მიმორბოდნენ და ხალხის ვაგონებში შეყრას ცდილობდნენ. ვინც დალევა ვერ მოასწრო, ემუდარებოდა, ცოტაც მაცალეთო. ჯარისკაცებმა ჰაერში სროლა ატეხეს. გასროლის ხმამ „მგზავრები“ გონს მალევე მოიყვანა. მარდად შეგვრეკეს ვაგონებში. დაცვის წევრების შეშფოთებულმა და გაოგნებულმა სახეებმა და მათმა ლაპარაკმა მიგვახვედრა, რომ ვაგონებზე ურდულები მათ არ გაუხსნიათ. დიდხანს დადიოდნენ და იძიებდნენ, თუ ეს საქმე ვინ ჩაიდინა. ეს გახლდათ 12 წლის ბიჭი. ჯავახეთში ცხოვრობდნენ, ბოგდანოვკის რაიონში, ქურთები იყვნენ. მთელი წელი ის მამასთან ერთად საცრებს წნავდა, მერე ერთად დადიოდნენ სოფლებში და ყიდდნენ. როცა მანქანებში გვსხამდნენ, ისინიც მოხვეტეს და ჩვენთან ერთად გამოამგზავრეს. ჩვენს მატარებელში მოხვდნენ. ბიჭი სუსტი აღნაგობის იყო და ვაგონის ღრიჭოდან გარეთ გაძვრა. ჰოდა, მან ახსნა ვაგონებს ურდული, რათა ხალხს წყალი დაელია. ბიჭი არავინ გასცა. ოფიცრის შეკითხვას ყველა ასე პასუხობდა, „არ ვიცით, კარები გაიღო, მარტო წყალზე ვფიქრობდით, ვჩქარობდით, რომ დალევა მოგვესწრო. გვეგონა, თქვენ გაგვიღეთ კარები“. როცა მიხვდნენ, რომ სიმართლეს ჩვენგან ვერ გაიგებდნენ, თავი დაგვანებეს და უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს, რათა საგანგებო შემთხვევა აღარ განმეორებულიყო. ყოველ ვაგონში მესხი მამაკაცებიდან მამასახლისები დანიშნეს, არეულობაზე პასუხს მერე მათ აგებინებდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ დიდ სადგურებზე აღარ გვაჩერებდნენ, ხოლო როცა ვჩერდებოდით, ვაგონებთან ბადრაგი იდგა, თითო ვაგონს ორ-ორი ჯარისკაცი იცავდა, ისინი გვიღებდნენ კარს და გვიშვებდნენ ვაგონებიდან. კარს კი მხოლოდ მიყრუებულ ასაქცევებთან, ჩიხებთან, უდაბურ, უკაცრიელ ადგილებზე გვიღებდნენ. მატარებელი დიდხანს იდგა ლიანდაგზე. ადამიანებს თვლით უშვებდნენ მოსასაქმებლად. ერთი ჯგუფის დაბრუნებამდე, მეორე ჯგუფს ვაგონიდან გასვლას არ ანებებდნენ. ჩვენი ვაგონის მამასახლისად ერთადერთი ჯანმრთელი მამაკაცი, ანუ მამაჩემი დანიშნეს. ჩვენი მოგზაურობის დაწყებისთანავე, დროის სათვალავი რომ არ არეოდა, ვაგონის კედელზე ჯაყვის წვერით ჩა-

ნანიშნებს კაწრავდა. უკვე ხუთი დღე იყო, რაც მოვდიოდით. წარმოდგენა არ გვქონდა, საით მიემართებოდა მატარებელი; პატარა სარკმლებიდან თავს ვყოფდით, მიდამოს ვათვალიერებდით, იქნებ როგორმე რაიმე ნიშნის მიხედვით მივმხვდარიყავით, თუ სად ვიმყოფებოდით. ძალიან ნელა მივდიოდით. მეხუთე დღეს, როცა ერთ-ერთ სადგურს ჩავუარეთ, თვალი მოვკარით წარწერას — „ბილიჯარი". მაშასადამე, აზერბაიჯანში ჩავედით, რადგან ეს სადგური ბაქოსთან ახლოს მდებარეობს. მატარებელი, აქამდე ისედაც ძლივს რომ მიიზლაზნებოდა, ამის შემდეგ საერთოდ ზოზინ-ზოზინით გაუდგა გზას. ცოტა მანძილს გავივლით, დიდხანს ვჩერდებით, მერე ისევ ცოტას გავივლით. სამი დღე ასე მიეზოზინობდით. სახლიდან წამოღებული საკვები რა ხანია გამოგველია. ზოგჯერ წყლის მომარაგებას ვახერხებდით. მამის „კალენდრის" მიხედვით უკვე მერვე დღე იყო, რაც მივდიოდით. სანახევროდ მშიერი, ღონეგამოცლილი, გაწამებული ადამიანები ოცნებობდნენ კიდეც დანიშნულების ადგილზე ჩასვლას და ყოველ გაჩერებაზე ეგონათ, ბოლოს და ბოლოს ჩამოვედითო...

როცა დერბენდში გავჩერდით ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ მხოლოდ გზის მეოთხედი გავიარეთ. პატარა სარკმლებიდან მოჩანდა ხალხი, ვაგონებთან რომ მიმოდიოდა და რაღაცას ყიდდა. ვცდილობდით, გამყიდველებისათვის ღრიჭოებიდან ხმა მიგვეწვდინა, ვისაც ფული ჰქონდა — ყიდულობდა, ვისაც არა — ცვლიდა. მახსოვს, ერთმა ქალმა ვაგონის ხვრელიდან კარტოფილის მარაგი პირდაპირ მიწაზე გადაყარა. ნახევარ ტომარა კარტოფილში იმავე ხვრელიდან ერთი ქილა ყვითელი მარილი მიაწოდეს და ამ ქილას დიდხანს ათვალიერებდა. ვიღაც ხილს ცვლიდა, ვიღაც — ნივთებს, ზოგიერთი კი ვაგონთან ჩამოტარებულ საჭმელს დამშეული თვალებით შეჰყურებდა. ამ სადგურზე ყველა მამასახლისი შეკრიბეს და სადღაც წაიყვანეს. გაირკვა, რომ სწორედ აქ გადაეწყვიტათ ჩვენი დაპურება

მალე მამა თუთიის ჭუჭყიანი ვედროთი და ალუმინის კათხით ხელში დაბრუნდა. ვედროში ქერის სუპი ჩაესხათ და ამ სუპში ერთადერთი ლივერის ძეხვი ცურავდა. ამ კათხიდან ყველას სათითაოდ უნდა დაელია თავისი ულუფა სუპი და ძეხვი მოეკბიჩა. ვაგონის მგზავრებს შორის მოლა აბდულაც იმყოფებოდა,

სოფელ გორგულიდან. ვედროში მოტივტივე ძეხვის დანახვაზე განზე გადგა. ჯერ ბავშვები დააპურეს, მერ მოხუცებს ჩამოურიგეს. მოლა იდგა, იდგა, მერე ვედროსთან მივიდა და მამას უთხრა: ძეხვი რომ დამთავრდება, ერთი კათხა სუპი გადამინახეო. როცა მამამ დაუძახა, მან თვალდახუჭულმა დალია სუპი. შიმშილი საშინელი რამ არის. ხალხს წვნიანი მოენატრა და უხაროდა, რომ ვიღაცას გაახსენდა. თუმცა მათი სიხარული ნაადრევი გამოდგა. დერბენდის შემდეგ, სანამ შუა აზიაში არ ჩავედით, ის სუპიც სანატრელი გაგვიხდა. ალაგ-ალაგ, სადგურებზე, გამხმარ ჭვავის პურს გვიყრიდნენ ვაგონებში. სადგურებზე წყლის აღებას თუ ვერ ვასწრებდით, წყურვილს თოვლით ვიკლავდით. ჭურჭელშიც თოვლს ვიყრიდით. მატარებელი ნელა მიიწევდა წინ. სად მივყავდით, ცხადია, არავინ გვეუბნებოდა. ერთ-ერთ ასაქცევთან ბადრაგმა ვაგონის მგზავრები გააფრთხილა, — მატარებელი ვოლგაზე ძალიან გრძელ ხიდს გადაივლის და თავი არავინ გადმოყოს, ხიდის გასწვრივ მაღალი ძაბვის სადენები გადისო. ამ შეტყობინების შემდეგ თვითმკვლელი თუ გაბედავდა გარეთ გახედვას, თვითმკვლელებს კი ჩვენ შორის ვერ იპოვიდი. მატარებელი დაიძრა და მალე ვიგრძენით, რომ ხიდზე გადავდიოდით. ხიდის გავლას მართლა დიდხანს მოვუნდით. როცა მატარებლის ბორბლების ხმაზე მივხვდით, რომ უკვე მიწაზე გადავედით, გარეთ გავიხედეთ, იმის გაგებას ვცდილობდით, თუ სად ვიმყოფებოდით. იმ მხარეში ძალზე დიდი თოვლი იდო, გზის პირას ნამქერთა მთები იდგა. როცა მატარებელი გაჩერდა და კარი გაიღო, ვაგონებიდან გადმოსული ადამიანები პირდაპირ ნამქერში ეფლობოდნენ. მიყრუებული, უკაცრიელი ადგილი იყო. თოვლს არავინ არ ხვეტდა და ვინც პირველები გადავიდნენ, პატარა ბილიკებიც მათ გაკვალეს თითქმის შიშველი ფეხებით, რადგან თხელლანჩიანი ფეხსაცმელები ეცვათ. ვაგონებში ფეხდასველებულ-დამზრალი ბრუნდებოდნენ. მაშინ ბევრი ადამიანი გაცივდა. როცა მატარებელი დაიძრა და ყველა ხვრელიდან სუსხმა დაქროლა, ხალხს თოვლით დასველებული ხელ-ფეხი მოეყინა. შევაგროვეთ ვისაც ზედმეტი რამ გვქონდა და სარკმლებისა და ღრიჭოების დაგმანვა ვცადეთ. არაფერი გამოვიდა. მატარებელი სიცივისა და ყინვის მხარეში, ურალისკენ მიემართებოდა. ჭურჭელში წყალი გაიყინა, თანაც სიცივეში წყლის დალევის სურვილიც ნაკლებად გვქონდა,

ბავშვებს თუ დავალევინებდით ხოლმე. წყლის გაყინვა პირველად ჩემმა სამი წლის დამ შეამჩნია. ჩვეულებისამებრ, ჩაიდნის ყელიდან წყლის დალევა სცადა, მაგრამ ატირდა. მამამ ჩაიდანში ჩაიხედა და ნახა, რომ წყალი ყინულად ქცეულიყო. ბავშვის გულისათვის რას არ გააკეთებ: თამბაქოს შესახვევი ქაღალდები ამოიღო ჯიბიდან და დაწვა, გაალღო ჩაიდნის ყელში ჩარჩენილი ყინული. ამის შემდეგ წყლის ჭურჭელს ვფუთავდით, რომ არ გაყინულიყო.

ხიდის გავლის შემდეგ, დასახლებული ადგილები აღარ შეგვხვედრია. როგორც წესი, გზის გასწვრივ, თვალსაწიერზე, პატარა დასახლებაც არსად მოჩანდა; მხოლოდ ხანდახან, გადასასვლელებზე, პატარა ჯიხურები თუ შემოგვხვდებოდა და ალმიანი მეისრე. ერთხელ, ერთ-ერთ ასეთ ჯიხურს რომ მივუახლოვდით, ერთმა ქალმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ხელებს იქნევდა და რაღაცას უყვიროდა ჩავლილ მატარებელს. როცა ჩვენ მივუახლოვდით, მისმა ჩაცმულობამ მიგვახვედრა, რომ ისიც ერთ-ერთი „ჩვენიანი" იყო. ხავერდის კაბა ეცვა. ქობა და სამკერდე ჩვენებურად ჰქონდა ამოქარგული, თავზეც „ჩვენი თავსაბური" მოეხვია. დავინტერესდით, ვინ იყო და რას გვეძახდა. როცა ჩვენი ვაგონი გაუპირისპირდა, გავიგონეთ: „ვინა ხართ, რომელი სოფლიდან, სად მიდიხართ? მე ადიგენიდან ვარ, სოფელ წრედან, ყურშუდ-აღას რძალი ვარ, ჩიჩეკი". ამას ეს ქალი ყოველი ვაგონის ჩავლისას ყვიროდა. გვთხოვდა: თქვენ შორის ჩემს თანასოფლელს თუ ნახავთ, ჩემიანებს შეატყობინოს, რომ აქ მნახეთო. დიდხანს მოსდევდა ვაგონებს, ხმამაღლა გვემუდარებოდა, რომ ბორბლების ხმაურში ხმა მოეწვდინა.

ჩვენს გასახლებამდე ერთი წლით ადრე დეზერტირებისა და ფაშისტების ტყვეობაში ჩავარდნილი მეომრების ოჯახები გადაასახლეს. მისი ქმარი ტყვედ ჩავარდნილიყო. მის მშობლებს ეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყოლიათ. ომამდე ცოტა ხნით ადრე გათხოვილა თანასოფლელზე და ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. შვილი ჰყავდა, რომელსაც ის-ის იყო ფეხი აედგა. ვაგონის მგზავრები იხსენებდნენ, მწუხარებით შეშლილი დედამისი ლამის იმ სატვირთო მანქანას შეუვარდა ბორბლებში, რომელ-

შიც მისი ქალიშვილი და შვილიშვილი მოათავსესო. თავში ხელებს ირტყამდა და ითხოვდა, მათთან ერთად წამიყვანეთ, ანდა მანქანას შევუვარდები, სიკვდილი მაცალეთო. არც მისმა ცრემლებმა გაჭრა და არც ხვეწნა-მუდარამ. ბავშვიანი ქალიშვილიც აქეთ-იქით აწყდებოდა, მოთქვამდა და ყვიროდა ადგილიდან დაძრული მანქანის ძარაზე; დედა, რაკიღა თვითმკვლელობის ცდა წარუმატებლად დამთავრდა, მიწაზე ხოხავდა და გოდებდა. მაშინ არავისთვის უთქვამთ, თუ სად მიჰყავდათ ეს ოჯახები. ეს არც გადასახლებულებმა იცოდნენ და არც ადგილზე დარჩენილებმა. ეტყობა, ამ ყმაწვილმა ქალმა როგორღაც შეიტყო ან მიხვდა, რომ მატარებლებით მესხები გადაჰყავდათ და შეეცადა თავისი ნათესავებისა და ახლობლებისთვის ასე ეცნობებინა თავისი ადგილ-სამყოფელი.

მატარებელი, რაც უფრო შორს მივდიოდით, სვლას მით უფრო ანელებდა, ანდა შეიძლება, მგზავრობით დაღლილებს ასე გვეჩვენებოდა. ერთ ადგილას, მატარებლის შემადგენლობები ერთმანეთის უკან კი არ გაჩერდნენ, არამედ გვერდი-გვერდ. ეს, ეტყობა, საკვანძო სადგური იყო. ჩვეულებრივ, ვაგონის ორივე მხარეს უკაცრიელ ადგილებს ვხედავდით ხოლმე. ახლა კი ორივე მხარეს სახეები მოჩანდა, მოპირდაპირე ვაგონების სარკმლებიდან და ღრიჭოებიდან რომ შემოგვცქეროდნენ. ხალხი ერთმანეთს სცნობდა და ეხმიანებოდა. ყველა თავისიანს ეძებდა და ერთმანეთს ეკითხებოდა, თქვენს ვაგონებში ხომ არ არიანო; ვინც ახლობელს პოულობდა, მასთან გადალაპარაკებას ახერხებდა. წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. ყველა ერთი-მეორეზე ხმამაღლა ყვიროდა, რომ სხვისი ხმა გადაეფარა და ახლობლებისთვის ხმა მიეწვდინა. კარები, ცხადია, არავის გაუღია. ჩვენი ვაგონიდან ასეთი სანახაობის მოწმე გავხდით: 17-18 წლის ყმაწვილი თავისი ვაგონიდან ვიღაცას გასძახოდა: „ბაბა, ბაბა!“ ჩვენს უკან ვაგონში თურმე მამა დაუნახავს, რომელიც სარკმლიდან იყურებოდა და, თავის მხრივ, სხვა ვაგონებში ახლობელს ეძებდა. მამა მოიერიშე ბატალიონის მებრძოლი ყოფილა, 14 ნოემბერს მამაჩემივით სხდომაზე დაუბარებიათ. სახლში დაბრუნებაც ვერ მოუსწრია, ისე გამოამგზავრეს და მამა-შვილს ერთმანეთი დაუკარგავს. შვილის მახვილმა თვალმა მამა იცნო და ახლა ემუდარებოდა,

ჩვენ ვაგონში გადმოდიო. ამის უფლებას გვაძლევდნენ. ბადრაგთან სიაში შესწორებას შევიტანდით, რომ ამა და ამ ვაგონიდან სხვა ვაგონში გადავდიოდით და ნებას გვრთავდნენ. მამამ კი უპასუხა: — არ შემიძლია, ამ ვაგონის მამასახლისი მე ვარო! შვილი ეჩიჩინებოდა, სთხოვდა, — დედა და ბავშვებიც აქ არიან, ჩვენთან გადმოდიო! მამა კი ერთი და იმავეს იმეორებდა, — პოსტს ვერ დავტოვებ, მამასახლისი ვარო. ეს მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე მატარებლები გვერდი-გვერდ იდგნენ. ამ კაცს ჩეჩლალი აბდულ-თაი ერქვა. მერე, უზბეკეთში, ნახევარი წლის განმავლობაში ყიშლაღიდან ყიშლაღში დაეხეტებოდა, მთელი რაიონი ფეხით შემოიარა და თავის ოჯახს ტაშკენტის რაიონში, ფსკენტში მიაგნო.

როცა ოჯახის საძებნელად ჩვენს კოლმეურნეობაში მოვიდა, ჩვენთან, სახლში მოიყვანეს. მამაჩემმა, რომელმაც მაშინ ყური მოჰკრა, როგორ ეძახდა მას შვილი, უსაყვედურა: — რატომ მათთან არ გადახვედიო. ის კი მაშინდელივით ახლაც იმავეს იმეორებდა: ვაგონის მიტოვების უფლება არ მქონდა, მე ხომ მამასახლისად დამნიშნესო. იმ საღამოს მოგვიყვა, თუ სად, როდის და ვინ შემოხვდა ოჯახის ძებნაში და მერე ფსკენტში წავიდა. ფსკენტი ჩვენს კოლმეურნეობასთან ახლოს მდებარეობდა. იმავე ღამეს ძლიერი მიწისძვრა მოხდა და თვითმხილველები ყვებოდნენ, — მთელი ოჯახი, ამდენი ხნის განშორების შემდეგ ისევ ერთად რომ შეიყარა, სახლის ნანგრევებქვეშ დაიღუპაო.

ნახევარი თვეა, რაც გზაში ვართ. არც დაბანის, არც დასუფთავების საშუალება არ გაგვაჩნია. თავიდან ვაგონში ტუალეტიც კი არ იყო. წყალთან დაკავშირებული საგანგებო შემთხვევის შემდეგ, დღე-ნახევარი, ორი დღე-ღამე ისე ვიარეთ, არსად გავჩერებულვართ. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, მაგრამ ჩვენივე ძალებით და სახელდახელო საშუალებებით ეს პრობლემა მოვაგვარეთ. ერთ-ერთ გაჩერებაზე მამამ ძალაყინის მსგავსი რკინა იპოვა, ქვაც გამოაყოლა და ვაგონის იატაკში ხვრელი გაჭრა; პირსა და ტანს კი ვერ დავიბანდით, რადგან საკმარის წყალსაც კი ვერ მოვიმარაგებდით. და აი ასე, დაუბანელ-დაუვარცხნელი, გაუპარსავები, ჭუჭყიან აქოთებულ ვაგონში, გათეილ თივაზე მიყრილები ვმგზავრობდით.

როცა ჩემმა უმცროსმა დამ თავის ფხანა დაიწყო, აზრადაც არ მოგვსვლია, რომ შეიძლება ტილები ჰყოლოდა. დედამ იფიქრა, განაკაწრს იფხანსო და ტანი დაუთვალიერა, რომ ნაკაწრი ეპოვნა. რომ იცოდეთ, რა დაემართათ დედას და მამას, როცა ჟილეტის შიგნით ტილები დაინახეს, ჟილეტის სარჩულს ცოცხლად მცოცავი სარტყელივით რომ მოსდებოდნენ. მამაჩემი აზიზი კაცი გახლდათ, მან ფრთხილად გახადა ჩემს დას ჟილეტი, თითის წვერებით დაიჭირა და პატარა სარკმელში გაკიდა. ქარმა ჟილეტი ხელიდან გამოგლიჯა და ტილებთან ერთად გააფრიალა. ამის მერე, ამ მეთოდით ტილების მოშორება აღარავის უცდია, ტანსაცმელი ისედაც არ გვყოფნიდა. ვაგონის იატაკზე ვსხდებოდით და ერთი-მეორეს თავს ვუხილავდით გალიაში დამწყვდეული მაიმუნებივით.

ყინვების დადგომისთანავე დაავადებებმაც იმძლავრა. ტილებმა კი ეს დაავადებები მთელ მატარებელს მოსდეს. ყინვა მათ გამრავლებას ხელს ვერ უშლიდა. ავადმყოფობას პირველად ბავშვები და მოხუცები ემსხვერპლნენ. მრავალი ავადმყოფი, გაუნძრევლად წოლის გამო, გაიყინა. აი მაშინ იჩინა თავი ყველაზე შემზარავმა განსაცდელმა, რომელმაც მოთმინებითა და გამძლეობით გამორჩეული ადამიანებიც კი გატეხა. თვითონ ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ გამოჰქონდათ ცხედრები ვაგონებიდან ახლობლების წივილ-კივილში და გზის პირას თოვლში ისროდნენ. ამას უკაცურ ადგილებში აკეთებდნენ. გულში ლახვარგაყრილნი შევცქეროდით აკივლებულ დედებს, რომელთაც ხელიდან გლეჯდნენ ბავშვებს და ნამქერში ყრიდნენ. ჩვენი შემადგენლობის გასწვრივ, 90 ვაგონის გაყოლებაზე, ველური ძაღლების, მგლებისა და ყორნების საჯიჯგნად ეყარა ჩვენი მკვდრების სხეულები. ვინ მოთვლის, რამდენი მესხის ცხედარი დავტოვეთ გზაში... მადლობა ღმერთს, ჩვენს ოჯახს ასცდა ეს უბედურება, მაგრამ მეზობელი ვაგონის მგზავრებს — არა. დაჭრილ ჯარისკაცს მამა მოუკვდა. რამდენადაც შეეძლო, მალავდა ცხედარს, რათა ჩასვლისას მიწისთვის მიებარებინა, მაგრამ გამყოლების მახვილ თვალს არაფერი გამოჰპარვია. თივის ქვეშ, კუთხეში დამალულ გვამს მიაგნეს და გადმოთრევა სცადეს. ჯარისკაცი წინ გადაეღობა, ეხვეწებოდა: — თოვლში არ გადააგდოთ, პატარა

ორმოს მე თვითონ გავთხრი, რომ მიწამ ოდნავ მაინც დაფაროსო. ხელი ჰკრეს და მამის ცხედარი გადაათრიეს. მამაკაცი, რაკიღა იმედი გადაეწურა და მიხვდა, რომ მამის ცხედარს ვერ დაიბრუნებდა, აზლუქუნდა და მოტირალი ქალივით მოთქვამდა: სამშობლოსთვის ვიბრძოდი, მამულისთვის. სამშობლო წამართვით და მამის დასაფლავების უფლებასაც არ მაძლევთ, რა ვქნა, რა გზას დავადგეო. რა უნდა ექნა, ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. არ ვიცი, ისეთი რა შევცოდეთ, რომ თურმე ამდენი უბედურება უნდა გადაგვეტანა. ადამიანი ისეა მოწყობილი, კარგსაც მალე ეჩვევა და ცუდსაც. ჩვენც ეს დაგვემართა, შევეგუეთ ჩვენს მდგომარეობას და მიუხედავად იმისა, რომ გული გვეფლითებოდა იმათი ცოდვით, ვისაც ახლობელი უკვდებოდა, ბედს დამორჩილებულნი მივემგზავრებოდით და ღმერთს შევთხოვდით ამ დაუსრულებელი მოგზაურობის დამთავრებას. როგორც ჩანს, ღმერთმა შეისმინა ჩვენი ლოცვა-ვედრება, სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ის, რაც მოხდა. ეს მერე, მოგვიანებით შევიტყვეთ, რატომ დაგვტოვეს უზბეკეთში და იქ, სადაც მივყავდით, — ყაზახეთის ჩრდილოეთში — აღარ გვიკრეს თავი.

უზბეკეთის რესპუბლიკის იმჟამინდელ პირველ მდივანს, რაშიდოვს, სტალინისთვის უთხოვია, — რამდენიმე ეშელონი ჩემთან დატოვეთო. მიზეზი დამაჯერებლად ჟღერდა — მუშახელის ნაკლებობის გამო ბამბის კულტურის მოყვანა და მოსავლის აღება ფერხდება და გეგმაც ვერ სრულდებაო. სტალინიც დათანხმდა. მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, იქ ჩასულებს რაიმე რომ არ ეღონათ და ადგილობრივი მოსახლეობაც არ აეყოლიებინათ, ადგილობრივები გააფრთხილეს, — კავკასიიდან კაციჭამიები ჩამოასახლესო. ჩვენც იგივე გვითხრეს, — თავი შორს დაიჭირეთ აქაური მაცხოვრებლებისგან, კაციჭამიები არიანო. მესხების რამდენიმე ეშელონი, თითო ეშელონი 80-90 ვაგონისგან შედგებოდა, უზბეკეთში დატოვეს, დანარჩენები კი — თურქმენეთის გარდა — შუა აზიის დანარჩენ რესპუბლიკებში გაამგზავრეს.

მოგვიანებით, როცა ფეხი მოვიკიდეთ და ადგილობრივებს დავუახლოვდით, შევიტყვეთ, რომ თებერვალში უზბეკეთზე ჩეჩ-

ნებითა და ინგუშებით სავსე ეშელონებს გაევლოთ, მაისში კი — ყირიმელი თათრები გადაუტარებიათ. ყველანი ყაზახეთში გადაუყვანიათ და ამით შეუვსიათ ომის დროს შეთხელებული მუშახელი. უზბეკეთმაც დაკარგა ომში თავისი ბიჭები და ხელმძღვანელობა ბამბის მომყვანი მუშახელის შევსებას მესხების ხარჯზე ცდილობდა. მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდით.

დეკემბრის დამდეგს ჩვენი მატარებელი ტაშკენტთან მდებარე სატვირთო სადგურში გაჩერდა. საერთოდ ჯგუფ-ჯგუფად გვიშვებდნენ გარეთ, ამჯერად კი ყველა ერთბაშად ჩამოგვსხეს. ქალები და მამაკაცები გააცალკევეს. გაირკვა, რომ აბანოში მივყავდით. ეს ბანაობა დიდხანს გვემახსოვრება. უფლება მოგვცეს ცხელი შხაპი მიგველო, მერე რაღაც სითხე მოგვასხურეს, როგორც განგვიმარტეს, სადეზინფექციო ხსნარი იყო. ამ ხსნარმა კანი აგვიწვა, სამაგიეროდ, ტილებისგან გვიხსნა. იქვე ახლოს, ფარდულში, საჭმელს ამზადებდნენ. თურმე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, რომლებსაც თავ-თავის სოფლებში უნდა გავენაწილებინეთ, პროდუქტები ჩამოეტანათ და ყველა ახალჩამოსულისთვის ცხენის ხორცის კერძი — „ლაგმანი“ მოემზადებინათ. პირველად და უკანასკნელად იქ გავუსინჯე გემო ცხენის ხორცს. ისეთი დამშეულები და დაღლილები ვიყავით, რომ ჭამისას ხორცის მოტკბო გემოსთვის ყურადღება არც მიგვიქცევია. გვქონდა კი არჩევანი? მერელა გავიგეთ, რომ ცხენის ხორცის ლაგმანს ყველაზე საპატივსაცემო სტუმრებისთვის ამზადებენ. ჩვენ ამ სიტყვებით მოგვმართავდნენ — „იენგი-მეჰმან“ — ახალო სტუმრებო. დაგვაპურეს და ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, შეძლებისდაგვარად რამდენიმე ოჯახი წაიყვანა თან; ზოგი „ბრიჩკით“ წაიყვანეს, ზოგიც — აქლემებით.

ჩვენ ტაშკენტის ოლქში მოვხვდით, ბუკის რაიონში, რაიონულ ცენტრში, ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც ტაშკენტიდან 90 კილომეტრით იყო დაშორებული. როცა ბუკას მივადექით, ოჯახებად გაგვანაწილეს. პირველ რიგში ისინი დააბინავეს, ვისაც ავადმყოფები და ბავშვები ჰყავდა. მოხდა ისე, რომ აბანოში შემთხვევით შევხვდით რამდენიმე ქალს, რომლებიც ადიგენში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. ამ შეხვედრის

შემდეგ, ერთმანეთს აღარ ვშორდებოდით, რათა ახალ ადგილზეც ერთმანეთის მეზობლად მოვხვედრილიყავით. მთელი რაიონი მოვიარეთ და ექვსი ოჯახი კიდევ დასაბინავებელი იყო. ხუთი ოჯახისთვის სახლები მოიძებნა; მეექვსე, ჩვენი ოჯახის, დაბინავება კი ვერ მოახერხეს. შემოგვთავაზეს მეჩეთში, მედრესეს ეზოში დასახლება, იმ შენობაში, სადაც მოლები ცხოვრობდნენ. ეს იყო ორი ერთმანეთის პირდაპირ მდებარე ოთახი საერთო დერეფნით, სადაც კარები — ანუ საკარებე ღიობები გამოდიოდა, რადგან კარი, როგორც ასეთი, ამ საკარებეებზე საერთოდ არ არსებობდა. ერთ ოთახში მოლები ცხოვრობდნენ, მეორე ჩვენ მოგვცეს. ოთახს მიწის იატაკი ჰქონდა, რომელზეც თივა ეყარა, კედელში გაჭრილი პატარა ხვრელი კი სარკმლის მაგივრობას სწევდა. დედამ ეს ხვრელი ტანსათბურით ამოქოლა, საკარეზე ხალიჩა ჩამოკიდა, რომ ოთახში სითბო დატრიალებულიყო. თივაზე ფარდაგი დააგო. მერე მეჩეთში მოლას გრძელი მაღალი ტახტი სთხოვა, ჩვენს მაგიდას რომ ჰგავდა, მასზეც ხალიჩა დააფინა, მამას და ჩემს დას იმ ტახტზე ეძინათ, მე და დედას კი იატაკზე დაფენილ ფარდაგზე. დეზინფექციის შემდეგ კანი ძალიან გვეწვოდა და დედას ჩვენი დაბანის სურვილი არ ასვენებდა. რამდენიმე დღის განმავლობაში იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა და დარწმუნდა, რომ ვერ გვაბანავებდა. ოდესღაც ამ მეჩეთის ეზოში თიხის აგურებს ამზადებდნენ, იმ დროიდან შემორჩენილიყო ღრმა ორმო, საიდანაც აყალოს იღებდნენ, ერთი ტაშტი და ორი ვედრო. მეჩეთთან ახლოს აბრეშუმის ჭიის საკვები თუთის ხის პლანტაცია გაეშენებინათ. მამამ მოლას წალდი სთხოვა, თუთის ხის კორძები და ქერელი ამოძირკვა და დაჩეხა. დედამ ტაშტი და ვედროები გარეცხა. სამოვარი პირდაპირ ოთახში დადგა და შეუკეთა, რომ ოთახი გაეთბო და დაგვბანა. თვითონ სულ ბოლოს დაიბანა და ამიტომ დერეფნის კარები გადაკეტა. დაბანის შემდეგ თავი ცუდად იგრძნო, წყლის გადაღვრა და კარის გაღება ვეღარ შეძლო. მამამ თქვა, თითქოს ბურანში ვარ და ადგომა არ შეძიძლიაო. გადავწყვიტეთ დაგვეძინა და ოთახი დილით დაგველაგებინა. ეტყობა, სამოვრის მხუთრით მოვიწამლეთ. თუთის ხე, წვისას, თურმე ისეთ გაზს გამოყოფს, როგორსაც ქვანახშირი. ჩვენდა საბედნიეროდ, მეზობელი ქალი მოვიდა ავად-

მყოფისთვის ერთი კოვზი ჭანჭურის ხილფაფის სათხოვნელად. უკვე გონებას ვკარგავდით, დედა უცებ გამოერკვა და გასძახა, მკვდრებივით ვყრივართ, თუ შეგიძლია კარი შემოტეხეო. რამდენიმე მეზობელმა საკეტის გაღება შეძლო და ყველანი, ახალდაბანილები, მეჩეთის ეზოში, შუა დეკემბერში, ფიცრის საწოლებზე დაგვაწვინეს. ყველა უზბეკს ეზოში ასეთი საწოლი უდგას — ეს მათი სტუმრის მისაღებია ადგილია, მასზე ბამბის საბნებს აგებენ, ბალიშებს დებენ და სტუმრებთან ერთად სხდებიან, საუბრობენ, მიირთმევენ, ჩაის სვამენ. ცოცხლებმა ძლივს ჩავაღწიეთ იქ და კინაღამ დედაბუდიანად არ ამოვწყდით. დედაჩემის მიერ დამზადებული, წყალში გაზავებული ხილფაფის წვენით მოგვასულიერეს.

განსახლებისთანავე აღრიცხვაზე აგვიყვანეს კომენდატურაში. გაგვაფრთხილეს, რომ კომენდანტის ნებართვის გარეშე ბუკადან სამი კილომეტრის იქით არ უნდა წავსულიყავით, ხოლო ყოველი თვის 15 და 30 რიცხვში კომენდატურაში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაგვევლო. ამ წესების დარღვევისათვის ციმბირში 25-წლიანი კატორღა გველოდა. გუშინდელ დღესავით გვახსოვდა გამოვლილი გზა და მწარე გამოცდილებით ვიცოდით, რომ ამ მუქარას იოლად შეგვისრულებდნენ. ამიტომ დადგენილ კანონებს არავინ არღვევდა. ყოველი ოჯახი შეძლებისდაგვარად ცდილობდა შეგუებოდა ახალ გარემოს, რათა თავი გადაერჩინა, თუმცა ამას ცოტანი ახერხებდნენ. ისინი, ვინც გზაში დაავადდა, აქ იხოცებოდნენ. ექიმს სახლში ვერ მოიყვანდი, წამლები თითქმის არ იშოვებოდა, ფული არ გვქონდა, სიჩქარეში მოხელთებული საკვები პროდუქტების მარაგი გზაშივე გამოგველია. უზბეკებს დიდხანს თავი შორს ეჭირათ ჩვენგან. მათი ენა არ გვესმოდა, მათ კი — ჩვენი. დღე არ გავიდოდა, ამა თუ იმ ოჯახში ვინმე არ მომკვდარიყო. უზბეკებმა ჟესტებით გაგვაგებინეს, სად დაგვემარხა მიცვალებულები.

ჩვენ სიახლოვეს ერთი ბავშვებიანი ქალი ცხოვრობდა. გზაში დაავადდა, განსახლების მერე სულ ურო ცუდად გრძნობდა თავს. სნეულებამ ბოლოს საერთოდ მოცელა. ჩემი ტოლი ქალიშვილი ჰყავდა და ის უვლიდა. ის ხშირად სთხოვდა დედას საჭმელს ავადმყოფი დედისა და ბავშვებისათვის. დედა, როგორც

შეეძლო, ეხმარებოდა, რადგან საკვები არც ჩვენ აგვდიოდა თავს.

ერთ უზბეკ მეზობელ ქალს, თურსუნოი-აფას, ჩემი პატარა დაიკო ებრალებოდა და ხანდახან ცოტა ხაჭო, ლავაში და ყველი მოჰქონდა ჩვენთან, ალბათ, ქალიშვილმა იცოდა ეს, ან დაინახა როგორ მოჰქონდა უზბეკ ქალს პროდუქტები და ყველის ნაჭერი გვთხოვა ავადმყოფი დედისთვის: — რამდენიმე დღეა, არაფერი უჭამია და იქნებ მადა გაეხსნასო. დედამ ყველი უწილადა, თუმცა ჩვენ თვითონ ჯერ პირიც არ დაგვეკარებინა მისთვის, ჩემი დაიკოსთვის ვინახავდით. იმ უბედურ ქალს ვერაფერმა უშველა. დილით გარდაიცვალა, იმავე საღამოს კი ერთ-ერთი შვილიც დაეღუპა. მისი ქალიშვილი საცოდავი სანახავი გახლდათ. დედა და ძმა დაასაფლავა, ხოლო ბავშვები ბავშვთა სახლში ჩააბარა. ქალის სიკვდილი ნებისმიერი ოჯახისთვის დიდ უბედურებას ნიშნავდა, ქალის სახით ოჯახი დედაბოძს კარგავდა, ოჯახი ირღვეოდა და პირდაპირი მნიშვნელობით მიწის პირისაგან აღიგვებოდა.

ჩემი ჭკვიანი და შრომისმოყვარე დედა, ყმაწვილქალობის მიუხედავად, ძალიან აზრიანი და პრაქტიკული ადამიანი გახლდათ. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ვერ გადავრჩებოდით და იმ უბედური ადამიანების ბედი გვეწეოდა, რომლებიც სამუდამოდ მიიბარა უცხოეთის მიწამ და რომელთა საფლავებს წარწერაც კი არ ღირსებია. ვინ მოთვლის, რამდენი უსახელო საფლავი დავტოვეთ ბუკაში!

ჩამოსულებს კოლმეურნეობამ პირველივე დღებში ერთ სულზე თითო ლიტრი ბამბის ზეთი და თითო კილო მარცვლეული დაგვირიგა. ვინაიდან ოთხნი ვიყავით, შესაბამისად, 4 ლიტრი ბამბის ზეთი გვერგო. ზეთი შინ მივიტანე. ყავისფერი ბლანტი სითხე სიროფს მოგაგონებდა. თავი ვერ შევიკავეთ და გავსინჯეთ, თითო ნაჭერი პური ჩავაწეთ ზეთში და დავიგემოვნეთ. ჯობდა ეს არ გვექნა. პირი ისე დაგვეწვა, სასწრაფოდ წყალი გამოვივლეთ. მე მეგონა, რომ შეცდომით ტექნიკური, სამანქანო ზეთი მომცეს, ამიტომ ზეთიან ჭურჭელს ხელი დავავლე და სასწრაფოდ, სანამ განაწილება დამთავრდებოდა, კოლმეურნეობაში გავიქეცი, რომ საჭმელ ზეთში გადამეცვალა. მივირბინე და

ვუთხარი: — თქვენ გამო კინაღამ არ მოვიწამლეთ. შეცდომით ტექნიკური ზეთი მოგიციათ-მეთქი, — ზეთიანი ჭურჭელი წინ დავუდგი და ველოდები როდის გამომიცვლიან.

როგორც გამოირკვა, ისინი კი არა, ჩვენ ვცდებოდით, რადგან არ ვიცოდით, რომ გამოყენებამდე ეს ზეთი ხახვთან ერთად უნდა გვედუღებინა. როცა ხახვი ზეთში მოიხრაკებოდა და ზეთი ოდნავ შევარდისფრდებოდა, საჭმელად ვარგისიც მაშინ იქნებოდა. ავიღე ჩემი ზეთი და შინ დავბრუნდი. დედასთან ერთად ზეთი ისე დავამუშავეთ, როგორც გვასწავლეს და ზეთმა მართლა შეიცვალა ფერი, გემოთიც მზესუმზირის ზეთს დაემსგავსა. დროთა განმავლობაში მივეჩვიეთ ამ გემოს. სახელგანთქმული უზბეკური ფლავი და სამსა ამ ზეთზე მზადდება.

ამის მერე ჩვენ თვითონ ჩვენი შრომით უნდა მოგვეპოვებინა სარჩო. იანვრის დამდეგს მამა ავად გახდა. დედა პატარა ბავშვს ავადმყოფი მამის ანაბარა ვერ ტოვებდა, ამის გამო სამუშაოზე გასვლასაც ვერ ახერხებდა, არადა არსებობა ხომ გვინდოდა.

ერთხელ, ბაზარში ერთი რუსი ქალი შემოგვხვდა, რომელსაც ხელში ნაქსოვი ნასვრეტებიანი თავშალი ეჭირა. დედამ მაშინვე გაიაზრა, თუ რით შეიძლებოდა საოჯახო ბიუჯეტის შევსება და როცა შინ დავბრუნდით, მეზობელ ქალს, თურსუნოიაფას ბამბის საბანი სთხოვა. რადგან ჩვენი მატყლის საბნის დარღვევა გადაწყვიტა, რათა მატყლისგან ძაფი დაერთო და ნაყშიანი თავსაფრები მოექსოვა. ამ საბანმა ისეთი სიურპრიზი მოგვიმზადა, რაზეც ვერც კი ვიოცნებებდით...

როცა დედამ დარღვეული საბნიდან მატყლი გადმოყარა, მატყლს საბნიდან პატარა, უფორმო, კაკლის ხელა კენჭიც გადმოჰყვა. ჯერ გაგვიკვირდა, — როცა ვკერავდით, მაშინ რატომ ვერ შევამჩნიეთო, მერე კი სიხარული დაგვეუფლა — კარგია, რომ ვერ შევნიშნეთო!!

მამამ ქვა აიღო და დიდხანს ჩუმად ათვალიერებდა მას. მივხვდით, ჩუმად რაზე ფიქრობდა, რადგან ჩვენი ფიქრებიც იქაურობას დასტრიალებდა, სადაც ჩვენი სახლი იდგა. სახლი, სადაც ამ მატყლს ვამზადებდით. ვერანაირი სიტყვებით ვერ გადმოსცემ ამ განწყობას. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც სახლიდან შორს იმყოფება, ენატრება ვინმე და უცებ რაიმე ნივთს იპოვის, მას

ანდა ვინმე მონატრებულ არსებას რომ ეკუთვნოდა. უნებურად გული გეკუმშება და ამ ადამიანისადმი მთელი შენი სიყვარული, მთელი მონატრება ამ ნივთზე გადაგაქვს. აი, ამ კენჭმაც ასე გაგვახსენა ყველას დაკარგული სამშობლო. თვალში ცრემლი მოგვერია. მამამ ცრემლიან თვალებთან ახლოს მიიტანა კენჭი და დახუჭულ ქუთუთოებზე გადაისვა. ყველა მოთმინებით ელოდა თავის რიგს. ხმა ელვის სისწრაფით გავარდა მეზობლებში, თანამემამულეებში,რომ „ერთი კენჭი სამშობლო" ვიპოვეთ. პირველად ბიძია იბრაჰიმ ნანიაშვილი გვესტუმრა. ეს მოხუცი კაცი თვალცრემლიანი მისჩერებოდა ამ სანუკვარ კენჭს, მერე მორიდებულად გვთხოვა, — ერთი დღით მათხოვეთ, რომ მთელი ოჯახი შეეხოსო. მეორე დღეს კენჭი დაგვიბრუნა, თუმცა მაშინვე მეორე თანამემამულე, ბასმი მურადოვი გვეწვია და თვალიერებით გული რომ იჯერა, კენჭი ერთი დღით წაიღო.

ნაპოვნი კენჭი შინ დაბრუნებას ვერ ასწრებდა, ისე გადადიოდა ერთი თანამემამულის ხელიდან მეორის ხელში. ყოველ მათგანს მოწიწებით მიჰქონდა კენჭი და მადლიერებით მოჰქონდა უკან. ასე მგონია, კეთილი შურით შურდათ ჩვენი. ადგილობრივი მაცხოვრებლები, ჩვენს გარშემო რომ სახლობდნენ, გაოცებულები იყვნენ მშობლიური მხარისადმი ასეთი სიყვარულისა და მიჯაჭვულობის გამოვლინებით.

ღამღამობით, სამუშაოდან დაბრუნებული, დედასთან ერთად ვართავდი მატყლს და ძაფს ვახვევდი; დღისით, როცა მე ვმუშაობდი, დედა თავშლებს ქსოვდა. კვირაობით ბაზარში დავდიოდით, თავშლებს ვყიდდით ან სურსათში ვცვლიდით.

ავადმყოფი მამის მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა. პარტიის რაიკომს მივაკითხე. მოვუყევი: — კომუნისტის შვილი ვარ, თვითონაც კომკავშირის წევრი, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, გთხოვთ სამსახურის შოვნაში დამეხმაროთ-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ პედტექნიკუმი დავამთავრე, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ანუ ატესტატი, ადიგენში დამრჩა. მომისმინეს და ბავშვთა სახლში აღმზრდელის ადგილი შემომთავაზეს. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან არჩევანი არ მქონდა, კოლმეურნეობა ჯერ არ მუშაობდა. ბავშვთა სახლი

ბუკადან შვიდ კილომეტრზე, ყარამოილიში მდებარეობდა. ადრე, ჩვენს ჩამოსვლამდე, იქ ინტერნატი ყოფილა. გზაში, სანამ ჩამოგვიყვანდნენ, ბევრი ბავშვი დაობლდა, ბევრმა დაკარგა დედა, ბებია თუ ბაბუა. ადგილზეც ბევრი ობოლი შეემატა. მაშინ გადაწყვიტეს ინტერნატი ბავშვთა სახლად გადაეკეთებინათ. სამსახურამდე შვიდი კილომეტრი ფეხით უნდა გამევლო, გზა ლელიანზე გადიოდა. გზის ეს მონაკვეთი ყველაზე მეტად მაშინებდა, რადგან იქ ტურები ბუდობდნენ, ადამიანებს ხშირად თავს ესხმოდნენ და ფლეთდნენ. დედამ ეს იცოდა: ყოველ საღამოს გზაზე იდგა და შიშით ელოდა ჩემს დაბრუნებას. ბუნებით მშიშარა ვარ, ამიტომ ამ გზას სირბილით კი არა, ფრენა-ფრენით გავდიოდი. ბავშვთა სახლში სამი თვე ვიმუშავე, თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ დღეში სამჯერ ბავშვებთან ერთად ესადილათ. ეს ჩვენთვის ძალზე ხელსაყრელი იყო. ჩემი ულუფა საუზმე და ვახშამი შინ მიმქონდა, „შურბას“ (სუპი) კი სადილზე თვითონ გეახლებოდით. როგორც ყველგან, ომის დროს პური ნორმირებულად იყიდებოდა, ანუ ერთ სულზე — ამდენი და ამდენი გრამი. ერთი უზბეკი გოგონა გავიცანი, რომელიც საცხობში მუშაობდა და ყოველთვის, სამსახურის მერე, ერთ „ბუხანკა“ პურს ვიღებდი, ჩემთვის რომ ჰქონდა გადანახული. პურს თავის ფასში მაძლევდა. მათ შორისაც, როგორც ყველგან, ისეთებიც იყვნენ სხვის უბედურებაზე ხელს რომ ითბობდნენ და ისეთებიც, უანგაროდ რომ გვეხმარებოდნენ. ზოგჯერ, ჩემს მოლოდინში, დედა მეჩეთის გვერდით ერთ დიდ ლოდზე ჩამოჯდებოდა ხოლმე ჩემს დასთან ერთად. ერთხელაც, დავბრუნდი და ჩემი და მიყვება: — მეზობლის ბიჭი, ადილი (ჩვენებური იყო) მოვიდა ჩემთან, ხელში ლავაშის დიდი ნაჭერი ეჭირა, მე არ ვუყურებდი, თვითონ მომიახლოვდა და მითხრა, — აი, მე რა მაქვს, იცი რა გემრიელი პურიაო? მე ზურგი შევაქციე და ვუთხარი, — მერე რა, ჩემი და მოვა, ვეტყვი ფქვილი იყიდოს და დედაჩემი ამაზე უკეთეს პურს გამომიცხობს-მეთქი. ჩემი და პატარა კი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა, ბევრი რამ რომ გვაკლდა და ხვეწნას არასდროს არავის დაუწყებდა, ესა თუ ის მომეციო. ასე უპასუხა თურმე იმ ბიჭს და ამაყად გამოტრიალდა. ეს ამბავი მიამბო და მკითხა: — ხომ შეგიძლია ფქვილის ყიდვაო. რა თქმა უნდა-მეთქი, დავამშვიდე. კვირადღეს სამსახურიდან დავ-

ეთხოვე, 250 მანეთი — სუმი — ავიღე და ბაზარში წავედი. ამ ფულით მაშინ ერთ კილო ფქვილს იყიდდა კაცი. მთელი ბაზარი შემოვიარე და თითქოს ჩემს ჯინაზე, იმ დღეს არავინ ყიდდა ფქვილს. ფქვილის ძებნაში ერთმა ძალიან ლამაზმა ჩაის სერვიზმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რომელიც ერთ ხანდაზმულ კაცს მიწაზე გაეშალა. გამოველაპარაკე, ერთი ფინჯანი ხელში ავიღე და შევათვალიერე. ნაზი, თეთრი ფაიფურის ფინჯანი ძალიან მსუბუქი იყო. გამყიდველი თანახმა იყო ცალობით გაეყიდა. ფინჯანს და ლამბაქს ერთად 250 სუმად მაძლევდა. ფინჯნისა და ლამბაქის კიდე ოქროს ხაზით იყო მოვარაყებული, ლამბაქსაც და ფინჯანსაც ცალ მხარეზე ვარდისფერი მუხის ფოთოლი ისე ჰქონდა მიხატული, ნამდვილი გეგონებოდა. ჩემთვის ვფიქრობ, — ვიყიდო თუ არ ვიყიდო, არადა ბავშვს პური უნდოდა! თანაც მენანება ასეთ დროს ფინჯანზე ფულის დახარჯვა; ძალიან მომეწონა, მაგრამ ხელცარიელი არ მინდა დავბრუნდე. შევაჭრება ვცადე. გამყიდველი მეუბნება: — სერვიზი ძალიან ძველია, იაპონური, ნიკოლოზის დროინდელი. ყირიმიდან ჩამოვიტანე და გაჭირვება რომ არა, არაფრის დიდებით არ გავყიდდიო. მაშინ გადავწყვიტე, მეყიდა და ჩემი დისთვის მოახლოებულ დაბადების დღეზე მეჩუქებინა, აპრილი ახლოვდებოდა. გზაშივე მოვიფიქრე, რა უნდა მეთქვა და უკვე ფრთაშესხმული მივემართები სახლისკენ. საჩუქარი გავუწოდე და ვეუბნები: — ფქვილი ბევრი იყო ბაზარში, ეს ფინჯანი კი ბაბუა ნიკოლოზმა გამოგიგზავნა დაბადების დღეზე-მეთქი. ვიფიქრე, პურს შეჭამს და მორჩა, ეს ლამაზი ფინჯანი კი მთელი ცხოვრება ექნება-მეთქი! ჩემი დაც დამეთანხმა, — სწორად მოქცეულხარ, ფქვილის ნაცვლად ეს საჩუქარი რომ გიყიდიაო. მეორე დღეს კი ონავარ ადილს იგივე გაუმეორა: — ლავაში შეჭამე და ახლა აღარ გაქვს, ეს ფინჯანი კი ყოველთვის მექნებაო!

ბავშვთა სახლში მუშაობა მაშველი რგოლის მაგივრობას მიწევდა, მაგრამ მოგვიანებით აღმზრდელები იძულებული გახდნენ დღე და ღამე ემუშავათ. ხელფასიც რომ მოემატებინათ, იქ მუშაობას ვერ შევძლებდი. ისევ პარტიის რაიკომს მივაშურე, ავუხსენი, რომ მამა ძალიან ავადმყოფობდა და ვთხოვე, როგორმე სამუშაოდ

რაიონში გადავეყვანე. რაიკომის მდივანმა მიცნო და კოლეგებს მიმართა: „ეს ქალიშვილი მშობლების გადარჩენას ცდილობს, აუცილებლად ხელი უნდა შევუწყოთ. მოიფიქრეთ, რით შეგვიძლია დავეხმაროთ“. როცა შეიტყვეს, რომ ბუღალტერიის საქმეებში ვერკვეოდი და გამოცდილებაც მქონდა, ადგილმრეწვში — ადგილობრივ მრეწველობაში — გამაგზავნეს ბუღალტრად.

დედა ცოტა დამშვიდდა, ახლა უკვე ადრე ვბრუნდებოდი; ბუღალტერია და რამდენიმე საამქრო ბუკაში მდებარეობდა. ერთადერთხელ, კვირის დასაწყისში და ბოლოს სამეთუნეო საამქროში უნდა წავსულიყავი; ერთხელ, ნაკეთობების დასათვლელად, როცა ჭურჭლეულობა ღუმელში უნდა გამოეწვათ და მეორედ — როცა ნაკეთობები ღუმლიდან გამოჰქონდათ, რათა ისევ დამეთვალა, რამდენი ნაკეთობა გამოიწვა და რამდენი გატყდა. ერთხელ, გზის პირას ვიდექი და ჩვეულებისამებრ, გამვლელ მანქანას ხელი ავუწიე. მანქანა გაჩერდა, კაბინაში ფანჯარასთან მოვკალათდი, ვუთხარი, სადაც მივდიოდი და მანქანაც დაიძრა. კაბინაში, მძღოლისა და ჩემს გარდა, კიდევ ორი ბიჭი იჯდა. ომის დროს მსუბუქად დაჭრილ, მაგრამ ფრონტისთვის უკვე გამოუსადეგარ მებრძოლებს, ჰოსპიტლიდან წერდნენ და შრომით ბრიგადებში ტოვებდნენ, რომ იქ გაეგზავნათ, სადაც მუშახელის ნაკლებობა იგრძნობოდა. სამივენი ასეთი ბრიგადის წევრები იყვნენ. როცა სამეთუნეო საამქროს ჩავუარეთ, ვთხოვე გაეჩერებინათ, მაგრამ არაფერი მიპასუხეს და მანქანა არ გააჩერეს. შემეშინდა, ვაითუ, ცუდი რამ განიზრახეს-მეთქი, მიმავალი მანქანის კაბინის კარი გამოვაღე და გადმოვხტი. მუხლებზე დავეცი, ხელ-ფეხი გადავიყვლიფე და დასისხლიანებული, კოჭლობ-კოჭლობით მივლასლასდი საამქრომდე. როცა მოხუცმა მეთუნე ოსტატმა ამ მდგომარეობაში დამინახა, თავის ხალათს ნაჭრის ზოლი მოახია, ნაკუწებად დაფლითა, ყოველ ნაკუწს ნაცარი მოაყარა და ჭრილობებზე დამაფინა, იმ ბიჭებს კი არცთუ კარგი სიტყვებით იხსენიებდა. იქ, ბუკაში, ცხოვრების კარგი სკოლა გავიარე.

ხანი გამოხდა და ადგილმრეწვის მოლარემ, ბანკიდან მთელი ფული გამოიტანა და გაუჩინარდა. იმავ დღეს შემომთავაზეს მოლარის ადგილი. მატერიალური მდგომარეობა გაგვიუმჯობესდა, ორ ხელფასს ვიღებდი. გარდა ამისა, როცა მამაჩემის ავად-

მყოფობის ამბავი გაიგეს, ლიმონათის საამქროში ერთ ბოთლ ვაჟინსაც მაძლევდნენ. მახსოვს, ამ ამბავმა დედა როგორ გაახარა. შაქარი არ იშოვებოდა და ძვირი ღირდა. ამ სიროფით ჰალვას ამზადებდა და ბავშვისთვის რაღაც-რაღაცეებს აცხობდა ხოლმე. სამივენი სულმოუთქმელად ელოდნენ სამსახურიდან ჩემს დაბრუნებას! მაგრამ მამაჩემის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ადრე მის ოთახში შევიდოდი თუ არა, წამოიწევდა, თავს მოაბრუნებდა და მიყურებდა, ახლა კი მხოლოდ თვალს ადევნებდა იმას, რაც მის ირგვლივ ხდებოდა; მაღალი სიცხე არ უწევდა, მუხლსქვემოთ ფეხებზე წყლულები გაუჩნდა, საიდანაც სისხლნარევი ყვითელი სითხე სდიოდა. ექიმს უნდა ენახა. საამისოდ ფული უკვე გვქონდა, მაგრამ ექიმი ჩვენთან არ მოდიოდა, მამაჩემის საავადმყოფოში წაყვანა კი შეუძლებელი იყო. სამსახურში ერთი ბაშკირელი ექიმი ქალის მისამართი მომცეს და მითხრეს, — თუ კარგად გადაუხდი, ავადმყოფს სახლშიც გასინჯავსო. იმ ექიმს სახლში მივადექი. არ მთანხმდებოდა, ფირუზის სამკაულები მეკეთა, სამეული — საყურეები დ ბეჭედი. ლაპარაკისას ჩემს სამკაულებს ათვალიერებდა, ბოლოს მკითხა, — ამას თუ მომცემო? მაშინვე უხმოდ მოვიხსენი და მივეცი. მხოლოდ ამის შემდეგ დამყაბულდა; ჩემთან ერთად წამოვიდა, მამა გასინჯა და დიაგნოზი დაუსვა — ტროპიკული მალარია და ტროპიკული წყლული. ფხვნილები გამოუწერა, ნემსები დაუნიშნა. ფხვნილები ბუკაში ვიშოვეთ, ამპულებისთვის კი წასვლამ ტაშკენტში მოგვიწია. მხოლოდ ფხვნილები საქმეს არ შველოდა და დედა მეზობელს, იბრაჰიმ-თაის მოელაპარაკა იმის თაობაზე, რომ როცა მისი ვაჟი, ოსმანი, ტაშკენტში სამსახურის საქმეებზე წავიდოდა, მეც თან წავეყვანე. იმ შემთხვევის მერე, მანქანაში მარტო არავის ვუჯდებოდი. თუ ძალიან შორს არ ვიყავი წასასვლელი, ფეხით სიარულს ვამჯობინებდი. შეიძლება ფული არ მყოფნოდა და დედამ ერთი ხალიჩის გაყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ ბუკაში ხალიჩის მუშტარი ვერ ვიპოვეთ. როცა მეზობელმა შეგვატყობინა, რომ ტაშკენტში მიემგზავრებოდა, დედამ ხალიჩა თან გამატანა, რომ გაყიდული ხალიჩის ფულით წამალი მეყიდა. თივის ტუკებით დატვირთული მანქანა გავაჩერეთ. ოსმანი სახით კაბინისკენ დაჯდა, მე კი ჩემი ხალიჩით ზურგით მისკენ და გავემგ-

ზავრეთ. თივის ტუკები თოკით იყო გადაბმული, გზაში მანქანიდან რომ არ გადაცვენილიყო. მგზავრობისას მანქანის კიდეზე ეს თოკი გაიხეხა და როცა მანქანა ოღრო-ჩოღრო ადგილას მოხვდა, თოკი გაწყდა და მე ხალიჩიანად, თივის შეკვრაზე წამოსკუპებულმა კატაპულტირება მოვახდინე და მიწაზე დავეშვი. როცა გონს მოვედი, მანქანა უკვე ისე შორს იყო, ხმას ვერც მივაწვდენდი. მათ კი ჩემი გაქრობა ვერც შენიშნეს. ვზივარ გზაზე და ვტირი. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ არის, უცნობ ადგილას ვარ. ერთ-ერთი გამვლელი მანქანა გავაჩერე და ბუკაში დავბრუნდი. დედას ხასიათი გაუფუჭდა, რადგან მამაჩემის გადარჩენის ბოლო იმედს ამაზე ვამყარებდით. ორი დღის შემდეგ ჰასან-თაი გვესტუმრა, ნათესავებს ეძებდა. ისინი ახალციხის რაიონიდან გამოესახლებინათ. საერთოდ, თუკი ვინმე ვინმეს ეძებდა, აუცილებლად ჩვენთან შემოივლიდა ხოლმე, რადგან იცოდა, რომ ჩვენთან სხვებიც მოდიოდნენ. დაკარგულების შესახებ ინფორმაციას ჩვენგან უფრო გაიგებდნენ, ვიდრე სადმე სხვაგან. დედა ასე სასოწარკვეთილი რომ ნახა, დაამშვიდა, — შენი დახმარება შემიძლიაო. ერთი ნათესავი ექიმი ჰყოლია, რომელსაც გამოსახლებისას თან მთელი ჩემოდანი წამლები წამოუღია. არ მოვუტყუებივართ, ორი-სამი დღის შემდეგ მართლა მოგვიტანა 15 ამპულა. ახლა მედდა უნდა გვეპოვა, რომელიც ავადმყოფთან ივლიდა და ნემსებს გაუკეთებდა. ბაშკირელმა ექიმმა ქალმა ერთი მედდა მიგვასწავლა, ბუკას ცენტრში რომ ცხოვრობდა. მომხვდურთაგან თავდასაცავად ჯერ კიდევ შორეულ წარსულში რაიონის ცენტრში ყორღანი აეგოთ. ამ ყორღანიდან ბუკა ხელისგულივით მოჩანდა. მოგვიანებით მის კორტოხამდე სახლები გააშენეს და ზევით ბილიკით ადიოდნენ. მედდა ამ ყორღანის თავში ცხოვრობდა. მიწაზე თითის სიმსხო თოვლი იდო. „კალოშები“ მეცვა და ასე მივაღწიე მის სახლამდე. მედდა არ მომყვებოდა, — ძალიან ცივა და მეშინია თოვლში ფეხები არ დამისველდესო. ხელთათმანები და შარფი, დედაჩემმა მწვანე ძაფით რომ მომიქსოვა, მას მივეცი, კალოშებიც. მხოლოდ ამის მერე დამთანხმდა სახლიდან გამოსვლაზე. მე კი ნაქსოვი წინდების ამარა მივყვებოდი. ამის შემდეგ ყოველდღე მოდიოდა და მამას ნემსებს უკეთებდა.

ტროპიკული მალარიისა და ფეხზე გაჩენილი წყლულებისაგან მამა განკურნეთ, თუმცა დასუსტებულ ორგანიზმში ახალმა დაავადებამ იჩინა თავი — მექანიკურმა სიყვითლემ. ისევ ბაშკირელი ექიმი გამოვიძახეთ. მანვე დაადგინა, რომ ახალი დაავადება სიყვითლე იყო და დანიშნულებაც მისცა, — ესვა წვენები. ეს აპრილის დასაწყისში მოხდა. ბუკაში კი ბამბის მეტი არაფერია. სამსახურიდან დავეთხოვე და ჩირის საყიდლად ფსკენტში წავედი. ამა თუ იმ ბაზარში ხშირად ვხვდებოდით ჩვენებურებს, ისინი გარეგნულადაც გამოირჩეოდნენ ადგილობრივებისგან. ის ბიჭები შემომხვდნენ, მამას მათ ვაგონში გადასვლას რომ სთხოვდნენ, ის კი არ გადავიდა, რადგან მეთვალყურედ დანიშნეს; დამინახეს და გამომელაპარაკნენ, როცა გაიგეს, ვისი შვილი ვიყავი და რატომ ჩამოვედი (მამაჩემს ხომ თითქმის ყველა იცნობდა და პატივს სცემდა), კარგი ჩირის შერჩევაში დამეხმარნენ. მერე გზამდე მიმაცილეს, მანქანაში ჩამსვეს, მძღოლს ჩემი მგზავრობის ფულიც გადაუხადეს და წავიდნენ. ცოტა რომ გავიმანძილეთ, გავიფიქრე: ამ ფულით სახლისთვის რამეს ვიყიდით, მიჯობს ფეხით წავიდე, ფულს კი უკან გამოვართმევ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, წამოვიკიდე ჩირით სავსე ტომარა და 18 კილომეტრი ფეხით გავიარე, რომ ფული დამეზოგა და ოჯახისთვის მომეხმარებინა.

ერთხელ გასაოცარი რამ შემემთხვა. საამქროებში შეგროვებული ფული ბანკში მიმქონდა. ვიდრე მუხლამდე მტვერში, სიცხეში, ლობეების გავლით ბანკამდე მივაღწევდი, შესვენების დრომაც მოაწია და ბანკი დაკეტილი დამხვდა. დაცდას აზრი არ ჰქონდა, ამასობაში ჩემი შესვენების დროც ამოიწურებოდა, ამიტომ სახლში წასვლა გადავწყვიტე, ფულს კი შესვენების მერე ჩავაბარებდი. ფულის შეკვრა პერანგის დიდ ჯიბეში ჩავიდე და იმავე გზით მივედი სახლში. წავიხემსე, ჩავთვლიმე და უკან, ბანკში წავედი. უცებ გზაზე ფულის შეკვრა დავინახე. მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ არავინაა, რაღა დაიკარგოს-მეთქი, გავიფიქრე, ავიღე და ჯიბეში ჩავიდე, თანაც მებრალება ის, ვინც ეს შეკვრა დაკარგა. მეორე ხელი მეორე ჯიბეში ჩავიყავი ფულის შესამოწმებლად და რას ვხედავ, ჯიბე ცარიელია!!!

ამოვიღე ფულის შეკვრა, გადავითვალე, რომ გამეგო დაკარგულ ფულს თუ აანაზღაურებდა და ბანკის ვალს დაფარავდა და

რას ვხედავ, შეკვრას ჩემი ხელით შევსებული შემოსავლის ორდერი ახლავს თან. ისე გამიხარდა, თითქოს ეს ფული ჩემთვის ეჩუქებინოს ვინმეს. მას მერე, რაც ჩემმა წინამორბედმა მოლარემ ფული გაიტაცა და გაუჩინარდა, ვერავის დავარწმუნებდი, რომ ფული დავკარგე და არ მომიპარავს; მით უმეტეს, ყველამ იცოდა, რომ ავადმყოფი მამა მყავდა და ძალიან გვიჭირდა.

როცა გადაგვასახლეს, ჩემი უფროსი და, ფიქრია, ქმართან ერთად ახალციხეში ცხოვრობდა; გასახლებამდე ცოტა ხნით ადრე მისი ქმარი ახალციხის სასაზღვრო რაზმში გადაიყვანეს. ეროვნებით რუსი იყო და ჩემი და გასახლებისგან ამან იხსნა. ჩემს დას მეგობარი ქალი ჰყავდა, ჩვენი ყოფილი მეზობელი, რომელიც აზერბაიჯანელს გაჰყვა ცოლად და გასახლებას ისიც გადაურჩა. მისი მშობლები მდიდარი აზნაურები — ბეგლერები — იყვნენ. იმ დროს, დღენიადაგ ახორციელებდნენ კონფისკაციას, განკულაკებას და მშობლებმა უცაბედი სიღატაკისგან თავდასაცავად მთელი საოჯახო ოქროულობა საქათმეში დამარხეს. სამალავის არსებობის შესახებ შვილებმა იცოდნენ. როცა ჩვენ გაგვასახლეს, ქალიშვილმა ხელდახელ ქმარი გააგზავნა საგანძურის წამოსაღებად. ისიც ჩავიდა ადიგენში, ყველაფერი იპოვა და სახლში ბრუნდებოდა. ქალაქის ცენტრში დაინახა: პროკურატურის, სასამართლოს, განათლების განყოფილების, აღმასკომის, ბანკის, მმაჩის კაბინეტებიდან საქაღალდეებით დოკუმენტები გამოჰქონდათ და წვავდნენ. მიუახლოვდა, რომ ენახა რას წვავდნენ. წვავდნენ მეტრიკებს, შრომის წიგნაკებს, ატესტატებს. მის ფეხებთან ვიღაცის ატესტატი ეგდო, რომელსაც ის-ის იყო კიდეზე ცეცხლი გასჩენოდა. ცნობისწადილმა სძლია და ატესტატი აიღო — ხელთ ჩემი ატესტატი შერჩა. მისი ცოლის და, ისრაფ ნანიშვილი, ჩემთან ერთად სწავლობდა და მან მისი დოკუმენტის ძებნა დაიწყო. იპოვა, ჯიბეში ჩაიდო და მშვიდად დაბრუნდა ახალციხეში. ატესტატი ჩემს დას გადასცა და უთხრა, რომ რაღაც-რაღაცეების წამოღება შეძლო. ჩემი დაც წავიდა ადიგენში, მაგრამ მხოლოდ ცარიელი სახლის კედლები დაუხვდა. მეზობლებს უამბიათ, თურმე იმ ღამით, ჩვენს სახლში, სწორედ ის ოფიცერი შესულა, რომელმაც კარი დალუქა და რაც უნდოდა,

ყველაფერი წაუღია, მერე კი ღია სახლში მეზობლები შესულან და რაც ოფიცერს გადაურჩა, ყველაფერი გაუხვეტიათ: ღუმელი, სკამები, ჭურჭლეულობა, პროდუქტების მარაგი.

ჩვენმა მეზობელმა, კათოლიკე ნინამ, ჩემს დას ორი შებოლილი ბატი და ერთი ლიტრი თუთის არაყი მისცა და უთხრა: ყველაფერს დედაშენთან ერთად ვაკეთებდი და ეს თქვენი წილიაო. მერე ჩემი და ქმართან ერთად თბილისში გადავიდა, მისი ქმარი ახალ სამსახურში გადაიყვანეს. სანამ გადავიდოდნენ, ნინამ სთხოვა, თუკი ჩვენს მისამართს შეიტყობდა, მისთვისაც ეცნობებინა. ჩვენთვის ამანათი გადასცა: არაყი, ბატები და ატესტატი. ხანი გამოხდა და ჩემი დის მეგობარმა ქალმა, ნანიაშვილმა, წერილი მიიღო, რომელსაც უკანა მისამართიც ეწერა; მის ქმარს, ნათესავებისთვის, ამ მისამართზე, ის უნდა მიეტანა, რაც საცავიდან წამოიღო. გასვლის თარიღი დეპეშით შეატყობინეს.

ერთხელაც სამსახურიდან ვბრუნდები. ფოსტასთან ფოსტალიონმა შემაჩერა, დეპეშა მაჩვენა და მითხრა, — ხომ არ იცი, ვისთვის არის გამოგზავნილიო. ვუთხარი, რომ ადრესატებს ვიცნობდი, დეპეშის მიღებაზე ხელი მოვუწერე და სახლში მივიტანე. დეპეშის უცნაურმა ტექსტმა დაგვაფიქრა: „ალი დიდი წარმატებით გამოემგზავრა". მივხვდით, რომ ეს პირობითი ტექსტი იყო, მაგრამ ამის უკან რა იმალებოდა? თურმე გვაფრთხილებდნენ, — ნაპოვნ განძს ელოდეთო. ამის შემდეგ ჩემი დის მეგობრის ქმარი მალევე ჩამოვიდა და ჩამოგვიტანა: ჩემი ატესტატი, არაყი და ორი ბატის ბასთურმა. სულზე მოგვისწრო. ატესტატი რაიონის განათლების განყოფილებაში წავიღე, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ პედტექნიკუმი ნამდვილად დავამთავრე, არაყზე კი ახლავე მოგიყვებით.

გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ მამა ნელ-ნელა გამომჯობინდა. ჩირის მარაგი, ფსკენტში რომ შევიძინე, დიდხანს გვეყო. სიყვითლემ თითქმის გაუარა და მამა ცოტა ხნით საწოლიდან წამოდგომასაც ახერხებდა, მერე უკვე ეზოშიც გადიოდა. ომი რომ დამთავრდა, ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ სნეულებამ უკან დაიხია. ეზოში უფრო დიდხანს რჩებოდა, ტახტზე იჯდა და სტუმრებსაც იღებდა, როცა გამოჯანმრთელებას ულოცავდ-

ნენ. და აი, მორიგი სტუმარი გვეწვია, დედამ ჩაი მიართვა, ფეხსაცმელი გაიხადა და ტახტზე მათთან ერთად ჩამოჯდა. ერთხანს იჯდა, მერე ჩამოვიდა, ფეხი ფეხსაცმელში წაყო და უცებ ისე იკივლა, ყველა ფეხზე წამოცვივდა. ამასობაში მის ფეხსაცმელში ღრიანკალი ჩამძვრალიყო, ჩაცმისას დედამ ფეხი დააჭირა და მან თითზე უკბინა. დედამ ფეხსაცმელი მოისროლა. აუტანელი ტკივილი კიდევ უფრო გაუძლიერდა. საქმეში გარკვეულმა უზბეკებმა გვირჩიეს, ღრიანკალი შუაზე უნდა გაგლიჯოთ და ნაკბენზე დაადოთო. ბინდდებოდა, აბა, სად მოვძებნიდით გადაგდებული ფეხსაცმლიდან გამომძვრალ ღრიანკალს. მეზობლებთან გავიქეცი, იქნებ სხვა რამე საშუალება იციან-მეთქი. ღობეზე ნაცარი გადმომაწოდეს და მირჩიეს: ნაკბენზე დაადე, ტკივილს შეუმსუბუქებს, რადგან ნაკბენი იმდენი საათის განმავლობაში ეტკიება, რამდენი წლისაც ღრიანკალია. შეიძლება გულმა ტკივილს ვერ გაუძლოს და გაჩერდესო. შიშისგან უცებ არაყი გამახსენდა. დედას ჭრილობა მოვბანე, ხელები დავიბანე, პირში არაყი გამოვივლე და თითიდან ღრიანკალის შხამის გამოწოვა დავიწყე. გამოვწოვ, გადმოვაფურთხებ, მერე ისევ არაყს ვივლებ და ისევ ვწოვ. დედა არ მანებებს, მაგდებს, ეშინია შხამმა მეც არ მომწამლოს, მე კი კბილებით ჩავაფრინდი თითს და არ ვუშვებ. ეს ყველაზე საშინელი ღამე იყო, მხოლოდ დილისკენ დაუამდა ოდნავ ტკივილი. უზბეკებმა მითხრეს, — რომ არ გამოგეწოვა, დედაშენი ალბათ ვერ გადარჩებოდაო. ამ ამბის მერე მოსულიერებაც ვერ მოვასწარით, რომ თავს სხვა განსაცდელი დაგვატყდა. ჩვენთან, მშობლიურ მესხეთში, ქალები ათასგვარ მხალეულობას აგროვებენ მინდორში და საკვებად იყენებენ. გადასახლებაშიც, მიიხედ-მოიხედეს, ღოლოსაც მიაგნეს, რამდენჯერმე მოკრიფეს და საჭმელადაც გამოიყენეს. ერთხელაც, როცა მხლის შესაგროვებლად წავიდნენ, დედაც გაყვა. ქალებს დაავიწყდათ გაეფრთხილებინათ დედაჩემი, რომ აქ ღოლოშმაგაც იზრდებოდა, რომელიც ძალიან წააგავს ჩვეულებრივს, მაგრამ შხამიანია. ქალები აქეთ-იქით გაიფანტნენ, ყველა მხლის კრეფაშია გართული. დედამ მოკრიფა ღოლო და იმავე დღეს მოამზადა მთელი ქვაბი მხალი. მაშინვე გულიანად დააპურა მამა, და, თვითონაც ჭამა და მეც მომართვა სამსახურში. მეც გეახელით და გავყევი, რომ გზამდე

მიმეცილებინა. უცებ ჩემმა დამ მუცელზე ხელი იტაცა და გვითხრა, — სიარული არ შემიძლია, მუცელი ძალიან მტკივაო. მერე პირსაქმება დაეწყო. დედაც ცუდად გახდა. სამსახურიდან დავეთხოვე, რომ სახლამდე გავყოლოდი. გზაში მეც შეუძლოდ შევიქენი. სახლში რომ შევედით, მამა უკვე სიკვდილის პირას იყო. უზბეკმა მეზობლებმა პახტა მოგვცეს, — წყალში გაზავებული მჟავე რძე (დო). გამორეცხვები ჩავიტარეთ და ერთხელ კიდევ გადავურჩით სიკვდილს.

სამშობლოში დაბრუნების იმედი გვქონდა და ამიტომ აქ საფუძვლიანად მოწყობას არ ვცდილობდით. პერიოდულად ჩვენიანებს შორის, არ ვიცი როგორ და საიდან, ხმები ვრცელდებოდა, თითქოს სადგურზე მატარებლები შემოჰყავდათ ჩვენთვის. ვილაცამ თითქოს თავის თვალით ნახა, ვილაცამ თავისი ყურით მოისმინა. ხალხი აფორიაქდებოდა ხოლმე, მაგრამ ჭორი არ მართლდებოდა; ხალხიც წყნარდებოდა და ისევ ელოდა. ასე გრძელდებოდა სამი-ოთხი თვე. უმიზეზოდ გაჩენილი ჭორი, უმიზეზოდვე ქრებოდა. ამ ჭორის ყოველი ხელახალი აგორებისას, ხალხი ამბობდა: „სწორედაც ასე იქნება, ხომ გვითხრეს, რომ უსაფრთხო ადგილზე მარტო ორი-სამი თვით გადავყავდითო“. ხოლო როცა გავრცელებული ხმების უსაფუძვლობაში რწმუნდებოდნენ, უკვე ხვდებოდნენ, რაში იყო საქმე და იხსენებდნენ: „თუ ეს ევაკუაცია იყო, მაშინ, მხოლოდ ჩვენი, მუსლიმი მესხების ევაკუირება რატომ მოახდინეს? დავიჯეროთ, ჩვენზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ? სხვები ბედის ანაბარა დაყარეს და ჩვენ კი გაგვიფრთხილდნენ? ჩვენი წამოსვლის მერე კი მთელი ჩვენი დოკუმენტები დაწვეს! შერეული ოჯახების დაშლა დაუშვეს და მხოლოდ მესხები შეყარეს სტუდებეკერებზე!“ ისინი, ვინც სასწავლებლებში მუშაობდნენ, იხსენებდნენ: სასწავლო წლის პირველი თვე რომ მიიწურა, თბილისიდან განკარგულება მივიღეთ, მეორე მეოთხედში სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარიმართოსო. ჩვენთან აზერბაიჯანელი პედაგოგები მუშაობდნენ, რომლებსაც აზერბაიჯანში ქართული ენა ყურმოკვრითაც არ სმენოდათ, ჩვენთან განაწილების შემდეგ მოხვდნენ. ბავშვებმაც ენა ისე არ იცოდნენ, რომ ტექნიკური საგნები ქართულ ენაზე ესწავლათ. ერთმანეთს აზრს

ვუზიარებდით, გვიკვირდა, — უფროსკლასელებმა პროგრამა როგორ უნდა დაძლიონო. განათლების განყოფილებაში ჩვენს კითხვაზე ასე გვპასუხობდნენ: — ვისაც სწავლა უნდა, სკოლის დამთავრებას შეძლებსო. გადასახლებაში ეს ყველაფერი გავიხსენეთ და მივხვდით, რაიონის განათლების განყოფილებაში იცოდნენ, რომ სკოლებში ჩვენ კი აღარ ვისწავლიდით, არამედ ის ქართველები, რომლებიც, როგორც მეზობლები გვწერდნენ, ჩვენს მერე ჩაიყვანეს — მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. ჩვენმა ბავშვებმა პირველი მეოთხედი დაამთავრეს და ის სასწავლო წელი გააცდინეს. მერე კიდევ ერთი წელი გაუცდათ, ახლა უკვე იმ რესპუბლიკის ენის უცოდინრობის გამო, სადაც მოვხვდით. ამის შემდეგ როგორღაც რაღაც ისწავლეს; ამ თაობის ბავშვები, თავის გადასარჩენად, ათასი ჯურის ხელობას დაეუფლნენ და მთელი ცხოვრება ისე კი არ განვლეს, როგორც სურდათ, არამედ როგორც მოახერხეს.

აი, როცა ყველაფერი გავიხსენეთ, მივხვდით, რომ ჩვენ, ევაკუაციის მომიზეზებით, თავიდან მოგვიშორეს. მაგრამ რისი გულისთვის? რა არ გავაკეთეთ ისე, როგორც ამას ყველა იქაური მაცხოვრებელი აკეთებდა? ამ კითხვებზე პასუხი ვერ ვიპოვეთ. თავი თვითვე დავიმშვიდეთ, რომ ყველაფერს დრო გაარკვევდა, განსჯიდა, თავის ადგილს მიუჩენდა და ახალ ადგილზე დასაფუძნებლად მოვემზადეთ, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს დაფუძნება-დამკვიდრებას ყველანაირად ხელს უწყობდა. რა თქმა უნდა, ასეთი მშრომელი ხალხის ხელიდან გაშვება არ სურდათ.

გაზაფხული აფრიკაშიც გაზაფხულია. ბუნება გამოღვიძებას იწყებს. ახალი სიცოცხლე იბადება. ეს მძიმე ზამთარიც გადავიტანეთ და მომავალი ისე უიმედოდ აღარ გვეჩვენებოდა. მამა წვრილმან-წვრილმანი საშინაო საქმეების კეთებას უკვე ცდილობდა და ცხოვრებასაც აზრი ეძლეოდა.

მეჩეთის ეზოში დაახლოებით 3-4 მეტრიანი მიტოვებული კარიერი იყო. მამამ მოლას ამ მიწის დამუშავებისა და რაიმეს დარგვის ნებართვა სთხოვა. მოლამ ნება დართო. მამამ მიწა დაბარა და თამბაქო დარგა, იმ პატარა ნაკვეთის ირგვლივ კი სიმინდი და მზესუმზირა დათესა. მამაკაცები დაცინვით უყურებდნენ,

როგორ ირჯებოდა მამა და მის მცდელობას ფუჭად თვლიდნენ. შედეგმა მამაჩემის მოლოდინს გადააჭარბა. თამბაქო მესხურ სახლებზე მაღალი გაიზარდა. ვინც მანამდე დასცინოდა, ახლა გასაკვირი მოსავლის სანახავად მოდიოდა. წარმატებამ მამას ფრთა შეასხა და ხალისით შეუდგა თამბაქოს დამზადების პროცესს. წარმატება საერთოდაც ხალისს ჰმატებს ადამიანს. ფოთლები მჯიდროდ აასხა ძაფებზე, გაახმო და მთელი წელი, ახალი მოსავლის აღებამდე, თამბაქო გამოულევლად ჰქონდა. ისინი კი, ვინც დასცინოდა, თუთუნის სათხოვნელად მასთან მოდიოდნენ, საერთოდ ეს წელი, შეიძლება ითქვას, ცხოვრებისკენ შემობრუნების წელი იყო.

ამ წელს მამა ბავშვობის მეგობარს, ქორო ნანიაშვილს შეხვდა, რომლის უმისამართოდ დაკარგვის შესახებ უწყება ჯერ კიდევ ადიგენში, 1942 წელს მოვიდა ფრონტიდან. დედამისი ამ ამბავს ვერ იჯერებდა და სულ ამას იმეორებდა: — ვინც პირველი შემატყობინებს ჩემი შვილის პოვნის ამბავს, „მაჯარით“ (ოქროს მონეტა) დავაჯილდოვებო.

მოხდა ისე, რომ 1945 წლის ბოლოს, მას ბუკაში შევხვდი, როცა ის თავისიანებს ეძებდა და შინ მივიყვანე. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვერანაირი მაჯარი ვერ მიანიჭებს ადამიანს ამგვარ სიხარულს. მამაჩემმა როგორ გაიხარა, როცა მეგობარი ცოცხალი და საღ-სალამათი იხილა! ბავშვებივით უხაროდათ, რომ ერთმანეთს ისევ შეხვდნენ. ქორომ გვიამბო, თუ როგორ ჩავარდა ტყვედ 1942 წელს და როგორ გააგზავნეს სხვებთან ერთად საფრანგეთში. იქ თურმე ბანაკებში ცხოვრობდნენ, შიმშილობდნენ, ზოგჯერ ბაყაყებსაც კი ჭამდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

ყოველთვის სხვებთან ერთად დგებოდა მწკრივში, როცა ადგილობრივი ფერმერები მიდიოდნენ და მეურნეობაში დასახმარებლად ტყვეები მიჰყავდათ; მაგრამ მას არავინ იყვანდა, რადგან ძალიან გამხდარი ყოფილა; „ეს გადამღრძვალი რაში გამოგვადგებაო“, — ამბობდნენ თურმე, ზურგს აქცევდნენ და უფრო ღონიერ კაცებს ირჩევდნენ.

ერთხელ მასაც გაუღიმა ბედმა. ერთმა ფერმერმა, მუშახელს რომ ეძებდა, როცა გვერდით ჩაუარა, რატომღაც ჰკითხა, — „სადაური ხარო“

„— საქართველოდან ვარო“, — უპასუხია.

„— ქართველი ხარ, ბიჭო? რა გქვია?“

„— ქორო ნანიაშვილი“.

იმ ფერმერს მეტი არაფერი უთქვამს და სხვებთან ერთად ისიც წაუყვანია. როცა ფერმაში მისულან, ის მაშინვე დასაბანად გაუგზავნიათ, სუფთა ტანსაცმელში გამოუწყვიათ და ფერმერის ოჯახის წინაშე წარუდგენიათ.

„ისეთი აღტაცებულები მიყურებდნენ, უხერხულობისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა“, — გვიყვებოდა ის. — „მერე შევიტყვე, რომ ეს მენშევიკების ოჯახი ყოფილა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საფრანგეთში რომ გაქცეულა. აღტაცებული ბავშვის თვალით მიყურებდნენ, იმ ბავშვის თვალით, სასწაული რომ იხილა, აკი მათთვის მიტოვებული, დაკარგული სამშობლოს ნაწილი ვიყავი. მერე ვისაუბრეთ და გამოირკვა, რომ ყველანი ადიგენის რაიონიდან — ისინი უდედან, მე — რაბათიდან — ვიყავით.

— ჩვენ ფრანგები ვართ, კათოლიკეები, შენ ვინა ხარო?

— მე მაჰმადიანი მესხი ვარ-მეთქი.

ისე დავმეგობრდით, რომ სამუშაოს დამთავრების მერეც თავისთან დამტოვეს და სხვებთან ერთად ბანაკში აღარ დამაბრუნეს. მუშაობას არ მანებებდნენ. თავი სანატორიუმში მეგონა. ზოგჯერ, უქმად ყოფნა რომ მომბეზრდებოდა, დროის გასაყვანად, კალათს ავიღებდი და მთელ ეზოში მიმობნეულ კვერცხებს ვაგროვებდი, რადგან ქათმები პირდაპირ ეზოში, ყველგან დებდნენ კვერცხს. ამაზე უფრო მძიმე სამუშაოს კეთების უფლება არ მქონდა. ომის წლები ასე გავიდა და როცა ტყვეებს ათავისუფლებდნენ, მასპინძელმა მთხოვა არ დავბრუნებულიყავი, ერთხანს კიდევ დავრჩენილიყავი მათთან, მეუბნებოდა: — არ იცი, იქ რა ხდება. ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს პირდაპირ ციმბირში აგზავნიან. შეიძლება ოჯახის ნახვა ვერც მოასწრო, ისე გაგაციმბირონ, ამიტომ მოიცადეო.

მაშინ გასახლების შესახებ არაფერი ვიცოდი და ვუპასუხე: — „მთელი ეს წლები დედაჩემის ნამტირალევი სახე მედგა თვალწინ, ის მე მელოდება. ამის გამო აქ მშვიდად ვერ გავჩერდები-მეთქი და აი, დავბრუნდი. მართალია, იქ კარგად ვიყავი,

ახლანდელთან ჩემი მაშინდელი მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ — მართალია, გადასახლებაში, — მაგრამ ჩემს ხალხთან ერთად ვცხოვრობ. ადრე თუ გვიან ხომ მაინც დავბრუნდებით". საფრანგეთიდან ისე მოუხარ-ოდა სამშობლოში! არადა შუა აზიასა და საქართველოს შორის, აზერბაიჯანში (საათლინის რაიონში) გარდაიცვალა ისე, რომ მონატრებულ სამშობლოში ვერ ჩააღწია, როგორც ყველა სხვა მესხმა... ნანიაშვილების ოჯახიდან ფრონტზე სამივე ვაჟი წავ-იდა. უფროსი — ქორო, 1942 წელს ტყვედ ჩავარდა. შუათანა — ოსმანი, დაჭრილი დაბრუნდა 1944 წლის ზაფხულში და ჩვენ-თან ერთად მოხვდა გადასახლებაში. ნაბოლარამ — ომარმა, ომი ისე გამოიარა, ნაკაწრიც არ ჰქონია, თუმცა ფიზიკური ჭრილო-ბისგან განსხვავებით, უფრო მძიმე მორალური ჭრილობა მიიღო, როცა ფრონტიდან დაბრუნებულმა მესხთა გასახლების ამბავი შეიტყო და ხანგრძლივი ძიების შემდეგ, თავის ოჯახს ბუკაში მოაგნო.

ისე მოხდა, რომ მეგობრებმა ერთად მოიყარეს თავი ბუკაში; ცხოვრება გრძელდებოდა. ჩვენს მამაკაცებს ისე მოწონათ მამა-ჩემის ჩანაფიქრი თამბაქოსთან დაკავშირებით, რომ მეორე წელს თვითონაც ამ საქმეს მიჰყვეს ხელი.

1945 წლის შემოდგომაზე ყოველ ოჯახს 10 წლის ვადით 7.000 მანეთიანი კრედიტი გამოუყვეს, ამ ვადაში ფული პრო-ცენტით უნდა დაგვებრუნებინა. ფული ყველამ აიღო, თუმცა ვერ გეტყვით, ვინ რაში დახარჯა. ჩვენ კი სამარყანდის ოლქში გადასვლისთვის გამოვიყენეთ. ბიძაჩემი, მამაჩემის უმცროსი ძმა, ოჯახთან ერთად სამარყანდის ოლქში მოხვდა, ბულუნგურის საბჭოთა მეურნეობაში. როცა მამა მძიმედ დაავადდა, ბიძაჩემამ-დე ხმამ მიაღწია, შენი ძმა სიკვდილის პირას არისო. ტაშკენტში ჩვენთან ჩამოსვლის ნებართვის მიღება შეძლო. მის ჩამოსვლამ-დე მამა გამოჯანმრთელდა, მაგრამ გადატანილი ავადმყოფობის მერე ძალიან დასუსტდა და გახდა. ისევ ტაშკენტიდან თანხმო-ბის მიღების შემდეგ, ბიძაჩემმა ერთი თვით ბულუნგურში გადა-იყვანა. მამა ერთი თვის შემდეგ ისეთი გამოკეთებული დაბრუნდა, ველარ ვიცანით, დასიებულს გავდა. დედას შეეშინდა, — კიდევ

რამე სნეულების ბრალი ხომ არ არისო, მაგრამ მამამ დაამშვიდა. ხოლო როცა იქაურობაზე გვიყვებოდა, დედას იქ გადასვლის სურვილი გაუჩნდა. სამარყანდის ოლქი ბარაქიანი მხარეა, უხვად არის ბოსტნეული, ათასნაირი ხილი, მესაქონლეობასაც მისდევენ, ჩვენთან კი მხოლოდ ბამბა მოდიოდა. ბულუნგურიდან დაბრუნების შემდეგ მამაჩემმა მშობლების მოძებნა გადაწყვიტა. მამამისი იმ ხანებში გარდაცვლილიყო, როცა ავადმყოფობდა, ხოლო ვინც გადარჩა — დედინაცვალი, ნახევარძმა და ნახევარდა — მათი პოვნა მოახერხა. ამავე წლის ზაფხულში მათ მოსანახულებლად გავემგზავრე. ბუკადან — სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, — ალიმკენტამდე — სადაც ისინი ვიპოვეთ,— 20 კილომეტრი იყო. ზუსტი მისამართი არც ვიცოდით. მშობლებმა მითხრეს, რომ მივაგნებდი: — იკითხავ, კავკასიიდან ჩამოსულები სად ცხოვრობენ და ყველა მიგასწავლის მათ ადგილ-სამყოფელსო. მეც მათი რჩევა გავითვალისწინე და გამვლელ-გამომვლელს ამაოდ ვეკითხებოდი მათ ასავალ-დასავალს. ასე, სახლიდან სახლში დავეხეტებოდი ალიმკენტში და თან ვფიქრობდი, შებინდებამდე მოვასწრებდი მათ პოვნას თუ არა. უცებ წარწერას მოვკარი თვალი — „ხინკალი, მანტი“. ძალიან გამიხარდა, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ აქ ჩვენებურები მუშაობდნენ და მაშასადამე, ჩემი ძიებაც წარმატებით დაგვირგვინდებოდა და ჩემიანებს ვიპოვიდი.

სასადილოს მივუახლოვდი, ერთი კაცი დავინახე, რომელიც უზბეკს არ გავდა, გავიფიქრე, — ალბათ, მესხია-მეთქი და ჩვენ ენაზე გამოველაპარაკე. მან კი რუსულად მიპასუხა, — არ მესმის, რა გინდაო.

— თქვენ კავკასიელი არა ხართ?

— ქართველი ვარ, მაგრამ აქ იმდენი ხანია ვცხოვრობ, რომ ყველაფერი დამავიწყდა. ჯერ სასჯელს ვიხდიდი, მერე დავქორწინდი და მას მერე აქ ვცხოვრობ. ეს სასადილო გავხსენი, შემოსავალსაც არა უშავს და უკან დაბრუნებას აღარც ვაპირებ. ხინკალს კი აქ ჩამოსული კავკასიელებისთვის ვამზადებ, მათ მოსწონთ. უზბეკებს მანტის ვაჭმევ, კავკასიელებს — ხინკალს.

— ბოდიში, აწყურელი მეგონეთ და ჩვენებურ ენაზე იმიტომ დაგელაპარაკეთ. ხომ ვერ მეტყვით, ვის შეუძლია საქართველოდან გადმოსახლებულების მისამართი მიმასწავლოს, ვიცი, რომ

ალიმკენტში ცხოვრობენ, ბებიას, ბიძას და ბიცოლას ვეძებ.

— არ ვიცი, ჩამოსულებიდან ვინ სად ცხოვრობს, მაგრამ შეიძლება ჩემმა მოლარემ იცოდეს რამე, ისიც გადმოსახლებულია. ახლა აქ არ არის, ბანკში ფულის ჩასაბარებლად წავიდა, ალბათ მალე დაბრუნდება, დაელოდე.

განზე გავდექი და დაველოდე. ერთდროულად დავინახეთ, როცა დაბრუნდა. მაშინვე ვიცანი ბიცოლა რემზია.

— აი, მოლარეც, — თქვა სასადილოს პატრონმა და მისკენ მანიშნა. რემზია იყო ის მოლარე, ვისაც ველოდი. ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ორივე უზომოდ გაგვახარა. ერთმანეთს შევეგებეთ, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვტიროდით. თვალებს არ ვუჯერებდით, რომ ეს სიზმარში კი არა, ცხადში ხდებოდა. სასადილოს პატრონიც, ჩვენი შემხედვარე, ჩვენსავით ტიროდა. გულაჩუყებულმა სასადილოს პატრონმა რემზია მთელი დღით გაათავისუფლა სამსახურიდან. ბებია, ბიძაც ვნახე. ბოლოს ისინი გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე ვინახულე. ცხადია, უცხო მხარეში პაპის გარდაცვალებამ მათ დაღი დაამჩნია, თუმცა უცხო მხარე და სიკვდილი ჩვენთვის უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. ერთი ასეთი ანდაზა გვაქვს: „ღმერთმა მიწაზე გაგზავნა და მიწამ არ მიიღოო“.

შეხვედრის სიხარულმა და იმის განცდამ, რომ ერთმანეთისგან არც ისე შორს ვიყავით, დანაკლისის სიმწარე შეგვიმსუბუქა. მეორე დღეს შინ დავბრუნდი და ჩვენი ახლობლების სასწაულებრივი პოვნის ამბავი მშობლებს მოვუყევი

დედამ გადაწყვიტა, — კარგი იქნება, თუ ბულუნგურში ყველა ერთად ვიქნებითო. მან კომენდანტ ნიკიტინს თხოვნით მიმართა, რომ შუამდგომლობა გაეწია, რათა ეს იდეა განეხორციელებინა. მთელი 1946 წელი დედამ ამ საქმეს მოანდომა. კომენდანტთან დადიოდა, თავს ახსენებდა, მოსვენებას არ აძლევდა.

ჩემი მომავალი მეუღლე მაშინ გავიცანი, როცა ჯერ კიდევ ადიგენში ვცხოვრობდით. ფრონტზე დაიჭრა და შრომით ბრიგადაში ჩვენთან სამუშაოდ გამოაგზავნეს. როცა გაგვასახლეს, რაღაცა ხნით ხელახლა წაიყვანეს ფრონტზე. ჩემზე ბევრად უფროსი იყო და მამა ამ ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა. სანამ

ბუკაში ვცხოვრობდით, რამდენიმეჯერ ჩამოვიდა იმ იმედით, რომ მამას გადაარწმუნებდა. იმ დროს სტალინმა ბრძანება გამოსცა: „საგანგებოდ გასახლებული ქალი თუ თავისუფალ მოქალაქეს გაყვება ცოლად, თავისუფლდება“. ჩემმა მშობლებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს: „აქედან უკვე ვერასდროს გავაღწევთ, ცხოვრების ბოლომდე აქ დავრჩებით. დაე, მისთხოვდეს მას და დასთან ერთად აზერბაიჯანში წავიდეს. მერე კი სამივე და სადმე ერთად შეკრებას მოახერხებს“. ასე გავყევი ცოლად მუხტარ ჰასანოვს, მის გვარზე გადავედი. კომენდატურაში იმის დამადასტურებელი საბუთი ავიღე, რომ საგანგებოდ გადასახლებულთა აღრიცხვიდან მოხსნილი და თავისუფალი ვიყავი. საბუთი მშობლებს დავუტოვე და 1946 წლის 28 ნოემბერს ქმართან ერთად დასთან, საქართველოში გამოვემგზავრე. ჩემი და მაშინ გარდაბანში ცხოვრობდა, მისი ქმარი კი შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის უფროსად მუშაობდა, ერთ ხანს მათთან ვცხოვრობდით. ჩაწერა ვერ მოვახერხეთ და მეუღლემ ასტარაში, თავის სამშობლოში წამიყვანა; ფრონტზე, ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, ბაქოდან წაიყვანეს. დაბრუნებისთანავე სპორტკომიტეტს მიაკითხა; საცხოვრებლად პატარა ოთახი გამოუყვეს და სამსახურშიც მიიღეს. ოთახი ძალიან პატარა და ძალზე კეთილმოუწყობელი იყო, მე კი საცაა უნდა მემშობიარა. ჩვილბავშვიანი ოჯახი ასეთ პირობებში ვერ გაძლებდა, ამიტომ ქმარმა უკან, მშობლებთან წამიყვანა. ამასობაში ისინი ბულუნგურში გადავიდნენ.

დედაჩემის მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია. კომენდანტი დაჰპირდა, რომ სამარყანდის ოლქში გადაგვიყვანდა. დედამ იცოდა, გადასვლას რა თანხა სჭირდებოდა და ბიუჯეტის შევსებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა. არაყი არ იშოვებოდა, იქვე გვერდით, სამანქანო-სატრაქტორო სადურის მექანიკოსებს კი აპარატის გაკეთება შეეძლოთ. დედამ მათ საქმიანი წინადადებით მიმართა: — მე დავხაზავ მოწყობილობას და აგიხსნით, რა როგორ უნდა გააკეთოთ, თქვენ კი აპარატი ააწყვეთ. მარცვლეულისგან არაყს გამოვხდი, თქვენ გაყიდეთ, შემოსავალი კი გავიყოთო. მისი ესკიზების მიხედვით მექანიკოსებმა თვითნაკეთი არყისსახედლი აპარატი ააწყვეს და საკმაო თანხაც იშოვეს.

1947 წლის გაზაფხულზე მშობლები ბულუნგურში გადავიდნენ, ხოლო მაისში, შვიდი თვის შემდეგ, ისევ მათთან დავბრუნდი. იმ თანხის ნაწილი, სესხად რომ მოგვცეს, გადასვლას დასჭირდა. ერთ ხანს, სანამ საცხოვრებელს მონახავდნენ, ძია ალისთან ცხოვრობდნენ. მოგვიანებით კი პატარა სახლი იყიდეს და ცალკე დასახლდნენ, ხოლო დედინაცვალი თავის შვილებთან ერთად კიდევ დიდხანს ცხოვრობდა ძია ალისთან. მამამ მაშინვე დაიწყო მუშაობა საბჭოთა მეურნეობაში — „ბულუნგური". ჩემი თანაკურსელი, ქირმან დვალიძე, — როცა მათი ჩამოსვლის ამბავი გაიგო, — მამას მეურნეობის მთავარ საწყობში ამ საწყობის გამგედ მოწყობაში დაეხმარა. მამა რაიონიდან ფეხით დადიოდა სამსახურში. სამი თვის შემდეგ იქ ბარაკის ბინა მისცეს, პატარა სახლი გაყიდეს და საცხოვრებლად მეურნეობაში გადავიდნენ. ქირმანის ცოლი მათ ძალიან ეშველებოდა, ის პარტიის რაიკომში მუშაობდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში დახმარების გაწევა შეეძლო. როცა მეურნეობაში, თავის მუდმივ საცხოვრებელში გადავიდნენ, მამასთან ერთად დედამაც დაიწყო მუშაობა, მე კი დასთან ერთად სახლში ვრჩებოდი, საოჯახო საქმეებს ვაგვარებდი.

ბულუნგურის მეურნეობაში, ძირითადად, სხვადასხვა დროს გასახლებულებიც ცხოვრობდნენ და რაიმე მიზეზის გამო ნებაყოფლობით ჩამოსულებიც. ვის არ შეხვდებოდა კაცი: რუსებს, უკრაინელებს, გერმანელებს, ყირიმელ თათრებს და მაცხოვრებელთა ამ დიდ სიას, მესხებიც შევუერთდით. იქ რუსული სკოლა არსებობდა და ჩემმა დამ იმ სკოლაში დაიწყო სწავლა.

უკვე შევეგუეთ იმ აზრს, რომ უკან აღარავინ წაგვიყვანდა, გერმანელებისა და ყირიმელი თათრების მსგავსად, ველარასდროს დაბრუნდებოდით ჩვენს მხარეში. ისინიც ბედს შეგუებოდნენ. გვეკითხებოდნენ — რატომ გადმოგასახლესო. საკუთარი და ჩვენი გამოსახლების ამბებს ერთმანეთს ადარებდნენ და გვეუბნებოდნენ: — გერმანელები იმ მიზეზით გამოასახლეს, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა და ეშინოდათ, ისინი თავისიანებს არ დახმარებოდნენ. ყირიმელი თათრები კი იმ მიზეზით, რომ ორწელნახევარი გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერი-

ტორიაზე ცხოვრობდნენ, უკვე ეჩვეოდნენ მათ და მრავალი მათგანი გერმანელებთან თანამშრომლობდა. ჩვენ კი გადმოსახლებულთა არცერთ კატეგორიას არ ვეკუთვნოდით, ამიტომ ვერ ვხსნიდით, თუ რატომ გაგვასახლეს. მოგვიანებით, როცა მეზობლებმა მოგვწერეს, რომ ჩვენი დალუქული სახლები ჩვენს დაბრუნებას კი არ უცდიდა, არამედ იქ ასევე ძალით ჩაყვანილი ქართველები შეესახლებინათ, — მივხვდით, რომ ამიერიდან იმის დამტკიცება, თუ ვინ ვინ არის, — ძალიან გაგვიჭირდებოდა.

ასე დავფუძნდით ახალ ადგილზე. მესხების გამრჯე ხელებმა შუა აზიის უდაბნოებსა და სტეპებში ოაზისები შექმნეს. ბამბაც კი, საქართველოში მანამდე თვალითაც რომ არ გვენახა, ადგილობრივებზე უკეთ მოგვყავდა, უფრო უხვ მოსავალსაც ვიღებდით. ერთმა ჩვენებურმა საყუნეთელმა მესხმა ქალმა, პირველივე წელს ბამბის ისეთი მოსავალი აიღო, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც კი დაიმსახურა, თუმცა მისი ეროვნება არ გამოაჩინეს და ისე ჩაწერეს, თითქოს უზბეკი ყოფილიყო.

ყურძენი რომ მოიწეოდა, ყველას, ვისაც შრომა და მეურნეობის დახმარება შეეძლო, მოსავლის ასაღებად აგზავნიდნენ. ყველას თან მიჰქონდა პატარა ფუთაში გამოკრული საგზალი; ვენახს აკაციის ხეები ღობედ ევლებოდა ირგვლივ და ამ ფუთებს აკაციის ტოტებზე ჰკიდებდნენ. ყურძენი ტკბილია. კრეფისას შეიძლება ერთი-ორი კუფხალი შეჭამო, მეტს ვერ შეჭამ. შესვენებისას მოშიებული ადამიანები ფუთებს მიაშურებდნენ — საგზლად პომიდორი, ყველი, წიწაკა მიჰქონდათ — და ერთი სული ჰქონდათ, გემრიელად ესადილათ. ჩემთან ერთად რთველში ირინა შნაიდერიც დადიოდა, ვოლგისპირეთიდან გამოსახლებული გერმანელი. თანატოლები ვიყავით და ბარაკებში ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით; ამავე დროს მეურნეობის ბუღალტერიაშიც ერთად ვმუშაობდით. მხიარული ბუნების ადამიანი გახლდათ, ბედის უკულმართობასაც იუმორით აღიქვამდა, სასოწარკვეთილს ვერ ნახავდი. ერთხელაც, შესვენებაზე, ხესთან მივიდა და თავისი ფუთა ადგილზე არ დახვდა. ხესთან კი ვირი დაეხეტებოდა, იქვე მისი საგზლის ნარჩენები ეყარა. ძალიან განაწყენდა, რომ უსადილოდ დარჩა, ადგა და მწარე წიწაკის

ნარჩენები წამოიკრიფა, ვირს კუდი აუწია და წიწაკა ბარაქიანად ამოუსვა. კუდაპრეხილი ვირი ვენახში დარბოდა და გამწარებული ყროყინებდა. ამ ხმაურზე ვირის პატრონმაც მოირბინა, ვერაფრით გაეგო, პირუტყვს რა დაემართა და უკან დასდევდა. პატრონმაც იქამდე ირბინა ვენახიდან ვენახში, ვიდრე ვირი თავისით არ დაშოშმინდა და არ გაჩერდა. ირინა კი იდგა და სიცილით კვდებოდა. პირუტყვი სულ არ შებრალებია. უყურებდა ამ სანახაობას და გაუჩერებლად იმეორებდა:

„— აწი გეცოდინება, სხვისი სადილი რომ არ უნდა მოიპაროო!“

ჩვენი მამაკაცები, შეშფოთებულნი იმით, რომ ფრონტიდან გამოგზავნილ, სამკუთხა ბარათებზე, პასუხს არავინ სცემდა, ომის დამთავრებისთანავე გეზს პირდაპირ სახლისკენ იღებდნენ. იმ განცდით, რომ მოვალეობა პირნათლად მოიხადეს, შინ, ოჯახებში დაბრუნება ეჩქარებოდათ, მაგრამ ჯერ არ იცოდნენ, რა სიურპრიზი ელოდათ. მათთვის ისიც კი არ უთქვამთ, რომ შუა აზიაში გადაგვიყვანეს და გეზი სწორედ იქით უნდა აეღოთ. ბორჯომამდე უფასოდ მგზავრობდნენ და უკვირდათ, შლაგბაუმს იქით — შლაგბაუმი კი უკვე ბორჯომამდე აღწევდა — რომ არ უშვებდნენ. ფრონტზე რომ წავიდნენ, მაშინ სასაზღვრო ხაზი ჯერაც ადიგენის რაიონში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადიოდა. ამ სიურპრიზით გაოგნებულები, უკვე საკუთარი ხარჯებით მოჰყვებოდნენ ჩვენს კვალს — ეძებდნენ ახლობლებს, გზადაგზა ბილეთის ფულის საშოვნელად ყიდდნენ ყველაფერს, რაც ტანთ ემოსათ და ტაშკენტში ჩამოდიოდნენ. ერთ ხანს სადგურებში დაეხეტებოდნენ ნაცნობის პოვნის იმედით, რომ იქნებ მესხებზე რაიმე შეეტყოთ. ზოგიერთს გაუმართლა და იქვე შეიტყო ახლობლების ადგილსამყოფელი, უმრავლესობა კი ყიშლაღიდან ყიშლაღამდე ათასობით კილომეტრს ფეხით გადიოდა ახლობლების ძებნაში, სანამ თავის ოჯახს არ შეუერთდებოდა.

ერთ ნაფრონტალ კაცს, თურმე ცოლი და ორი შვილი გადაუსახლეს. ჩამოსვლისთანავე მისი ცოლი ლოგინად ჩავარდა, ქალიშვილი დედას უვლიდა, ბიჭი კი რამდენიმე მოზარდთან ერთად მოწყალების სათხოვნელად სადგურებში დაეხეტებოდა.

ბიჭი 14 წლის იყო. მოსაცდელ დარბაზში მგზავრებს ჩამოუვლიდა და დახმარებას სთხოვდა ხოლმე. ერთხელ, ჯარისკაცებს მიუახლოვდა და ერთ-ერთმა მათგანმა შვილი იცნო. თვალს არ უჯერებდნენ, ტიროდნენ და წარამარა ერთმანეთს ეხვეოდნენ. სახლში მამასთან ერთად დაბრუნდა. მამის დაბრუნებიდან თვენახევარი გავიდა და დედა გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ კი, შეუხორცებელმა ჭრილობამ მამასაც სიცოცხლე მოუსწრაფა. იმ მეურნეობის დირექტორმა, სადაც ბავშვები დედასთან ერთად ცხოვრობდნენ, უფროს შვილს ავტომანქანის ტარება ასწავლა და იმ „ვილისის" მძღოლობა მიანდო, მას რომ ემსახურებოდა. ის ქალი მერეც პატრონობდა ამ ბავშვებს. ის ყმაწვილი უკვე დაოჯახებული გახლდათ, როცა ჩვენ შეგვხვდა და თავისი ამბავი მოგვითხრო.

მშობლებთან რომ დავბრუნდი, კომენდანტთან აღრიცხვაზე აღარ ავსულვარ და ერთ ხანს მშვიდად ვცხოვრობდი. ის საბუთი, რომელიც ადასტურებდა, რომ საგანგებო გადასახლებიდან თავისუფალი ვიყავი, სხვა საბუთებთან ერთად კომენდატურას გადავეცი. მოგვიანებით, კომენდანტი შეცვალეს. ახალი კომენდანტი — სერგეევი — იშვიათი არამზადა გახლდათ. რაც ის მოვიდა, ყველამ მოსვენება დაკარგა. ყველა ღონეს ხმარობდა, მოსახლეობისთვის ფული რომ გამოეძალა. დღენიადაგ ნასვამი იყო და ყველას უხეშად ექცეოდა. ყველა საქმე, მისმა წინამორბედმა რომ გადააბარა, ხელახლა გადასინჯა და იმ დეტალებს უკირკიტებდა, რაც ფულის გამოძალვის საშუალებას მისცემდა.

კომენდატურაში გამომიძახა და გათავისუფლების ცნობა მომთხოვა. ჩემს შემდეგ მამა მივიდა მასთან და აუხსნა, — ცნობა თქვენთან უნდა ინახებოდეს, რადგან ჩვენ ყველა დოკუმენტი ჩაგაბარეთო. ის კი ამტკიცებდა, — ასეთი საბუთი საქაღალდეში არ ინახებაო. მამა რამდენჯერმე გამოიძახა და მიანიშნა, რომ ფულს თუ გადაიხდიდა, დოკუმენტს აღადგენდა. მამას პროვოკაციის ეშინოდა და ქრთამის მიცემაზე უარს აცხადებდა, უმტკიცებდა, რომ საბუთი ნამდვილად არსებობდა. მორიგი გამოძახებისას, მამას ეს საბუთი აჩვენა, სახესთან აუფრიალა და სანაცვლოდ 10.000 მანეთი მოითხოვა. მამამ უთხრა: ამდენი ფული

არა მაქვს, ან რატომ უნდა მოგცეთ, თუკი ცნობა აგერ, არსებობ-ს!

მამის პასუხმა სერგეევი ისე გააბოროტა, რომ ცნობა მის თვალწინ ნაკუწებად აქცია და დაემუქრა: განანებთ, ფული რომ არ მომეცითო.

ჩემი წამება ამის მერე დაიწყო. ყოველდღე დილით, დღისით, ღამით, როცა მოეგუნებებოდა, დაკითხვაზე მიძახებდა, ხან ადგილობრივ, ხანაც რაიონულ კომენდატურაში და ერთსა და იმავე კითხვას მისვამდა: „მოქალაქე ჰასანოვა, აღიარეთ თუ რა მიზნით გაჰყევით ცოლად მოქალაქე ჰასანოვს, რომელიც ირანის საზღვართან მდებარე ზონაში ცხოვრობს. ფარულად რატომ გაემგზავრეთ და მერე უკანვე დაბრუნდით. ვისი მოგზავნილი ჯაშუში ხართ, ვისთვის მუშაობთ? გამოტყდით, გულწრფელად აღიარეთ, თუ არა და, სიმართლეს მაინც გავარკვევთ და აი, მაშინ კი გაგასამართლებთ, თქვენ შვილებს ბავშვთა სახლში ვუკრავთ თავს, თქვენ კი კატორღას მოგისჯით, გაგაციმბირებთ“.

ერთხელ ცემაც კი დამიპირა. გაღეშილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. არ ვიცი, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა, დრო რომ არ მეხელთა, ურდული არ გადამეწია და კომენდატურიდან არ გამოვქეცულიყავი. ამის მერე ჩემი უმცროსი ბიძა ყოველთვის თან მომყვებოდა და ჩემს გამოსვლამდე დერეფანში იცდიდა. ქირმან დვალიძე კი კაბინეტშიც შემომყვებოდა ხოლმე; ყოველთვის, როცა სერგეევი ამიყვირდებოდა და მოითხოვდა ჯაშუშობა მეღიარებინა, მის დაშოშმინებას ცდილობდა: — აქ რაღაც გაუგებრობაა, დიდი ხანია ვიცნობ მას, მის მშობლებს, თავს ვდებ, რომ ნამდვილი კომუნისტის შვილია და საქმე შეცდომასთან გვაქვსო.

ზოგჯერ სერგეევი საფეთქელზე პისტოლეტს მადებდა, — თუ არ გამოტყდები, რომ ჯაშუში ხარ, გესვრი, გულწრფელი აღიარება მოგვეცი და ხელი მოაწერეო. ქირმან დვალიძემ გამაფრთხილა: — როგორც არ უნდა დაგემუქროს, როგორც არ უნდა დაგადანაშაულოს, გიყვიროს და შეგაშინოს, არაფერი არ დაწერო და მით უფრო ხელი არაფერზე მოუწეროო. ხელი არაფერზე მომიწერია, მაგრამ ამ დაკითხვებმა დამაავადა, ნერვიული შეტევები დამეწყო. დაკითხვაზე და დაკითხვიდან, მორიგი მუქარის მოლოდინში, აცრემლებული მივდი-მოვდიოდი. სახლში

დაბრუნებულს დედა რომ მკითხავდა, — აბა, როგორ არის საქმეო, — მე ვპასუხობდი: — დედა, ამაოა იმის მტკიცება, რომ ჯაშუში არა ვარ. აქედან თავს ველარასდროს დავაღწევ-მეთქი. ჩემი მეუღლე რამდენჯერმე ჩამოვიდა ბავშვებთან ერთად ასტარაში ჩემს წასაყვანად, მაგრამ არ მიშვებდნენ. ერთხელ დაკითხვას ოფიცერი კრასნოპეევი, ხანში შესული კაცი დაესწრო. დაკითხვაზე სერგეევის აღვირახსნილი და უხეში მოქმედების მოწმე გახდა და მითხრა: — შვილო, ჩემ გარდა ვინც არ უნდა გამოგიძახოს, დაკითხვაზე არ მოხვიდეო!

ჩემს პატარა შვილებს ესმოდათ, რომ სადღაც არ მიშვებდნენ და ამის გამო ვტიროდი. ჩემი გოგონა ხელებს აღაპყრობდა ხოლმე და ღმერთს შესთხოვდა: — უფალო, დედას გზა გაუხსენიო! მერე ძმას ხელს წაჰკრავდა და ეუბნებოდა: — ამინ, თქვიო! ისიც, ისე რომ არც ესმოდა არაფერი, იმეორებდა: — ამინ!

სერგეევისგან ერთმა შემთხვევამ გვიხსნა. ისე გაილეშებოდა ხოლმე, რომ ან თანამეინახეებს მიჰყავდათ შინ, ანდა გამვლელებს, რომლებიც მას გადააწყდებოდნენ ხოლმე. ერთხელაც გამომტყვრალა და თხრილში ჩავარდნილა. მთელი დოკუმენტები, ქაღალდები, გიმნასტუოის ჯიბეში ედო. ჩვენმა მამაკაცებმა იპოვეს და რაიონულ კომენდატურაში წაიყვანეს. იქ შეატყობინეს, სად იპოვეს სერგეევი და დაამატეს: — აქ იმიტომ მოვიყვანეთ, შეგვეშინდა, ამ მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის დოკუმენტები არავის აეწაპნაო. მხილების შემდეგ, სერგეევი მოხსნეს და ჩვენც გავთავისუფლდით მისი ბატონობისგან, მაგრამ დაკითხვების მძიმე შედეგებს დიდხანს ვიმკიდი. ნერვებმა მიმტყუნა, ღამღამობით მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები დამეწყო, სამხედრო ფორმიანი ადამიანებისა კი დიდხანს მეშინოდა. უკვე 50 წელია, რაც დაკითხვები დამთავრდა, მაგრამ ახლაც, როცა ვღელავ, მეხსიერებაში განმიახლდება ხოლმე.

ჩემი ქმარი, რაკი დარწმუნდა, რომ ვერსად ვერ წაგვიყვანდა, ჩვენთან ერთად დასახლდა ბულუნგურის მეურნეობაში. მე უკვე ბუღალტრად ვმუშაობდი, თუმცა ძალზე დაბალი ხელფასი მქონდა. ჩვენ მეზობლად ერთი გერმანელი მკერავი ქალი ცხოვრობდა, — სუსანა პეტროვნა, დედამ სთხოვა შეგირდად ავეყვანე. მე

უარს ვამბობდი, ვარწმუნებდი დედას, ვერ ვისწავლი-მეთქი, მაგრამ დედა არ მეთანხმებოდა: — არ შემიძლია არ არსებობს, არ მინდა — არსებობს. მკერავად არც ის დაბადებულა, მასზე ნაკლები რითი ხარ, ხელები შენც გაქვს, მაშასადამე, შეძლებო. მართლაც შევძელი. სუსანა პეტროვნა თავისი საქმის იშვიათი ოსტატი გახლდათ, მუშაობისას მიყვებოდა, თავისი ოსტატობის გამო ბერიას სახლში კერძო მკერავად როგორ მიიწვიეს.

როცა ჩემი ქმარი სამუდამოდ დაბრუნდა, იმავე ბარაკში ერთი ოთახი მოგვცეს. უფროს დაზე და გადატანილ ჭირ-ვარამზე დარდით დედაჩემი დასნეულდა. ეგონა, კვდებოდა, ისე ცუდად იყო და ჩემს ქმარს სთხოვა, მივლინებიდან რომ დაბრუნდებოდა, ცოტა ხნით მაინც ჩამოეყვანა ისინი ჩვენთან. 1949 წელს ჩემი უფროსი და ქალიშვილთან ერთად ათი დღით გვესტუმრა. მასთან შეხვედრამ დედა ფეხზე დააყენა. 1949 წლის ივლისში ვაჟი შემეძინა, თუმცა დაკითხვებისგან ამანაც ვერ მიხსნა. ადგილობრივ და რაიონულ კომენდატურაში გამოძახება აღარ მაკმარეს. რაკი სერგეევმა ვერ მაიძულა ჯაშუშობა მეღიარებინა, სამარყანდში საოლქო კომენდატურაში მიბარებდნენ. იქ საქმე გახსნეს და ჩემი სერიოზული დამუშავება დაიწყეს. არ მესმოდა, რა დავაშავე. დაბნეულობისა და უმწეობისგან მხოლოდ ვტიროდი. ერთხელ ტაშკენტში წამიყვანეს, გამომძიებელი მოსკოვიდან ჩამოვიდა. ახლაც, როცა მახსენდება, საჭმელს ველარ ვეკარები ხოლმე. როცა რამდენიმე დღით კომენდატურაში დამტოვეს და მითხრეს, — თუ არ აღიარებ, გაგაციმბირებთო, შიშისაგან მადა დავკარგე. მოსკოველმა წარმომადგენელმა კეფაზე პისტოლეტი მომაბჯინა და აღიარება მიბრძანა. არ ვიცოდი, რაში უნდა გამოვტყდომოდი, როცა თავისი წინამორბედების მსგავსად გამომკითხა, თუ რა მიზნით გავთხოვდი. რუსული მაშინ კარგად არ მესმოდა, არ მესმოდა, თუ რა მიზნით უნდა გათხოვილიყო ქალი. რამდენიმე დღის განმავლობაში, სანამ ტაშკენტში ვიყავი, არაფერი მეჭამა, მაგრამ როგორ ამეხსნა კანონის ამ გულცივი, ბოროტი წარმომადგენლისათვის, რომ ეს გამოუვალობის შეგრძნებისაგან მომდიოდა; თვითონ ხომ მადას არ უჩიოდა და არც არანაირი გარემოება არ დააკარგვინებდა. ჩამეძია, — შიმშილობის გამოცხადება ვინ გირჩიაო; მეუბნებოდა, — ეგ მაინც ვერაფერს გიშვე-

ლის, ციმბირში მაინც ჩაგალპობთო. მე მხოლოდ ვტიროდი და ვდუმდი. მათ კი შეუდრეკელი კალის ჯარისკაცი ვეგონე, რომელიც მოკვდება და თავისიანებს არ გასცემს; ეს კი მათ უარესად ახელებდა. რაც უფრო ხმამაღლა მიყვიროდა, მით უფრო მეშინოდა და უფრო ძლიერ ვტიროდი. მერე იფიქრა, რომ ესეც მასწავლეს, რათა სიბრალული გამომეწვია. მაშინ კი იფეთქა, — ჩემს სიბრალულს ვერ ეღირსები, ფეხშიშველს ეტაპით გაგიშვებო... რაც გადავიტანე, ყველაფერს ვერ მოვყვები. ეს კოშმარი 1953 წლამდე გრძელდებოდა.

1951 წელს თვალები ამტკივდა. მეურნეობაში თვალის ექიმი არ გვყავდა, რაიონამდე კი ფეხით უნდა წავსულიყავი. ბავშვები დედას დავუტოვე და გზას გავუდექი. ქმარი აზერბაიჯანში ცხოვრობდა, 1952 წელს დაბრუნდა უკან. მივდივარ, თვალები მტკივა, დავხუჭავ და გზას ვერ ვხედავ, გავახელ და — ტკივილისგან გონებას ვკარგავ. როგორც იქნა, ასე წვალებ-წვალებით მივაღწიე მდინარე ბულუნგურის ხიდს და მივხვდი, რომ გზას ველარ გავაგრძელებდი. უკან დავბრუნდი. სამი დღე, უფრო სწორად, სამი დღე და ღამე აუტანელი ტკივილები მტანჯავდა; როცა თვალები დამიამდა, შევნიშნე, რომ თვალთ დამაკლდა. სათვალეს ვერ ვიშოვიდი და აი, ასე უსათვალოდ, მხედველობადაბინდულმა გავაგრძელე მუშაობა ბულალტერიაში, სამსახურის მერე კი ისევ ვკერავდი, ეს ძალიან ძნელი საქმე გახლდათ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, თავი ხომ უნდა გამეტანა. როცა ჩემი ბიჭი ორი-ორწლინახევრის იყო, მეზობლის ძაღლმა — ნაგაზმა დინგომ — დაკბინა. იმ ხანს მეურნეობაში ცხოველების ცოფი გავრცელდა და ძაღლის პატრონმა, მეურნეობის დირექტორმა, დასისხლიანებული ბავშვი რომ დაინახა, ძაღლს ესროლა და იქვე მოკლა საკუთარი იარაღით. ძაღლი ცოფიანი ეგონა. გერმანელმა ექიმმა, გვარად ალმენდინგერმა, როცა შეიტყო, რომ ძაღლი მოკლეს და მასზე დაკვირვებას ვერ მოახდენდა, ბავშვს მუცლის არეში 40 ნემსი დაუნიშნა. ეს მტკივნეული ინექციები გახლდათ და ბავშვმა მადა დაკარგა. ექიმი საქართველოდან გვიცნობდა, ბოლნისელი იყო, ბავშვი ეცოდებოდა, ხედავდა თვალ და ხელ შუა რომ დნებოდა და ყოველ ჯერზე ცდილობდა,

ძაღლის მიერ ბავშვის დაკბენის ნამდვილი მიზეზი გამოერკვია. კარნახობდა ხოლმე: — იქნებ ასე და ასე მოხდა, ამის და ამის გამოო. თავიდან ბავშვს ეშინოდა და კითხვებზე პასუხს არ აძლევდა. მერე თანდათან დამშვიდდა და მეცხრამეტე ნემსის გაკეთების შემდეგ მოგვიყვა, რაც მოხდა: — მინდოდა ძაღლს ცხენივით ვეტარებინე, „აჩუ-აჩუს" ვუძახდი, მაინც არ წამიყვანა და ყურებზე მოვქაჩე, მაინც არ წამიყვანა და თვალში თითი ვატაკეო. ძაღლს სტკენია, გაანჩხლებულა, ბიჭს სახეში სცემია და მისთვის ორივე ლოყა დაუკბენია. ექიმმა ნემსები მოუხსნა. არადა, წინა დღეს ერთი მეათეკლასელი ბავშვი ცოფიანი ძაღლის კბენიდან მეორმოცე დღეს გარდაიცვალა და ამ სურათს ვერ ვივიწყებდი; ასე რომ, ეს 21 დღე ისეთ შიშში გავატარე, მტერსაც რომ არ ვუსურვებდი. ბოლო მეორმოცე დღეს, არც დღე და არც ღამე, ბავშვისთვის თვალი არ მომიშორებია. მადლობა ღმერთს, გადავრჩით.

1951 წელს კი ბულუნგურში ქუნთრუშის ეპიდემიამ იფეთქა. პირველად ჩემს გოგონას დაემართა, „სასწრაფო" გამოვიძახეთ. დედაჩემთან ერთად, სადეზინფექციოდ, საავადმყოფოში წაიყვანეს. შინ დავრჩით მამა, დაიკო ემა, მე და ჩემი ვაჟი. მართალია, დეზინფექცია ჩაატარეს, მაგრამ მეც, ჩემი დაც და ვაჟიც ავად გავხდით. ჩემს ქალიშვილს დაავადების მძიმე ფორმა ჰქონდა და ექიმებს მის გამოჯანმრთელებაში ეჭვი ეპარებოდათ. ქმარი გამოვიძახე. როდესაც ის ჩამოვიდა, ყველანი ავად ვიყავით, თუმცა საავადმყოფოში წასვლის შიშით, ექიმი აღარ გამოგვიძახებია. მეზობელმა ქალმა, ყირიმელმა თათარმა, ნავთის საფენების გამოყენება მასწავლა. გამოჯანმრთელებას იმდენად ვჩქარობდი, ისე უხვად ვიყენებდი ნავთს, რომ ყელზე კანი სულ დავიფუფქე. ჩემი მეუღლე ყოველდღე დადიოდა რაიონულ საავადმყოფოში და ახალი ამბები მოჰქონდა ჩვენების მდგომარეობის შესახებ. ტირილ-ტირლით მიდიოდა, უკანაც ტირილით ბრუნდებოდა. თურმე დედა ჩააცივდა, — ჩვენს მოსანახულებლად სხვები რატომ არ მოდიანო. არადა, მე ავუკრძალე, არაფერი უთხრა-მეთქი. ამრიგად, მთელმა ოჯახმა ქუნთრუშა ფეხზე გადავიტანეთ.

1950 წლის მაისში, ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ბავშვები შეარჩიეს. გამგზავრების დღეს ყველა მონაწილე

სკოლის ეზოში კოხტად გამოწყობილი, გალამაზებული გამოცხადდა. ბავშვები მანქანაში ჩასხეს, მაგრამ გასვლა ვერ მოასწრეს, რომ კომენდანტმა იმის შემოწმება გადაწყვიტა, „სპეცგადასახლებულთა“ შვილებიც ხომ არ მიჰყავდათ. ასეთნი კი ორნი იყვნენ: ჩემი და და მისი მეგობარი — ლენა, ყირიმელი თათარი. კომენდანტმა ისინი მანქანიდან ჩამოსვა. მშობლები და მასწავლებლები ამან აღაშფოთა, არწმუნებდნენ, — ესენი ბავშვები არიან და საგანგებო წესები მათზე არ უნდა ვრცელდებოდესო, მაგრამ კომენდანტს გული ვერავინ მოულბო. ბავშვები ატირდნენ, მშობლებიც ტირიან, სთხოვენ გამონაკლისი დაუშვას და ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება მისცეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მიყენებულმა ჭრილობამ, დიდი ხნით დაამახსოვრა თავი ჩემს დას. მერეც ხშირად მოუხდა მძიმე დღეების გადატანა იმის გამო, რომ ვიღაცამ, ოდესღაც, შეგნებულად თუ უნებურად, მეორეხარისხოვან ადამიანებად — საგანგებოდ გადასახლებულებად — გვაქცია.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ სტალინმა არაფერი იცოდა ჩვენს გაჭირვებზე და ამას მისი გარემოცვის წევრები სჩადიოდნენ. „ახლა ის ომიდან ჩვენი ქვეყნის გამოყვანაზე ფიქრობს. წყეული ჰიტლერი, რა საზიზღარი და ვერაგია, მეგობრად მოაჩვენა თავი, სტალინმაც დაუჯერა, მან კი ზურგში ლახვარი ჩასცა. მაგრამ არაფერია, სტალინი ძლიერია, ჭკვიანია, გაუსწორდება. ჩვენ კი უნდა დავეხმაროთ. ჩვენი გასაჭირი მის გასაჭირთან, თავს რომ დაატყდა, რა მოსატანია. სახელმწიფო საქმეებს არ უნდა მოვწყვიტოთ, მოვითმინოთ! როცა ომი დამთავრდება, მივწერთ და აუცილებლად ყველაფერს გაარკვევს, ყველას დასჯის. რუსებისთვის სულ ერთია, რაც საქართველოში ხდება. ის კი ქართველია და თავისი ხალხის უბედურების ამბავს უყურადღებოდ არ დატოვებსო“. ომი დამთავრდა, ორდენოსანი ჯარისკაცები ფრონტიდან დაბრუნდნენ, კომუნისტებმა განცხადებები გაგზავნეს კრემლში. პასუხი არ გვაღირსეს და ისევ დაასკვნეს: ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ისინი, ვინც გადასახლებაში გამოგვიშვა, ისინი აკავებენ ჩვენს წერილებს და სტალინამდე არ უშვებენ, რომ სტალინმა არ დასაჯოს, მაგრამ ოდესმე მათთვისაც მოიცლის. სანამ ომის შემდეგ ქვეყანას ფეხზე დააყენებ-

დეს, ბევრი საზრუნავი აქვსო". და ჩვენც ველოდით, თუ როდის დადგებოდა ფეხზე ქვეყანა და როდის მოიცლიდნენ ჩვენთვის. ბულუნგურის მეურნეობის ბინადართ და საერთოდ, მთელ ქვეყანას, ყველაზე შავი დღე მაშინ გაუთენდა, როცა რადიოთი სტალინის გარდაცვალების ამბავი შეგვატყობინეს. რა ხდებოდა! სკოლებში მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც ტიროდნენ, სამუშაო ადგილებზე ქალებთან ერთად მამაკაცებიც მოთქვამდნენ, ოჯახებში მოხუცები ტიროდნენ. ეროვნების, ასაკის, მდგომარეობის მიუხედავად ყველა გოდებდა, ცრემლებისგან ყველას სახე შეშუპებოდა. გერმანელმა სუსანა პეტროვნამ შავი კრეპდეშინი იყიდა და ოთახის ყველა კედელს სამგლოვიარო ლენტები შემოავლო. დავტიროდით სტალინს და მასთან ერთად საკუთარი თავიც გამოვიგლოვეთ, რადგან მისმა სიკვდილმა ყველა ჩვენი იმედი დაამსხვრია, იმედი იმისა, რომ ოდესმე სიმართლე დადგინდებოდა, მეურნეობაში მცხოვრებ მესხებს კი სამშობლოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურათ.

ასეც მოხდა, როგორც ჩანს, მესხების საქართველოში დაბრუნებას მხოლოდ მისი სიკვდილი არ უშლიდა ხელს. იმ ადამიანებს, ვინც 1956 წელს საკომენდანტო მეთვალყურეობის კანონის გაუქმებას მოესწრო, დაბრუნება დღესაც არ შეუძლიათ. მაშინ კი სხვაგვარად ვფიქრობდით. რა გულუბრყვილო იყო საბჭოთა ხალხი, როგორ გვჯეროდა, რომ ეს სხვა, ცუდი, მოღალატე ადამიანები გვაწამებდნენ, სტალინმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. ათწლეულები დასჭირდა ხალხს იმის მისახვედრად, რომ წრეგადასულ უსამართლობას მისი მინიშნებითა თუ მითითებით სჩადიოდნენ. და, რაც მთავარია: რომ სისატიკე ადამიანებში მასიურად იყო გამჯდარი.

მხედველობა დღითი-დღე მიუარესდებოდა, სათვალე უნდა მეტარებინა. მეურნეობაში და ბულუნგურში სათვალეს ვერ იშოვიდა კაცი, ამიტომ სამარყანდში წავედი. 1953 წელი იდგა, ქუჩაში მივდივარ და უცებ ჩემი სახელი გავიგონე, ვიღაც მეძახის. გამიკვირდა, აქ ვინ უნდა მიცნობდეს-მეთქი. მივტრიალდი, თუმცა მაშინვე ვერ ვიცანი ჩვენი პედტექნიკუმის გეოგრაფიის მასწავლებელი. ორივეს გაგვიკვირდა სამარყანდში რომ შევხ-

ვდით ერთმანეთს. ფრონტზე პედტექნიკუმიდან წაიყვანეს. მანსურ ჰასანოვი იმავდროულად სასწავლო ნაწილის გამგედაც მუშაობდა. წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რაც მის არყოფნაში თავს გადაგვხდა. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ბაქოში დაუწყია მუშაობა კულტურის სამინისტროში და დროდადრო მივლინებებში აგზავნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი მივლინებისას შევხვდით ერთმანეთს აქ, სამარყანდში, და ექიმთანაც ერთად წავედით. ექიმმა სათვალე დამინიშნა +4,5. სათვალე ვიყიდეთ და ჩემთან სახლში წავედით, მამაჩემის მონახულება უნდოდა. გზაში მოვუყევი, დაკითხვებით როგორ მაწამებდნენ. მამაჩემს რომ ესაუბრებოდა, ჰკითხა, — მოსკოვს განცხადებით რატომ არ მიმართავთ, თქვენნაირი ჭეშმარიტი კომუნისტები ხომ თითზე ჩამოსათვლელია და ამ საქმეს აუცილებლად გაარკვევენო. მამამ უთხრა, რომ მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და წერილების წერას, თავის დამცირებას, ხვეწნა-მუდარას, რაიმეს მტკიცებას აღარ აპირებდა. მანსური დიდხანს არწმუნებდა და ბოლოს, დილისკენ, დაარწმუნა კიდეც, მოსკოვისთვის ერთხელ კიდევ მიემართა განცხადებით. დედა მანსურს იმედით შესცქეროდა და სჯეროდა, რომ ის ჩვენს დახმარებას შეძლებდა. დარწმუნებული რომ ყოფილიყო, დედამ გზის ფულიც კი მისცა. მანსური არ ართმევდა, მაგრამ დედამ დაიჟინა, — მოსკოვამდე გრძელი გზა გაქვსო. მანსური დაგვპირდა, რომ ჩვენს განცხადებას კრემლში გადასცემდა და განცხადების ჩაბარების დამადასტურებელ ცნობასაც გამოართმევდა. იმის გამო, რომ ჩემი ქმრის მოგვარე იყო, გვითხრა, რომ ჩემს მეუღლედ გაასაღებდა თავს. და მართლაც, თავისი მისია ღირსეულად შეასრულა. ჩვენგან ნოემბრის დასაწყისში წავიდა, განცხადების ჩაბარებისას სიტყვიერად მოუთხრო მათ ჩვენი ისტორია და უკვე 15 ნოემბერს მისი დეპეშაც მივიღეთ: „თქვენი გაცხადება ჩაიბარეს, ელოდეთ დადებით პასუხს“. იმავე დეპეშით გასულ შვიდ ნოემბერსაც გვილოცავდა. ნახევარი წლის შემდეგ, 1954 წლის 15 აპრილს, მთელი ოჯახი კომენდატურაში დაგვიბარეს. მივდიოდი და შიში სულს მიფორიაქებდა. ვინ იცის, რა გველოდა. ისიც კი მეგონა, ყველანი იმიტომ გამოგვიძახეს, მშობლებს ჩემი გასახლების ამბავი რომ შეატყობინონ-მეთქი. მერე, განცხადების ამბავს ვიხ-

სენებდი, შესაძლო ვარიანტებს ვარჩევდი. ალბათ, მშობლებს გაათ-ავისუფლებენ, მე კი გამაფრთხილებენ, რომ უნდა დავრჩე-მეთქი. ყოველმა ჩვენგანმა, ვინ იცის, რა არ იფიქრა და გადაიფიქრა, სანამ კომენდატურაში მივიდოდით. როცა ყველა ერთად, მორიდებით, კაბინეტში შევედით, უცებ ყველა ფეხზე წამოგვიდგა, სათითაოდ ჩამოგვართვეს ხელი და დაშვებული შეცდომის გამო ბოდიში მოგვიხადეს. გაკვირვებას ვერ ვფარავდით, როცა მაიორი, პოლკ-ოვნიკი, სხვა ოფიცრები, განუწყვეტლივ გვებოდიშებოდნენ და აღიარებდნენ, რომ ათი წლის განმავლობაში ჩვენი ოჯახი უსა-მართლოდ იტანჯებოდა. ხოლო როდესაც ოფიციალურად გა-მოგვიცხადეს, რომ ჩვენი ოჯახი თავისუფალია და შეუძლია იქ წავიდეს, სადაც მოისურვებს, დედამ მაშინვე ჰკითხა, — საქართველო-ში დაბრუნება შეიძლებაო? იმათაც უპასუხეს: — სადაც მოგე-სურვებათ, იქ წადით, თქვენ თავისუფალი მოქალაქეები ბრძან-დებითო. უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული. შინ კი არ მივ-დიოდით, მივფრინავდით. დედა მაშინვე ჩალაგებას შეუდგა და თქვა: — „ეს არასაიმედო სახელმწიფოა. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ამიტომ სანამ გადაუფიქრებიათ, აქედან დროზე უნდა გავემგზავროთო“.

იქ, უზბეკეთში, ხშირი იყო მიწისძვრები, მშრალი კლიმატის პირობებში წვიმა იშვიათად, თანაც მცირე ხნით თუ მოდიოდა. თუმცა ერთხელ სამი დღე გადაუღებლად იწვიმა. კედლები დას-ველდა, სახურავები წყლით გაიჟღინთა. მესამე დღეს კი, ღამით, მიწა იძრა და სახლები ისე შეაზანზარა, რომ კოჭები ჩამოცვივ-და და შიგნით კედლებს ისე ეხეთქებოდა, ლამის დაენგრია. ბავშვები შეშინდნენ, ტირიან. მაშინ უკვე მშობლებთან აღარ ვცხოვრობდით. დავიბენი — ხან ნივთებს წამოვავლებ ხელს, ხან ბავშვებს ვაცმევ, ფეხსაცმელს ვეძებ... ჩემი ბიჭი მიყურებს, მიყურებს და მერე მკარნახობს: „დედა, ჩვენი ჩაცმა აუცილებელი არ არის. საბანში შეგვფუთნე და გავიქცეთ, სანამ სახლი დაინგრეოდეს“.

ბევრ მიწისძვრას შევესწარით იქ ყოფნის დროს, მაგრამ ასეთი გამანადგურებელი მიწისძვრა არასდროს ყოფილა. ამჯერად გარემოებათა საბედისწერო დამთხვევა მოხდა — კოკისპირულ წვიმას თან მიწისძვრა დაერთო

ჩვენი მეურნეობა სიმდიდრით გამოირჩეოდა და თავის მაცხოვრებლებზე ზრუნავდა. ჩვენი ბარაკი მეორე დღესვე აღადგინეს, მაგრამ ამის შემდეგ დედამ საკუთარი სახლის აშენება მტკიცედ გადაწყვიტა. საქონელი მეურნეობაში გადასვლისთანავე შევიძინეთ. ბარაკების წინ პირუტყვის სადგომები მოეწყოთ. ჩვენ ძროხები, თხები, ცხვრები, ქათმები გვყავდა, სახლში სადღვებელი გექონდა და ოჯახისთვის კარაქს, ყველს, არაჟანს, ხაჭოს თვითონ ვამზადებდით.

დედა მეურნეობას იმ წესისა და რიგის მიხედვით უძღვებოდა, როგორც ამას საქართველოში იყო შეჩვეული. ნიადაგსა და კლიმატს ვერაფერი მოუხერხა, თორემ სხვა ყველაფერი, რისი გადაკეთებაც შეიძლებოდა, ქართულ ყაიდაზე გადააკეთა.

როცა საქართველოში დაბრუნების ნებართვა მივიღეთ, ერთი კვირა ემზადებოდა. პირუტყვი გაყიდა, სამშენებლო მასალა უმცროს ბიძას დაუტოვა, რომელიც დედინაცვალთან (დედამისის უფროს დასთან) ერთად ცხოვრობდა, ძალიან უჭირდათ და თვითონ სახლის აშენებას ვერ შეძლებდნენ. საოჯახო ნივთები მეზობლებს სამახსოვროდ დავუტოვეთ. წამოვიღეთ ორი ხალიჩა, ქსოვილები, რომელთა შეკერვაც ვერ მოვასწარით, კრაველის რამოდენიმე ტყავი და ფული, რათა დაბრუნებისთანავე სახლი გვეყიდა. ყველას ახალი საბუთები გადმოგვცეს და კრასნოვოდსკიდან ბაქოში გემით ჩავედით. ბაქოში, სანამ თბილისის ბილეთებს ვიშოვნიდით, ორი-სამი დღით ქმრის ნათესავებთან შევჩერდით, მაგრამ დაუბრკოლებლად არასდროს არაფერი გამოგვდის. ვაგონებში ჩავსხედით თუ არა, სატვირთულში ჩემოდნების ჩაბარგება დავიწყეთ და აღმოვაჩინეთ, რომ პატარა ჩემოდანი, რომელშიც მთელი ჩვენი დოკუმენტები, ფოტოალბომი და რამდენიმე ოქროს „გვირგვინი“ მოვათავსეთ, სადღაც გაქრა. 1954 წლის 30 აპრილს უსაბუთოდ, მაგრამ ბედნიერნი დავბრუნდით თბილისში. ერთ ხანს უფროს დასთან ვცხოვრობდით, მაგრამ ვიცოდით, რომ სამსახურს ვერ ვიშოვიდით და სიძის რჩევით, დმანისში გავემგზავრეთ. იქ მისი ნათესავები ცხოვრობდნენ, მათ წამყვანი ადგილები ეკავათ რაიონში და დოკუმენტების აღდგენამდე, სამსახურის შოვნასა და ჩაწერაში დაგვეხმარნენ. ჩემმა ქმარმა ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო სკოლაში მუშაობა, მე კი — საბავშვო ბაღის აღმზრდელად.

დაკითხვებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ისევ შიშმა ამიტანა, ვაითუ საბუთები არ აღგვიდგინონ-მეთქი. მილიციის, ან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანის დანახვაზე შიშისგან მაკანკალებდა. მეჩვენებოდა, რომ ჩემი უბედურების ამბავი ყველამ იცოდა. ამ ფონზე საშინელი ხილვები დამეწყო: ღამით ხმები მესმოდა, გარკვევით იძახდნენ ჩემს სახელს, მეც ვდგებოდი და ამ ხმას მივყვებოდი. ყველას ეგონა, რომ ვგიჟდებოდი. ამ წელს ჩემმა დამ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, მეშვიდე კლასში გააგრძელა სწავლა. შემოდგომაზე მშობლებმა ის უფროს დასთან დატოვეს და ჩემთან ჩამოვიდნენ. მამა რაიონულ სამომხმარებლო კავშირში მოეწყო, დედა კი ბავშვების აღზრდაში მეხმარებოდა. ჯერ ძველი ფოსტის შენობაში ვცხოვრობდით, მერე კი კერძო სახლში ბინა ვიქირავეთ.

დმანისი მთიანია რაიონია, იქაური კლიმატი ყველას არ უხდება. მამაჩემს და ჩემს ვაჟსაც არ მოუხდა. მამა ისევ ხშირად ავადმყოფობდა, სუნთქვა უჭირდა. ჩემს ვაჟს კი თანდაყოლილი არითმია ჰქონდა და ექიმებმა მისი თბილისში წაყვანა მირჩიეს. დედა, მამა და ვაჟი ჩემთან ერთად ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ფული თვალსა და ხელს შუა გვიქრებოდა. დედა შიშობდა, რომ დანაზოგის ნარჩენი ქალაქში სახლის საყიდლად არ ეყოფოდა. ხელფასი მხოლოდ საკვებზე გვყოფნიდა. 1955 წლის გაზაფხულზე ისინი თბილისში გადავიდნენ, ჩემი დის მახლობლად, ვაკეში, ახლანდელ წყნეთის ქუჩაზე პატარა სახლის ყიდვა მოახერხეს, რომელიც ორი ოთახისა და შუშაბანდისგან შედგებოდა. ყველაზე მეტად ჩემს მშობლებს ის მოეწონათ, რომ სახლს პატარა ბაღი ეკვროდა, სადაც ხილის ხეები იდგა. ჩემს ვაჟთან ერთად, უჩემოდ, ოთხი წელი ცხოვრობდნენ. დმანისის კლიმატი არც მე მრგებდა, რადგან გული მაწუხებდა, თბილისში კი ჩაუწერლად სამსახურს ვერ ვიშოვიდი, ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა შიმშილით მოვკვდებოდი თუ ავადმყოფობით და სხვა რა გზა მქონდა, ვითმენდი. კიდევ დიდხანს ვიყავი უხილავი ძაფით გადასახლების შედეგებზე მიჯაჭვული. ერთხელ მაღაზიაში ჩემი სახელი შემომესმა. სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები სწორედ იმ ხანად მაწუხებდა და ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. მაინც მივტრიალდი, რათა დავრწმუნებულიყავი,

რომ ჩემს ზურგსუკან არავინ იდგა. მაგრამ ამჯერად რეალური ადამიანი დავინახე. ადიგენის პედტექნიკუმში ფიზიკას ასწავლიდა, თბილისელი გახლდათ. ომის დაწყებისთანავე ფრონტზე იქიდან გაიწვიეს, ცოლი და პატარა ვაჟიშვილი კი ადიგენში დარჩნენ. ვიცოდი, რომ ისინი — მთელი სოფელი — ნამანყანში მოხვდნენ. რაკი ოჯახი ვერსად იპოვა, ის ხელმეორედ დაქორწინდა და დმანისთან ახლოს მუშაობდა. მკითხა: ხომ არაფერი გსმენია ჩემი ოჯახის შესახებ, სად შეიძლება იყვნენო. ახლა სად იყო მისი ცოლი, არ ვიცოდი, მაგრამ მთელი იმ სოფლის მაცხოვრებლები თავიდან სადაც მოხვდნენ, ეს ვუთხარი. მერეც ვხვდებოდი ხოლმე რაიონში, თავისი ოჯახი უპოვია, მაგრამ ცოლი ცოცხალი აღარ დახვედრია, ავადმყოფობას ემსხვერპლა თურმე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძმებს ბავშვი აუყვანიათ და თავის შვილებთან ერთად აღუზრდიათ. შვილის მოსანახულებლად ხშირად მიდიოდა შუა აზიაში, თუმცა ვაჟი მასთან საცხოვრებლად არ გადმოსულა, რადგან ბიძების ეუხერხულებოდა, მათ ხომ სიკვდილისგან იხსნეს მძიმე წლებში და ფეხზეც დააყენეს. საბავშვო ბაღში ჩემთან ერთად ორი ქართველი ქალიც მუშაობდა. საერთოდ, დმანისი მრავალეროვანი რაიონია. იქ, როგორც, სხვათა შორის, ადიგენში, ყველა მეგობრულად ცხოვრობდა; მიუხედავად იმისა, რომ ბედმა სხვადასხვა მხრიდან გადმოაგდო დმანისში — გერმანელები, დუხობორები, ბერძნები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ქართველები — მეზობლები რელიგიური და ეროვნული ნიშნით ერთმანეთს არ ასხვავებდნენ. დაყოფა მხოლოდ იმ ნიშნით ხდებოდა, რომ ჩვენს შორის იყვნენ ცუდებიც, მავნებლებიც, ხარბებიც და კეთილებიც, კარგებიც და გულისხმიერებიც. ჩვენ ცხოვრების კარგი სკოლა გვქონდა გავლილი და საკუთარი წარსულის აფიშირებას არ ვახდენდით. არც არავინ იცოდა იმის შესახებ, რომ ყოფილი გადასახლებულები ვიყავით. სამსახურში აზერბაიჯანელად მთვლიდნენ. ეს ყველას აწყობდა, ჩემი დაწყვეტილი ნერვებისათვის კი იდეალური ვარიანტი გახლდათ.

მაგრამ, როცა ბავშვები სასეირნოდ გაგვყავდა, სხვა დედების სიახლოვეს ჩამოვჯდებოდით ხოლმე, ერთმანეთს ბევრ რამეს უყვებოდნენ. საერთო თემა ჰქონდათ — მუდამ იმას იხსენებდნენ,

ომის წლებში ძალდატანებით როგორ გაასახლეს ბორჯომს იქით. არ უნდოდათ, მაგრამ აზრს არავინ ეკითხებოდა. რა გულდამძიმებულები დასახლდნენ ამ მხარეში. მაგრამ როცა ცარიელი ადგილებისა და გამოცარიელებული სახლების ნაცვლად ახალაშენებულ, დოვლათით სავსე, კარგად მოწყობილ სახლებში მოხვდნენ, შედარებით დამშვიდდნენ. გადამალულ ქონებას ყოველდღე პოულობდნენ. გარდა იმისა, რომ სკივრებში ახალი, გამოსასვლელი ტანსაცმელი ინახებოდა, შიგ ძვირფას ძველებურ სამაჯურებს, ყელსაბამებსა და ვერცხლის ქამრებსაც პოულობდნენ. უფროსი აღმზრდელის, კლარა ტრაპაიძის ოჯახი ორსართულიან სახლში დაბინავებულა: ორი ძმა მეუღლეებითურთ და დედა. დედამთილს თავის ოთახში ქონებით სავსე სკივრი უპოვია. მიუხედავად იმისა, რომ რძლებმაც ბევრი რამ იპოვეს, მათ დედამთილი აიძულეს, ნაპოვნი ქონება რძლებისთვის სიცოცხლეშივე გაენაწილებინა

(ყველაფერს ისე ვყვები, როგორ მომითხრობდნენ, თვითონ არაფერს ვამატებ). დედამთილმაც დაუთმო ყველაფერი, მაგრამ ვინაიდან ერთნაირ ნივთებს ვერ შეახვედრებდა, უთხრა: ყველა ნივთი სათითაოა, ამიტომ იმას დასჯერდით, რაც შეგხვდებათო და განაწილებას შეუდგა. ცხადია, რძლებს მოეჩვენათ, რომ მეორე რძალს მასზე მეტი რამ ერგო და როცა განაწილება დაამთავრეს, ყოველი მათგანი დედამთილს მეორე რძალთან, ანუ იმასთან აგდებდა, რომელსაც მათი აზრით „მეტი“ შეხვდა. ძმები ერთმანეთს გადაჰკიდეს. ერთ დღესაც, ძმებმა აივანზე საქმის გარჩევა დაიწყეს, შეპასუხება ჩხუბსა და გინებაში გადაიზარდა. ხმაურზე დედა გამოვიდა და მათი შერიგება სცადა, მაგრამ სიბრაზემ იმძლავრა ძმების გულებში და ისინიც ერთმანეთს წაეკიდნენ. დედა მათ დაშოშმინებას ცდილობდა, მაგრამ ერთ-ერთმა ძმამ სიბრაზისგან ხელი ისე ძლიერ ჰკრა, რომ აივნის მოაჯირს მიაწყდა და გადავარდა, დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა. როცა მოყოლა დაასრულა, კლარამ დაამატა: სავსე სახლებში შესულთაგან ბედნიერებას ვერავინ ეღირსა, რადგან ეს დოვლათი მისმა პატრონებმა მწარე ცრემლებით მიატოვესო. ამ ამბავმა მედდა ეთერსაც გაახსენა, რომ მათაც აშენებული სახლი მისცეს ადიგენის რაიონში, სოფელ ჭეჭლაში. მეზობლები ხან ბაღში პოულობდნენ რაღაცას, ხან სარდაფში, ხანაც დან-

გრეული სახლის საძირკველში. ეთერის ძმასაც მთელი ბაღი გადაუთხრია, გადაუჩხრეკია ყველა კუთხე-კუნჭული, სადაც კი რაიმეს პოვნა შეიძლებოდა, მაგრამ ვერაფერი უპოვია და დაუსკვნია: სახლის პატრონმა ალბათ საძირკველში ჩაფლა ავლა-დიდებაო. „არ გაიხაროს ჩემმა ძმამ", — ასე იწყებდა ეთერი ამ ამბავს, რადგან მისმა ძმამ განძის ძებნაში ქვა-ქვა დაშალა სახლი და მას მერე, რაკი ვერაფერი იპოვა, ომის შემდეგ წვალებით შეგროვებული ფულით სახლს უკვე რამდენი წელია აშენებდა, თვითონ კი მის დამთავრებამდე, მიწურ ქოხში ცხოვრობდნენ.

ჩვენი ურთიერთობის ასეთ წუთებში ვიჯექი და ვდუმდი, ჩემთვის ვფიქრობდი: — რომ იცოდნენ, ეს სახლები ჩემმა თანამემამულეებმა, მაჰმადიანმა მესხებმა რომ ააშენეს, საინტერესოა, ასევე გულღიად ილაპარაკებდნენ ჩემი თანდასწრებით თუ არა-მეთქი. ანდა, ჩემი ისტორია რომ მომეთხრო, თუ როგორ გაგვასახლეს მოულოდნელად ისე, რომ ჩაცმაც ვერ მოვასწარით და ვისაც რა გვემოსა, შუა ზამთარში, ტრიალ ადგილზე იმით გაგვიყვანეს, ხოლო ჩვენი საზამთროდ მომზადებული სახლები, ყველაფერი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი შრომით მოვიპოვეთ, იქ დარჩა და უცხოებს ერგო. და მიუხედავად ამისა, ბოღმას გულში არ ვინახავდი, მაინც ილაპარაკებდნენ?!

ვეჭვობ, რომ დაეჯერებინათ. მაგრამ ბედის ირონია იყო, ალბათ, ჩემი თანდასწრებით რომ ყვებოდნენ ამ ამბებს...

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კი, როცა ქმრის დაკრძალვაზე ვიყავი სოფელ მსხალდიდში, სოფლის ერთ-ერთი სტუმარი დაინტერესდა: — ვინ არის ეს ხალხი, ადრე ისინი ამ სოფელში არ მინახავს და თქვენს სასაფლაოზე რად ასაფლავებენ თავის მიცვალებულსო. სოფლის მცხოვრებლებმა აუხსნეს, — ეს ოჯახი აქ უკვე მესამე მიცვალებულს ასაფლავებს, რადგან მესხეთიდან გასახლებული თურქები არიან. იქ დაკრძალვას არ დაანებებენ და მათმა თბილისელმა მეზობელმა, ჩვენი სოფლის მკვიდრმა, სოფელს სთხოვა, რომ გარდაცვლილების აქ დამარხვის ნება მიგვეცაო. სტუმარმა უთხრა: — ამ ხალხის ისტორიას კარგად ვიცნობ, თვითონაც თარაქამა ვარ, იმ წლებში მესხეთის მილიციაში ვმუშაობდი. როცა ეგენი გაიყვანეს, დაცლილ სოფლებში

სამი დღე გაუთავებლად ყეფდნენ ძაღლები და მიტოვებული პირუტყვი ბღაოდა. ამ ხმაურის გაგონებაზე ყველას თმები ყალყზე უდგებოდა. სოფელში შესვლას ბევრი ვერ ბედავდა, სიბრალულისგან გული ლამის ყველას გაგვხეთქოდაო. ალბათ ეს სურათი ძალზე მკაფიოდ წარმოუდგა თვალწინ, რადგან ცუდად გახდა და გულზე ხელი იტაცა. ეს მხცოვანი ადამიანი კინაღამ არ მოკვდა. ამ ამბის მთხრობელიც მე არ გახლავართ, თვითმხილველები მომიყვნენ. ძალზე ძნელია, საკუთარი ხალხისგან მოწყვეტილად ცხოვრება. ჩვენზე უკეთ ვის მოეხსენება, თუ რა მძიმე ასატანია, როცა მიცვალებულს სამი-ოთხი ჭირისუფალი თან დასტირის და თან დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საქმესაც თვითონ აგვარებს...

დმანისში მშვიდად ვცხოვრობდით. ჩემი ქალიშვილი იქ რუსულ საშუალო სკოლაში სწავლობდა. პატივს გვცემდნენ, შეურაცხყოფას არავინ გვაყენებდა. როგორც ყველა, ჩვენც ისე ვცხოვრობდით. ხუთი კლასი ჩემმა ქალიშვილმა დმანისში დაამთავრა. ჩემი ჯანმრთელობა კი წლიდან წლამდე უარესდებოდა. შეიძლება ვაჟიშვილის მონატრებამ, შეიძლება კლიმატმა, ანდა ავადმყოფობამ, ჩემს გულზე იმოქმედა და ისიც წარამარა თავს მახსენებდა. 1957 წლიდან შინაგანი გადაწყვეტილება მივიღე, რომ აქედან წავსულიყავი. თუმცა მასწავლებლები არ მირჩევდნენ ქალიშვილის ამ სკოლიდან გადაყვანას, ვიდრე ის ხუთ კლასს არ დაამთავრებდა და მეც ამას ველოდებოდი.

იმ წლებში გრიპის ეპიდემია მძვინვარებდა, ჩემმა ქალიშვილმა ძალიან მძიმედ გადაიტანა ეს ინფექცია. გრიპმა ძალიან დაასუსტა და თბილისში წავიყვანე ექიმებთან. ექიმებმა გასინჯეს და მითხრეს, — აქედან არ წაიყვანოო. ასე მოეწყო ჩვენი საქმე: ზოგი ჭირი მარგებელიაო. დმანისში აღარ დავბრუნებულვართ. 1959-60 წლის სასწავლო წლის დამდეგისთვის უკვე თბილისში ვცხოვრობდით. ჩემი ქალიშვილი, ვენერა, ორმოცდამეთექვსმეტე რუსულ სკოლაში შევიდა, ვაჟი, რაუფი კი ორმოცდამეთორმეტე რუსულ სკოლაში სწავლობდა. 56-ე სკოლაში ორ უცხო ენას — გერმანულსა და ინგლისურს — ასწავლიდნენ, 52-ე სკოლაში კი — ფრანგულსა და ინგლისურს. ქალიშვილი

მანამდე გერმანულს სწავლობდა და ამიტომ ორივე შვილი ერთ სკოლაში ვერ ისწავლიდა. სანამ რაიონში ვცხოვრობდით, მთელი ჩვენი ფული დმანისიდან თბილისში წინ და უკან მგზავრობაში გვეხარჯებოდა, რადგან ყოველ კვირა, შაბათ საღამოს, თბილისში მივდიოდი, კვირა საღამოს კი შინ ვბრუნდებოდი. მშობლები პურის მაღაზიაში მოეწყვნენ, მამა — გამყიდველად მუშაობდა, დედა კი ეხმარებოდა და მაღაზიას უვლიდა. როცა ჩამოვედი, მეც იმ მაღაზიაში გამაფორმეს თანამშრომლად და ბოლოს და ბოლოს, თბილისში ჩამწერეს. ისევ კერვას მივყავი ხელი და შეკვეთებსაც ვიღებდი, მიუხედავად ცუდი მხედველობისა, თავი ხომ უნდა მერჩინა! მამას ცოტა ეთაკილებოდა, თრგუნავდა ის მდგომარეობა, როცა ვალდებული ხარ ყველას გულის მოგებას ეცადო, ყველას ულიმოდე, თუმცა ყოფილ გადასახლებულებს საქართველოში უკეთესის იმედი არ უნდა ჰქონოდათ; თანდათან ისიც შეეგუა ამას და თავს ანდაზებითღა იმშვიდებდა, როგორიცაა მაგალითად: — ფქვილში ამოგანგლულ ტანსაცმელში მნახეს და მეწისქვილე ვეგონე, ან თხრილში თუ ჩავარდი, ან მგელი შეგჭამს, ან ყორანი დაგკორტნისო.

ისევ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით და ვცდილობდით სულით არ დავცემულიყავით და გაგვეძლო. ქმარს ჩვენთან გადმოსვლა არ შეეძლო, უდიპლომოდ სამსახურს ვერ იშოვნიდა. აზერბაიჯანის არქივებში ვერაფერი იპოვა და იძულებული შეიქნა თავიდან დაეწყო, ანუ სკოლა დაემთავრებინა, ატესტატი აეღო, მერე ფიზკულტურის ინსტიტუტში დაუსწრებელზე ჩაებარებინა. ახლა ამით იყო დაკავებული. სკოლის დამთავრების შემდეგ ბაქოს ინსტიტუტში ჩააბარა. ამ დროისთვის ჩემმა ქალიშვილმა სკოლა დაამთავრა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ოჯახში ორი სტუდენტი მყავდა, აბიტურიენტი ვაჟი კი უცხო ენების ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად უნდა მომემზადებინა და იმ ორი ოთახის მშენებლობა და რემონტი დამემთავრებინა, რომელთა მიშენებაც მშობლების დახმარებით მოვახერხე, თუმცა მათაც ბევრი აღარაფერი გააჩნდათ.

ორი წლის მერე, რაც ბულუნგურიდან ჩამოვედით, ფინგანის

(ფინანსური განყოფილების) თანამშრომლებმა მოგვაკითხეს, დედას ის დოკუმენტი წარმოუდგინეს, რომლის მიხედვითაც ბულუნგურში აღებული გრძელვადიანი სესხი — 7000 მანეთი — უკან უნდა დაებრუნებინა, თუმცა ამ თანხას პროცენტები დაემატა და ახლა 37.000 მანეთს შეადგენდა. ერთბაშად ამ დიდი თანხის გადახდა შეუძლებელი იყო და დედამ, ვითარება აუხსნა და ამ ვალის გასასტუმრებლად ორი წლის ვადა ითხოვა. ვალის ანგარიშში მორიგი შესატანი რომ შეჰქონდა, ჩიოდა ხოლმე: — სახელმწიფო ჩვენ ხარჯზე მდიდრდება. ათი წლის წინ, როცა 1 კგ ფქვილი 250 მანეთი ღირდა, ძალით შემოგვაჩეჩეს 7.000 მანეთი, ახლა კი, როცა 1 კგ ფქვილი 30 კაპიკი ღირს, 37.000 მანეთს გვართმევენ. თუ დასჭირდათ, მიწიდან ამოგთხრიან და მოგაგნებენ, თუ შენ დაგჭირდა რამე, არქივში ცნობასაც ვერ იპოვნიანო. არქივები კი, სადაც ჩვენი დოკუმენტაცია ინახებოდა, ყველგან დაიწვა, თუმცა ჩვენი ვალების აღმნუსხველი საბუთები არც წყალში იძირებოდა, არც ცეცხლში იწვოდა. ჩემი შეუპოვარი დედა ამ მდგომარეობიდანაც ღირსეულად გამოვიდა, უკანასკნელ კაპიკამდე დავფარეთ ეს ვალი.

ამ წლებში საქართველოსა და სომხეთში ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ემიგრანტი სომხები. ჩვენს გვერდით ემიგრანტები დასახლდნენ. ქმარი სომეხი იყო, ცოლი — ბერძენი. ორი ქალიშვილი ჰყავდათ. პატარა ფაცხა შეიძინეს და ახლა მის საცხოვრებელ სახლად გადაკეთებას თავიანთი ძალებით ცდილობდნენ. მშენებარე სახლთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ, დედას ბავშვებიანად ჩვენს სახლში დაბინავების უფლება სთხოვეს. რა თქმა უნდა, დედამ ამის ნება დართო. მადლიერების ნიშნად ბერძენმა ემიგრანტმა ქალმა შემომთავაზა: თმის ქიმიურ დახვევას გასწავლიო. მაშინ ასეთ ვარცხნილობას აქ არავინ აკეთებდა. დედა დაჟინებით მირჩევდა, რომ მესწავლა: — კერვა დაგაბრმავებსო. როგორც ყოველთვის, თავის არიდებას ვცდილობდი — საკუთარი თმა ვერ დამივარცხნია და ამ საქმეს ისე როგორ ვისწავლი, რომ კლიენტების რიგი დადგეს ჩემს კართან, ამას ხომ ნიჭი და გამოცდილება სჭირდება-მეთქი. პასუხი ერთი იყო: „— დაივიწყე სიტყვა — არ შემიძლია, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს,

მაშასადამე, შესაძლებელია და შეძლებ კიდეც". და ამჯერადაც გამართლდა მისი სიტყვები, — ესეც შევძელი. ყველა მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდა, თავის მეგობრულ ოჯახში ისე მიგვიღეს, თითქოს მათთან ერთად დავსახლებულიყავით ამ უბანში; რომ არა ასეთი გამოთქმა — „მერე რა, რომ თათრები (მუსულმანები, თურქები) არიან, კარგი ხალხია", — ყველაფერი ნორმალურად იქნებოდა. თუმცა, ამ სიტყვების გარდა, სხვა რამ წყენა მათგან არ გვახსოვს, იმის გარჩევაც კი არ დაგვიწყია „თათრებს" რატომ გვეძახდნენ. ამასობაში იარლიყებს შევეჩვიეთ კიდეც და ყურადღებას აღარ ვაქცევდით, — ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, მთავარია, ჩვენ არ გვეხებიანო. ვინაიდან ჩემი ვაჟი ბავშვობიდანვე ქართულენოვანი ბავშვების გარემოცვაში იზრდებოდა, ქართულ ენაზე მეეტყველება არ უჭირდა, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს ქალიშვილსა და დაზე. ტრანსპორტში, თუ სხვაგან, გამოთქმასთან დაკავშირებით საყვედურობდნენ: — რას მეტიჩრობ, დიდი ხანია, რაც რუსული ისწავლეო? შინაურები ვამშვიდებდით, — მართალს გეუბნებიან, ხომ შეგეძლოთ ქართული გესწავლათ, გარეგნულად ქართველებისგან არაფრით გამოირჩევით და საიდან უნდა იცოდნენ, რომ რუსული თავის გადარჩენისათვის ისწავლეთ. ახლა ადექით და ქართული ენა ისწავლეთ-თქო. სცადეს ქართულ ენაზე ელაპარაკათ, მაგრამ დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ. რამდენჯერ დაბრუნებულან სახლში თვალცრემლიანები.

მაშინ ჩვენთან ქართველი ისტორიკოსები მოდიოდნენ, იმ მესხებს ხვდებოდნენ, რომლებიც კომპარტიის ცეკას მესხეთში დაბრუნების თხოვნით მიმართავდნენ. შოთა ლომსაძის დაჟინებული თხოვნით, ჩემი და არქივში წავიდა, რათა ჩვენი ქართული გვარები აღედგინა, ამისთვის კი არქივიდან ცნობა გვჭირდებოდა. ბავშვებს ამ დროისთვის ენა უკვე კარგად ესმოდათ, თუმცა ლაპარაკს ვერ ბედავდნენ, დაცინვის ეშინოდათ. ცნობის მისაღებად რომ იცდიდა, ჩემმა დამ არქივის ორი თანამშრომელი ქალის საუბარს მოჰკრა ყური: — ყველა თათარმა გაქართველება მოინდომაო. ცნობას აღარც დალოდებია, მიატოვა იქაურობა და შინ დაბრუნებულმა გვითხრა: — არასოდეს აღარ ვეცდები ქართველებთან ჩემი მიკუთვნებულობის აღდგენასო. იმ დღიდან ჩვენი ძველის-ძველი ქართული გვარების

აღდგენის საკითხი დახურულ თემად იქცა ჩვენს ოჯახში. გადავწყვიტეთ გვეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობს მილიონობით ადამიანი ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში.

მშენებლობა, რემონტი დავასრულეთ, სახლი ავეჯით გავაწყვეთ, ბავშვები სწავლობდნენ, ცხოვრება ასე თუ ისე გრძელდებოდა, სხვებზე უკეთესად თუ არა, სხვებზე უარესადაც არ ვცხოვრობდით. თითქმის გავიმართეთ წელში, გადასახლებულების შეგრძნებისაგან ვთავისუფლდებოდით და უკვე ვაცნობიერებდით, რომ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები ვიყავით. დავივიწყეთ ბრძნული ანდაზა: ნაადრევად ამღერებული ჩიტი კატის კლანჭებში ჩავარდებაო. მიუხედავად იმისა, რომ მთელ ქვეყანაში სტალინის მმართველობის დროს ჩადენილი უსამართლობის მხილება და დაზარალებულთა რეაბილიტაცია დაიწყო, ოდესღაც დამყარებული რეჟიმი მაინც მოქმედებდა. დედა ჩვენი უბნის სახლკომმა გამოიძახა და უთხრა, — ჩემთან ვიღაც-ვიღაცეები მოვიდნენ, აინტერესებდათ ჩვენს უბანში გადასახლებიდან დაბრუნებულები ხომ არ ცხოვრობენო. მასთან ვინ მივიდა ამის გასარკვევად, ამ ქალბატონს არ უთქვამს. ეს ფრაზის მიღმა იგულისხმებოდა და დედას ურჩია, დროებით, ვიდრე შემოწმებების ტალღა გადაივლიდა, საქართველოს ფარგლებს გარეთ გვეცხოვრა. 1960 წლის ზაფხულში, რაღაც-რაღაც ნივთები წამოვკრიფეთ და აზერბაიჯანში გავემგზავრეთ, მამაჩემის ნახევარდასთან, ქალაქ მერდექენში. შინ მხოლოდ ჩემი ქმარი დარჩა. იქაც კი არავისთვის აგვიხსნია, მთელი ოჯახი რა ქარმა, ან რა დროით, გადაგვისროლა აზერბაიჯანში. კარის ყოველ დაკაკუნებაზე შიშისგან გული გვეყინებოდა, გვეგონა, რომ მოგვაგნეს. ერთი თვის შემდეგ დამ დეპეშა გამოგვიგზავნა: — დაბრუნდითო. შეიძლება ითქვას, რომ რაც იმ ზაფხულს განვიცადეთ, ეს კიდევ ერთ გადასახლებას უდრიდა. ჩვენი ოჯახის ყველა წევრს ხელახლა თვალწინ წარმოუდგა გადასახლების ათი წელი და ხელახალი გადასახლების შიში კიდევ ერთხელ გამოვცადეთ. მთელი ის ერთი თვე დაძაბულ მოლოდინში გავატარეთ. სტუმართმოყვარე მასპინძლებს ვერ გაეგოთ, რა გვაწუხებდა, რადგან ბავშვებიც კი გავაფრთხილეთ არავისთან დასცდენოდათ, რომ ამ ოჯახს საქართველოდან ნათესავები ესტუმრნენ. წამოსვლის წინ

გავუმხილეთ, რაში გვჭირდებოდა ასეთი მკაცრი კონსპირაცია და ბოდიშიც მოვუხადეთ. მოარულ გამოთქმად გვექცა: კედლებსაც ყურები აქვსო. ეს მწარე დასკვნა ჩვენმა ოჯახმა თავისი გამოცდილებით გააკეთა, რადგან მთელი ცხოვრება მხოლოდ იმას ვცდილობდით, თავი დროულად გაგვეწია განზე, რომ ქვა არ მოგვხვედროდა.

ამ იძულებითი გაქცევის შემდეგ დავბრუნდით და რამდენიმე წლის განმავლობაში მშვიდად ვცხოვრობდით. შევიტყვეთ, რომ ისინი, ვინც არავინ გააფრთხილა, — ასურელები, ქურთები, იმ წელს გაესახლებინათ. ეს კამპანია, მართალია, მესხებზე არ იყო გათვლილი, მაგრამ ამ საერთო „წმენდაში“ შეიძლება ჩვენც მოვეყოლებინეთ.

ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენს უბანში კოოპერატიული მშენებლობის წარმომადგენლები გამოჩნდნენ, მეზობლების კოოპერატივში გაერთიანებაზე დაყოლიებას რომ ცდილობდნენ. პირდებოდნენ, რომ ფულს მისცემდნენ იმათ, ვინც კორპუსის აშენებამდე საგარანტიო წერილით იცხოვრებდა ბინაში. ზოგს გაუხარდა, რომ კორპუსში იცხოვრებდა, ზოგს კოლოფებში შეძვრომა არ სურდა. ორი მიზეზის გამო ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევდა: ჯერ ერთი, ბაღის დაკარგვა არ გვინდოდა, რადგან მამას იქ, თავს გადახდენილი ყველა სატკივარი ავიწყდებოდა, მიწის ჩიჩქნა ამშვიდებდა, მეორეც — სამოთახიანის ნაცვლად, რაც მეკუთვნოდა, ორ-ოთახიან ბინას გვთავაზობდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ძალა აღმართს ხნავსო. როცა ცალ-ცალკე ყველა დააკმაყოფილეს, ჩვენც სხვა აღარაფერი დაგვრჩენოდა და საგარანტიო წერილი ავიღეთ. მითხრეს: — თუ დიდი ფართი გინდა, ციმბირში წადიო. ციმბირის შეხსენებაზე, გავჩერდი და სხვების მსგავად, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ, კოოპერატივისთვის არ მიჩივლია. როგორც დრომ გვაჩვენა, — სწორადაც მოვიქეცი, რადგან ის ერთადერთი მეზობელი ქალი, რომელმაც პროცესი მოიგო, გაგიჟდა. ამას მტერსაც არ უსურვებს კაცი. ცხადია, იმ ბინებში ფულის გადახდას არც აპირებდნენ, რომლებშიც სამშენებლო კომისიის მიერ კორპუსის ჩაბარებამდე უნდა

გვეცხოვრა. დედამ ამჯერადაც წინდახედულება და გონიერება გამოიჩინა. ჭიანჭველებივით დავშალეთ ჩვენი სახლი და გაოცებული მეზობლების თვალწინ მთელი სამშენებლო მასალა — ფიცრები, ფანჯრები, კარები, შიფერი — ქვემოთ, მდინარის პირას მცხოვრებ მეზობლებთან ჩავზიდეთ. დედა მოელაპარაკა, რომ როცა ჩვენი ბინები მზად იქნებოდა მეზობელს ამ ოროთახიანი სახლის მასალას ანაზღაურების გარეშე დაუტოვებდა. მეზობელი დათანხმდა, ბაღის იმ ნაწილში, სადაც ეს მასალა დავაწყეთ, ხომ მაინც არაფერი მოჰყავდა, კოოპერატივის წევრები კი გვარწმუნებდნენ, რომ აქ აღარაფრის აშენებას არ აპირებდნენ. თუმცა, როგორც ამბობენ, — მადა ჭამაში მოდისო. როცა ჩვენი კორპუსების მშენებლობა წამოიწყეს, მდინარის პირას სახლების აშენების მსურველებიც გამოჩნდნენ. ჩვენ და ჩვენი მეზობელი უკვე სხვა მეზობლებთან ვიყავით საცხოვრებლად გადასული. წელიწადნახევარში გავკოტრდით, რადგან სახლის დიასახლისი ჩვენი გამოუვალი მდგომარეობით სარგებლობდა და გადასახადს ყოველ თვე გვიზრდიდა. ფული საარსებოდაც აღარ გვყოფნიდა და იძულებული გავხდით დაუმთავრებელ ბინაში შევსახლებულიყავით. უფანჯრებო, უკარებო, უიატაკო და უწყლო ბინაში ერთი წელი ერთ ოთახში შვიდი სული ვცხოვრობდით. მეზობლები გაოცებული იყვნენ ჩვენი გამძლეობით, განსაკუთრებით ზამთრობით გვიჭირდა, მაგრამ არჩევანი არ გვქონდა. ზოგჯერ თვითონაც გვიკვირდა, რომ ვცოცხლობდით და არ ვიხოცებოდით. ხალხი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთ ადგილზეა მოწყობილი და ერთი სახლის აშენებას ვერ ახერხებს, ჩვენ კი, დაწყევლილებივით, ყველა იმ რესპუბლიკაში, სადაც ბედი გადაგვისროდა, სახლის ასაშენებლად ყველაფერს ვიკლებდით, მაგრამ ავაშენებდით თუ არა, მაშინვე სხვაგან გვიკრავდნენ ხოლმე თავს. და აი ასე ვცხოვრობთ — ავაშენებთ — დავტოვებთ აშენებულს, ავაშენებთ — დავტოვებთ, რადგან სადმე ხომ უნდა ვიცხოვროთ. განა ჭიანჭველებს რაიმეთი ჩამოვუვარდებით?!

და ასეთი მხოლოდ ჩვენი ოჯახი არ არის, ეს, შეიძლება ითქვას, გასახლებული მესხების ნიშან-თვისებად იქცა.

როცა უკვე თბილისში ვცხოვრობდით, დეპორტირებული ხალხის წარმომადგენლებიდან, რომლებიც საქართველოს

მთავრობას მიმართავდნენ, ერთხელ იუსუფ რზაევიც (ბოლქვაძე) ჩამოვიდა. ისინი ადიგენის რაიონიდან გაასახლეს. თავისი ისტორია გვიამბო. მიუხედავად იმისა, რომ დედამისი ქმრის გარეშე, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად დარჩა, შვილების ფეხზე დაყენება მაინც შეძლო. ქმარი ფრონტიდან არ დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. დავაჟკაცებული იუსუფი ოჯახთან ერთად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, ერთი კოლმეურნეობიდან — მეორეში, ერთი რაიონიდან მეორე რაიონში, შვიდჯერ ააშენა სახლი და შვიდჯერ მოუხდა სახლის მიტოვება. ბოლო სახლი აზერბაიჯანში, საათლინის რაიონში ააშენა, 54 წლის ასაკში.

უმაღლესი განათლების მიღება ვერ მოახერხა, გადასახლებაში ხელობას დაეუფლა, ბამბის მოსავლის ამღები მანქანების კარგ სპეციალისტად, მძღოლ-მექანიკოსად ითვლებოდა. დაქორწინდა, ათი შვილი შეეძინა, ათიდან ცხრა გაზარდა. ყველას უმაღლესი განათლება მიაღებინა. ქალიშვილები კარგად დაათხოვა, კარგი მზითვიც გაატანა. ყოველ ვაჟს ცალკე აუშენა სახლი. გადასახლებაში თანასოფლელები ერთმანეთს პოულობდნენ და ერთად დამკვიდრებას ცდილობდნენ. გაერთიანებულნი, ისინი თავის ახალ სამკვიდრებელ ადგილს იმ სოფლის სახელს არქმევდნენ, საიდანაც გამოასახლეს. შუა აზიასა თუ აზერბაიჯანში იყო დასახლებები: ადიგენი, ფლატე, ლელოვანი, ზანავე, ვარხანი...

ეს უჩვეულოდ შრომისმოყვარე ხალხი გახლავთ. რამდენმა მათგანმა დაიმსახურა სოციალისტური შრომის ორდენი! ბიძია იუსუფი ორგზის სოციალისტური შრომის გმირიც კი იყო.

როცა ახალ ადგილ-სამყოფელს იმ სოფლის სახელს არქმევდნენ, საიდანაც გამოასახლეს, ამით მხოლოდ მორალურ შვებას კი არ გრძნობდნენ, ეს სახელწოდებები ღრმა შინაარსის მატარებელიც იყო. ამ სახელწოდებების წყალობით, პატარა ბავშვებმაც კი იციან, წარმოშობით საქართველოს რომელი სოფლიდან არიან.

1956 წელს, ბოლოს და ბოლოს, ყველა მესხი გაათავისუფლეს საკომენდანტო ზედამხედველობიდან. „სამარცხვინო დაღის“ მოხსნით გახარებულებმა, ბარგი-ბარხანა შეკრეს, სახლები გაყ-

იდეს ან უბრალოდ მიატოვეს, გაყიდეს საქონელი, ავეჯი და შუა აზიიდან გამოსვლა დაიწყეს, რათა ბოლოს და ბოლოს თავი ისევ საქართველოში, კერძოდ, მესხეთში მოეყარათ. ზოგი ადრე, ზოგიც მოგვიანებით გაუდგა სამშობლოსკენ მიმავალ გზას. სამშობლოში დაბრუნებით მოგვრილ სიხარულსა და ნეტარებას მხოლოდ ის მიხვდება, ვინც თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიატოვა მშობლიური მხარე. ასეთი განცდით ბრუნდებოდა ეს ხალხი სამშობლოში. მომავლის იმედით აღვსნილნი ბრუნდებოდნენ, ჩქარობდნენ დაბრუნებას, ყველა დანაკლისი, უცხოეთის ცის ქვეშ დამარხულები დაივიწყეს და ცხოვრების თავიდან, თეთრი ფურცლიდან, თავისიანებს შორის დაწყებას აპირებდნენ. ერთი წუთითაც არ შეჰპარვიათ ეჭვი იმაში, რომ პრობლემები და ბედის უკულმართობა უკან მოიტოვეს. ვინაიდან არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ, მშვიდი სინდისით ბრუნდებოდნენ, ეგონათ: მადლობა ღმერთს, შეცდომას მიხვდნენო. მაგრამ... აი, აქედან იწყება მესხების ცხოვრების ახალი ეტაპი.

ეიფორიაატანილებმა განვლეს შორი გზა აღსტაფამდე, აზერბაიჯანამდე და მხოლოდ იქ შეიტყვეს, რომ გზას ველარ გააგრძელებდნენ. „ეს ბოლო გაჩერებაა, იქით გზა დაკეტილია, არ გიშვებენო“. ყველაზე ადრე ჩასულებმა იფიქრეს, — ალბათ, რეაბილიტაციის ცნობას საქართველომდე ჯერ არ მიუღწევიაო და სიტუაციის გარკვევამდე კარვები გაშალეს, დაცდა გადაწყვიტეს. დიდხანს მოუწიათ ლოდინმა, ხალხი კი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა. აზერბაიჯანის ცენტრალურმა კომიტეტმა მლაშობ ტერიტორიაზე, მუღანის სტეპებში, კომპაქტურად დასახლება შესთავაზა. კარგად მოეხსენებოდათ, რომ ამ ხალხმა შუა აზიის ყამირი აითვისა და მაშასადამე, მლაშობის დაძლევასაც შეძლებდა. ყველა ახალჩამოსულის დაბინავება აღსტაფასთან ახლოს გაშლილ კარვებში შეუძლებელი იყო, რა უნდა ექნათ? გროშების ამარა უკან ხომ არ გაბრუნდებოდნენ. რესპუბლიკის წინადადება მიიღეს და საათლინის, საბირაბალისა და ხაჩმაძის რაიონებში გაემგზავრნენ. ზოგიერთმა ჩრდილოეთ კავკასიას მიაშურა. მინგეჩაურის წყალსაცავს აშენებდნენ და ჩამოსულთა ნაწილი იქ წავიდა. სახლებს ყველა თავისი თანხით აშენებდა.

მლაშობ ნიადაგს კოლექტორებით რეცხდნენ, ყოველ მტკაველ მიწას ბრძოლით სტაცებდნენ უდაბნოს. ხეხილი ჩაყარეს და მიუხედავად იმისა, რომ ხეები ორი წლის შემდეგ მოსავალს აღარ იძლეოდა, ისეთი პირობები შექმნეს, რომ როცა ხეების ერთი ნაწილი მსხმოიარობას წყვეტდა, მეორე ნაწილი უკვე ნაყოფს იღებდა. ბამბაც გააშენეს. მესხების შრომისმოყვარე და მოუღლელმა ხელებმა ეს მხარეც სამოთხედ აქცია, თუმცა კლიმატის შეცვლა არ ხელეწიფებოდათ, ეს ხომ უზენაესის საქმეა. უმძიმესი კლიმატის პირობებში სნეულებებმაც იმატა. მეტწილად უკურნებელი დაავადებები გავრცელდა. ბევრი მათგანი შუა აზიაში დაბრუნდა, ზოგიერთი კი რუსეთში წავიდა.

ხალხის მიერ არჩეული აქტივისტები საქართველოში მესხების დაბუნების საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობას ითხოვდნენ. თუმცა, როგორც გამოირკვა, საქართველოდან გამოსულ მესხებს საქართველოს გარდა ყველგან ცხოვრების უფლება ეძლეოდათ.

1956 წლიდან დეპორტირებულ მესხთა ლიდერები საბრძოლო პოსტზე ისე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, როგორც ბარიკადებზე. გარდაცვლილ მხცოვან ლიდერს ახალგაზრდა და ჯანმრთელი ლიდერი ცვლიდა, მაგრამ შედეგები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. 50 წლის მანძილზე საქართველოში დაბრუნება 300-მდე ოჯახმა შეძლო, მაგრამ მხოლოდ ნასაკირალში დაფუძნებული ოჯახები დარჩნენ საცხოვრებლად, კომპაქტურად დასახლდნენ. სხვა რაიონებში რამდენიმე ოჯახმა გაძლო. ხაშურში, თუ არ ვცდები, 14 ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ 1989-91 წლებში ისეთ დღეში ჩააგდეს, იძულებული გახდნენ აშენებული სახლები მიეტოვებინათ და იქიდან წასულიყვნენ. ადგილობრივები მათ სახლებს არ ყიდულობდნენ. თუ ხალხს მიცვალებულის დაკრძალვის უფლება არ ეძლევა — ეს ცხოვრების ყველაზე მძიმე გამოცდაა. მოხუცები ავად რომ გახდებოდნენ, ადგილობრივები აფრთხილებდნენ: — გაიყვანეთ აქედან, სანამ ცოცხალია, თორემ აქ არ დაგასაფლავებინებთო. მარტო ცოცხლებისთვის, რომლებსაც შთამომავლობის გაგრძელება შეეძლოთ, კი არ ენანებოდათ მზის

ქვეშ ადგილის დათმობა, მკვდრებსაც ომით უთმობდნენ 1X2 მეტრ მიწას, თუმცა ხელშეუშლელად მოასწორებდნენ ალბათ ამ საფლავებს, ისევე, როგორც ჩვენი წინაპრების საფლავები მოშალეს მესხეთში. ხელს არავინ შეუშლიდა — არა ხელისუფლება, არა ღმერთი, არა სინდისი. ხაშურიდან ბევრი შუა აზიაში დაბრუნდა, ბევრი — რუსეთში. კოპიტნარში ოთხი ოჯახი დასახლდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს. ლიდერი — ჩახო ჩიტაძე სამარყანდიდან ჩავიდა დასავლეთ საქართველოში. იქ, სამარყანდში, სკოლის დირექტორად მუშაობდა, ამ სკოლას შოთა რუსთაველის სახელი დაარქვა, აქ კი ოჯახთან ერთად ერთი წელიც ვერ გაჩერდა, კინწისკვრით გამოაგდეს იქიდან.

ხალილ გოზალიშვილი, რომელიც წარმოშობით ახალციხის რაიონის სოფელ ვალედან გახლდათ, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლიდერი იყო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლდა. საკუთარ ხელფასს ხარჯავდა მოსკოვ-თბილისის გზაზე, როცა განცხადებები მიჰქონდა და საქართველოში დაბრუნების უფლებას ითხოვდა. ისე მოკვდა, ვერაფერს გახდა.

ლატიფშა ბარათაშვილი, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მკვიდრი, ოჯახთან ერთად მინგეჩაურში დასახლდა. სანამ ცოცხალი იყო, თავისი წიგნის — „ჩვენ — მესხები" — გამოცემაც კი არ ელირსა. რამდენს აუტალახა კარი, რომ მესხების აღიარება მოეხდინათ საქართველოში. სიცოცხლეს იმ იმედით გამოესალმა, რომ მის საქმიანობას შვილები გააგრძელებდნენ, მისი წიგნის ნაწილი მისმა შვილებმა გამოაქვეყნეს ჟურნალში „Литературная Грузия".

ჩვენი წვლილი მესხების დაბრუნების საკითხში ძალზე უმნიშვნელო გახლდათ. ყველა, ვინც ჩამოდიოდა იმის გამო, რომ მთავრობისთვის მიემართა, ჩვენთან ჩერდებოდა, რადგან სასტუმროში გაჩერება უსაფრთხო არ იყო და არც უშვებდნენ სასტუმროში.

ამ წიგნში ჩემი განვლილი ცხოვრების მოგონებებია გადმოცემული, ვიგონებ იმასაც, ბავშვობაში უფროსებისგან რომ მსმენია. პოლიტიკას არ შევხებივარ, მესხების აზრით ეს ქალის საქმე არ გახლავთ. შეიძლება, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, მრავალ მესხს

ასეთი კითხვა დაებადოს: „– კი მაგრამ მამა? ის ხომ რაიონში ერთ-ერთი ცნობილი კაცი იყო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მესხების რეაბილიტაციისათვის სხვებივით რატომ არ იღწვოდა, ხალხის სამშობლოში დასაბრუნებლად რატომ არაფერი იღონა? მითუმეტეს, კომპარტიის წევრები გადასახლებაშიც არ გაურიცხავთ პარტიიდან და ისინი საწევროსაც კი იხდიდნენ. მაშასადამე, არავითარი ბრალი არ მიუძღვოდათ!"

მამას კარგად მოეხსენებოდა, რომ ხალხი სტალინის რეჟიმის მსხვერპლი გახდა. საქართველოდან, მაშინ, მარტო მესხები არ გაუსახლებიათ. ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს ციმბირში უკრეს თავი; ისინი ისე გაუჩინარდნენ, მათი ასავალ-დასავალიც ვერვინ შეიტყო.

ზოგიერთი საქართველოში ჩამოსული მესხი ლიდერი ირწმუნებოდა: – თურქები ვართ და საქართველომ თურქებად უნდა მიგვიღოსო.

მამა პასუხობდა: „სანამ იმას გაჰყვირით, რომ თურქები ხართ, მეჩეთები გჭირდებათ და სკოლები, სადაც სწავლება თქვენს ენაზე იქნება – საქართველო არ მიგიღებთ. ქართული წარმომავლობა უნდა აღიდგინოთ. ეს ძნელი იქნება, მოხელეები ამაში ხელს შეგიშლიან, რადგან მესხები ხალხის მტრებად შერაცხეს. სიმართლე არავინ იცის, ამის გარკვევას დრო დასჭირდება; აუჩქარებლად, მაგრამ თანმიმდევრულად უნდა იმოქმედოთ და ხალხი დაარწმუნოთ, რომ იმ წლებში თქვენ ისევე დაზარალდით, როგორც ათასობით სხვა ადამიანი. საკუთარი ხალხიც უნდა დაარწმუნოთ, რომ საქართველოში, როგორც თურქები, ვერ ჩამოაღწევდნენ. თუკი დაამტკიცებთ, რომ ქართველები ხართ, სამშობლოსაკენ გზა ხსნილი გექნებათ, მაგრამ თუ თურქები ხართ, მაშინ თურქეთში წადით, ან მუსლიმანურ ქვეყანაში, ანუ შუა აზიასა და აზერბაიჯანში დარჩით. ეს იოლი საქმე არ იქნება. ხალხს 300 წლის განმავლობაში ჩააგონებდნენ, თურქები ხართო; 40 დღის მანძილზე ადამიანს რომ უძახო, – ღორი ხარო, ბოლოს ისიც აღრუტუნდება, ჩვენ ხალხს კი მთელი სამი საუკუნეა უძახიან: – თურქები ხართო! ცხადია, ხალხი მაშინვე მხარს ვერ აგიბამთ და თანხმობას ერთხმად არ მოგცემთ, მაგრამ ხალხს ტყუილ იმედს ნუ ჩაუსახავთ, ნუ მიმართავთ ასეთი

მოწოდებით: — სამშობლო, ანდა სიკვდილი! აქ ფრონტი არ არის! თქვენ წინაშე მოწინააღმდეგე არ დგას. ხალხთან მუშაობაა აუცილებელი. ზოგიერთი მესხი ქართველობასა და ქრისტიანობაზე რომც დაგთანხმდეთ, ესეც მეორე უკიდურესობა იქნება. ნორმალური ადამიანი, მითუმეტეს, მთელი ხალხი, მსოფლმხედველობას ერთბაშად, ასე მკვეთრად, ვერ შეიცვლის. იმ აზრს უნდა შევეგუოთ, რომ ეს ხანგრძლივი პროცი იქნება, გულხელდაკრეფილი არ უნდა ვისხდეთ, სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებას არ უნდა მოვეშვათ.

იმ დროს, როცა გაგვასახლეს, რელიგიურ წესებს მხოლოდ მხცოვანი ადამიანები იცავდნენ. ახალგაზრდები, როგორც ეს მთელ საბჭოთა კავშირში ხდებოდა, ამაში არ მონაწილეობდნენ. ახლა, დაე, ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს და გაარკვიოს — ვინ არის, თავის თავს რა ეროვნებისა და რჯულის ადამიანად თვლის. ჩვენი ხალხი შუა აზიის ქვეყნებში რომ არ მოხვედრილიყო, სადაც მუსლიმანური რელიგია ფანატიზმს უტოლდებოდა, და ხალხს თავისი სულიერი განწყობისათვის გასაქანი რწმენაში რომ არ მიეცა, ეს საკითხი ახლა ასე მწვავედ არ იდგებოდა. მაშინ ხომ ქრისტიანებიც კი ვერ ბედავდნენ იმის აღიარებას, რომ მონათლული იყვნენ, მაგრამ იქ, შუა აზიაში, ბავშვებს დაბადებიდანვე მეჩეთში ატარებდნენ, რელიგიური კანონების დაცვას აჩვევდნენ. აქედან გამომდინარე, ისინიც კი, ვინც სამშობლოში რელიგიისგან შორს იდგა, ამ საყოველთაო ფერხულში ჩაება. ამის გამო ხალხი ორ ნაწილად გაიყო. ერთნი თავს ქართველებად თვლიდნენ, მეორენი — თურქებად; თქვენ, ცრუმოღვაწენი, ხალხს ატყუებთ, როცა სამშობლოში მალე დაბრუნებას ჰპირდებით."

ასეთი მოღვაწეები მამას სახლიდან ბევრჯერ გაუყრია, ისინი მესხეთში ხმებს ავრცელებდნენ: — მუჯდინი გაგიჟდა, საქართველოში დაბრუნების საქმეში ჩვენი დახმარება არ უნდაო.

მაგრამ, ლატიფშაჰ ბარათაშვილსა და ხალილ გოზალიშვილს რად არ აგდებდა სახლიდან?! იმიტომ რომ თანამოაზრეები იყვნენ და ერთმანეთის შეხედულებებს იზიარებდნენ. როდესაც ისინი თბილისში ჩამოდიოდნენ, ოფიციალურ პირებს კარს უტალახებდნენ, ღამეებს ხალხის დაბრუნებასთან დაკავ-

შირებულ საუბრებში ათეკდნენ, გამოსავალს ეძებდნენ, დაბრუნების შესაძლებლობებს განიხილავდნენ. მამა ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული. მის მოსმენას არაფერი სჯობდა; მის სმენაში დრო თვალსა და ხელს შუა ისე გაიპარებოდა ხოლმე, დაღლას ვერც იგრძნობდი. ერთხელ, როცა მამამ საუბარი დაამთავრა ლატიფშაჰ ბარათაშვილმა უთხრა: — მუადინ, რა ბედნიერი კაცი ხარ. სამი საათია ლაპარაკობ, 16 კაცი სულგანაბული გისმენდა, ამ ხნის მანძილზე სიტყვის შეწყვეტინება კი არა, გატოკებაც ვერვინ გაბედაო.

ჩვენი ოჯახი საქართველოში ჩამოსულ ყველა მესხს ეხმარებოდა; ჩვენს ბინაში მრავალ. სტუდენტს უცხოვრია. საქართველოში, მშობლიურ კუთხეში ჩამოსული მესხებისათვის მორალური მხარდაჭერაც აღმოგვიჩენია, თავის გატანასა და ახალ გარემოსთან შეგუებაში ვეხმარებოდით. ასე რომ, ჩვენი ოჯახი არასდროს გამდგარა განზე. მათი ჭირი ჩვენთვისაც ჭირი იყო, მათი ლხინი — ლხინი!

სანამ მამა ცოცხალი იყო (1976 წლამდე), მესხი ხალხის ყველა წარმოგზავნილი აუცილებლად ჩვენთან მოდიოდა და მამასთან ურთიერთობდა; მისი გარდაცვალების შემდეგ კი, მხოლოდ ლატიფშაჰ ბარათაშვილი და ხალილ გოზალიშვილი გვაკითხავდნენ.

მათი გარდაცვალების შემდეგ კი ჩვენს ოჯახში „სამართლიანობისათვის მებრძოლთა" არც ერთი წარმომადგენელი აღარ გამოჩენილა.

ერთხელ, 1976 წელს, ჩვენი უსაზღვრო ქვეყნის ყველა კუთხიდან 30-კაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. მათ მიღებაზე უარი განაცხადეს, ისინი მთავრობის სახლის წინ მოთავსდნენ. ცერემონიები არ დაუწყიათ, მაშინვე ავტობუსში შეყარეს და თბილისიდან წითელ ხიდამდე (აზერბაიჯანის საზღვარზე) მიიყვანეს. ავტობუსის კარი მხოლოდ მაშინ გააღეს, მიაძახეს: არასდროს თვალით აღარ დაგვენახოთო და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადარეკეს.

1989 წლიდან მთელ საქართველოში მესხების საწინააღმდეგოდ სერიოზული კამპანია გააჩაღეს. ჩემი ყურით მოვისმინე,

ჩვენი კორპუსის ეზოში შეჯგუფებული ხალხი როგორ მსჯელობდა: — ვიღაც მუსლიმანები ჩამოდიან, რა გვეშველებაო!

90-იან წლებში ტელევიზია მესხების საქართველოში ჩამოსახლების საწინააღმდეგო ღია პროპაგანდას ეწეოდა. სადღაც შეკრიბეს მოხუცები, რომლებიც ჩემი აზრით, იმაშიც კი ვერ ერკვეოდნენ, რომ თურქები და მუსლიმი მესხები ეს ერთი და იგივე არ არის, ისევე როგორც „თათრები“ და მესხები სხვადასხვა ხალხებია; და ამ მოხუცებს ეკითხებოდნენ აზრს „თურქი-მესხების“ შესახებ. ვიღაც რაღაცას ამბობდა, მაგრამ ერთი მოხუცის მოგონებებმა ისე გულიანად გვაცინა, რომ მისი სიტყვები დიდხანს უაზრობის ანალოგიად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში. ის ყვებოდა, რომ მაჰმადიანი მესხები ქრისტიანთა ცოლებს, შვილებს აუპატიურებდნენ, აბუჩად იგდებდნენ და... „სანაძლეოს დებდნენ, 16 კაცს ერთმანეთის ზურგსუკან ჩაამწკრივებდნენ და ერთი ტყვიით ყველას ხვრეტდნენ“. რასაც ის ყვებოდა, გასაგებია, მოხუცი ადამიანი იყო და ალბათ ეშლებოდა, მაგრამ რა კომენტარსაც განათლებული ადამიანი მაყურებლისათვის აკეთებდა, ამას მხოლოდ შუღლის გაღვივება შეიძლება ვუწოდოთ. ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არ დაიჯერა, ზოგს ეს საკითხი საერთოდ არ აინტერესებდა, თავისი საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ პროცესი აზვირთდა. მესხების დაბრუნების საკითხს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მათ დამცველებიც გამოუჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ვინც მესხების დასაცავად ხმა აიმაღლა, ზურაბ მამალაძე გახლდათ. მან თავისი სახლი ნაძალადევში ამ ხალხის წარმომადგენლებს დაუთმო, მათთან ერთად დადიოდა ერთი ინსტანციიდან მეორე ინსტანციაში, უყვებოდა, ასაბუთებდა, განუმარტავდა. ორჯერ, მესხების უფლებების დაცვის მიზნით, შიმშილობაც გამოაცხადა. იმ ხანებში, ჩამოსულ მესხებს უთვალთვალებდნენ, სასტუმროებში არ უშვებდნენ, საქართველოში მესხების დაბრუნების მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა მის სახლზე თავდასხმაც კი განახორციელა.

გადასახლებების, ბედის უკულმართობის, უსიამოვნებების გადატანის შედეგად მამა ისევ დაავადდა; ჩვენ და მამას კარგად

გვესმოდა, რომ ამჯერად მისი გადარჩენა გაგვიჭირდებოდა, თუმცა იმედს არ ვკარგავდით. თვითონაც გრძნობდა, რომ სიკვდილს დროის გადავადებაზე ვეღარ გაურიგდებოდა; რამდენჯერმე წამოიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ გარდაცვალების შემთხვევაში ქალაქში დასაფლავებას არ ისურვებდა; თუ მშობლიურ მხარეში ვერ მოახერხებთ, მაშინ „სადმე, სოფელში მაინც დამკრძალეთო". მაშინ დმანისზე ვიმედოვნებდით, მაგრამ იქამდე ძალიან შორია. ჭეშმარიტად, ყველაფერში ღმერთის ხელი ურევია. 1976 წლის 22 მაისს, როცა მამა გარდაიცვალა, მწუხარებით განადგურებული დედა გარდაცვალების მოწმობით პოლიკლინიკიდან დაბრუნდა. ჩვენთან მიცვალებულს დიდხანს არ აჩერებენ. ძმები, თანამემამულეები, ნათესავები, ჩვენთან იმყოფებოდნენ; ისინი მამაჩემის გარდაცვალებამდე ჩამოვიდნენ, სტუმრები იყვნენ და ვერაფერში დაგვეხმარებოდნენ. მთელი პასუხისმგებლობა დედაჩემს დააწვა მხრებზე. სოფელ მსხალდიდიდან შვილებთან სტუმრად ჩამოსულმა მეზობელმა დაგვამშვიდა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა. მანამდეც, სანამ კოოპერატივი სახლებს ააშენებდა, მეზობლები ვიყავით. თავისი სოფლის სახლი დაგვითმო. ყველაფერი, როგორც საჭირო იყო, ისე მოაგვარა, ჩვენებური წესითა და ადათით, მამა თავისი სახლიდან გაგვასვენებინა სოფლის სასაფლაოზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. ცოტა ხანში მამა მესიზმრა და მითხრა: ეს ადგილი ძალიან მომწონსო. ალბათ იმიტომ დამესიზმრა, რომ ძალიან განვიცდიდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, მისი სული როგორ შეეგუებოდა ამ ადგილს.

პანაშვიდზე ჩამოსულთა შორის ქირმან დვალიძეც იმყოფებოდა. 40 დღე დარჩა იმიტომ, რომ სამარყანდამდე შორი გზაა, მას კი უნდოდა მამაჩემისთვის ბოლომდე პატივი ეცა.

როცა მამა გარდაიცვალა, ქვეყანაში არცთუ ცუდი მდგომარეობა იყო. მიმოსვლა თავისუფალი გახლდათ, ბილეთის ფასი — ხელმისაწვდომი, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანს ერთი რესპუბლიკიდან მეორეში წასვლის შესაძლებლობა ჰქონდა. იგივე სირთულეებმა, რომლებმაც მამა შეიწირა, დედაც წელში გატეხა, შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმით დაავადდა. ავადმყოფობის მიუხედავად, სიხარულით ხვდებოდა ყველას, ვინც ჩვენთან, მამის სიკვდილის შემდეგ, მესხთა

სამშობლოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ჩამოდიოდა.

დედაჩემს ძალიან სჯეროდა, რომ დიდხანს ლოდინი აღარ მოგვიწევდა, ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და ყველას აწყურში დაბრუნების უფლებას მოგვცემდნენ. იმ დროს იუსუფ ხოზრევანიძე მესხი ბავშვების საქართველოში სწავლების პრობლემებით იყო დაკავებული. თბილისში, სხვა ყმაწვილებთან ერთად, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და ჩვენთან სტუმრად ხშირად დადიოდა. დედა საათობით საუბრობდა მასთან მთელ ქვეყანაში გაფანტული მესხების დაბრუნების პერსპექტივაზე. ჩვენგან ფარულად უთხოვია მისთვის: დაეხმარე, რომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ აწყურში დამმარხონო. იუსუფსაც დაუმშვიდებია: ნუ იდარდებ, სიცოცხლეშიც მოასწრებ იქაურობის მონახულებას და ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავო. მაგრამ 1988 წელს ძალიან ცუდად გახდა, რამდენჯერმე სასწაულებრივად გამოვტაცეთ სიკვდილს კლანჭებიდან, მაგარი გული ჰქონდა, მაგრამ დიაბეტმა თავისი გაიტანა.

1988 წლის 20 ნოემბერს დედა გარდაიცვალა. მინგეჩაურელმა და ხაშურელმა ნათესავებმა და თანამემამულეებმა ჯერ კიდევ ცოცხალს ჩამოუსწრეს. რაისა ბარათაშვილი, ამ მძიმე დღეებში, უკანასკნელ წუთებამდე, გვერდიდან არ მოგვშორებია. ბევრმა დროულად ჩამოსვლა ვერ მოასწრო, დრო უკვე აირია. სანამ თბილისში ჩამოაღწევდნენ, დედა დაკრძალეთ. ჩამოსულთა შორის იყო ქირმან დვალიძე. ისე მოხდა, რომ ეს ძალზე წესიერი, გულისხმიერი ადამიანი, ბავშვობის ნამდვილი მეგობარი, უანგარო, კეთილი და ჭკვიანი კაცი ყოველთვის მხარში მედგა, ყველაზე მძიმე წუთებში მის მეგობრულ მხარდაჭერას ვგრძნობდი გადასახლებაშიც და საქართველოში დაბრუნების შემდეგაც.

მისი ძმები, შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ, აზერბაიჯანში დასახლდნენ. კლიმატი არ მოუხდათ და მათ ოჯახებს სნეულებამ დარია ხელი. დედის დასაფლავებაზე რომ იყო ჩამოსული, მაშინ გვითხრა, რომ ძმების მდგომარეობა ადარდებდა, უნდოდა ეშუამდგომლა, რომ საქართველოში დაებრუნებინათ. დედაჩემის წლისთავამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში ჩამოვიდა, ყველა ორგანიზაციას მიაკითხა, რომელთა დახმარებითაც ამ საკითხის მოგვარებას შეძლებდა. როცა წლისთავზე ჩვენთან მოვიდა, ჩვენ,

ოქა უნდა, ძალიან გაგვიხარდა. დავსხედით, დედა მოვიგონეთ, ვისაუბრეთ. იუსუფ ხოზრევანიძეც ჩვენთან ერთად იყო. ამ დროისთვის მე უმუშევარი გახლდით. ის ჩვენ საუბარს უსმენდა და შემოგვთავაზა: „— წამოდით, ნაირა გელაშვილს გაგაცნობთ, ძალიან კარგი ადამიანია, ყველას ეხმარება, იქნებ თქვენი დახმარებაც შეძლოს. აქვე, ახლოს ცხოვრობს, მეზობელ კორპუსში, თანაც ძილის წინ გავისეირნებთო". დავთანხმდით და საღამო ხანს ვესტუმრეთ; ამ ნაცნობობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის ნამდვილად ძალიან გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა, სხვისი გაჭირვება გულთან ახლოს მიჰქონდა. იუსუფმა, როცა მასზე ლაპარაკობდა, გვითხრა: „— მესხების, და არა მარტო მათ მიმართ, ძალზე კეთილგანწყობილია; დახმარებისთვის ვინც არ უნდა მიმართოს, ყველას ეხმარება. იქნებ ჩაერიოს და ამით შენი საქმე დააჩქაროსო". ჩვენ კი გულში გავიღეთ: „— წარმოუდგენელია, არ არსებობს!" მაგრამ იუსუფის წყენინება არ გვინდოდა. არადა, მართალი გამოდგა, ბედის მადლიერი ვარ, რომ სიბერის ჟამს ნაირას შემახვედრა. ჩვენმა მესხებმა საქართველოში დაბადებულ ქალიშვილებს მისი სახელი დაარქვეს. ჩემთვის კი იმედის განსახიერებად იქცა. იმ დღიდან მოყოლებული მთელი ჩემი პრობლემებით პირდაპირ მას მივაკითხავ ხოლმე და როგორც შეხვედრის პირველ დღეს, ისიც ყველა საქმეს გადადებს, ყურადღებით მომისმენს და მეხმარება ხოლმე. ხშირად მრცხვენია კიდეც, მერიდება ჩემი პრობლემების გამხელა, მაგრამ თითქოს აზრებს კითხულობდეს, გამომკითხავს ხოლმე, რა მაწუხებს და გამოსავალსა და საშველსაც აუცილებლად პოულობს.

1989 წელს სამსახურის პოვნაში დამეხმარა. 1997 წლამდე „კავკასიურ სახლში" ვმუშაობდი და მესხების ფოლკლორის შეგროვებით ვიყავი დაკავებული.

ნაირა და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები: რეზო ჩხეიძე, გურამ მამულია, მერაბ კოკოჩაშვილი, ზურაბ ჭავჭავაძე, თამრიკო ჩხეძე და სხვები ქირმან დვალიძეს ძმებისა და მათი ოჯახების ქარელში გადმოყვანის საქმეში დაეხმარნენ. სულ 62 სული იყო: ქირმანის ძმები, მათი ცოლები, შვილები ცოლებთან და ქმრებთან ერთად, რძლების მოხუცი მშობლები, შვილიშვილები. ისინი მეურნეობაში დაასახლეს, ყოფილი ინტერ-

ნატის შენობაში. მოეწყვნენ, გადაიტანეს ბარგი, დაამუშავეს ინ-ტერნატის გარშემო მდებარე ნაკვეთები, მოიყვანეს მწვანილი, ბოსტნეული, მაგრამ თბილისელმა არაფორმალებმა ქარელში სიარულსა და მოსახლეობის მათ წინააღმდეგ წაქეზებას მოუხ-შირეს. ისინი კი ერთი წლის განმავლობაში თავისთვის ცხ-ოვრობდნენ, არავის არაფერს უშავებდნენ და დღე და ღამ შრო-მობდნენ. დაიწყო მითქმა-მოთქმა: „— მარტო ორი ძმის ოჯახი თუ 62 სულისგან შედგება, მაშინ ყველა რომ ჩამოვა, რაღა იქნება, მთელ საქართველოს წალეკავენო". გაისმა მუქარაც, ყვე-ლაფერში ხელს უშლიდნენ. ამასობაში ერთ-ერთი რძლის დედა გარდაიცვალა, ათი დღე დაკრძალვის უფლებას არ აძლევდნენ. თბილისს მიმართეს და მხოლოდ ამის მერე შეძლეს მიცვალებუ-ლი მიწისთვის მიებარებინათ. ქირმან დვალიძის ძმისშვილს, ივაზის ცოლს, მშობიარობის დრომ მოუწია, სხვა მშობიარეებთან პალ-ატაში არ შეუშვეს და ნამშობიარევი ქალი დერეფანში დააწვინეს, რადგან ქართველ მშობიარეებს „თათართან" ერთად ერთ პალ-ატაში ყოფნა არ სურდათ. წლის მიწურულს ვითარება ისე დაიძაბა, რომ ქარელში დარჩენილი მესხები დაარბიეს, სატვირთო მანქანებში ჩაყარეს, წითელ ხიდთან მიიყვანეს, საზღვარს იქეთ გადასხეს და ურჩიეს: — საქართველოს გზა დაივიწყეთო. სახლ-იდან ისევ ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს. ძმები ქირმანს შემოსწყრნენ, — თუ დარწმუნებული არ იყავი, რომ მიგვიღებდნენ, შეჩვეულ საცხოვრებელს რატომ მოგვწყვიტე. სიბერის ჟამს ისევ ცარიელ-ტარიელი დავრჩით და ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთო.

აივაზმა გამვლელი მანქანა გააჩერა, ძუძუთა ბავშვის, ნაირ-ას ავადმყოფობა მოიმიზეზა, — ექიმთან, თბილისში მიმყავსო და ოჯახთან ერთად ჩემთან, თბილისში ჩამოვიდა. გოგონა 20 დღის იყო, დედამისი — მაია, შიშისგან სულ კანკალებდა. ერთადერთი კარი, სადაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს, დაკაკუნება შემიძლია, — ნაირას სახლის კარია. მან დამამშვიდა, მერე ჩამო-სულების მასთან გადაყვანა მოითხოვა, რათა მდევნელებს, მათი ჩემთან პოვნის შემთხვევაში, ჩემი ბინაც არ დაერბიათ. თვენახ-ევარი თუ ორი თვე მართლაც ნაირას ბინაში ცხოვრობდნენ. ნაირა მართალი იყო, ჩემ გამო რომ შიშობდა. ზ. გამსახურდიას

მომხრეები მასაც და მის ქალიშვილსაც ემუქრებოდნენ. რაღაცა ხნით ისინი ზურაბ მამალაძემ შეიკედლა. იქ სამი თვე დაჰყვეს. აივაზი მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა, განათლებით ის არქიტექტორია. არც იქ მოასვენეს. სახლი ალყაში მოაქციეს, ემუქრებოდნენ, კარს უმტვრევდნენ. ბავშვის დაბადების შემდეგ მაია მუდმივ შიშში იყო, ბავშვებს არაფერი აუტეხონო. ერთხელ აივაზიც შინ იყო, როცა სახლს ისევ ალყა შემოარტყეს. აივაზმა დამირეკა, — საფრთხე გვემუქრებაო. მე ისევ ნაირას მივაშურე. ნაირამ ყველა ფეხზე დააყენა, ტელეფონის ზარებით ააწრიალა ყველა, ვისთანაც კი შეიძლებოდა დაერეკა. ამის შედეგად ნაძალადევის რაიონის მილიციის განყოფილებიდან გამოგზავნილმა ჯგუფმა ხულიგნები გარეკა. აივაზმა, სული რომ მოიბრუნა, დამირეკა და დახმარებისთვის მადლობა გადამიხადა. იქ გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო და ისინიც ნუცუბიძეზე, პროფესორ ზურაბ კიკნაძის ვაჟის ბინაში გადავიდნენ.

განა ქირმანს ყოველივე ამის წინასწარ განჭვრეტა შეეძლო? მაშინ ხომ მესხებს გარკვეული ჩარჩოები დაუწესეს — ვისაც ქართული გვარი ჰქონდა, ეროვნებით ქართველად იყო ჩაწერილი და ქართული ეცოდინებოდა — დაბრუნება შეეძლო. ყველა ამ მოთხოვნას ისინი აკმაყოფილებდნენ; ქირმანს ძმებისთვის სიკეთის გაკეთება სურდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ დათვური სამსახური გაუწია.

აივაზი ერთ ხანს ნუცუბიძეზე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, მაგრამ მუქარამ და მღელვარებამ, რისი გადატანაც მის ცოლს მშობიარობისთანავე მოუხდა, მეუღლის ფსიქიკაზე ძალიან იმოქმედა. ეჩვენებოდა, რომ კარს უმტვრევდნენ, ემუქრებოდნენ. ერთხელ, ასეთი შეგრძნება რომ დაეუფლა, დამირეკა და ატირებულმა დახმარება მთხოვა, — ვიღაცა შემოჭრას ცდილობსო. მივედი, ჩემი ხმა იცნო, კარი გამიღო და გონება დაკარგა. აივაზის სამსახურიდან დაბრუნებამდე, ბავშვებიანად ჩემთან გადმოიყვანეს. გულისტკივილით დაგვეთანხმა, რომ მის ცოლს სერიოზული მკურნალობა სჭირდებოდა. თვითონ თბილისში დარჩა, ცოლი და ბავშვები კი სამარყანდში გაგზავნა. მაია გამოკეთდა. ამასობაში ნაირას წყალობით მესხების სამ ოჯახს — ბარათ ბარათაშვილის, მარატ ბარათაშვილისა და აივაზ დვალიძის ოჯახებს —

ბინები გამოუყვეს. ნახევარი წლის შემდეგ, გამოჯანმრთელებული მაია თბილისში დაბრუნდა. გადატანილი განსაცდელის გახსენებაზე ავადმყოფობა შეუბრუნდა. აივაზი ამჯერად მთელი ოჯახით გაემგზავრა სამარყანდში, სადაც ცოლის მშობლები ცხოვრობდნენ. მაია სულიერად დაავადებულთა კლინიკაში მოხვდა და ექიმებმა დაასკვნეს, — უიმედო მდგომარეობაა, არ განიკურნებაო. აივაზმა ხელი მოკიდა ქალიშვილებს, ლიზიკოს და ნაირას და როსტოვში, ქარელიდან განდევნილ მშობლებთან, გადავიდა საცხოვრებლად.

ასეთ დასასრულს ქირმანი ვერ გაითვალისწინებდა. ყველა კრიტერიუმის მიხედვით, მათ საქართველოში ცხოვრების უფლება ჰქონდათ.

მაგრამ, ალბათ, არც ერთი კუთხის მკვიდრნი არ უწილადებენ მიწას სხვებს, ჩასულებს, თუნდაც ამ ქვეყნის ყოფილ მოქალაქეებს, თუკი ეს საქმე სახელმწიფოსი კი არა, მათი გადასაწყვეტი იქნება. ძმების საქართველოდან გაძევების შემდეგ, ქირმან დვალიძე აქ აღარ ჩამოსულა.

აწყური

აწყური ახალციხის რაიონში ყველაზე მშვენიერ ადგილზე მდებარეობს. მესხეთი აქედან იწყება. როცა მდინარე მტკვარს მიუყვები, მარჯვენა მხარეს — მაღალი, ტყიანი მთები შემოგხვდება. კლდეკარის ციხე-სიმაგრე იქიდან მოჩანს, სადაც გოდისის ბაღებია. ჩვენებურები ყვებოდნენ, რომ აწყურში თავიდან 15-20 კომლი სახლობდა, სახლები იქ აეშენებინათ, სადაც ცივი, გემრიელი წყაროსთვალი მოჩქეფდა მაღალი სალი კლდის ძირში და მას მაშინ სხვა სახელი ერქვა.

მერე, როცა ქვეყანა დამპყრობელთა მოულოდნელი თავდასხმებისგან დაიქანცა, ეს ადგილი აღმოაჩინეს, ამ კლდიდან მთელი ის მიდამო კარგად მოჩანდა. მოხუცები გვიყვებოდნენ: ამ კლდეზე ეს ციხე-სიმაგრე თამარ-მეფის ბრძანებით ააგეს, რადგან მოხერხებულიც იყო და სათვალთვალოდაც გამოდგებოდა, რომ მტრისათვის გზა გადაეჭრათო. ბორჯომის მხრიდან, დაბუ-

რული ტყეებით დაფარული მთების მხრიდან, საყარაულო ქვის გოდოლები აუგიათ. საფრთხის დროს კლდეკარიდან ამ გოდოლებს ჩირაღდნებით აძლევდნენ ნიშანს და იქიდან დაუყოვნებლივ მოდიოდა დახმარება; თავდასხმისას კი, განგაშის ნიშანზე, საზღვრების დასაცავად ჯარიც მოემართებოდა.

ზეპირი გადმოცემებიდანვე შევიტყვე, რომ IV საუკუნეში ამ სოფელს სხვა სახელი რქმევია. კაბადოკიიდან მომავალ წმინდა ნინოს სწორედ აქ შემოღამებია. ერთ-ერთი სახლის პატრონისთვის უთხოვია ღამის გასათევი. შუაღამისას სახლში ჩოჩქოლი და არეულობა ამტყდარა. წმინდა ნინო ხმაურს გამოუღვიძებია და უკითხავს, „— რა მოხდაო". ამ ოჯახს ავადმყოფი ბავშვი ჰყოლია, რომელიც კვდებოდა. „— ბავშვთან მიმიყვანეთო", — უთქვამს წმინდა ნინოს. ბავშვი ხელში აუყვანია და ულოცია. ყველას თვალწინ ბავშვი მოსულიერებულა და გამოჯანმრთელებულა. ბედნიერ მშობლებს უკითხავთ, „— რომელ ღმერთს ეთაყვანები, რა სარწმუნოების მიმდევარი ხარო". ნინოს უპასუხია: „— ქრისტიანი ვარ. ღმერთს ლოცვით შეევედრე და თქვენი შვილის გადარჩენაში დამეხმარაო". მაშინ, მის ირგვლივ შეკრებილ და ამ სასწაულით გაოგნებულ ხალხს უთქვამს: „— თუ შენი სარწმუნოება იმდენად ძლევამოსილია, რომ იმ ქვეყნიდან ბავშვის მობრუნება ლოცვით შეგაძლებინა, ჩვენც გვინდა ქრისტიანები გავხდეთო". წმინდა ნინოს ისინი ქრისტეს რჯულზე მოუქცევია. ამ გადმოცემებიდან ვიცოდით, რომ საქართველოში ქრისტიანობა სწორედ აქ ჩაისახა. ჩვენი სოფლის მოხუცები, ხანდაზმული ადამიანები, ამ ამბავს ამაყად გვიყვებოდნენ.

აი, მხოლოდ ამის შემდეგ აუგიათ კლდეკარის ციხე; ეს ხომ ციხე-სიმაგრისათვის იდეალური ადგილია. როცა მსახურებს ეს ციხე-სიმაგრე ჩააბარეს, უბრძანებიათ: „აქედან გარშემო აწით ყური!", რაც ძველ-მესხურ კილო-კავზე ამას ნიშნავს: — ყურთასმენა გაამახვილეთ! აი აქედან წარმოსდგება ეს სახელიცო — „აწი ყური!" — აწყური.

როცა სოფელი გაფრთოვდა, ციხე-კოშკის კედლებიდან მარცხენა სანაპიროსკენ პატარა ხიდი გასდეს, რომელზეც მაცხოვრებლები ოთხთვალებით გადადიოდნენ. მტკვარზე მაღალი დიდი ხიდის აშენებას მერე მეც მოვესწარი.

მესხეთი მთიანი მხარეა: აღმართები, დაღმართები, ხევები, კლდეები — ასეთია მესხეთის პეიზაჟი. ადგილობრივი მაცხოვრებლები ბაღებს მტკვრის გასწვრივ, ფერდობებზე აშენებდნენ. ეს ბორჯომის მიმართულებით, სოფლის მიღმაა. თუმცა ამისთვის ტყის, ეკალ-ბარდების გაკაფვა დასჭირდათ, ქვის ღობე ამოაშენეს, ბანზე მიწა დაყარეს, მერე ისევ ქვის კედელი და ა. შ. ტერასები მთის წვერამდე აიყვანეს. ტერასებს, მთის ძირიდან მის წვერამდე, ვიწრო ქვის კიბე მიუყვებოდა, რომლითაც ადი-ჩადიოდნენ და თანაც ტერასების ორივე მხარეს შეეძლოთ გადასვლა. ბაღებს მათი მფლობელების მზრუნველი ხელები უვლიდა. ყოველ მონაკვეთზე პატარა ქოხი, ანდა წნელის ფაცხა ედგათ.

კოხტა რიგებად ჩაეყარათ ვენახი. რა სახის ხეხილსა და კენკრეულობას არ ნახავდით, მოჰყავდათ: კაკალი, ვაშლი, მსხალი, ათასნაირი სახის ალუბალი, შვინდი, თეთრი და შავი თუთა, შავი ქლიავი (ქლიავის ამ სახეობას ჩვენებურები „თამაზს“ ეძახდნენ), კვრინჩხი; ქლიავის სახეობა, რომელსაც „ტყუპს“ ეძახდნენ; — ტყუპ ქლიავს ღია მწვანე ფერი ჰქონდა. ეს განსაკუთრებული ჯიში გახლდათ, ძალიან სურნელოვანი და ტკბილი. აწყურს გარდა ეს ჯიში სხვაგან არსად შემხვედრია. არადა, რა გემრიელი მურაბა მზადდებოდა მისგან, შეუდარებელი არომატი და გემო ჰქონდა. ამ მურაბას განსაკუთრებული ხერხით ამზადებდნენ, რეცეპტი მხოლოდ აწყურელმა ქალებმა იცოდნენ. ბაღებს „გედის ბაღჩალარებს“ უწოდებდნენ — ანუ გოდისის ბაღებს, ამ ადგილის სახელწოდების მიხედვით; გოდისი — ეს სახელი დღემდე შემორჩა ქართულ დასახელებად. ხერთვისელები ამტკიცებდნენ: — ტერასული ბაღებისა და ვენახების გაშენება აწყურელებმა ჩვენგან გადაიღესო; აწყურელები კი საპირისპიროს ამბობდნენ. მაცხოვრებელთაგან არავინ იცოდა, რომ მიწაში უზარმაზარი ღვინის კოდები იყო ჩამარხული. როცა ბორჯომი-ვალეს რკინიგზა გაჰყავდათ, მშენებლები მაშინ გადააწყდნენ ამ კოდებს. ეს 1943 წელს მოხდა. თვითმხილველები ასეთ ამბავსაც ყვებოდნენ: ზოგიერთ მშენებელს თოკი ჩაუბია და კოდში ჩასულა მის გამოსაკვლევად, კოდის ძირში რაღაც ბლანტი მასა ყოფილა. ამბობდნენ, ვინც გემო გაუსინჯა, მაშინვე დაოვრაო. დროთა განმავლობაში ღვინო შესქელებულა. მოხუცები ერევანეთში ბჭობდნენ:

— ეტყობა, ამ ტერასებს თავიდანვე ვენახის გასაშენებლად იყენებდნენ და საამისოდაც ჰქონდათ მოწყობილი, თორემ ამხელა ღვინის კოდები რაში დასჭირდებოდათო.

როცა მეკითხებიან, — სადაური ხარო, ვპასუხობ: — აწყურელი ვარ-მეთქი. იმიტომ, რომ იქ დავიბადე, თუმცა ნამდვილ სამშობლოდ ადიგენი მიმაჩნია. აწყურს ადიგენივით კარგად არ ვიცნობ, რადგან იქ მხოლოდ არდადეგებისას ჩავდიოდი ბებიასთან. ჩემ ნამდვილ სამშობლოდ ადიგენს იმიტომაც ვთვლი, რომ ის მთელი გულით შევიყვარე. პატარა, 3-4 წლის ვიყავი, როცა აწყურიდან გადავედით. მართალი გითხრათ, აწყურს ვერც დავიმახსოვრებდი, რადგან მცირეწლოვანი ვიყავი. როცა სამყაროს შეცნობა დავიწყე, ზრდასრულ ასაკს მივაღწიე და ჩამოვყალიბდი — უკვე ადიგენში ვცხოვრობდი. სკოლის მეგობრები, ტექნიკუმელი მეგობრები და რა თქმა უნდა, თანატოლი — მეზობლები ადიგენში მყავდა.

გულისმიერ მიჯაჭვულობას ადიგენის მიმართ ვგრძნობ, რადგან ახალგაზრდობის ყველაზე ბედნიერი წლები იქ გავატარე; 1929 წელს მამა იქ გადაიყვანეს სამუშაოდ და 1944 წლამდე, სანამ გაგვასახლებდნენ, ადიგენში ვიმყოფებოდით. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა მქონდა; ყველაფერი იმდენად ბუნებრივი იყო, სხვაგვარად ვერც წარმომედგინა.

სად არ მიცხოვრია, ვის არ შევხვედრივარ, ადიგენისნაირი ბუნება კი არსად მინახავს; არსად შემხვედრია ასეთი გამრჯე, თბილი, სტუმართმოყვარე, სუფთა, პურმარილიანი ხალხი. ამგვარი ბუნებით ღმერთს მხოლოდ ასეთი ხალხის დაჯილდოება შეეძლო. ყველაფერს, რაც ამ მიწაზე მოდიოდა, განსაკუთრებული გემო ჰქონდა. ადიგენისნაირ ბაღჩა-ბაღებს მთელ მესხეთში ვერსად ნახავდი. ადიგენი ვაკეზე მდებარეობს და ბაღებს იქვე აშენებდნენ, სადაც ცხოვრობდნენ. ადიგენი მესხეთის სხვა რაიონებისაგან ამით განსხვავდებოდა; სხვა რაიონებში ხომ მთებს — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ყოველ მტკაველ მიწას ხელიდან გლეჯენ. აქ ტერასების აგება, ხერთვისისაგან განსხვავებით, არ სჭირდებოდათ. მთელი სოფელი სიმწვანეში ჩაფლულიყო. ძალიან მაღალი და მძლავრვარჯიანი ხეები იზრდებოდა.

მდინარე ქობლიან-ჩაის ორივე მხარეს სოფლები გაეშენებინათ. ბაღები სოფლებსა და მდინარეს შორის მდებარეობდა. ადიგენში ძალიან გემრიელი წყალი მოედინება; ხილ-ბოსტნეულს ამ წყლით რწყავდნენ და საუკეთესო გემო, ალბათ, ამიტომაც ჰქონდა. იმდენად ძველი ნარგავები იყო, რომელთა დამრგველის ვინაობაც კი აღარ ახსოვდათ. ამ ბაღებს მამები შვილებს მემკვიდრეობით გადასცემდნენ და ამ მემკვიდრეობას მრავალი თაობა უვლიდა. ვერც ტოტებს შესწვდებოდი, ვერც ამ ხეების ტანს შემოაწვდენდი ხელს. ყველა ოჯახს საგანგებო კიბე ჰქონდა, რომელსაც ხილის მოკრეფის დროს ხეს მიადგამდნენ ხოლმე. ხილის მოსაკრეფი კალათებიც ჰქონდათ, „გიდელს" რომ უწოდებდნენ. ვედროს ზომის კალათები იყო, პირფართო და წაგრძელებულძირიანი, რომ ტოტებში იოლად გაეძვრინათ. ერთი ადამიანი ხეზე აძვრებოდა, გიდელს ხილით აავსებდა და მეორეს ქვევით ჩააწოდებდა ხოლმე. ხილს ფრთხილად კრეფდნენ, რომ არ დასცვივნოდათ და არ დაეზიანებინათ. გიდელს თოკით უშვებდნენ ძირს. ხილს სახეობების მიხედვით ახარისხებდნენ და ბალახზე ახვავებდნენ. შეგროვებული ხილის სურნელი მთელ ბაღში ვრცელდებოდა. ამ ხილის სურნელი გამვლელებსაც სწვდებოდა. ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში, ხილის კრეფას ამთავრებდნენ, ხილს ყუთებში აწყობდნენ და ურმებით შინ მიჰქონდათ. ყოველ ოჯახს ჰქონდა ხილის შესანახი სარდაფი. ოჯახებს მთელი წლის სამყოფი ხილის მარაგი გააჩნდათ. ზოგს ხილი რუსეთში, უკრაინასა და საქართველოს სხვა რეგიონებში გაჰქონდა. ვაშლის მრავალი სახეობა იყო გავრცელებული, ნაკლებად — მსხლის, შავი ქლიავის, ჭანჭურისა და კაკლის სახეობები. მსხვილი, თხელკანიანი, ღია ფერის ნაჭუჭიანი კაკალი მოდიოდა.

ვაშლის ეს სახელწოდებები მახსოვს:

1. მახარა-ალმასი — ამ ვაშლს გაციებისას ჭამდნენ. ძალიან მჟავე იყო. დიდი ზომის ნაყოფს ისხამდა. ცალ მხარეს მუქიმეწამული ფერი დაჰკრავდა, მეორეს — მწვანე. სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა, ხილად არ იყენებდნენ.

2. ფაშა-ალმასი — მომჟავო-მოტკბო ვაშლის სახეობა გახლდათ. ბატის კვერცხის ხელა ნაყოფს ისხამდა. ცალი მხარე მუქი-ყვითელი, მეორე — წითელი ფერისა ჰქონდა.

3. სეიბა-ალმასი — მოგრძო ფორმის, ტკბილი ვაშლის სახეობა.

4. კერენფილ(მიხაკი)-ალმასი — ასევე წაგრძელებული ფორმის ვაშლის სახეობაა, სუნითა და გემოთი მიხაკს ჰგავდა.

5. იალ(კარაქის)-ალმასი — საშუალო ზომის ვაშლის სახეობაა; ღია-მწვანე ფერი დაჰკრავს, წვნიანია. ნაყოფის გული თითქოს კარაქითაა სავსე.

ხარობდა სინაბი, ბანანი, სიუდ-ალმასი (რძიანი ვაშლი), ჯენეთ-ალმასი (სამოთხის ვაშლი); ბევრი სახეობის ვაშლი არსებობდა, თუმცა მარტო ეს დასახელებები მახსოვს.

ხიდან ჩამოცვენილ ვაშლს ცალკე აგროვებდნენ, ასუფთავებდნენ, ჭრიდნენ და ახმობდნენ. გამხმარ ვაშლს „კახ"-ს ეძახდნენ.

მსხლის ჯიშებიდან მახსოვს:

1. ნანაძირი-არმუდი, კაბალ-არმუდი, თავრიჭულ-არმუდი, აღირშახ-არმუდი, ამ ჯიშებს სხვანაირად სიჩან-არმუდს (თაგვის მსხალს) ეძახდნენ, რადგან თაგვის სუნი დაჰკრავდა. გავრცელებული იყო: ჭოჭინა-არმუდი, პანტა, კორდა-არმუდი. იმ ადგილის დასახელება მახსოვს, სადაც ეს სახეობები მოჰყავდათ. ამ ადგილს კორდალარი ერქვა.

მსხლის ჩირს მხოლოდ ჭოჭინა-არმუდისგან ამზადებდნენ. თონეში წვავდნენ. პურის გამოცხობის მერე, განელებულ თონეში, წინასწარ გამზადებულ ხილს ჩაჰკიდებდნენ ხოლმე. მზეზე მხოლოდ შავ ქლიავს აშრობდნენ, ხის დაფებზე შლიდნენ.

ჭანჭურსაც შავი ქლიავის მსგავსად ახმობდნენ. გადამწიფებული ან დაჭყლეტილი ნაყოფისგან კი ხილფაფასა და ტყლაპს ამზადებდნენ.

ადიგენის ყოველი სოფელი რაღაცით გამოირჩევა.

წახანი, მაგალითად, ყველითა და კარაქითაა ცნობილი.

უმწა, ადიგენი, ლელოვანი — ხეხილის ბაღებითაა სახელგანთქმული.

ზარზმას იქ არსებულმა მონასტერმა გაუთქვა სახელი.

ფლატეს — სამკურნალო წყლებმა.

წრეს — მეთევზეობამ.

სოფელ ენტელთან ერთი კლდეა, კლდის წვერი აკვანს მოგაგონებს. როცა კლდეს მზე ადგება, ოქროსავით ბრწყინავს. ხალხმა ამიტომაც შეარქვა ალთუნ-ყალა (ოქროს კლდე).

ერთ სოფელში, რომლის სახელწოდებაც არ მახსოვს, თიხ-ის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი. ამ თიხისგან ჭურჭელს, კეცებს აკეთებდნენ.

მესხეთში ძალიან გემრიელი სასმელი წყალია, მაგრამ აბას-თუმანს ზემოთ სოფელი ხორჯალი მდებარეობს, სადაც წყალი არ მოდის. გვიყვებოდნენ: „როცა იმ სოფელში ბავშვებს აძინებენ, ბავშვები ამბობენ, — იმიტომ გვაძინებენ, რომ წყალი უჩვენოდ დალიონო“.

ადიგენის რაიონში, ძირითადად, მებაღეობას მისდევდნენ. მარცვლეული კულტურებიდან ხორბალი, ქერი და სიმინდი მოჰყავდათ. თესავდნენ კარტოფილს, ლობიოს.

ბაღჩები ყველგან არ ჰქონდათ, სამაგიეროდ, მესაქონლეობა ყველგან ერთნაირად იყო გავრცელებული.

საკუთარ საქონელს ზაფხულში კოლმეურნეობის საქონელთან ერთად მიერეკებოდნენ საძოვარზე (იაილა), ზამთარში კი საქონელიც ჩამოჰყავდათ და საზამთროდ მომარაგებული ყველი და კარაქიც ჩამოჰქონდათ. ყველს კასრებში, ქულეგებში ინახავდნენ. ოვალური ჭურჭელი გახლავთ, თხელი ფანერისგან დამზადებული სარქვე-ლი აქვს. ამ კასრში 3-10 კილოგრამი კარაქი ჩადის. ყველაზე მცირე ზომის ქულეგებში მაწონს ადედებდნენ. საქონელს კლავდნენ და ახალ-ახალ ხორცს მომზადების გარეშე (უმად) იყენებდნენ.

ცხვრის მატყლისგან ძაფს ართავდნენ. მატყლს ჯერ სპე-ციალურ საჩეჩელზე ჩეჩავდნენ, მერე კი ძაფს ართავდნენ და ღებავდნენ. ძაფით მატყლის წინდებს ქსოვდნენ და ძაფს ქალიშ-ვილებს მზითევშიც ატანდნენ. საპატარძლოებს, საქმროს ნათე-სავებისთვის, ქორწილამდე 40-50 წყვილი წინდა უნდა მოექსო-ვათ. ძალიან ლამაზსახეებიან წინდებს ქსოვდნენ. დარჩენილ ძაფს ოჯახში, სპეციალურ დაზგებზე ქსოვილების დასამზადე-ბლად იყენებდნენ. ამ ქსოვილისგან ჩოხასა და მამაკაცის ზედა ტანსაცმელს ქსოვდნენ და ამ ტანსაცმელს ძირითადად ხან-დაზმული კაცები ატარებდნენ. ახალგაზრდები უფრო ახლებურ ქსოვილებს ამჯობინებდნენ. ხანდაზმულ კაცებს ამ ქსოვილისგან შეკერილი შარვლები ეცვათ. აჭარლების ჩაცმულობის მსგავსად, ეს შარვლები უკან ნაოჭს ისხამდა.

ზაფხულობით, როცა სიმინდსა და ხორბალს ასუფთავებდ-

ნენ და აშრობდნენ, ქალები სიმინდის ტაროსა და ხორბლის ღეროებს აგროვებდნენ. ზამთარში სიმინდის ტაროს მდუღარეში ალბობდნენ და მისგან ჭილობებს ამზადებდნენ, ხორბლის ღეროებისაგან კი პატარ-პატარა ზარდახშებს წნავდნენ, რომლებშიც ათასგვარ ნივთს ინახავდნენ.

აწყური კულტურის ცენტრად ითვლებოდა, მესხები მესხეთის მარგალიტს უწოდებდნენ. აწყურელობა — დიდ პატივად მიაჩნდათ. აწყური და ხერთვისი ერთმანეთს მუდამ ეჯიბრებოდა. აწყურელ ჭაბუკებს ხერთვისელი ქალიშვილები მოჰყავდათ ცოლად, რადგან უკლებლივ ყველას მზითევში დიდძალი ქონება მოჰყვებოდა (ხერთვისში ღარიბ-ღატაკს ვერ ნახავდი), თანაც ძალზე მეოჯახე, ხელმარჯვე, შრომისმოყვარე და მოხერხებული საპატარძლოები იყვნენ. აწყურელები კი თავიანთ ქალიშვილებს ხერთვისელებზე არ ათხოვებდნენ, ვინაიდან ხერთვისში სამუშაო მთელი წელი არ ელეოდათ. წლის ყოველ დროს სამუშაო თავზესაყრელად ჰქონდათ და აწყურელი ქალიშვილები ამას ვერ გაუძლებდნენ. თანაც ხერთვისში ხშირია მიწისძვრები და მკაცრი ზამთარი იცის. სამაგიეროდ, აწყურელები შესაშური იუმორის გრძნობით, მახვილგონიერებით იყვნენ დაჯილდოებულნი, ხუმრობა და ერთმანეთის გამასხრებაც უყვარდათ. ზედმეტ სახელებსაც საოცარი სიზუსტით ურჩევდნენ ერთი-მეორეს! შერქმეული სახელი ისე ზუსტად ახასიათებდა ადამიანს, რომ ზოგჯერ, ღრმა მოხუცებულობამდე მხოლოდ ამ ზედმეტსახელით მიმართავდნენ ამ ადამიანს. პაპაჩემს ორი ზედმეტსახელი ჰქოდნდა: „მჭედლო“ (მჭედელი) და „ჩაფი“ (ღვინის ასარწყველი), ხოლო მისი ნამდვილი სახელი აღარც კი ახსოვდათ. მახვილგონივრულობაში ყველა სწორუპოვარი გახლდათ, კაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ. ვაი, ამ ქალების ყბაში ჩავარდნილი კაცის ბრალი, სიცოცხლეს უმწარებდნენ. ქალებიც და კაცებიც ოქროს ხელების პატრონები იყვნენ, ცოდნის წყურვილი იმდენად ძლიერი იყო მათში, რომ აწყურელები თავიანთ შვილებს, — მნიშვნელობა არ ჰქონდა ვაჟი იყო თუ ქალი — სასწავლებლად სხვა ქალაქებში გულმშვიდად აგზავნიდნენ. იმ დროს ეს დიდი იშვიათობა გახლდათ. ბევრმა ჩვენებურმა კი განათლება სტამბოლში, რომში, მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისსა თუ ბაქოში მიიღო. ვინც

თავის შვილს განათლებას ვერ აძლევდა, ხელობას ასწავლიდა; შესანიშნავი მკერავები, დალაქები, დურგლები, მჭედლები და ოქრომჭედლები გვყავდა, ხოლო მზარეულის ხელობა ზოგად განათლებად ითვლებოდა და ყველა აწყურელი ისე ფლობდა ამ ხელობას, თითქოს მზარეულად ყოფილიყო გაჩენილი.

დიდი ხელმარჯვეობითა და გემოვნებით გამოირჩეოდნენ ხეზე კვეთის ოსტატები. მათი ნამუშევრები დახვეწილობითა და სიფაქიზით აოცებდა მნახველს. სახლების ფასადებს, აივნებს, კარფანჯრებს, სამზარეულოს თაროებს ხეში ნაკვეთი ჩუქურთმებით ამკობდნენ. აბლაბუდასავით სიფრიფანა, უმშვენიერესი მოხატულობა ამშვენებდა პატარა თუ დიდი კოვზის ტარებს. სამზარეულოში, ჩვეულებრივ, პატარა ყუთი ეკიდა გასაცრად სახე-კვეთილი კოვზებისა და დანა-ჩანგლისათვის. საოჯახო ჭურჭლეულობა და ავეჯი, ულამაზესი აკვნები და ჩოჩიალები — ასე ვეძახდით — ჭოჭინას — მოჩუქურთმებული გახლდათ.

ანდა რა ჯიშის თამბაქო აღარ მოჰყავდათ! ერთნი თამბაქოს მოყვანის დიდოსტატებად იყვნენ ცნობილნი, სხვებმა კი მებაღეობითა და მევენახეობით გაითქვეს სახელი. ყოველი სახეობის ხილს მაქსიმალურად იყენებდნენ, თეთრი თუთისგან ჩურჩხელას, ტყლაპს, თუთის ჩირს (გემოთი ქიშმიშსაც არ ჩამოუვარდება), ბადაგს — ბაქმაზსა — და თუთის არაყსაც ამზადებდნენ. ტყლაპის ერბოკვერცხსაც აკეთებდნენ: ტყლაპს პატარა ნაჭრებად ჭრიდნენ, კვერცხთან ერთად თქვეფდნენ და წვავდნენ.

ნადირობასა და თევზაობასაც მისდევდნენ. ქალებს, სახლის მოვლის გარდა, ხელსაქმეც ემარჯვებოდათ: ხალიჩებს, ქილიმებს (სახეებიანი ფარდაგია), ჯეჯიმებსა და ხურჯინებს ქსოვდნენ. მათ ნამუშევარზე, ამ სოფლის ფარგლებს გარეთაც, დიდი მოთხოვნილება იყო. საქონელი გასაყიდად სხვა ქალაქებში მიჰქონდათ. მატყლისგან, ხალიჩების გარდა, ლამაზსახეებიან წინდებს, ხელთათმანებს, ჟაკეტებს, თავშლებს ქსოვდნენ. ყველა გასათხოვარ ქალიშვილს მზითევი აუცილებლად ნაქსოვი ტანსაცმლის ნაკრებითაც უნდა გაეწყო; გოგონებს ადრეული ასაკიდან ასწავლიდნენ საოჯახო საქმეს, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი ქალები ერთნაირად ფლობდნენ ქარგვის, კერვის, ჩხირებით და ყაისნაღით ქსოვის ხელოვნებას. ქალის საყოველდღეო თუ ღამის თეთრეულს

ხელით ქარგავდნენ და ასევე ხელით ნაქსოვი მაქმანებით რთავდნენ. ქალები, უკვე მაშინ, ატარებდნენ კოვერკოტის და შევიოტის უკან ჩაჭრილ და ამ ჩანაჭერის კიდეზე ღილებდამაგრებულ ქვედატანს. მიღებული იყო თეთრი, მოქარგული აბრეშუმის კოფთები. კარგად მახსოვს ასეთ სამოსელში გამოწყობილი ახალგაზრდა დედაჩემი. ყოველთვის მოდურად და გემოვნებით იცვამდნენ. მაშინ მიღებული იყო კოჭებამდე და კოჭზევითა ქვედაბოლოს ტარება.

გემრიელი საჭმლის კეთება ეხერხებოდათ. კერძების მომზადება ქალებსაც უყვარდათ და კაცებსაც. აწყურელებს საოჯახო — საფირმო — კერძებიც ჰქონდათ: თხელი ცომისგან დამზადებული პატარა ზომის ხინკალი, გულსართად ხორცის ფარშს ან წვრილად დაკეპილ ბასთურმას რომ უდებდნენ. ჩვენთან ბასთურმიან ხინკალს ამჯობინებდნენ, უფრო გემრიელია. კიკილსაც ამზადებდნენ, რაც საფუარიანი ცომითა და ხახვნარევი ბასთურმით მზადდება. ყველაფერს შინ ამზადებდნენ, ხოლო თუ რამეს აცხობდნენ, საცხობში მიჰქონდათ. ყიზართმა, თიკე-ქაბაბი, ლულა-ქაბაბი, თენჟერე-ქაბაბი, ერიშთე... ამ საჭმელების ნუსხა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

ტკბილეულსა და ნამცხვრეულობასაც ამზადებდნენ: შაქარლამას, ფახლავას, იჩლი-ქეთეს, ქეთმერს, ხოვილს, ფეთერს; აცხობდნენ: ლობიან-ქეთეს, კარტოფილ-ქეთეს, ფენოვან ხაჭაპურს, ბიშილუხმას, ბაზლამას...

ჩემი ბებიის ბებია — შირინ ნენე, კულინარიული ოსტატობით სახელგანთქმული ქალი გახლდათ: ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებდა და აცხობდა. უიმისოდ ქორწილს არ იხდიდნენ. მე მას ვერ მოვესწარი, მაგრამ სახლში ყოველთვის იგონებდნენ, რა საუცხოო მზარეული იყო.

ყავის მოსამზადებელი მოწყობილობა ყოველ ოჯახს ჰქონდა — ქვიშიანი მაყალი და მადუღარა, სპილენძის ყავადანი. სტუმრებს ყავას შაქარლამასთან ან ფაჰლავასთან ერთად მიართმევდნენ ხოლმე.,

აწყურლებს „შეერლი“-ს, ანუ ქალაქელებს ეძახდნენ, დანარჩენებს კი — „ქიოვლი“-ს, ანუ სოფლელებს.

აწყურელები ჩაცმულობითაც და მანერებითაც ძალიან გამოირჩეოდნენ. სტუმრების მიღებაც სხვანაირი იცოდნენ.

აწყურელები სხვა ეროვნების და სარწმუნოების ადამიანებზე ქორწინდებოდნენ. იქ კი მრავალი ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანი ცხოვრობდა. იყვნენ კათოლიკე მესხები (ფრანგები, ან ფერენგები, როგორც მათ უწოდებდნენ), მუსლიმი მესხები, სომხები, ებრაელები. მართლმადიდებელი ქართველები აწყურში ცოტანი იყვნენ, ისიც ჩამოსულები.

განათლების მიღების სურვილი ძირითადად მუსლიმ მესხებს ჰქონდათ. „ფრანგები" მეთევზეობას, მიწათმოქმედებას, ხეტყის მტკვარზე დაცურებას მისდევდნენ. ბევრს საშუალება არ ჰქონდა შვილებისთვის განათლება მიეცა, ყოველ შემთხვევაში, სასწავლებლად მხოლოდ ერთეულები მიდიოდნენ. სომხები ხელოსნობდნენ, ებრაელები კი ვაჭრობას — „ალვერი" — მისდევდნენ. სოფლის შუაგულში მდებარეობდა: „ჯამე" (მეჩეთი), საცხობი, აბანო, ყავახანა. იქვე იყო პატარა სავაჭრო ფარდულები. ვინაიდან ეს სოფლის ცენტრს წარმოადგენდა, მთელი სოფლის მამაკაცები საურთიერთოდ აქ იკრიბებოდნენ. აქ ბჭობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივ პრობლემებზე, ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ; ამ სოფლის ძველ მაცხოვრებელთა გადმოცემით, „ჯამე" ადრე ეკლესია ყოფილა. ოსმალოთა შემოსევების დროს ეკლესია არ დაუნგრევიათ, თუმცა საკურთხეველი ისე ამოუშენებიათ, რომ ვერავის ველარ შეემჩნია, ოდესღაც იქ ეკლესია თუ არსებოდა. ფრესკებიც შეულესავთ, მერე კი მინარეთი მიუშენებიათ.

მეჩეთის შორი-ახლო საცხობი იყო. არ მახსოვს, ვის ეკუთვნოდა, გასაბჭოების შემდეგ ის საერთო გახდა. ერთი მეზობელი მუშაობდა, რომელიც 10 გამომცხვარ პურზე ერთ პურს გასამრჯელოდ იტოვებდა. ამ საცხობში ყველაფერს აცხობდნენ: პურს, მჭადს, ფაჰლავას; აკეთებდნენ: კიკილს, ყიზართმას და გოგრასაც წვავდნენ (ამტკიცებდნენ, — გამომცხვარი გოგრა უფრო გემრიელიაო).

იქვე იყო დიდი ხნის წინათ აღმოსავლურ ყაიდაზე აშენებული აბანო. აბანო უზარმაზარი ქვის ფილებისგან აეგოთ. ხისგან მხოლოდ მასიური კარები დაემზადებინათ. აბანო ქვემოდან თბებოდა, იატაკზე დაგებული ქვის ფილებიც წყლის გაცხელებ-

ისთანავე ხურდებოდა. სანამ წყალი ცხელი იყო, იატაკიც თბებოდა. აქ, თანამედროვე საუნის მსგავსი ორთქლის აბანოც არსებობდა. მხოლოდ დასაბანად კი არა, გაციებისგან თავის მოსარჩენადაც დადიოდნენ. თუმცა აბანოს ყველაზე პიკანტურ დანიშნულებას სადედამთილოების მიერ საპატარძლოების შეთვალიერება წარმოადგენდა. თუკი ქალიშვილი აბანოში ყველას მოეწონებოდა, მერე მაჭანკლებსაც მიუგზავნიდნენ. ასე ვთქვათ, აბანოში ერთგვარი ჩვენება, საპატარძლოების დათვალიერება ეწყობოდა. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახების შექმნაში აბანო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ამ აბანოს გარდა, სოფლის განაპირას, ციე წყაროსთან, საზაფხულო აბანოც არსებობდა. სახსრების ტკივილს, რადიკულიტს, რევმატიზმს აქ მკურნალობდნენ. სამკურნალო წყარო თავისებურ გამაჯანსაღებელ აუზად გადააქციეს. წყალი რკინის კასრებში ჩაედინებოდა, კასრები კი ცეცხლზე ხურდებოდა. აუზი საჭირო ტემპერატურის წყლით ივსებოდა. აბაზანების მიღების შემდეგ, ადამიანების ერთი ჯგუფი აუზიდან ამოდიოდა, აუზს ცლიდნენ და მსურველთა ახალი ნაკადისათვის ახალი წყლით ავსებდნენ. აბანოს სახურავი და კედლები, ფაცხასავით, წნელებით იყო შემოწნული, ამიტომ ეძახდნენ „ჩუბუხამს". ეს სეზონური აბანო გახლდათ — ამინდის მიხედვით მუშაობდა.

1989 წელს, გადასახლებიდან 45 წლის შემდეგ, აწყურში პირველად მოვხვდი. პაპაჩემის სახლი ჯამეს გვერდით მდებარეობდა. ის სახლი კი, სადაც დავიბადე, აბანოს მოპირდაპირე მხარეს. ჩვენი გადასახლების შემდეგ აწყურში ბევრი რამ შეიცვალა, ამიტომ ჩვენი სახლის ძებნა-ძებნაში, ორიენტირად აბანო, ჯამე და საცხობი მეგულებოდა. მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ისინი მახსოვდა, აღარც ჯამე და აღარც საცხობი აღარ დაგვხვედრია. ჯამესაგან მხოლოდ მავთულხლართებით შემოღობილი საძირკველი შემორჩენილიყო. საოცარ და ყოველმხრივ სასარგებლო აბანოს კი გუმბათი და კარის ერთი ფრთაღა შერჩენოდა. გეგონებოდა, აბანო საცაა ღვარცოფით ჩამოტანილი ქვების გროვაში ჩაიძირებაო.

სანამ გარემოში გარკვევას შევძლებდი, რამდენიმე სახლ-

იდან მაცხოვრებლები გამოვიდნენ და გამოგვკითხეს, — აქ რას ვაკეთებდით, ან რას ვეძებდით. არც ისე კეთილგანწყობილნი იყვნენ ჩვენს მიმართ და ამიტომ ახსნა-განმარტებას აზრი არ ჰქონდა. ჩუმად ჩავსხედით მანქანაში და ციხე-სიმაგრისკენ გავემართეთ. იქ ერთი მუჭა მიწა და კლდის პატარა ნატეხი ავიღეთ, მშობლებს დავპირდი, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე ამას გავაკეთებდი და დანაპირები შევასრულე.

ახალციხის მიმართულებით, როცა აწყურის მხრიდან მიდიხარ, სოფლის თავში, გზატკეცილის გასწვრივ, სასაფლაო მდებარეობდა. სასაფლაო ქვის კედლებით იყო შემოღობილი, შესასვლელი კარი იკეტებოდა, რომ პირუტყვს არ მოეოხრებინა. საფლავებს კარგად უვლიდნენ. პირდაპირ შესასვლელთან ორი ძველთაძველი საფლავი მდებარეობდა. როგორც ჩანს, ამ სასაფლაოს მათ დაუდეს დასაბამი. იმდენად ძველი საფლავები გახლდათ, რომ სოფლის უხუცესი მაცხოვრებლებიც ვერ გეტყოდნენ — თუ ვინ იყო, ან საიდან მოვიდა ეს ორი ძმა — ქელმეჯიე-ფენდილერი. ამ საფლავებს სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. ავადმყოფთა განკურნება შეეძლოთ. თუკი მძიმე ავადმყოფს საფლავებს სამჯერ შემოატარებდნენ, — განიკურნებოდა. ათეისტი, კომუნისტი მამაჩემი ამას შარლატანების გამონაგონად მიიჩნევდა. ერთხელ, დედამ ჩემი და თან წაიყვანა „გოდი სბაღჩალარ"-ში, ჩემი და ხუთი წლის იყო. ბავშვს ხის ქვეშ ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, ცალი მხარე დადამბლავებოდა, ფეხზე ვერ დგებოდა, მერე კი გონება დაკარგა. დედამ გონებადაკარგული ბავშვი ხელში აიყვანა, სასაფლაოსთან მივიდა და საფლავებს სამჯერ შემოატარა. ყველა გაოგნდა, როცა ბავშვი გონს მოვიდა, თვალი გაახილა, თავისით წამოდგა და ალაპარაკდა. მამამ თავისი თვალით ნახა, რა მდგომარეობაში იყო ბავშვი და შინ როგორი დაბრუნდა. ალბათ, ბუნებაში ასეთი რამაც არსებობსო, — თქვა მან.

აი, ეს ლეგენდა კი უფროსებისგან მსმენია. ყვებოდნენ: როცა მტერი ახლოვდებოდა, გზის ამ მონაკვეთზე, იმ ორი საფლავის მახლობლად, თეთრ ცხენებზე ამხედრებული ორი კაცი გამოჩნდებოდა და მტერს გზაზე ეღობებოდა, ისე რომ, მტერი ამ ადგილიდან ფეხს ვეღარ იცვლიდა და უკან იხევდაო.

აწყურს მესხეთის კარიბჭეს უწოდებდნენ. მტერი, რომელი მხრიდანაც არ უნდა შემოჭრილიყო, წინ წაწევას თუ მოინდომებდა, ეს „კარიბჭე“ — კლდეკარი — უნდა გაეკლო, მისი გაკლა კი შეუძლებელი ყოფილა. ციხე-სიმაგრის ირგვლივ დასახლებულმა ხალხმა იცოდა, რა პასუხისმგებლობაც ჰქონდათ ნაკისრი და ყველა მისადგომს იცავდნენ, რათა მტერს სოფელში არ შემოეღწია. თვითმხილველების გადმოცემით, ერთხელ შეუტყვიათ, რომ მტერი აწყურზე გალაშქრებას აპირებდა. მეომრებს როგორმე უნდა დახმარებოდნენ მტრის მოგერიებაში. იარაღი არ ჰქონდათ, შიშველი ხელებით კი მტერს ვერ შეაკავებდნენ, სამაგიეროდ ჭკუა უჭრიდათ და მოხერხებულობითაც გამოირჩეოდნენ. მთელი სოფლის ფორნები შეკრიბეს და გზის გასწვრივ ჩაამწკრივეს. ფორნებზე საღუმელე მილები დააწყვეს და ყველაფერი ჯეჯიმებით (ფარდაგები) დაფარეს. ერთმანეთში კი ჩუმად ლაპარაკობდნენ: — ზარბაზნები დავმალეთ, ვერავინ დაინახავს, ახლოს მოვუშვათ და ცეცხლი მერე გავუხსნათ. ტყვია-წამალი საკმარისად გვაქვსო. არავინ იცის, ამან გაჭრა თუ მტერი არც ისე ძლიერი და თავდაჯერებული იყო, რადგან ციხე-სიმაგრეზე იერიში არავის მიუტანია. სოფლელები კიდევ დიდხანს იხსენებდნენ, შიშველი ხელებით როგორ შეაშინეს მტერი, და თავისი მოხერხებულობით ამაყობდნენ.

ხერთვისი

ხერთვისი ასპინძის რაიონში მდებარეობს. მთებს შორის, ღრმა ხევში, მდინარე მტკვარი მიედინება. მთის ორი მდინარე — არდაჰან-ჩაი, თურქეთიდან რომ მოედინება და ახალქალაქ-ჩაი, რომელიც ჯავახეთიდან მოედინება — იმ კლდის ძირში უერთდება ერთმანეთს, რომელზეც ხერთვისის ციხე-კოშკი დგას. ჯავახეთისკენ მიმავალ გზატკეცილს მარჯვენა სანაპიროსთან ხიდი აერთებს. ეს ხიდი ზედ ციხე-კოშკის ქვეშ გადის. ხიდის იქეთა მხარეს უკვე სოფელი ხერთვისი იწყება. ამის შემდეგ გზას კლდეში ნაკვეთ ქალაქ ვარძიამდე — კულტურისა და მეცნიერების ძველ ცენტრამდე — მივყავართ.

ხერთვისის ციხე-კოშკი, თითქოს კლდიდანაა ამოზრდილი და ვერ იფიქრებ, რომ ის ადამიანის ხელმა შექმნა. ძლიერების, დიდებულების განცდას იწვევს და უნიკალური სილამაზით გატყვევებს.

ბავშვობაში ამ ციხე-კოშკის ყურებისას ყოველთვის მიკვირდა, თუ როგორ შეძლეს ადამიანებმა ამ სალ კლდეზე მისი აშენება. ის კი საუკუნეების ქარტეხილში ისევ ისე აღმართულა, როგორც ფხიზელი გუშაგი, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის ბინადართა სიმშვიდეს სდარაჯობს.

ამ კოშკიდან, სადამდისაც თვალი მიგიწვდება, მთელი მიდამო ხელისგულივით მოჩანს. მინდა გითხრათ, რომ ეს უჩვეულოდ ლამაზი მხარეა — ტერასული ბაღები, ხეობის ფსკერზე ზონარივით დაკლაკნილი მდინარე, უბნებად აშენებული ქვის სახლები, სადაც ზამთრისა და შემოდგომის ცივ თვეებს ატარებდნენ მისი ბინადარნი, — ყველაფერი ეს ციხე-კოშკის ძირში, ერთ მტკაველ მიწაზე, ეტევა.

ხერთვისი ადრე რამდენიმე თავადსა და აზნაურს ეკუთვნოდა, ყველას თავისი მამული ჰქონდა. მოჯამაგირეები ცალკე ცხოვრობდნენ და მათი სახლები მდიდარი მეზობლების სახლებისაგან ძალზე განსხვავდებოდა. დამამახსოვრდა გვარები: ვაჩნაძე, თუთაძე, აბაშიძე, ბაქრაძე, აბულაძე. ყველას თავისი უბანი ჰქონდა, ამ უბნების სახელებიც კარგად მახსოვს: ნაქალაქევი, კუარშა, ეშმაკუბანი, თაშლიყიშლა (ამ უბნის სახელწოდება გვამცნობს, რომ იქ ქვების მეტი არაფერი იპოვებოდა).

მუსლიმთა თავდასხმების დროს ზოგიერთმა თავადმა ხერთვისი დატოვა და იქ დამკვიდრდა, სადაც ბედმა გადაისროლა. ამ გვარებს შორის ქრისტიანებიც არიან და მაჰმადიანებიც. ხერთვისზე თავდასხმები მუსლიმთა შემოსევებამდეც ხდებოდა და მას მერეც. სოფელი რამდენჯერმე გადაწვეს და დაარბიეს. უკან განადგურებას გადარჩენილი სახლების პატრონები ბრუნდებოდნენ; ხერთვისელები ამტკიცებენ: ყველანი, ქრისტიანიცა და მუსლიმიც, ნათესავები, ერთი შტოს „განაყოფი“ ვართო. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც დაბრუნება აღარ სურდათ, ხშირი მიწისძვრები და ღვარცოფები იყო, რადგან ღვარცოფს ძალზე ბევრი ქვა-ღორღი ჩამოჰქონდა. მაგრამ გონიერი მაცხოვრებლები,

რომელთაც საკუთარი მიწა-წყლის მიტოვება არ სურდათ, ამ ქვა-ღორღს სახლებისა და ტერასების მშენებლობისთვის იყენებდნენ. თუმცაღა ამ სანახაობას სუსტი ნერვების პატრონები ვერ გაუძლებდნენ. მიწისძვრისას, თოვლისა და წვიმის ნაცვლად, ქვები მართლაცდა ციდან ცვიოდა და მთელი ძალით ატყდებოდა თავს ბაღებსა და სახლებს. წვიმების დროს ღვარცოფები იმ მთებიდან მოვარდებოდა ხოლმე, თურქეთის მხარეს რომ მდებარეობს. მოვარდნილი ღვარცოფები ყველაფერს, რაც კი გზად შემოხვდებოდათ, ბაღებს და სახლებს, წალეკვით ემუქრებოდნენ. ყველაფერი მტკვარში ჩაჰქონდათ და ამის გამო ის უფრო ზვირთდებოდა. წყალი ქვებს ეხეთქებოდა და ისედაც ხმაურიანი მდინარე კიდევ უფრო ხმაურობდა. სოფლელების ისედაც რთულ ცხოვრებას ღვარცოფები და მიწისძვრები კიდევ უფრო ართულებდა.

მარცხენა სანაპიროზე, პირდაპირ მდინარის ნაპირთან აღმართულა სალი კლდე. ერთ მტკაველ მიწას, სწორ ადგილს ვერსად იპოვი, რომ სავარგულად გამოიყენო.

კოშკიდან ეს კარგად მოჩანს. მთელი მარცხენა სანაპირო ფართო საფეხურები გეგონება, რომლებზეც მწვერვალამდე მწვანე, ფაფუკი ხალიჩაა დაფენილი. ასე თვალწარმტაცი სანახავი იყო ტერასული ბაღები. თვითგადარჩენის მიზნით, ხალხი მაქსიმალურად შეეგუა კლიმატს, იმ მიდამოს და ბუნების სტიქიონებს.

მდინარის გასწვრივ, ხეობის ფსკერიდან დაწყებული, დამრეცი ფერდობისკენ ქვებს ნელ-ნელა ხელით ეზიდებოდნენ. კედლები ამოჰყავდათ, მერე ასევე ხელით აჰქონდათ მიწა და მიწაყრილ ტერასებს ქმნიდნენ. ამ ფერდობებზე ბაღებს სულ უფრო მაღლა და მაღლა აშენებდნენ, ტერასა ტერასას მიჰყვებოდა და ამ ტერასებზე კოხტა რიგებად იზრდებოდა ვენახი და ხეხილი. აქ ძირითადად ხარობდა კაკალი, მსხვილი, თეთრი და ძალიან ტკბილი თუთა, ალუბალი, ბალი, ვაშლი, სხვადასხვა ჯიშის მსხალი. ხეები ხასხასა მწვანე ბალახში ჩაფლულიყო. ტერასებს, ქვემოდან ზემოთამდე, ქვის ვიწრო კიბე მიუყვებოდა. სულ ზედა ტერასაზე კი ყველას თითქმის ერთნაირი საზაფხულო სახლი-აგარაკი ჰქონდა. როგორც კი დათბებოდა, სოფლის მაცხოვრე-

ბლები გამოსაზამთრებელი სახლებიდან მთელი სეზონით საზაფხ-ულო სახლებში გადადიოდნენ.

კარგად ჰქონდათ მოწყობილი სარწყავი სისტემა. იმ ადგ-ილიდან, სადაც მდინარე სოფელს ზევით მიედინება, არხი გაჭრეს, რომლის სიგანეც ერთ მეტრს აღწევდა. ეს არხი რწყავდა ყველა ბაღს. ამას გარდა, ყველა სახლის წინ გამუდმებით მოედინებოდა სუფთა, კამკამა წყალი. ყველა სახლთან, თხრილზე, პატარა ვი-წრო ხიდ-ბოგირი გაედოთ. ხუთი წლის რომ ვიყავი, დედამ ბებიასთან, ხერთვისში წამიყვანა. ასეთ ბოგირზე გადავდიოდით და წყალში ჩავვარდი. მართალია, მაშინვე ამომიყვანეს, მაგრამ ისეთი შიში ვჭამე, მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა.

გვიან შემოდგომაზე სოფლელები ხერთვისში ბრუნდებოდ-ნენ. ახლო-მახლო ტყეები არ არსებობდა, კლდოვან ფერდობებზე მხოლოდ ბუჩქნარი იზრდებოდა, ამიტომ მაცხოვრებლები შეშას ყიდულობდნენ. მაგრამ ყველაზე საიმედო, შეიძლება ითქვას, უფასო საწვავს წივა წარმოადგენდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვს ნამჯას ურევდნენ, პატარა აგურების ფორმას აძლევდნენ და მზეზე ახმობდნენ. გამომშრალ წივას ფარდულში აწყობდნენ. ზაფხულში მთელი ზამთრის სამყოფ წივას იმარაგებდნენ.

ცხადია, ხერთვისში, ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის, მდიდრებიც ცხოვრობდნენ და ღარიბებიც. ისინი ერთმანეთისგან ჩაცმულობითაც გამოირჩეოდნენ და სახლებითაც. მოჯამაგირე კაცებს შალის შინნაქსოვი შავი ჩოხა-ახალუხი, ჩოხის ქვეშ კი პერანგი (ბულუზი), პიჯაკი და შარვალი ეცვათ. ფეხზე ნაყიდი ფეხსაცმელი ან ჩარუხი ემოსათ. მდიდარი თავადები და აზნაუ-რები ჩოხა-ახალუხს ატარებდნენ, თუმცა მათი ტანსაცმელი ძვირ-ფასი ქსოვილისგან იკერებოდა. მამაკაცების ჩაცმულობის აუცი-ლებელ ატრიბუტად ითვლებოდა ვერცხლის ქარქაშიანი სატე-ვარი, რომელსაც ვერცხლისავე ქამარზე იმაგრებდნენ. გულის ჯიბში ვერცხლის ან ოქროს ოთხ ან სამსარქველიანი საათი ედოთ.

ქალები გემოვნებით იცვამდნენ. მდიდრები ძვირფასი ქსო-ვილისგან შეკერილ სამოსს ატარებდნენ, ღარიბები — სატინის ტანსაცმელს. ძირითადად გრძელ ქვედატანებს და ნაზი ხავერ-დის, აბრშუმის, შალის რუშშემოვლებულ კოფთებს იცვამდნენ.

ახალგაზრდები ღია ფერის ჭრელ სამოსელს ამჯობინებდნენ. ასაკოვანი ადამიანები კი მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, შინდისფერი ქსოვილისგან შეკერილ ტანსაცმელს ანიჭებდნენ უპირატესობას. ზაფხულობით აბრეშუმის თავსაფარს იხვევდნენ თავზე, ზამთრობით კი – შალის მოჩითულ თავშლებს. ქალები შავი ფერის ტანსაცმელს საერთოდ არ იცვამდნენ. გათხოვილ ქალებს თავზე „კათხა“ ეხურათ, რომელიც ოქროს ძაფითა და მარგალიტებით იყო მოქარგული. კათხის ქვედა კიდეზე ოქროს მონეტებს (ფიფინურებს) ამაგრებდნენ, თეთრი ტიულის ლეჩაქს იხურავდნენ, ზემოდან კი შალის ანდა აბრეშუმის თავსაბურს იფარებდნენ.

ქალები ოქრო-ვერცხლის ფართობალთიან ქამრებს ირტყამდნენ წელზე, ეს ქამრები ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი, იმისდა მიხედვით, რა შეძლების ოჯახიდან იყო ეს ქალბატონი. სამკაულსაც ატარებდნენ: ქვებით მოთვალულ ოქროს სამაჯურებს, საყურეებს, ბეჭდებს, ოქროს მონეტების ყელსაბამს, ჩითხას (ოქროს ბრტყელი ყელსაბამი, რომლის თხელი, ნაჩერეტებიანი ჯაჭვის რგოლები ოქროს ან ვერცხლის ძაფზეა ასხმული). ამ სამკაულს ქალებს ნიშნობისას ჩუქნიდნენ საქმროები, ანდა მზითევში ატანდნენ მშობლები. ქალის მდიდრულად გამზითვება მხოლოდ ხერთვისში იცოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ იქ შეძლებული ხალხი ცხოვრობდა. ქალები ქორწილებსა და სხვა დღესასწაულებზე საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულნი მიდიოდნენ. ფერუმარილს იყენებდნენ, რომელსაც თავადვე ამზადებდნენ: აინიკს (კრემს), ქირშანს (ფერუმარილს), სურმას (წარბ-წამწამისათვის), ინას (თმის შესაღებად). ქორწილის შემთხვევაში ინას ფრჩხილებზედაც ისვამდნენ.

ყოველ ოჯახს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ხალიჩები, ქილიმები, კარგი საწოლი, სპილენძის და ფაიფურის ჭურჭელი. მდიდარ ოჯახს სახლი მოჩუქურთმებული, ებანოზის ხის არაბული ავეჯით ჰქონდა გაწყობილი (ამ ხეს შიმშირა ერქვა), უნატიფესი ფაიფურის სერვიზები და ვერცხლისგან დამზადებული ყველანაირი სახის ჭურჭელი და დანა-ჩანგალიც მოეპოვებოდათ.

რას საქმიანობდნენ? მათ საარსებო წყაროს რა წარმოადგენდა? სავარგულები ხომ ცოტა იყო. მიწის ნაკვეთების ნაწილს

ხორბლისა და ქერის მოსაყვანად იყენებდნენ. ხორბალს, ძირითადად, ყიდულობდნენ. სიმინდს არც თესავდნენ და არც ჭამდნენ.

ხერთვისელების ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა წარმოადგენდა. მესაქონლეობა მათთვის ძალზე შემოსავლიანი საქმე გახლდათ. ხორცისგან დამზადებულ პროდუქტებს დიდი რაოდენობით იმარაგებდნენ, ასე რომ ოჯახსაც ჰყოფნიდა და ყიდიდნენ კიდეც. რძისგან ყველს და კარაქს ხდიდნენ. ძროხის ხორცისგან გემრიელ ბასთურმასა და სუჯუკს (შინაური ძეხვი) ამზადებდნენ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარდა ცხვრებიც ჰყავდათ. ეს ყველაზე მომგებიანი საქმიანობა გახლდათ, რადგან ყველაფერი — მატყლი, რძე და ხორცი — გამოიყენებოდა. ცხვრის რძისგან გუდის ყველი ამოჰყავდათ, ხორცისგან ყაურმას ამზადებდნენ, ზამთრისთვის თიხის ქოთნებით ინახავდნენ. მატყლისგან ხალიჩებს, ჯეჯიმებს, ხურჯნებს ქსოვდნენ. ეს ნაწარმი ძალიან ფასობდა. ჟაკეტებს, წინდებს, თბილ ტანსაცმელსაც ქსოვდნენ.

არანაკლები სარგებელი მოჰქონდა მეფუტკრეობას. ოჯახშიც ჰყოფნიდათ და გასაყიდადაც. მეფუტკრეობის პროდუქტებს წამლებისა და სალბუნების დასამზადებლად იყენებდნენ.

ყველაზე დიდი შემოსავალი მაინც მებაღეობას მოჰქონდა. ისეთ თუთას, ხერთვისში რომ ხარობდა, სხვაგან ვერსად შეხვდებოდით. ამ თუთის მსხვილი, თეთრი, ძალიან ტკბილი ნაყოფი ხერთვისის ფარგლებს გარეთაც კარგად იყო ცნობილი. თუთისა და კაკლისგან ჩურჩხელებს აკეთებდნენ. მსხვილ თუთას საგანგებო ფარდაგებზე აშრობდნენ. მისგან ისეთი გემრიელი ჩირი მზადდებოდა, ქიშმიშს რომ არ ჩამოუვარდება.

ტკბილ, მწიფე თუთას წურავდნენ, წვენს მანამდე ადუღებდნენ, სანამ ბლანტ სითხედ არ იქცეოდა, ამას ბაქმაზს ეძახდნენ.

თუთის წვენი ტყლაპის დასამზადებლადაც გამოიყენებოდა, წვენს ხორბლის ფქვილს უმატებდნენ და ადუღებდნენ, კისელს მოგაგონებდათ. მოდუღებულ მასას თხელ ფენად უსვამდნენ ნარმას. ეს ნარმა სახლის სახურავზე გაჰქონდათ, იქ შლიდნენ და ორ-სამ დღეში გამომშრალ ტყლაპს ღებულობდნენ, მერე ნარმას რეცხავდნენ და მომავალი წლისთვის ინახავდნენ.

ყოველ ოჯახს ორმოცდაათი ან მეტი თვითნაქსოვი ჯეჯიმიც კი ჰქონდა. ჯეჯიმებს თუთის დაბერტყვის დროს იყენებდნენ. ხის ძირში ჯეჯიმებს დააფენდნენ და ხეებს ბერტყავდნენ, ასე რომ ნაყოფი არც ისვრებოდა და არც ფუჭდებოდა. ჯეჯიმებსაც სარუეში რეცხავდნენ და სამომავლოდ ინახავდნენ.

შემოდგომაზე ნაწარმი გასაყიდად გაჰქონდათ. სანაცვლოდ ხორბალს ყიდულობდნენ, რომ ზამთარში პური არ მოჰკლებოდათ.

მაშინ არც გზები ვარგოდა და არც მანქანები არსებობდა. ცხენები და ურმები ტვირთის გადასაზიდ ერთადერთი საშუალებას წარმოადგენდა. ყოველ ოჯახს ცხენიც ჰყავდა და ურემიც ჰქონდა. მცირე ტვირთვისთვის საგანგებოდ მოწნულ დიდ კალათებსა და ხურჯინებს იყენებდნენ, რომლებსაც კურტანდადგმულ ცხენებს აჰკიდებდნენ ხოლმე.

მესხეთში ადიგენის რაიონს ადგილობრივები ქობლიანს ეძახდნენ. ქობლიანში კი სოფელი ადიგენი მდებარეობდა. ჩურჩხელები, ტყლაპი და თუთის ჩირი იქ მიჰქონდათ. იქ თუთა არ ხარობდა. ჩამოტანილ პროდუქტებს ხორბალში ცვლიდნენ. რევოლუციამდე მესხებს თავისი ნაწარმი თურქეთშიც კი გაჰქონდათ. უკან ხელცარიელი არასდროს ბრუნდებოდნენ და ოჯახის ყველა წევრისთვის ნაირ-ნაირი საჩუქრები ჩამოჰქონდათ. წლიდან წლამდე, მთელი ცხოვრების მანძილზე, შრომისა და მოვალეობების ერთხელ დამკვიდრებული წესი და რიგი არ იცვლებოდა.

ყველაზე შრომატევადი დრო ზაფხულში დგებოდა, როცა თბილოდა და დღის ხანგრძლივობაც იზრდებოდა. საქმე თავზესაყრელად ჰქონდათ და მოსწრებაზე იყვნენ. გარდა ბაღის სამუშაოებისა და ხილის ნაწარმის დამზადებისა, ქალები იმ მატყლის გარეცხვასაც ასწრებდნენ, გაზაფხულზე ცხვრების გაკრეჭისას რომ შეეგროვებინათ. სანამ ყინვებს დაიჭერდა, აცივებისთანავე, მატყლის დალიანდაგებულ, ფუმფულა საბნებსა და სქელ ლეიბებს კერავდნენ ოჯახისთვისაც და ქალიშვილების მზითვისთვისაც.

ხერთვისელები განთქმულნი იყვნენ როგორც საუკეთესო ფეიქრები. სილამაზითა და ორიგინალურობით, ფერთა გამით, მათი ხალიჩები ცნობილ სპარსულ ხალიჩებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ხალიჩების გარდა ჯეჯიმებს, ქილიმებს, ხურჯინებს ქსოვდნენ. ოჯახში ყველა ქალი ამ საქმეში იყო ჩართული. სამუშაოს ისე ანაწილებდნენ, რომ შრომის საერთო ფერხულში ყველას თავის წვლილი შეეტანა. მატყლს ჩეჩავდნენ, ართავდნენ, ზაფხულში დამზადებული ბუნებრივი საღებავებით ღებავდნენ და ქსოვდნენ.

მთელი ამ სამუშაოს შესასრულებლად ყოველ ოჯახს თავისი სპეციალური მოწყობილობა, დაზგა ჰქონდა. საერთოდ, ხალისიანი შრომით დრო შეუმჩნევლად რომ გაეყვანათ, ქალები მოილაპარაკებდნენ და „იმეჯ"-ს აწყობდნენ. ერთ სახლში იკრიბებოდნენ და ამ ოჯახს საქმეში შველოდნენ, მეორე დღეს სხვა ოჯახში იკრიბებოდნენ და ა. შ. ეს ყველას ხელს აძლევდა, საქმეც კეთდებოდა და შრომა, ხელის შეშლის ნაცვლად, მათ ურთიერთობას ხელს უწყობდა. ქალები ბავშვებიანად მიდიოდნენ. ბავშვობაში მეც შევსწრებივარ მათ შეკრებებს და უჩვეულოს ვერაფერს ვხედავდი ამაში, ოღონდ დამამახსოვრდა, თუ როგორ ყვებოდნენ ნაირ-ნაირ ამბებს, წვრილ-წვრილად არჩევდნენ მავანის და მავანის ამბავს, მათი მწარე ენის საგნად რომ ქცეულიყო, სასაცილო ისტორიებსაც იხსენებდნენ. იქ ყოველთვის მხიარულება სუფევდა. დიდობაში მივხვდი, რა გულმოდგინებასა და ჯაფას ითხოვდა მათგან ეს რთული სამუშაო, თავისი ცხოვრების არც ერთი წუთი უქმად და ფუჭად არ დაუკარგავთ. ამ მკაცრ ბუნებრივ პირობებში საკუთარი ხელით შექმნეს ყველაფერი, რაც რამ სასიცოცხლოდ აუცილებელია. შექმნეს თავისი სიცოცხლისმოყვარეობით, ნიჭით, მოხერხებულობითა და შრომისმოყვარეობით. ამ გარემოში დაზრდილი ბავშვები უსაქმურ, ზარმაც, ბოროტ, ვერაგ ადამიანებად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ. მათ იცოდნენ იმის ფასი, რასაც ფლობდნენ, რადგან იოლად არაფერი ეძლეოდათ. მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი წინაპრები მყავდა.

ხერთვისში გრძელი, ცივი, თოვლიანი ზამთარი იცოდა, ამიტომ ზამთრის დადგომამდე დიდი ხნით ადრე საზამთროდ საკვების მომარაგება იწყებოდა. ამ საქმეს ძირითადად კაცები აგვარებდნენ, ოჯახს თევზითაც ისინი ამარაგებდნენ. თევზი ბუნებ-

ის ყველაზე გულუხვი საჩუქარი გახლდათ. წარმატებული თევზაობის საიდუმლო ბევრისთვის უცნობი იყო.

მდინარის დაყოლებით, გარკვეულ ადგილზე, შემოდგომაზე წყალში ქვისა და წნელების ჭებს აგებდნენ. ამ ჭას ოჩხეს ეძახდნენ. თევზჭერის ეს ხერხი მთელ მესხეთში იყო გავრცელებული. ამ ჭებს მაშინ ხსნიდნენ, როცა ისინი თევზით ივსებოდა. საიდუმლო, ეტყობა, იმაში მდგომარეობდა, რომ თევზი, როცა სიცივეს გაურბოდა, ამ ქვებში ძვრებოდა, იქიდან კი ჭის შიგნით აღწევდა. ამგვარად, მესხებს მთელი ზამთრის განმავლობაში გამოულეველად ჰქონდათ ახალ-ახალი თევზი. აქ ხომ გემრიელი თევზის უამრავი სახეობა ბინადრობდა: მურწა, ლურჯა, ცოცხალი, კალმახი და ხრამული. მესხები მოხარშულ თევზს მიირთმევდნენ, ისინი თევზს არ წვავდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს, XIX საუკუნის დასაწყისში მრავალმა მესხმა დაკარგა ქართული გვარი. ბაბუაჩემის მამას, რომელიც გვარად ორჯონიკიძე გახლდათ, ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. პაპაჩემი, შაჰფანდარი, მესამე, ბოლოს წინა შვილი იყო, მამით ორჯონიკიძე, დედით კი საგინაშვილი.

ბებიაჩემის დედა, ნაილე, ქალიშვილობაში ვაჩნაძის გვარს ატარებდა, მერე ქმრის გვარს — ბაქრაძეს. მან 100 წელზე მეტ ხანს იცოცხლა. ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ბებიაჩემი ყველაზე უმცროსი იყო. მის გარდა ყველამ დიდხანს იცოცხლა. ისინი გადასახლებაში დაიხოცნენ. უფროსი და ბუხარის ოლქში, ჯუმაში გარდაიცვალა, დანარჩენი ორი და — ტაშკენტის ოლქში, ალიმკენტში. ერთმა 90 წელი იცოცხლა, მეორემ — 95. ასაკის მიუხედავად, ბებიის დედა უსაქმოდ ერთ წუთს არ გაჩერებულა, ოჯახში ყველაფერს თვითონ აკეთებდა. კარგად მახსოვს, არც სათვალე სჭირდებოდა, არც -კბილები აკლდა.

პაპის მამას, დურსუნ ორჯონიკიძეს, ბევრი მიწა არ ჰქონია, მაგრამ არც ერთი თავისი ვაჟი წილის გარეშე არ დაუტოვებია. როცა ბაბუაჩემმა, შაჰფანდარმა, ბებია მეჰთებერზე იქორწინა, თავისი წილი მიწის ნაკვეთი მასაც ერგო. პაპას მამამისისგან

თამბაქოს მოყვანის ნიჭი დაჰყვა, რაც კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამოავლინა კიდეც.

მამის მხრიდან ჩემი პაპა-ბებია სოფელ აწყურის მკვიდრები იყვნენ, ორივე XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია დაბადებული. ბებია შეძლებული გლეხების, ბაქრაძეების შვილი გახლდათ. მისი მშობლები თავის დროზე აწყურში ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისიდან გადასულან. მათ ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდათ. ბებია ნაბოლარა გახლდათ. ქმარს (პაპაჩემს) ის ძალიან ჰყვარებია. საერთოდაც უჩვეულოდ თბილი, მზრუნველი და მოყვარული ქალი იყო. შვილები და ჩვენ, შვილიშვილები, ძალიან ვუყვარდით. მიუხედავად ამისა, არასდროს გვანებივრებდა, სიკეთესა და მშვიდობიან ცხოვრებას გვასწავლიდა.

თამბაქოს მოყვანა დაუჯერებლად შრომატევადი საქმეა. პაპა სულსა და გულს დებდა თავის შრომაში და გარჯა სამმაგად უნაზღაურდებოდა. ოჯახს არაფერი აკლდა, საშუალოდ ცხოვრობდნენ. თავიდან ამ საქმეში ბებიაც ეხმარებოდა, მერე უკვე შვილები წამოიზარდნენ. დედის გარდაცვალების შემდეგ, მამას თამბაქოს მოყვანაში ვაჟები ეხმარებოდნენ, დედინაცვალს კი მეურნეობისა და საქონლის მოვლაში ეშველებოდნენ. პაპა ოცნებობდა, რომ შვილებისთვის განათლება მიეცა, თუმცა სწავლა მათ სამეურნეო სამუშაოებისგან, საოჯახო მოვალეობებისგან არ ათავისუფლებდა. ყველა შვილი დაკისრებულ ვალდებულებას კეთილსინდისიერად ასრულებდა. მეოთხე ვაჟის დაბადების შემდეგ, ბებია (პაპაჩემის პირველი ცოლი) დიდხანს ავადმყოფობდა. სად აღარ წაუყვანია პაპაჩემს — ექიმებთან, მკურნალებთან, ექიმბაშებთან — თუმცა ამაოდ. გადარჩენის ბოლო იმედს ბორჯომში წასვლაზე ამყარებდნენ. იქ, ბორჯომის პარკში, უმცროს ვაჟთან ერთად ფოტოც გადაუღიათ. ძალიან პატარა იყო, არავისთან რჩებოდა და ამიტომ ბებიას თან წაუყვანია. მამაჩემი რვა წლის ყოფილა, როცა ბებია გარდაცვლილა; ის უფროსი შვილი იყო, უმცროსი — იმ დროს ორი წლის ყოფილა. პაპა-ბებიის სახსოვრად ეს ერთადერთი სასწაულებრივად შემონახული ფოტო შემოგვრჩა. მათი საფლავები დაიკარგა, მათი მოძიება ვერც ერთმა ვაჟმა ვერ შეძლო.

პაპა დიდხანს ვერ ივიწყებდა თავის ცოლს. 28 წლის ყოფილა, როცა გარდაცვლილა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ

თვითონ უვლიდა შვილებს, დედაც იყო და მამაც. მართალია, ძალიან უჭირდა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, ხელახლა ექორწინა. ცოლის დები და სიდედრი მათ სიახლოვეს ცხოვრობდნენ. ზოგჯერ, როცა საქმეს ველარ უმკლავდებოდა, დახმარებისთვის მათ მიმართავდა. დახმარებაზე უარს არავინ ეუბნებოდა და სიყვარულით ზრუნავდნენ მათ ვაჟებზე. მწუხარებამ პაპაჩემი წელში გატეხა. ნათესავებმა შეამჩნიეს, ჩუმ-ჩუმად რომ ტიროდა ხოლმე. ოთხი ბიჭის გაზრდას ბევრი სრულყოფილი ოჯახიც ვერ აუვიდოდა. ოჯახს ქალის ხელი აკლდა. ახლობლების ხანგრძლივმა შეგონებებმა გაჭრა, ბოლოს და ბოლოს პაპა დაარწმუნეს ხელმეორედ ექორწინა.

მეორე ცოლის არჩევაში მეგობრები და ნათესავები ეხმარებოდნენ. უპოვეს კიდეც ლამაზი, მდიდარი, შეძლებული ოჯახიშვილი, ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისის მკვიდრი, ვაჩნაძის გვარის ქალი.

სარძლოს მამა არ ჰყავდა, გარდაცვლოდა. დედა ხუთ ქალიშვილს მარტოდმარტო ზრდიდა. ორი უფროსი ქალიშვილი უკვე გაეთხოვებინა იქვე, ხერთვისში. პაპაჩემის ახალი ცოლი შუათანა გახლდათ. ვინაიდან მდიდარი ოჯახი ჰქონდათ, ქალიშვილები კი ერთი-მეორეზე უკეთესები, დედა შიშობდა, — არ მომტაცონო. შუამავლები რომ მიუგზავნეს, დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე დაყაბულდა და თვრამეტი წლის ქალიშვილი ოთხშვილიან ქვრივ კაცს მიათხოვა. აწყურელმა ქალებმა მზითევით დატვირთული რამდენიმე ფაეტონისა და ორი ფურგონის დანახვაზე დაასკვნეს, პატარძალი, ალბათ უშნოაო. მაგრამ, მერე, როცა ლამაზი, მაღალი, ტანადი ქალი დაინახეს, რომელსაც კუპრივით შავი თმა გრძელ ნაწნავებად ჩამოშლოდა, მშობლების გასაგონად ერთხმად აყაყანდნენ: ობლები კარგ დღეს არ დააყრიანო.

მათი მოლოდინი არ გამართლდა, ახალგაზრდა მეუღლე ვაჟკაცურად შეუდგა ბავშვების აღზრდასა და მეურნეობის მოვლას. მეორე ქორწინებიდან პაპას კიდევ ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი შეეძინა. ორი მცირეწლოვანი გოგონა გარდაეცვალათ და სამი შვილი დარჩათ. ოჯახში სულ შვიდი ბავშვი ჰყავდათ. როგორც თავის დროზე მამამისი, პაპაც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მათთვის კარგი აღზრდა-განათლება მიეცა. არ ვიცი, სხვა

ხალხებთან როგორ არის, მაგრამ ჩვენი ხალხი ყოველთვის ეს-წრაფოდა შვილების განათლებას. გადასახლებაში ყოფნის დრო-საც კი, როცა პასპორტში საგანგებოდ გადასახლებულის ბეჭედი ერტყათ, მოახერხეს და შვილები სამედიცინო, იურიდიულ და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნეს სასწავლე-ბლად. პაპაჩემმა მხოლოდ ექვს შვილს მიაღებინა განათლება, მეშვიდე 14 წლის იყო, როცა გადაგვასახლეს. ხოლო გადასახ-ლებაში, უმამოდ დარჩენილი ბავშვი თვითონ დაეუფლა მეჩანახ-ის ხელობას და ბულუნგურის მეურნეობაში, ღვინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ოქროს ხელები ჰქონდა. მშვენიერ საღვინე როფებსა და კასრებს ამზადებდა. მამაჩემი 19 წლის იყო, როცა ბებიამ ქმრისა და დედის თანხმობით, თავის უმცროს დაზე, ანუ დედაჩემზე დააქორწინა. მაშინ დედაჩემი 13 წლის ყოფილა.

პაპაჩემს, შაჰფანდარ ორჯონიკიძეს მშვენიერი თხრობის უნარი ჰქონდა. ჩვენი წარმოშობის ამბავი პირველად მისგან მოვისმი-ნეთ. მოყოლისას, გვთხოვდა, კარგად მოგვესმინა, ყველაფერი დაგვემახსოვრებინა და შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის გადაგვეცა, რათა თაობათა შორის კავშირის ძაფი არ გამწყ-დარიყო, წარსულთან კავშირი არ დაგვეკარგა. მისგანვე შევი-ტყვეთ, რომ ჩვენი წინაპრები ქართველი ქრისტიანები იყვნენ; შევიტყვეთ, როგორ გავმაჰმადიანდით, რატომ ვმეტყველებდით თურქულად, მაშინ როცა ქართველები ვართ. ჩვენი ხალხის წარსულიდან სხვაც რამ მრავალი გავიგეთ. ისე საინტერესოდ ყვებოდა, რომ ჩვენ, ბავშვები, თამაშს თავს ვანებებდით და პირდაფჩე-ნილნი საათობით ვუსმენდით; მოუთმენლად ველოდით იმ წუთს, როცა დაგვიძახებდა, ერთად შეგვკრებდა და თხრობას გააგრ-ძელებდა. გვიყვებოდა თავის მოგონებებს, გადმოცემებს, ზღა-პრებს, ლეგენდებს, იგავებს, დაუჯერებელ ამბებს. ყველაფერი, რაც ვიცი, ძირითადად, პაპაჩემისგან მსმენია და მისივე თხოვნით უკვე ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ვუყვები. პაპაჩემი შრომის-მოყვარე კაცი იყო, საქმეს თავს არც მაშინ ანებებდა, როცა რაიმეს გვიყვებოდა, მისი ხელები გამუდმებით ირჯებოდნენ. სასარგებლოსა და სასიამოვნოს შეთავსების საოცარი ნიჭი ჰქონდა.

პაპა შაჰფანდარს სამი ძმა და ორი და ჰყოლია. თავ-თავის

ოჯახებთან ერთად ისინი აწყურში ცხოვრობდნენ. მშობლებს მხოლოდ ერთი და გაუთხოვებიათ თურქეთში. ის იქ ჩორუმში ცხოვრობდა და ხშირად ჩამოდიოდა მშობლებთან აწყურში. მაშინ თურქეთთან საზღვარი გახსნილი ყოფილა და თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ. ერთხელ, მისი და რომ ჩამოსულა, აწყურში თითქმის ნახევარი წლით ჩარჩენილა ახლად გაჩაღებული რუსეთ-თურქეთის ომის გამო. თურმე ძალიან წუხდა თავის ვაჟებზე – მუსტაფასა და აბდურაჰმანზე, ერთი 17 წლის ყოფილა, მეორე – 19-ის. მამაჩემი მაშინ 12-13 წლის მოზარდი ყოფილა. მამა მოგვიანებით იხსენებდა, როგორ ეხვეწებოდა მამიდა, – გიკარნახებ და წერილი მისწერე ჩემს შვილებსო. მამას მისამართიც კი დაუმახსოვრებია, კონვერტზე რომ ეწერა, რადგან უჩვეულო ნაწერი იყო:

Tьrkiye vilayati

3 orun kasabasi, Gьrcь mahallede

Gьrcь Mustafaya zatazag*

მამიდა იმედს არ კარგავდა, რომ შვილების ამბავს შეიტყობდა. მამა თურმე ისე ხშირად სწერდა მათ წერილებს, რომ ეს მისამართი სამუდამოდ დაამახსოვრდა. თუნდაც კონვერტზე ეს მინაწერი, რომელიც იტყობინებოდა, რომ წერილის ადრესატი თურქეთში, ჩორუმში, ქართულ უბანში მცხოვრები ქართველი მუსტაფა იყო, მეტყველებს, რომ ჩვენ სულ ცოტა ხნის წინ (რუსეთ-თურქეთის ომის დროს) ქართველები ვიყავით. ჩვენ თურქეთიდან კი არ მოვხვდით აქ, არამედ, ქორწინების შემთხვევაში, ვხვდებოდით თურქეთში. განგების ნებით თურქეთში მოხვედრილი მუსლიმი მესხები კომპაქტურად სახლდებოდნენ და თავის კვარტლებს ქართულ დასახლებას უწოდებდნენ. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ამას იქ არავინ უკრძალავდა. მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანები იყვნენ და თურქულად ლაპარაკობდნენ, ადგილობრივ მოსახლეობაში არ აღრეულან, ამას მათ არავინ აძალებდა. ჩვენთან, საქართველოში კი, არავინ არაფერს გვეკითხებოდა და თითქოს სხვათა შორის, პასპორტში, გრაფაში, სადაც ეროვნებას მიუთითებენ, ჯერ მუსლიმი ჩაგვიწერეს, მერე

---

* თურქეთის გუბერნია, დაბა ჩორუნი, ქართული უბანი, ქართველმა მუსტაფამ უნდა მიიღოს

— თურქი, მერე — აზერბაიჯანელი. სკოლებში მასწავლებლებს აზერბაიჯანიდან იწვევდნენ. ქართულ ენას კვირაში სამი-ოთხი საათი ეთმობოდა. პედაგოგი მამაკაცები გაკვეთილზე არც შედიოდნენ, კოლეგებთან საუბარს, მოწევას ამჯობინებდნენ, მოსწავლეები კი ეზოში ერთობოდნენ. თუ ამ საგანს პედაგოგი ქალი გვასწავლიდა, ჩვენ ჩვენი საქმით ვერთობოდით, ის კი საქსოვს ამოიღებდა და ქსოვდა, ან წინდებს კემსავდა. მიდი, იმტვრიე თავი და ისწავლე ქართული, როგორც გინდა. მადლობა ღმერთს, მეზობლებმა სასაუბრო ენა მაინც გვასწავლეს.

გასახლებისას, გაგვასახლეს როგორც თურქები. სიებში ასე ეწერა. მერე, როცა შუა აზიაში მოვხვდით, საერთოდ შეუძლებელი გახდა იმის გარკვევა, თუ ვინ ვიყავით. რომელ რესპუბლიკაშიც როგორ სურდათ, რა ეროვნების ხალხადაც მიგვიჩნევდნენ, პასპორტში იმ ეროვნებას გვიწერდნენ. საბავშვო სახლებში მოხვედრილ ბავშვებს ეროვნებას იმ რესპუბლიკის მიხედვით ურჩევდნენ, რომელ რესპუბლიკაშიც ეს საბავშვო სახლი მდებარეობდა. გადასახლებაში დაბადებულ ბავშვებს მეტრიკაში, უკეთეს შემთხვევაში ეროვნება — კავკასიელი ეწერათ, უარეს შემთხვევაში კი რესპუბლიკის სახელწოდება. საქართველოდან გასახლებული მესხები მთელ შუა აზიაში მიმოფანტეს. მოგვიანებით, როცა ზედამხედველობის რეჟიმი მოიხსნა და ნათესავებმა ერთმანეთი მოძებნეს, ბავშვებთან დაკავშირებით ქაოსური მდგომარეობა შეიქმნა. ერთი ოჯახის შვილებიდან ზოგი ეროვნებით უზბეკი იყო, ზოგი — ყაზახი, ყირგიზი, თურქი და ა. შ. რამდენი რესპუბლიკაც მოიარეს ოჯახის წევრებმა, ოჯახშიც იმდენი ეროვნების წარმომადგენელი შეიკრიბა. აღარც ვიცით, რა ვუპასუხოთ, როცა გვეკითხებიან, რა ეროვნებისანი ვართ, რადგან ჩვენი პასუხი ჩვენს პასპორტში ჩაწერილ ეროვნებას არ ემთხვევა და ამის მერე მიდი და ამტკიცე, რომ ის არა ხარ, ვინცა ხარ.

აზერბაიჯანში თურქებს გვეძახიან — ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ენა მათი ენისგან განსხვავდება. შუა აზიაში კავკასიელებს გვიწოდებდნენ, ეტყობა იმის გამო, რომ მათთან კავკასიიდან ჩაგვიყვანეს. რუსეთში თურქებად მოგვიხსენიებენ, რადგან გადასახლებულთა სიებში ასე წერია, საქართველოში კი „თათრებს“

გვეძახიან. მოგვიანებით საერთოდ არარსებული ეროვნება მოიგონეს: „თურქი-მესხები“ დაგვარქვეს და აი, ამ იარლიყით უკვე სამოცი წელია ეს ხალხი ცასა და დედამიწას შორის არის გამოკიდებული. როცა ობივატელებმა და უბრალო, ჩვეულებრივმა ხალხმა არ იცის ჩვენი ვინაობა, ეს არ გვიკვირს და არ გვწყინს, ჩვენ შესახებ სწორი ინფორმაცია ხომ არ არსებობს, მაგრამ მესხების საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე დაბრუნების საწინააღმდეგოდ სერიოზული კამპანია გაჩაღდა.

მარტო ბატონი შარაძე რად ღირს. თავის გამოსვლებში ის არაერთგზის ხაზგასმით ასახელებდა უმთავრეს მიზეზს, თუ რატომ არ უნდა ელიარებინათ მესხები და ხელი შეეშალათ საქართველოში მათი დაბრუნებისათვის: — ფერეიდნელებისა და ინგილოებისაგან განსხვავებით, ქართული ენა ვერ შეინარჩუნეს, არ იციანო. მას არც დაესიზმრება იმდენი ენა, რამდენიც ჩვენ ვიცით. პირადად მე შვიდ ენას ვფლობ სრულყოფილად, მაგრამ ეროვნება ერთი მაქვს. ენის სწავლა შეიძლება, ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც ამა თუ იმ ერს ერთმანეთისგან განასხვავებს და მის მონაპოვარს წარმოადგენს, ეს ხალხის მენტალობაა, საკუთარი მიწის ნამდვილი სიყვარული. ჩვენ უსამშობლოები არა ვართ, მაგრამ გვაიძულებენ ვიქცეთ უსამშობლოებად. იქ, სადაც გაგვასახლეს, ზედამხედველობის რეჟიმის მოხსნის შემდეგ, მატერიალურად აღარ გვიჭირდა, მაგრამ ნოსტალგია, ჩვენი მოხუცების მოგონებები მშობლიური მხარის ბუნებაზე, წყალზე, ჰაერზე, მიწაზე, საქართველოში დაბრუნების სურვილს კი არ გვიქარწყლებდა, უფრო გვიღვივებდა. არ გვინდა, რომ ჩვენი შვილები უძირფესვოდ დარჩნენ მაშინ, როცა საკუთარი სამშობლო გააჩნიათ, რომელიც თვალით არ უნახავთ, მაგრამ მათზე ნაკლებ არ უყვართ, ვისაც ის ახსოვს. რატომ უნდა იყვნენ გაფანტულები მთელ პლანეტაზე, მით უფრო, რომ უკვე 60 წელია ყველა კარზე აკაკუნებენ, რათა საქართველოში შემოუშვან. განა ეს არ ამტკიცებს, რომ ისინი თავს ქართველებად მიიჩნევენ? ისინი ოცნებობენ, რომ ოდესმე ყველა ერთად მოიყრის თავს მრავალტანჯულ ისტორიულ სამშობლოში და შრომისმოყვარე ხელებით, რომელთაც ომის შემდეგ შუა აზიის მეურნეობა ააღორძინეს, აზებაიჯანის მლაშობები ნაყოფიერ მიწებად აქციეს, თავის სან-

ატრელ, საყვარელ მხარესაც, დედამიწის ზურგზე ყველაზე წარმტაც, მყუდრო, მშვიდ წალკოტად აქცევენ და სამშობლო მათით იამაყებს. ენა?! ამაზე ნუ ინაღვლებთ, ბატონო შარაძე, მთავარია კარგი მასწავლებლები გამოჩდნენ და ამასაც იოლად მოევლება! თუკი მესხებმა იმ რესპუბლიკათა ენების შესწავლა მოახერხეს, სადაც გადაასახლეს, ქართულ ენასაც ისწავლიან, ეს ენა ხომ მათ ცნობიერებაში თვლემს და გამოღვიძებას ელის. მოდით, დავეხმაროთ მათ ამ საქმეში და ნუ ვესვრით მათ ქვას, ზურგს ნუ შევაქცევთ. ეროვნული ხასიათი მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ, სხვების დადანაშაულება იოლია. ადამიანს დახმარების გულწრფელი სურვილი რომ ჰქონოდა, საამისოდ გზასა და საშუალებებს აუცილებლად მოძებნიდა.

საკვირველია! რა ხანია შეცდომა აღიარეს და 1956 წელს ყველა ხალხის რეაბილიტაცია მოახდინეს; ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, შარაძისნაირი მეცნიერი, საკუთარ პოლიტიკურ უწიგნურებას ამზეურებს, როცა კვლავ ეჭვი შეაქვს ამ ხალხის წარმომავლობაში იმ მიზეზით, თითქოს დღემდე ვერ გაარკვიეს, თუ ვინ არიან მაჰმადიანი მესხები და ამის გამორკვევამდე დაცდას გვირჩევს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ 1944 წლის 15 ნოემბერს ჩადენილი დანაშაული ზოგიერთებს ძალიან აწყობს. ხალხი, რომელიც დიდხანს იცდიდა, ცოტასაც მოითმენდა, ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რომ არა: თუკი 60 წლის განმავლობაში ეს საკითხი ისე ჩახლართეს, რომ თავი და ბოლო ვერავინ გაუგო, მასში ჯერაც ვერ გაერკვნენ, მაშინ რაღას გაარკვევენ, როცა წლები, კიდევ ათწლეულები გავა?

ჩვენი ბრძენი ხალხი, მთის წყაროს მსგავსად, რაც არ უნდა ჩაუხერგონ გზა ქვებით, მაინც იპოვის გასასვლელს, — მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს ხანებში სამართლიანობის აღდგენის იმედი არა აქვს, გამოსავალს მაინც მონახავს.

ჩემი თანამემამულეები თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერ ესტაფეტასავით გადასცემს: ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები, ჩვენი წინაპრები ქრისტიანი ქართველები იყვნენ და ოდითგან საქართველოში, მესხეთში ცხოვრობდნენო. ამ ამბავს გადასცემენ იმათ, ვისაც ამის ცოდნა სურს და ამას ისევე არ

დაივიწყებს, როგორც მშობელ დედას არ ივიწყებენ; მისთვის მოთხრობილი ამბის არცერთ სიტყვას არ დაკარგავს ცხოვრების გზაზე. ამას უყვებიან იმათ, ვისაც სურს გაიგოს, თუ საიდან იღებს სათავეს ყველა ის განსაცდელი, ამ მრავალტანჯულ ხალხს რომ დაატყდა თავს. მოუთხრობენ იმ იმედით, რომ თავისი ხალხი ერთი ნაბიჯით მაინც მიაახლოვონ მშობლიურ მიწას, ერთი ნაბიჯით წინ წასწიონ დაბრუნების გაუსაძლისად რთულ გზაზე. უფროსი თაობის ტრადიციას მივყვები და ჩემს მოგონებებში ვწერ ყველაფერს, რაც მათგან მსმენია, ვუმატებ მათ მონათხრობს გზის იმ მონაკვეთს, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად ამჯერად მეც გავიარე. ვწერ იმ იმედით, რომ ჩემი სულიდან ამოხეთქილი ყვირილის ხმა ცხოვრების უსასრულო დინებაში ვინმეს მაინც მისწვდება! და ვინც მოუსმენს ამ ხმას, იქნებ შეჩერდეს და დახმარების ხელიც კი გაუწოდოს ამ ხალხს, როგორც ჩვენს ბავშვებს გაუწოდეს დახმარების ხელი ჭეშმარიტმა ქართველებმა, თავისი ხალხის პატრიოტებმა, გლდანში საადაპტაციო ცენტრი რომ გახსნეს, და სკოლაც დააარსეს საერთო საცხოვრებელთან ერთად. მესხებზე დიდი ამაგი აქვს აწ განსვენებულ პროფესორ გურამ მამულიას, ასევე ალექსანდრა თევზაძეს, ისტორიკოს შოთა ლომსაძეს. საქართველოში სასწაულებრივად დაბრუნებული მესხები ნაირა გელაშვილს თვლიან. „კავკასიური სახლის“ კარი მან ფართოდ გაულო მესხებს ისევე, როგორც სხვა ტანჯულ ადამიანებს, საქართველოს შვილებს. მესხები თავისი პრობლემებით ნებისმიერ დროს აკითხავდნენ და აკითხავენ ამ მისამართს, რადგან კარგად მოეხსენებათ, რომ იქ ერთგული, ნამდვილი მეგობრები ელიან, რომლებიც აუცილებლად დაეხმარებიან, რათა ისინი ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდნენ საქართველოს წიაღს. სამწუხაროდ, პრობლემები უფრო ბევრია, ვიდრე მეგობრები. ღმერთმა მათ დღეგრძელობა ნუ მოუშალოს!!!

ბებიის დედა, ერისთავის ქალი, წარმოშობით ადიგენის რაიონის, სოფელ ქარათუბნიდან იყო. იგი ლელოვანში, ცენტრაძეების ოჯახში გაუთხოვებიათ. ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინა. ბებიაჩემი — სოიბე ნენე — სწორედ მისი ქალიშვილი გახლდათ. ჩემი მომავალი პაპა, ხერთვისელი სულეიმან ვაჩნაძე, რომ წამოიზარ-

და, კირვამ (ნათლია) ბახშიბეკ მაჩაბელმა, ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანში საცოლედ ბებიაჩემი — სოიბე ცენტრაძე შეურჩია. ძმებს არ უნდოდათ და ადიგენის რაიონიდან ასე მოშორებით, ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში გაეთხოვებინათ, მაგრამ მაჩაბელმა დამაჯერებელი არგუმენტი მოიშველია: — კი მაგრამ აქ ვისზე შეიძლება გაათხოვოთ? ჩვენ, აზნაურებმა, ჩვენი წრის ქალებზე უნდა ვიქორწინოთ. აქ კი მის შესაფერ საქმროს ვერ ნახავთო! — ძმებიც დაეთანხმნენ. ასე მოხვდა ბებიაჩემი ხერთვისში.

სოფელ ლელოვანის ნახირის ნახევარი, მინდვრები, ველები, მდინარისპირა საოცარი ბაღები, რამდენიმე წისქვილი, ხის სახერხი ქარხანა — ცენტრაძეების გვარს ეკუთვნოდა. ერთ-ერთ ძმას ბაქოსთან ახლოს ნავთობის ჭაბურღილის კოშკიც ჰქონია. იგი მოშურნეებს მოუწამლავთ, ფეხსაცმელში ვერცხლისწყალი ჩაუყრიათ.

დედაჩემის მამა, (პაპაჩემი) სულეიმანი, ვაჩნაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი, ძირძველი ხერთვისელი გახლდათ. მისმა ნათესავებმა (განაყოფი), კიროვაბადში რომ ცხოვრობენ, — ეს გვარი დღემდე შეინარჩუნეს. პაპა ძალიან მდიდარი ყოფილა. ხუთი წისქვილი, ნახევარი სოფელი საკუთრებაში ჰქონია; ფლობდა ბაღებს, საძოვრებს, მომთაბარეთა სადგომ იალაღებს; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნახირი — ასეულობით სულისგან შედგებოდა, ჰყავდა ცხვრებისა და თხების ფარები. ამას ყველაფერს მსახური კაცები (ნოქერ) და მსახური ქალები (ჯარია) უვლიდნენ. მსხვილფეხა საქონელს შემოდგომით კლავდნენ, ხორცისგან ბასთურმას და სუჯუკს ამზადებდნენ, რაც პაპას და მის მსახურებს თურქეთში, რუსეთსა და მთელ საქართველოში მიჰქონდათ გასაყიდად. ტყავს აშრობდნენ და მისგან ქალამნებს ამზადებდნენ, რაც არანაკლებ ფასობდა. ერთხელ, როცა სავაჭროდ წასული პაპა შინ ბრუნდებოდა, გაცივდა. იმ წელს ძალიან ცივი და მკაცრი ზამთარი იდგა.

ასე რომ, პაპა სულეიმანს, სამწუხაროდ, ვერ მოვესწარი. დედაჩემი რვა წლისაც არ ყოფილა, ის რომ გარდაცვლილა. ბებიას კი მოვესწარი. უკანასკნელად რომ ვნახე, ექვსი წლის ვიყავი. ბუნდოვნად მახსოვს მისი თეთრი პირისახე და შავი

ხალი ღაწვზე. დედას ძალიან უყვარდა თავისი მშობლები და ჩვენ, ბავშვებს, მათ შესახებ ხშირად გვიყვებოდა. დედას მხოლოდ მოწიფულ ასაკში გავუგე. მამა მან, როგორც უკვე ვთქვი, ადრეულ ასაკში დაკარგა და ნათესავებსაც იშვიათად ნახულობდა, რადგან შორს ცხოვრობდნენ. როცა ამას გვიყვებოდა და ბავშვობას იხსენებდა, ტიროდა ხოლმე.

დედაჩემსა და მის უმცროს დას შორის ასაკში დიდი განსხვავება იყო, ამიტომ დედას ოჯახში დიდ ხანს ნაბოლარად თვლიდნენ. მამას გამორჩეულად უყვარდა იგი. მაშინაც კი, როცა უმცროსი ქალიშვილი შეეძინათ, დედა მაინც ოჯახის ნებიერად რჩებოდა.

პაპას გაზაფხულამდე უავადმყოფია. გაზაფხულზე ყველანი საზაფხულო სახლებში წასულან ადრეული თუთის მოსაკრეფად. მზიანი დარი იდგა, უბედურებას არაფერი მოასწავებდა. ყველა ახლობელი — განაყოფი — თავ-თავის ტერასაზე შრომობდა. თუთებქვეშ ჯეჯიმები დაუფენიათ, თუთის დასაბერტყად ხეებზე ამძვრალან. დედა, მართალია, პატარა იყო, მაგრამ ეს სურათი წვრილად დაამახსოვრდა.

უცებ გაწვიმებულა და მოქუფრულა, მერე მსხვილი სეტყვა წამოსულა. გონს მოსვლა ვერ მოუსწრიათ, რომ ჩვენ ჯეჯიმს ყინულის კვადრატული ფორმის ნატეხი დასცემია, იმხელა ყოფილა, გეგონება ორი აგური შეეწებებინოს ვინმეს. დეიდას თავზე ხელი უტაცნია და მოთქმა დაუწყია, — ცუდს მოასწავებს, უბედურების მაუწყებელი ნიშანიაო. იმ წელს ტიფის ეპიდემია გავრცელებულა და მრავალი ხერთვისელის სიცოცხლე შეუწირავს. იმ თვიდან მოყოლებული წლის ბოლომდე ჩვენს გვარში ტიფს ათი კაცი უმსხვერპლია. დედაჩემს ოთხი და და ორი ძმა ჰყავდა. ერთი ძმა 20 წლის ასაკში გარდაიცვალა ტიფით, მეორე კი იმ ნავსიან წელს მოუკვდა მამასთან ერთად. დედამისის წამოსაყვანად მიდიოდა ლელოვანში, სადაც ის სტუმრობდა და გზაში გაციოდა. ასე რომ, იმ წელს ბებიაჩემს ვაჟიშვილიც დაეღუპა და ქმარიც. იმ წელს გარდაცვლილთა ამ სამწუხარო სიაში პაპაჩემი მეთერთმეტე იყო. თვალცრემლიანი დედა ამბობდა: — მამა ასე ადრე რომ არ დამეკარგა, ასე ადრე ჩემს გათხოვებას ვინ გაბედავდა, მე ხომ მისი ნებიერა ვიყავი. მოგზაურობიდან დაბ-

რუნებულს, განსაკუთრებული საჩუქრები მარტო ჩემთვის და დედასთვის ჩამოჰქონდაო.

პაპის გარდაცვალების შემდეგ ჩილდირიდან ნათლია ჩამოვიდა და ბებიას საქონლის მოვლაში დახმარება შესთავაზა. საქონელი ჩილდირში წაასხეს და საკუთარ ნახირთან ერთად მიერეკებოდნენ საძოვრებზე. ჩვენი წილი საქონლის ხორცისგან ჩვენი ოჯახისთვისაც ამზადებდნენ ბასთურმას, სუჯუკს, კარაქს, ყველს, ყაურმას და გასაყიდადაც გაჰქონდათ. გასაბჭოებამდე კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დანაპირებს. ბებია გაჭირვებაში არ ჩავარდნილა, შვილებს ხერთვისის სასულიერო სკოლაში მიაღებინა განათლება. დედა გვიყვებოდა: — არც მამის გარდაცვალების მერე გვიჭირდა რამე, მარტო მონატრებას არ ეშველაო.

მამის გარდაცვალების მერე გოგონებზე მეურვეობა თავის თავზე აიღო „განაყოფმა", ხალისბეკ ვაჩნაძემ, ბოქაულად რომ მსახურობდა. დედა, მიუხედავად პატარა ასაკისა, იმიტომ გაათხოვეს, რომ რამდენიმეჯერ მისი მოტაცება უცდიათ. ბოლოს რომ გაუტაციათ, ძლივს წაურთმევიათ გამტაცებლებისთვის. მეურვეს კარგად ესმოდა, რომ მორიგი გატაცების შემთხვევაში, შეიძლება გოგონას დახსნა ვეღარც მოესწრო და მის გათხოვებას ამიტომ დათანხმდა.

აწყურელი პაპის, შაჰფანდარის ისედაც დიდი ოჯახი კიდევ უფრო გაიზარდა. პატარა მიწის ნაკვეთი მთელ ოჯას ვერ გასწვდებოდა, ამიტომ პაპამ მიწა იჯარით აიღო. ერთ ნაკვეთზე თამბაქო მოჰყავდა, სხვა ნაკვეთზე — ბოსტნეული. ამასობაში ბავშვებიც წამოიზარდნენ და საქმეში ხელი შეაშველეს: თამბაქოს ნათესებს, ბოსტანს უვლიდნენ. პაპა შაჰფანდარი თამბაქოს მოსავლის აღებასა და ფოთლების ძაფზე ასხმას არავის ანდობდა. გასაშრობადაც თვითონ გაჰკიდებდა ხოლმე. მთელი ამ პროცესის კულმინაციას თუთუნის დაზგაზე დამუშავება წარმოადგენდა და პაპა მთელი ზამთარი ამ საქმიანობით იყო დაკავებული. იმხანად პაპამ ახალციხეში მაღაზიის შეძენა მოახერხა. მოხმარებისთვის გამზადებულ თამბაქოს იქაურ მაღაზიებში აგზავნიდა. ასე რომ, პაპა მთელი წელი მუხლჩაუხრელად შრომობდა. ცხადია, სურდა, რომ მის შვილებს უკეთესი ხვედრი რგებოდათ, ამიტომაც ცდი-

ლობდა საუკეთესო განათლება მიეცა მათთვის; ბავშვები გაიზარდნენ, განათლება მიიღეს, დაოჯახდნენ. ჩემი უფროსი დის, ფიქრიას, დაბადების შემდეგ, მამაჩემს წილი მისცა და მე რომ დავიბადე, უკვე საკუთარი სახლიც გვქონდა.

თანდათან ყველა შვილი ცალკე დასახლდა. ჩვენი გასახლებისას, პაპასთან ორი უმცროსი შვილი ცხოვრობდა: 19 წლის ქალიშვილი რემზია და 14 წლის ვაჟი — თოფიქი.

სკოლაში რომ ვსწავლობდი, დედა ყოველ არდადეგებზე, ადიგენიდან აწყურში, პაპასთან მაგზავნიდა. ძალიან მიყვარდა პაპასთან გატარებული არდადეგები. მერე, როცა სწავლა დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, პაპა სტუმრად ჩამოდიოდა ხოლმე. მის ჩამოსვლას დღესასწაულივით ველოდებოდი. ერთხელ, გასახლებამდე ერთი კვირით ადრე, უცნაური სიზმარი ვნახე: ჩვენი სახლი ადიგენში მთის ფერდობზე დგას, რომელიც გზატკეცილამდე ყვავილებითა და მწვანე მოლით ისეა მოფენილი, ხალიჩა გეგონება. სახლის აივანზე ვდგავარ და ვხედავ, რომ პაპა, თავის ქალიშვილ რემზიასთან ერთად სატვირთო მანქანით ჩამოვიდა. სიხარულისგან გული ამიჩქროლდა, მინდა მათკენ გავფრინდე, შევეგებო. უცებ, ვხედავ, ცა განიხვნა და ცის ხვრელიდან შედედებული რძის სქელი ჭავლი დაეშვა დედამიწაზე. მოდის და მოდის, თანდათან ფარავს გზას, სადაც პაპა და რემზია დგანან. ეს მასა თანდათან ნთქავს მათ, ჯერ ფეხებს უფარავს, მერე წელამდე სწვდება, აგერ უკვე მხრებამდე მისწვდა პაპას და ბოლოს მთლიანად შთანთქა. რემზია ჯერ კიდევ მოჩანდა, მაგრამ ამ წელვადმა მასამ ცოტა ხნის შემდეგ ისიც ჩაყლაპა. სიზმარი დედას მოვუყევი, დედამ კი დაასკვნა: მათ თავზე ჯერ უხილავი უბედურება ტრიალებს, ცუდი არაფერი შეემთხვეთო. ასეც მოხდა. როცა გამოგვასახლეს, შუა აზიაში ჩასვლიდან ორი კვირის თავზე პაპას დარდმა და უმწეობის განცდამ ბოლო მოუღო, მისი ქალიშვილი რემზია კი მშობიარობიდან ერთი კვირის მერე ხანძარმა იმსხვერპლა.

კიდევ ერთ სიზმარს მოგიყვებით: ვხედავ, რომ საიდანღაც ამანათი ჩამოგვივიდა. ამანათში ყველასთვის თითო წყვილი ფეხსაცმელი აწყვია. ყოველ წყვილ ფეხსაცმელში — მარცხენაშიც

და მარჯვენაშიც — შავი ძაფის თითო-თითო გორგალი დევს. რატომღაც აივანზე გავედი და დავინახე, რომ ჩვენი მდინარის, ქობლიან-ჩაის, დინებას ხახვი მოაქვს; წყლის ზედაპირი ხახვს ისე დაუფარავს, რომ მდინარე აღარცკი მოჩანს. დედამ ეს სიზმარი ასე ახსნა: „ხახვი სიმწარეს, ცრემლს ნიშნავს. მაშასადამე, ისეთი რამ მოხდება, რომ ცრემლი მდინარესავით წამოვა. ფეხსაცმელი სირთულეს ნიშნავს, შავი ძაფი — სწრაფ გზას მოასწავებს. ესე იგი, მალე ძნელი და გრძელი გზა გველის". დედამ ორივე სიზმარი ერთმანეთთან დააკავშირა და თქვა: — პაპას და რემზიას რაიმე ცუდი არ შეემთხვეთ და ჩვენც ცრემლის ღვრით აწყურში წასვლა არ მოგვიხდესო.

მაგრამ როდესაც ერთი კვირის შემდეგ მანქანებში ჩაგვსხეს, დედამ სიმწრით მითხრა: — აი, ახდა გზასთან დაკავშირებული შენი სიზმრები. პაპას და რემზიას უბედურება ღმერთმა აშოროსო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, პაპა სხვებთან ერთად კოლექტივში გაწევრიანდა. მიწა ჩამოართვეს, მაღაზიები დაიხურა, უარესი რა უნდა დამართნოდა იმ კაცს, რომელმაც საკუთარი ხელით შექმნა ყველაფერი, მაგრამ პაპა მაინც არ გატყდა. საქმე უყვარდა და ცოლთან ერთად ახალი ძალით შეუდგა შრომას კოლმეურნეობაში. საკუთარი შრომით ისევ რაღაც მოინაგრა და ცხოვრებაც ძველებურად წარიმართა. სირთულეებმა პაპა ვერ გატეხა, ჯანმრთელი კაცი გახლდათ. საყვარელი შვილები გვერდში ედგნენ, ეს იყო მთავარი, მთელი თავისი ძნელი ცხოვრების აზრს ხომ შვილებში ხედავდა. მაგრამ ამ ადამიანს ბედუკულმართობა თითქოს თან სდევდა. ბედისწერამ ამჯერად ახალი განსაცდელი მოუვლინა — გადასახლება.

როცა ჩვენ, 40-45-კაციან ჯგუფებად ვაგონებში მიმოგვფანტეს, ის, შვილებისგან მოწყვეტილი, სხვა ვაგონში მოხვდა. მის ოჯახს შორეულ ყიშლაღში უკრეს თავი, სადაც მათ გარდა არავინ დაუსახლებიათ. როცა მამაჩემმა მათ მიაგნო, პაპა ერთი კვირის გარდაცვლილი იყო, ბებიამ უამბო, ყიშლაღიდან გამოდიოდა თურმე, იქაურობას ათვალიერებდა — ირგვლივ კი არც გზა ჩანდა, არც სოფელი, არც ფოსტა, არც მაღაზია, თითქოს

ღმერთსაც და ადამიანსაც დავიწყნოდა დედამიწის ეს მხარე. იდგა ასე, მერე უკან დაბრუნებული ჩამოჯდებოდა, თავზე ხელებს შემოიწყობდა და მხოლოდ ამას გაიძახოდა: — აა, ვახ-მეო! ძალიან განიცდიდა, რომ არ იცოდა, შვილებს რა ბედი ეწიათ. პირველ ხანებში ძალიან მკაცრი მეთვალყურეობის რეჟიმი დაგვიწესეს, კომენდანტის ნებართვის გარეშე ჩვენი განსახლების ადგილს სამი კილომეტრის იქით არ უნდა გავცილებოდით. ამ ძლიერმა ადამიანმა ამდენ ავბედობას ვეღარ გაუძლო.

ამ ყიშლაღში ჩასვლიდან მეთორმეტე დღეს, მწუხარებისა და უმწეობისგან გული გაუსკდა. მისმა ორმა შვილმა და ცოლმა სამარე იმ კარვის წინ გაუთხარა, რომელშიც ცხოვრობდნენ და დაასაფლავეს. მისი გარდაცვალების შემდეგ, კომენდანტმა ისინი მალე სხვა ყიშლაღში გადაიყვანა, ხოლო როცა მამამ ისინი იპოვა, პაპაჩემის საფლავს ვეღარ მიაგნეს. ფრონტიდან დაბრუნებული ვაჟებიც დიდხანს ეძებდნენ მამის საფლავს, მაგრამ ამაოდ...

განსხვავებულად წარიმართა მისი შვილების ბედისწერაც. უფროსი ვაჟი — მუადინი — მამაჩემი, ომამდე მოსამართლედ მუშაობდა, ჯავშანი ჰქონდა და ადიგენში დატოვეს. ომის წლებში რაიონში მოიერიშეთა ბატალიონი ჩამოაყალიბეს. მამა ამ ბატალიონის კომისარი იყო. მტრის ზურგში გაწეული სამსახურისთვის „ჯილდოდ" ის მიიღო, რომ ოჯახთან ერთად გადაასახლეს. როგორც უკვე გითხარით, ტაშკენტის ოლქში, ბუკის რაიონში მოვხვდით.

მეორე ვაჟი — ალადინი, 1937 წელს დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებამდე პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა ახალციხეში. მისი მოყვარე (ცოლის ძმა) პარტიის რაიკომის მეორე მდივანი იყო. ჯერ მოყვარე დაუპატიმრეს, მერე ისიც დაიჭირეს მხოლოდ იმის გამო, რომ მასთან ნათესაობა აკავშირებდა. დარჩა მისი ახალგაზრდა ცოლი წლინახევრის გოგონასთან — ბალაშთან — ერთად. ბიძია ალადინის დაპატიმრების შემდეგ, ისინი პაპასთან ცხოვრობდნენ, მერე მისი ცოლი — რასიმე-ხანუმი, ქალიშვილთან ერთად თავის ძმებთან გადავიდა საცხოვრებლად ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშში. ძმებთან ერთად ისიც ყაზახეთში გადაასახლეს მერქენის რაიონში. ბიძია

ალადინზე დიდხანს არავინ არაფერი იცოდა. მისი ქალიშვილი გაიზარდა, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და განუწყვეტლივ ეძებდა მამას. მისგან შევიტყვეთ, რომ ამაოდ არ ჩაუვლია მის წერილებს, რომლებსაც ხშირ-ხშირად აგზავნიდა იმ ინსტანციებში, სადაც შეიძლება მამამისის შესახებ რაიმე სცოდნოდათ. მან მოახერხა მამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. დაპატიმრებულები ეტაპით გაუგზავნიათ ბელომორის არხის მშენებლობაზე. დაპატიმრების წინა ხანებში ავად ყოფილა, ეს სნეული კაცი საწოლიდანვე წაუყვანიათ. დანიშნულების ადგილზე რომ ჩასულან, თურმე ფეხზე ძლივს იდგა. პატიმრებს არ მკურნალობდნენ. სიკვდილის შემდეგ მისი რეაბილიტაციაც მოხდა.

მესამე ვაჟმა — ნიუსრადინმა — ომამდე ვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა. ომის დაწყებისთანავე სამხედრო ექიმად ფრონტზე წავიდა. გადასახლების დროს ის ფრონტზე იმყოფებოდა და საგანგებო გადასახლებულის ხვედრი ამიტომაც ასცდა.

მეოთხე ვაჟი — ალი — ფრონტიდან დაინვალიდებული დაბრუნდა 1944 წელს. მაშინ მას უკვე თავისი ოჯახი ჰყავდა. ცოლთან და ორ ვაჟთან ერთად ის სამარყანდის ოლქში, ბულუნგურის რაიონში მოხვდა.

მის ქალიშვილს — იედიას — ორ ბავშვთან ერთად, აკურგანის რაიონში 1946 წელს მიაგნეს.

უმცროსი ვაჟი, თოფიქი, გადასახლებაში გაიზარდა, იქ დაქორწინდა და მთლად ახალგაზრდა იყო, როცა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

რემზია — უმცროსი ქალიშვილი — ჩემზე ორი წლით უფროსი იყო. 1949 წელს, ორივეს, ერთი თვის განსხვავებით, ჯერ მე, მერე მას, ვაჟები შეგვეძინა. მაშინ ბულუნგურის მეურნეობაში ვცხოვრობდით. საავადმყოფოდან გამოწერის მერვე დღეს რემზიას ცეცხლი წაეკიდა, ალი გრძელ ნაწნავებზე მოედო; თვენახევრის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა დამწვარ-დანახშირებული და ნელ-ნელა კვდებოდა. მის შვილსაც ჩემს ძუძუთა ბავშვთან ერთად ვაწოვებდი. საავადმყოფოში მის მოსანახულებლად მისულს, სარეცელს მიჯაჭვული ტკივილს ივიწყებდა და მადლობას მიხდიდა შვილზე ზრუნვისათვის. თვალები აუცრემლდე-

ბოდა ხოლმე, როცა მიყურებდა, თითქოს მთხოვდა, მომავალშიც არ მიმეტოვებინა მისი შვილი. მაგრამ როდესაც გარდაიცვალა, მამამ ბებიას შვილი გამოართვა და იქიდან წავიდა. 1964 წელს ალი-ემისგან (ბიძაჩემი) შევიტყვეთ, რომ ხაჩმაძის რაიონში მეურნეობა — „რევოლუციაში" მათ მეზობლად დასახლებულიყვნენ; ხაჩმაძი კი აზერბაიჯანშია. მისი ვაჟი — ისკანდერი, რომლის ძიძაც ვიყავი, გაიზარდა და მამასთან და დედინაცვალთან ერთად იქ ცხოვრობს. გარეგნულად ის ძალიან ჰგავს დედამისს, ქერაა და ცისფერთვალა. ისკანდერი ხუთი წლის წინ სამარყანდში გარდაიცვალა, ეს ახლახან გავიგე. სამი ქალიშვილი ჰყავს, ყველა გათხოვილია.

მამაჩემის უმცროს ძმაზე — ნასრადინ-ემიზე — სულ ოთხიოდე სტრიქონი დავწერე; ახლა მის ისტორიას მოგიყვებით, რაც ბიძია ალადინის დაკარგული ძმის ოჯახის ისტორიასთან არის გადაჯაჭვული.

ნასრადინ-ემიმ ვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა ბაქოში. როცა ფინეთის ომი დაიწყო, მოხალისედ წავიდა ფრონტზე სამხედრო ექიმად. დემობილიზება ვერც მოასწრო, რომ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ფინეთის ომიდან პირდაპირ იმ ომში ამოჰყო თავი, მაგრამ ამ ომის მერეც არ დაბრუნებულა, იაპონიის ფრონტზე გააგზავნეს. ამგვარად, 1939 წელს ადიგენიდან წასული კაცი, სამომგამოვლილი დაბრუნდა უკან. ბორჯომიდან უკან გააბრუნეს. ის, რომ ყველა ნათესავი შუა აზიაში იმყოფებოდა, მხოლოდ იქ შეიტყო. მაგრამ შუა აზია ძალზე დიდია, ხუთ რესპუბლიკას მოიცავს, სად უნდა ეძებნა ახლობლები? კიროვაბადში წასვლა გადაწყვიტა, რაკი ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, ბარემ ნათესავებსაც მოინახულებდა, რომლებიც აზერბაიჯანიდან არ გაესახლებინათ. იმ დროისთვის იქ დარჩენილი ნათესავებისთვის ჩვენი ადგილ-სამყოფელის შეტყობინება უკვე მოვასწარით. ერთ ხანს კიროვაბადელ ნათესავებს სტუმრობდა, მერე აღნიშნულ მისამართზე ჩამოგვაკითხა. ეგონა, რომ ყველანი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და თავისიანებთან დასახლდებოდა. პირველივე დღეებიდან მამა არწმუნებდა, რომ დაუყოვნებლივ წასულიყო იქიდან, სანამ კომენდანტები მის იქ ყოფნას გაიგებდნენ და აღრიცხვაზე აიყვანდნენ. რაც არ უნდა გაძნელებოდა სასწაუ-

ლებრივად ნაპოვნი ნათესავების მიტოვება, ჯანსაღი აზრი ჰკარნახობდა, რომ მისი გმირობა არავის სჭირდებოდა და კარგს არაფერს უქადდა. კიროვაბადში დაბრუნდა ბიძაშვილთან, რომლის ოჯახიც აწყურიდან კიროვაბადში ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადასულიყო. ერთხანს იქ მუშაობდა და მერე კრასნოდარში გაგზავნეს — ბიოკომბინატის დირექტორად. ოჯახი არ შეუქმნია, ხან ომმა შეუშალა ხელი, ხან სამსახურმა და კენტად დარჩა. ომის ჭრილობებს თვითონვე მკურნალობდა, კუჭის წყლულიც — სამსახურში მუშაობისას რომ გაუჩნდა — თავისივე მეთოდით მოირჩინა.

ბიძია ალადინის ქალიშვილმა — ბალაშმა, 1937 წელს დაპატიმრებული მამა იმდენ ხანს ეძება, სანამ შემთხვევით მართლა არ იპოვა. ბალაშმა შეიტყო, რომ მამამისი შეცდომით დაეპატიმრებინათ, რაც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა. რეაბილიტაციაც მისი გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ოჯახს ბოდიში მოუხადეს, მაგრამ იმ ადგილის პოვნა, სადაც დაასაფლავეს, შეუძლებელი აღმოჩნდა. ბიძია ალადინთან ერთად პატიმრობაში ნამყოფი თვითმხილველის გადმოცემით, მგზავრობითა და ავადმყოფობით ძალ-ღონე გამოლეულს მუშაობის თავი აღარ ჰქონია, გადაადგილება უჭირდა და ზედამხედველს წიხლისკვრით ჩაუგდია იმჟამად მშენებარე ბელომორის არხის ბეტონის მასაში. ბალაში წლინახევრის იყო, მამამისი რომ წაიყვანეს და მან მთელი თავისი სიყვარული, სულსა და გულში რომ გასჯდომოდა, ბიძია ნუსრადინზე გადაიტანა. თავიდან მიმოწერა ჰქონდათ, მერე კი ბალაშმა საცხოვრებლად თავისთან მიიწვია. ასე მოხვდა ის ყაზახეთში, მერქენის რაიონში. იქ მათ ყურამდე მიაღწია ამბავმა, რომ ზოგიერთ ნათესავს საქართველოში, ხაშურში დაბრუნება მოეხერხებინა. იმ წლებში, მესხებთან დაკავშირებით, შუა აზიაში უკვე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას; მესხების სახლებს ნიშანს ადებდნენ, თუკი ნებაყოფლობით არ მიატოვებდნენ იქაურობას, სახლების დაწვით ემუქრებოდნენ და ა. შ. ბავშვების მომავლით შეშფოთებული ბალაში (ალადინის ქალიშვილი) ქმართან, დედასთან და შვილებთან ერთად კიროვაბადში გადავიდა; იმედოვნებდა, რომ მოგვიანებით საქართველოში გადასვლასაც მოახერხებდა. ეს 80-იან წლებში მოხდა. ბიძია

ნუსრადინი, ბუნებრივია, მათთან ერთად იმყოფებოდა. როცა საქართველოში გზად მიმავლებს დაბრკოლება შეხვდათ, გადაწყვიტეს – უკან ხომ არ დაბრუნდებითო და სახლები კიროვაბადში იყიდეს. სახლები – მოკრძალებული ნათქვამია, სინამდვილეში სასახლეები შეიძინეს. მაგრამ კიროვაბადი არც აწყურია და არც ადიგენი, ამიტომ მერქენში დაბრუნდნენ. ნუსრადინ-ემი კიროვაბადში დარჩა, რომ სახლები გაეყიდა. ამასობაში ბიძია ალადინის ცოლი – რასიმა-ხანუმი და ბალაშის ქმარი გარდაიცვალნენ. ბავშვებთან ერთად ცალუღელად დარჩენილი ბალაში ფრუნზეში დასახლდა, იმ სასახლეებში დაბრუნება არ სურდა, რამდენადაც გაიყიდება, გაყიდეთ და ჩემთან, ფრუნზეში ჩამოდითო, – შეუთვალა. მაგრამ ხელახლა შეყრა არ ეწერათ. საქართველოში დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. 1983 წელს, ნუსრადინ-ემის გულის შეტევა დაემართა და მოულოდნელად გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე კიროვაბადში ძალზე ბევრი ადამიანი შეიყარა. ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ ნათესავები, თანამემამულეები, მეგობრები, ნაცნობები. ხომ არსებობს ანდაზა: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ეს სწორედ ასეთი შემთხვევა გახლდათ. იქ გადასახლების მერე უნახავ იმდენ თანამემამულეს შევხვდი, რომ თვალები ამიჭრელდა. ყველაზე საყვარელი ბიძის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ამ შეხვედრებმა ნაწილობრივ შემიმსუბუქა.

ერთ ამბავს მოგიყვებით, იქ ყოფნისას ალიკ ორბელიანმა რომ მომითხრო.

1956 წელს, როცა მათი ოჯახი საქართველოში არ შეუშვეს, ისინი კიროვაბადში დასახლებულან, კერძო სახლი უყიდიათ და იმ იმედით ცხოვრობდნენ, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. ალიკ ორბელიანის მშობლები წარმოშობით ასპინძელები ყოფილან. როცა მამამისი ომში წაუყვანიათ, დედამისი თურმე ბავშვს ელოდებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ უცნობებიათ, თქვენი ქმარი მძიმედ არის დაჭრილი და ჰოსპიტალში წევსო. ცოლიც მასთან წასულა. მაშინ ჩვენებური ქალები, ასეთი ცნობის მიღებისას ჰოსპიტლებში მიდიოდნენ და თვითონ უვლიდნენ ქმრებს. დედამისსაც მოუვლია ქმრისთვის; კაცი ის-ის იყო ფეხზე წამოუყ-

ენებია და თვითონ მშობიარობაც დასწყებია. ჰოსპიტლიდან იმავე ქალაქის სამშობიაროში გადაუყვანიათ. ვაჟი შესძენია — სწორედ ჩვენი ალიკ ორბელიანი. სამშობიაროდან გამოწერის მერე ქმრისთვის ჰოსპიტალში მიუკითხავს, სადაც უთქვამთ, — შენი ქმარი გაწერეს და ისევ ფრონტზე გააგზავნესო. ჩვილი ბავშვით ხელში ასპინძაში დაბრუნებულა. გასულა დრო და ცნობა მიუღია: გულაღა ორბელიანს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭაო. მარჩენლის, მით უფრო, ორდენოსნის, სიკვდილის შემთხვევაში მის ოჯახს კომპენსაციას — სახლის მშენებლობისთვის, საქონლის შესაძენად და ა. შ. ფულად დახმარებას უხდიდნენ. 1944 წელს ბავშვთან ერთად ყაზახეთში გადაუსახლებიათ, სადაც 1956 წლამდე ცხოვრობდნენ. კიროვაბადში დასახლების მერე ალიკა საქმეებზე ჩამოდიოდა საქართველოში, ბევრი მეგობარი გაიჩინა და მათთანაც სტუმრობდა. ერთხელ, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს რომ აღნიშნავდნენ, საუბრისას უბრალოდ უხსენებია: გულაღა ორბელიანი საქართველოდან წაიყვანეს ომში და სიკვდილის შემდეგ გმირად იქცაო. გაუგიათ რა, რომ ის ომის გმირის ვაჟი იყო, ასპინძის რაიონის საპატიო მოქალაქის სიგელი მიუციათ და უთხოვიათ: ყოველ წელს, გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე, მამის სამშობლოში ჩამოდიო. გარდა ამისა, ასპინძაში სახლის აშენებასაც დაპირებიან. ბოლომდე ვუსმენდი და ამ ამბავმა ძალიან გამახარა. მისამართები გავცვალეთ და მერე, რამდენჯერაც არ უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, რამდენიმე დღით ჩვენთან რჩებოდა ხოლმე. ერთი-ორჯერ მეუღლესთან ერთადაც გვესტუმრა. დაბრუნების იმედი კი თანდათან გადაეწურა. ერთხელ, დედაჩემისთვის — მაშინ დედა ჯერ ცოცხალი იყო — უთქვამს კიდეც: გვარი უნდა გამოვიცვალო, როგორც ვატყობ, საქართველოში დაბრუნებას ვერ მოვახერხებ, ეს გვარი კი იქ, კიროვაბადში, ბავშვებს ხელის შეშლის გარდა არაფერში არგიათ, სკოლასა თუ ეზოში გვარის გამო დასცინიან, მერე რაღა იქნება? თუ დაბრუნება არ გვიწერია, მირჩევნია გვარად მამის სახელი ავიღო, თეთრ ყვავად მაინც აღარ ჩამთვლიან, თავისიანად მიმიჩნევენ, აღარც დამჩაგრავენ, მათი თანაწორი ვიქნებიო.

დედას მაშინ თვითონაც სჯეროდა, რომ მალე უკან, აწყურ-

ში დაბრუნდებოდა და შეეცადა გადაერწმუნებინა: „— ბავშვებმა ამ გვარის ფასი არ იციან, დადგება დრო და მადლობას გეტყვიან, რომ ეს გვარი შეუნარჩუნე. თანატოლების დაცინვას კი ყურადღებას ნუ მიაქცევ, ისინი ხომ ბავშვები არიან. წყალს ერთი თავისებურება გააჩნია, ყოველთვის ძველ კალაპოტს უბრუნდება, დრო მოვა და ის ძველ კალაპოტს დაუბრუნდება, მხოლოდ მოთმინება უნდა მოიკრიბოს კაცმა და დაელოდოს“. მან კი სევდიანად უპასუხა: „— ვგრძნობ, რომ ამ სიგელის გარდა, საქართველო არასდროს არაფერს მომცემს“.

ამის შემდეგ ის აქ აღარ ჩამოსულა, ისიც კი არ ვიცი დედაჩემმა მისი დარწმუნება მოახერხა თუ არა; იქნებ საბოლოოდ გადაეწურა იმედი და წინაპართა გვარზე უარი თქვა. დასანანი იქნებოდა! ორბელიანთა გვარს ხომ კიდევ ერთი ოჯახი გამოაკლდებოდა. ასე იკარგება ეს უმშვენიერესი გვარები.

1929 წელს აწყურიდან ადიგენის რაიონში გადავედით, მამა რაბათის პარტიის რაიკომში სამუშაოდ გადაიყვანეს. მესხეთში ორი რაბათი არსებობს: ერთი ადიგენშია — პატარა რაბათი, მეორე — ახალციხეში; ამბობდნენ, რომ ქალაქი ახალციხე ამ მეორე რაბათისგან იღებდა დასაბამს. სახელწოდებების წარმომავლობის ამბავი არავინ იცოდა.

პატარა რაბათი ბახში-ბეგ მაჩაბლის მამული გახლდათ. ძალიან ლამაზი იყო. მის მამულზე მიედინებოდა მდინარე ქობლიანჩაი. მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ფიჭვნარით დაფარული მთები აღმართულიყვნენ, მათ მიღმა კი საგუშაგო და საზღვარი მდებარეობდა. მდინარის დინების მიმართულებით ორივე სანაპიროზე 72 სოფელი არსებობდა.

ეს მამული მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, მთის ფერდობზე. ზემოდან თუ გადმოიხედავდი, ჩარიგებულ სახლებს დაინახავდი, სახლების მწკრივს აყვავილებული, მწვანედ მობიბინე მინდვრების ზოლი მოსდევდა და გზატკეცილამდე ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს სახლები და მინდვრები. ახლა გზის მიღმა ნაგებობები აღარ არის, იქ მხოლოდ ბალახითა და ყვავილებით დაფარული ფერდობი ეშვება მდინარემდე, ამ ფერდობზე კი ფეხბურთის მინდორია.

ბახში-ბეგ მაჩაბლის დიდ, ორსართულიან სახლში ადმინისტრაცია იყო განთავსებული, რაიონული ცენტრი ის-ის იყო ყალიბდებოდა. სხვა შენობებში კი საავადმყოფო, საჯინიბო, სახერხი, საცხობი იყო. საცხოვრებელი სახლები ამ მამულში არ არსებობდა და რაბათში ჩამოსულ მოსამსახურეებს ახლომდებარე სოფლებში აბინავებდნენ.

მამულის მფლობელი, ბახში-ბეგ მაჩაბელი, თურქეთში იმ წელს წავიდა, საქართველო რომ გაასაბჭოვეს, მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება კი ახალ ხელისუფლებას დარჩა.

ჩვენ სოფელ წრეში დაგვასახლეს. დიდი ოჯახით გადავედით, მამაჩემის ძმები — ალი და ნუსრადინიც — ჩვენთან ერთად გადმოვიდნენ. დედაჩემი გათხოვების პირველივე დღიდან ზრუნავდა მათზე და როცა საკუთარი შვილები შეეძინა, ერთმანეთისგან არ არჩევდა, ყველას ერთნაირად უყვარდა. ბავშვობაში მეგონა, რომ ჩემი უფროსი ძმები იყვნენ. ბიძია ალადინი ჩვენ ოჯახს აწყურშივე გამოეყო; ინსტიტუტი რომ დაამთავრა, პირველმა იქორწინა და ოჯახთან ერთად ახალციხეში გადავიდა, სადაც სამუშაოდ მიავლინეს. ალი და ნუსრადინი ჯერ სწავლობდნენ. ზაფხულის არდადეგებზე ჩვენთან ჩამოდიოდნენ, ზამთარში კი ერთი ბაქოში მიდიოდა, მეორე — თბილისში. ბიძია ალადინის მერე, 1937 წელს, ბიძია ალიმაც იქორწინა და გამოეყო ჩვენს ოჯახს; ნუსრადინი, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, 1939 წლამდე ჩვენთან ჩამოდიოდა. სოფელ წრეში დაახლოებით ერთი წელი ვცხოვრობდით, ეს კოლექტივიზაციის წლები იყო. მახსოვს, როგორ ღელავდა ხოლმე დედა, აივანზე იდგა, გზას გაჰყურებდა და აფორიაქებული ელოდა მამაჩემის სამსახურიდან დაბრუნებას. კოლექტივში შესვლა ყველას არ ეხალისებოდა. ნებაყოფლობით და დიდი ენთუზიაზმით ისინი ერთიანდებოდნენ, ვისაც არაფერი ებადა და კოლექტივი მათთვის ხსნა იყო. ისინი კი, ვისაც არ უჭირდა, მით უმეტეს, შეძლებული ოჯახები, კოლექტივში შესვლას არ ჩქარობდნენ. შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტი ახლა სწორედ მათი განკულაკებით იყო დაკავებული; ზოგს ციმბირშიც უკრეს თავი. ამ ღონისძიებების შედეგად ზოგი იძულებული გახდა კოლექტივში შესულიყო, ზოგიც ტყეში გაიჭრა და გააბრაგდა. კოლმეურნეობების დანიშნულება უმრავლესობას

არ ესმოდა და სანამ ხალხს ამას გააგებინებდნენ, ჭორი უფრო სწრაფად გავრცელდა; ამ ჭორის უაზრობის მიუხედავად, ბევრმა დაიჯერა, რომ კოლმეურნეობის წევრს საერთო სარგებლობაში უნდა გადაეცა საქონელი, ქონება, სახლი, ცოლი, შვილი და რომ ყველას ერთ დიდ სახლში უნდა ეცხოვრა, ერთ საერთო საწოლში უნდა დაეძინა და ერთი დიდი საერთო საბანი დაეფარებინა; დაიჯერეს რომ ბავშვები ბავშვთა სახლებში უნდა ჩაებარებინათ და მათთვის მორიგეობით უნდა მოევლოთ სამსახურიდან გამოთავისუფლებულ ქალებს.

ჭორი ჭორია, მაგრამ ბევრმა დაიჯერა ეს აბდაუბდა და კოლექტივში შესვლა არ ეხალისებოდა. შემოჭრილი შაშხანებით ხვდებოდნენ აგიტატორებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს წინააღმდეგობას უწევდნენ, ხელჩართული ჩხუბი და სროლაც ატყდებოდა ხოლმე. დედას ამის ეშინოდა და ამის გამო ღელავდა.

მდიდრები თვლიდნენ, — თუ არ ზარმაცობ, შეუძლებელია ღარიბი იყოო. მათი აზრით, კოლექტივში ზარმაცებს მიუხაროდათ, რათა სხვების ხარჯზე ეცხოვრათ მუქთახორებივით, მდიდრების შრომითა და გარჯით მოპოვებულ და საერთო სარგებლობაში გადაცემულ ქონებასა და დოვლათსაც ეს უსაქმურები დაეპატრონებოდნენ.

მამაჩემს პატივს სცემდნენ და, როგორც გამოცდილი აგიტატორი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. რაბათთან ახლომდებარე სოფლებში კოლმეურნეობები უკვე შეიქმნა და მამა აბასთუმანში გადაიყვანეს.

ადიგენის რაიონში ორი აბასთუმანი არსებობდა. ერთი — ოდითგან ცნობილი სანატორიუმი, ტუბერკულოზისა და სასუნთქი ორგანოების დაავადებათა სამკურნალო დაწესებულება გახლდათ, მეორე — ამ საავადმყოფოდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული სოფელი.

სოფელში სოფლსაბჭო არსებობდა, რომელსაც სამუშაოდ ჩამოსულები ბინებით უნდა უზრუნველეყო. ცხადია, თავისუფალი ცალკე სახლები არ იშოვებოდა და სამუშაოდ, ან მივლინებით ჩამოსულ მოსამსახურეებს ადგილობრივი მაცხოვრებლების სახ-

ლებში აბინავებდნენ. ჩვენ ამ სოფლის ერთ-ერთი მდიდარი კაცის — ომარ-აღას — სახლში დაგვაბინავეს. მან ერთი ოთახი გამოგვიყო მეორე სართულზე. ადიგენის რაიონში ძალიან სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. დღეში სამჯერ, ომარ-აღა ლანგრით გვიგზავნიდა ყველაფერს, რასაც თვითონ მიირთმევდა. დედა სთხოვდა, არ შეწუხებულიყო, რადგან უხერხულად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ ხანდაზმულ ადამიანს, ახალგაზრდა ქალისთვის საჭმელი მოჰქონდა, რაზეც ომარ-აღარ პასუხობდა: „თქვენ, მოსამსახურეები, სახლსა ხართ მოწყვეტილები, აბა, რა გაგაჩნიათ? კაცი კეთილ საქმეს თუ აკეთებ, ბოლომდე უნდა გააკეთო, ისე რა ფასი ექნება სიკეთეს? ვიცი, რომ შენ თვითონ არ ჩამოხვალ საჭმლის წასაღებად, ამიტომ მე ამომაქვსო“.

ომარ-აღას შვიდივე დაოჯახებული ვაჟი მშობლებთან ცხოვრობდა. უფროსი შვილი უშვილო იყო, სხვებს ოთხი და რვა შვილიც კი ჰყავდათ. მშობლებს თავისი საძინებელი ჰქონდათ, ვაჟებსაც — თავ-თავისი. ამას გარდა, სახლში სასტუმრო ოთახიც მოეწყოთ და სტუმრებისთვის საძინებელიც.

მთელი ოჯახი 36 სულისაგან შედგებოდა, მაგრამ დიდ ოჯახში სივიწროვეს არავინ განიცდიდა. სატრაპეზოდ მთელი ოჯახი ქვედა სართულის ერთ დიდ ოთახში იკრიბებოდა. ოთახის ორივე მხარეს, კედლების გაყოლებაზე, ხალიჩებგადაფარებული ტახტები იდგა. საუზმეს, სადილს და ვახშამს ფეშხუნებზე აწყობდნენ. ფეშხუნი ეს პატარა, მრგვალი, მოკლეფეხებიანი მაგიდაა. გაწყობილი ფეშხუნები შემოჰქონდათ და ტახტებზე დგამდნენ. მამაკაცები თავის ფეშხუნს უსხდნენ, ქალები — თავისას; ბავშვებს, რომლებსაც ჭამა დამოუკიდებლად შეეძლოთ, თავისი ფეშხუნი ჰქონდათ და მოზარდებსაც თავისი. ეს საქმე საათივით ჰქონდათ აწყობილი, დღეში სამჯერ შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ფეშხუნები. ამ საქმიანობას თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა და მის დაძახილზე სასადილოში ყველა ერთდროულად იკრიბებოდა. დიდი ოჯახის ყველა წევრმა ზუსტად იცოდა თავისი მოვალეობები, თავისი საქმე, თავისი ადგილი. უაზროდ არავინ არავის ედებოდა ფეხებში. სამეურნეო, საოჯახო მოვალეობებიც ასევე ზუსტად გაენაწილებინათ. უფროსი ვაჟი ოჯახს ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და ქსოვილებით უზრუნველყოფდა. მისი ცოლი

ყველას ტანსაცმელს უკერავდა. ნაყიდ ტანსაცმელს და ახალ მორთულობებს დიდ, თუნუქით შემოჭედილ სკივრებში ინახავდნენ. ეს სკივრები ყოველთვის გასაღებით იკეტებოდა, გასაღებები კი უფროსი ვაჟის ცოლს სარტყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული. პირთამდე გაძეძგილი სკივრები იმდენად მძიმე იყო, რომ ადგილიდან ძვრას ვერავინ უზამდა.

დანარჩენები, ექვსი ძმა და მათი ცოლ-შვილი, ზოგი ბოსტანს უვლიდა, ზოგი ნაკვეთში მუშაობდა, ზოგიც საძოვრებსა და მინდვრებში, ბაღჩა-ბაღებში; ვინ საქონელს უვლიდა, ვინ მარცვლეულობას აბინავებდა, ვინ წისქვილში ფქვილს ფქვავდა და ოჯახს პურით ამარაგებდა.

ზაფხულობით საქონელს მთიან საძოვრებზე — იალაღზე — მიერეკებოდნენ და მთელ ზაფხულს იქ ატარებდნენ. გამოსაზამთრებლად მთელი ოჯახისთვის ყველსა და კარაქს ამზადებდნენ. როცა მთიდან შინ ბრუნდებოდნენ, გუდისა და ძროხის ყველითა და კარაქით სავსე კასრები ჩამოჰქონდათ.

მინდვრებში მომუშავეები კი ოჯახს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით — ბოსტნეულითა და მარცვლეულით ამარაგებდნენ. ვისაც ოჯახის პურით მომარაგება ევალებოდა, წისქვილში მიჰქონდა ხორბალი და მთელი ზამთრის სამყოფ ფქვილს ფქვავდა. ზოგი ბასთურმას და სუჯუკს ამზადებდა, ზოგი ლობიოს აშრობდა, საზამთროდ ხახვსა და კარტოფილს ინახავდა.

ჩვენი მათთან ყოფნისას უმცროს ვაჟს შვილი ეყოლა. ომარ-აღა მამაჩემს დიდ პატივს სცემდა და მის პატივსაცემად ბიჭს მუადინი დაარქვეს, მაგრამ ჩვენ გასაგონად ამ სახელს არ წარმოთქვამდნენ, ბავშვს უბრალოდ „ჩოჯუხს“ — ბავშვს — ეძახდნენ. დედაჩემმა არ იცოდა, რომ ბავშვისთვის სახელი უკვე დაერქმიათ და წარამარა იმეორებდა: „ბავშვი იზრდება, თავის სახელს უნდა შეეჩვიოს, სახელს როდისღა დაარქმევთო?“ ისინი მორცხვად არიდებდნენ თავს ამ კითხვას და მხოლოდ ჩვენი გამომგზავრების წინ, მორიდებულად გაამხილეს, რომ ძალიან სურდათ ეს ბავშვი მამაჩემს მოენათლა და მისი „კირვა“ გამხდარიყო. მამას, ცხადია, უარი არ უთქვამს. ომი რომ დაიწყო, შვიდივე ვაჟი ომში წაიყვანეს. გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე, ომარ-აღას უფროსი რძალი მშობლების მოსანახულებლად

გაემგზავრა, სკივრების გასაღებების აცმა სარტყელთან ერთად თან გაიყოლა. გასახლება რომ დაიწყეს, ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოასწრეს, როგორც იყვნენ ჩაცმულნი, ისევე ჩასხეს მანქანაში, ხოლო ვაგონებში რომ გადაიყვანეს, მთელი ოჯახი დააცალკევეს. ფული, ძვირფასეულობა, ოქროს მონეტები — ყველაფერი სკივრებში დარჩა. დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ, ოჯახი კიდევ ერთხელ დაშალეს და ამჯერად სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში მიმოფანტეს. ბევრმა გზას ვერ გაუძლო, ბევრი ავად გახდა, ბევრიც გარდაიცვალა; მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვები საბავშვო სახლებში გაამწესეს. ეს ყველაფერი იმ წერილის შეშვეობით შეიტყვეთ, თბილისში მომავალ ამხანაგს მუადინმა — მამაჩემის ნათლულმა — რომ გამოატანა, წერილში გვპირდებოდა, რომ ჩამოვიდოდა. მაგრამ არ ჩამოსულა. მოგვწერა, რომ 14 წლისა ბავშვთა სასლში მოხვდა. მისი ოჯახიდან იქ სხვა არავინ მოხვედრილა. სხვა ბავშვები სხვა საბავშვო სახლებში ჩააბარეს, მაგრამ თბილისიანებს ვერ მიაგნო და ოჯახის 36 წევრიდან მარტოეული დარჩა. იმ დროს უკვე დაქორწინებული იყო, შვილებიც ჰყავდა. ჩვენი აძბავი შემთხვევით გაუგია. მის ერთ ამხანაგს დაუტარებია, — საქაროველოში მივდივარო. მას კი უკითხავს, — იქ ვინმეს იცნობო? „— მოსამართლე მუადინს ვიცნობ, მისი ცოლი მამაჩემს დეიდად ეკუთვნის, სწორედ მათთან მივდივარ“ — უპასუხია ამხანაგს. ჰოდა, მაშინ გადაუცია წერილი.

ადიგენში ახალგაზრდულ დღესასწაულს აღნიშნავდნენ ხოლმე, რომელსაც „ყიზგელინს“ (საპატარძლო) უწოდებდნენ. საქონელს საძოვრებზე რომ გარეკავდნენ, ახალგაზრდები ერთ მშვენიერ დღეს (აღარ მახსოვს, რა დღე იყო) გასართობად მთაში ადიოდნენ. ჭაბუკები იქ საცოლეს ირჩევდნენ. ასე ვთქვათ, შეათვალიერებდნენ ხოლმე. უცოლოების გარდა ახლად დაქორწინებულებიც ან დანიშნულებიც მიდიოდნენ ახალგაზრდა ცოლებთან და დანიშნულებთან ერთად. სხვა სტუმრებიც იყვნენ ხოლმე. მთელ დღეს იალაღზე — საძოვრებზე — ცეკვა-თამაშსა და სიმღერაში ატარებდნენ.

ერთ-ერთ ასეთ დღეობაზე დედაჩემიც აუპატიჟიათ. ცეკვები

რომ დაწყებულა, დედაჩემისთვის ერთი მოცეკვავე გოგონა დაუნახებიათ და უთქვამთ, — „ნაპოვარააო“. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სოფელ აბასთუმანში ლტოლვილები გამოჩენილან, მათი წასვლის მერე სოფლელებს ოთხი წლის გოგონა უპოვიათ და ერთ-ერთ ოჯახს უშვილებია. დედას გახსენებია, აწყურში ცხოვრებისას ერთმა ოჯახმა ომის დროს ოთხი წლის გოგონა რომ დაკარგა. ჰოდა, მთიდან შინდაბრუნებულმა, ამ ოჯახს წერილი მისწერა, თუმცა აბასთუმანში ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. ერთ დღესაც ფაეტონებით 15 ქალი მოგვადგა: დაკარგული გოგონას დედა და მისი ახლო ნათესავები. გოგონა ჩვენთან დაუპატიჟიათ, მაგრამ დედამის ეშინოდა, რამე არ შეშლოდათ და აბასთუმნის აბანოში წასვლა გადაუწყვეტიათ; თუ ეს გოგონა ნამდვილად მისი შვილი იყო, ტანზე დამწვრობის კვალი უნდა ჰქონოდა. გაუხდიათ და აბანოში შესულან, დედამისს გოგონას ტანზე ნაიარევი შეუნიშნავს და დაბნეულ გოგონას მოთქმითა და ტირილით გადახვევია, ეხუტებოდა და კოცნიდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, მაგრამ გოგონა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, არჩევანის გაკეთება გაძნელებია. ბოლოს ეს საკითხი ასე გადაუჭრიათ: ღვიძლ მშობლებსაც და მშვილობლებსაც დედას და მამას ეძახდა და რიგრიგობით ცხოვრობდა მათთან, რადგან უკვე თავისი ოჯახი ჰყავდა.

როცა აბასთუმნის მიმდებარე სოფლებში კოლექტივები ჩამოყალიბდა, მამა სოფელ ვარხანში გადაიყვანეს. ეს დაახლოებით 1931 წლის შუა ხანს მოხდა. იქ ახლად აშენებულ საავადმყოფოში ორი ოთახი მოგვცეს. ოთახებს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, სახლის ფანჯრებიდან კი კარტოფილის ნათესები მოჩანდა. საავადმყოფო აბასთუმნის მიმდებარე სოფლებს ემსახურებოდა. ყველგან, სადაც კი მანამდე გვიცხოვრია, დაწყებითი სკოლები არსებობდა და როცა ერთი წლის ან წელიწადნახევრის მერე ახალ ადგილზე გადავდიოდით, ჩემს და სწავლის გაგრძელების საშუალება ეძლეოდა. ვარხანში კი სწავლა ვეღარ გააგრძელა, მეხუთე კლასი იქ არ არსებობდა და დედამ ბიძია ალადინთან, ახალციხეში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. იქ შვიდწლედი დაამთავრა და პედაგოგიურ ტექნიკუმში ჩაირიცხა. 1937

წლამდე ბიძის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ როცა ბიძია ალადინი დააპატიმრეს, საერთო საცხოვრებელში გადავიდა, 1938 წელს ტექნიკუმი დაამთავრა და იმავე წელს გათხოვდა.

სანამ ის სწავლობდა, ბიძებიც სწავლობდნენ. მამა მუშაობდა, მე კი, ისე მოხდა, რომ მთელ დროს შინ, დედასთან ვატარებდი. როცა ვარხანში გადავედით, დედამ დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და თანაც ბენარას პედტექნიკუმის დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლობდა.

ბენარა ვარხანთან ახლოს მდებარეობდა. იქ პედტექნიკუმი გახსნეს, თუმცა იქ ცხოვრებისა და სწავლის საშუალება არ არსებობდა, რადგან სოფელი იმდენად პატარა იყო, რომ ადგილობრივებს სწავლის ყველა მსურველი რომც შეეკედლებინათ, ყველას მიღებას მაინც ვერ შეძლებდნენ. ვინც დასწრებულზე სწავლობდა, თავისი სოფლიდან ფეხით დადიოდა ტექნიკუმში და ლექციების მერე ისევ შინ ბრუნდებოდა. ნათესავებთან ან ნაცნობებთან ცოტანი ცხოვრობდნენ. ძირითადად დაუსწრებელი ფაკულტეტი აწყობდათ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, წელიწადში ორჯერ, სემინარებს უნდა დასწრებოდნენ.

როცა დედა ტექნიკუმში მოეწყო და მუშაობა დაიწყო, შინ სულ მარტო დავრჩი. მახსოვს: ფანჯარასთან ვჯდები და ფანჯრის იქით, მინდორში, კარტოფილის ნათესს გავყურებ. ჯერ ღეროები ამოიწვერებოდა, მერე პატარა ბუჩქად გადაიქცეოდა, თეთრ, პატარა ყვავილებს გამოისხამდა, ყვავილები გავარდისფრდებოდა — ასე გადიოდა მთელი დღე. სახლიდან გარეთ იშვიათად გავდიოდი, რადგან საცხოვრებელი ადგილის ხშირი გამოცვლის გამო, მეგობრების შეძენას ვერ ვასწრებდი. იქნებ იმის გამო, რომ გულიანი ადამიანი ვარ და მიყვარს, როცა ბევრი ხალხი მახვევია, მიყვარს ურთიერთობა, ბედისწერის ოინებით კი მთელი ბავშვობა მარტოობასა და ახალ-ახალ ადგილებზე ნათესავების, ახლობლების, ნაცნობებისა და მეგობრების გარეშე გავატარე, რვა წლის ასაკში გულმა შემაწუხა და მას მერე ტკივილს გულში გამუდმებით ვგრძნობ. ისე მოუთმენლად ველოდი დედაჩემის დაბრუნებას, რომ ერთხელ, ერთ ამაღლებულ ადგილამდე, საიდანაც კარგად მოჩანს ბენარადან ვარხანში მიმავალი გზა, სამი კილომეტრი გავიარე და გზას გავყურებდი — დედა ხომ არ მოდის-მეთქი.

როცა მამა სამსახურში მიდიოდა, დედა კი სემინარებს ესწრებოდა, მე ყარაულ ილიასის მეთვალყურეობის ქვეშ მტოვებდნენ; მე კი არავის ვენდობოდი, მათ შორის, არც ბიძია ილიას. ის ხომ ადგილობრივი მცხოვრები არ იყო, მაშასადამე არც „ჩვენიანად" ჩაითვლებოდა. მეორე ოთახში მამაჩემის თოფს ვინახავდით, რომელსაც არავინ ტენიდა, თუმცა, მე ეს არ ვიცოდი და წასვლის წინ მამას ვთხოვდი: — პისტოლეტი შენ წაიღე, თოფი კი მე დამიტოვე-მეთქი. მამაც ამყვებოდა ხოლმე და მეუბნებოდა: — პისტოლეტი მე მიმაქვს, თოფს კი შენ გიტოვებო. მეც ვმშვიდდებოდი.

ერთხელ, მამა სამსახურში შეყოვნდა. ბიძია ილიასი ჩვენთან მოვიდა და კარის წინ ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ მთხოვა მამაჩემის თოფი მიმეტანა. მაშინვე დავთანხმდი, შევედი იმ ოთახში, სადაც თოფი გვქონდა, კარი ურდულით ჩავკეტე და იქიდან გავძახე: „ბიძია ილიას, ტყუილად ნუ დამელოდებით, მამის თოფს არ მოგიტანთ. რა ჭკვიანი ხართ, გინდოდათ თოფი მომეტანა და ამ თოფით მოგეკალით, არა?" მოგვიანებით ილიასმა ყველაფერი დედას და მამას უამბო, მერე ამას ანეგდოტივით ყვებოდნენ, თუმცა ყველა მაქებდა, — რა გონიერი და მამაცი ყოფილხარო.

* * *

ბიძაჩემი ალი ადიგენის რაიონში, სოფელ რაბათში, პარტიის რაიკომის მთავარ ინსტრუქტორად მუშაობდა. ის ძირითადად რაბათში იმყოფებოდა, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობისას, სოფლებში ადგილობრივი აქტივისტების დასახმარებლად მიდიოდა. ზოგჯერ დაგეგმილი გასვლა ჰქონდა, ზოგჯერ კი ადგილობრივი ინსტრუქტორების, აქტივისტების თხოვნით უწევდა გასვლა.

სოფელ ვარხანში აქტივისტებმა აბრაგები დააკავეს, რომლებიც ტყიდან გამოსულიყვნენ და ვარხანში საჭმლის შოვნას აპირებდნენ. როცა აბრაგები მორიგ სახლს მიადგნენ, ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს და შებოჭეს. მერე ასე შებოჭილები მიიყვანეს თავის კაბინეტში, დასხეს სკამებზე, ფეხებშეკრულნი, თვითონ ცხენებზე შესხდნენ და პირდაპირ რაბათში, ბიძია ალისთან გააჭენეს იმის საკითხავად, თუ რა ექნათ ამ აბრაგებისთვის.

თავისი ჩამოსვლის მიზეზი რომ აუხსნეს, ალი-ტაიმ ჰკითხა:

— აბა მაჩვენეთ, სად არიან?

— იქ არიან, ვარხანში.

— ზედამხედველი დაუყენეთ?

— არა, ფეხები შეკრული აქვთ, სად წავლენ. ერთმანეთისგან შორი-შორ დავსხით.

— მაშინ წასვლა საჭირო არ არის, ახლა დიდი ხნის გაქცეულები იქნებიან.

— არა, ალი-ტაი, ვერ გაიქცეოდნენ, ფეხები მაგრად შეკუკარით.

— ჰო, მაგრამ ხელები ხომ არ შეგიკრავთ?

აქტივისტები ცოტა შეცბუნდნენ და უცებ ეუბნებიან:

— თოკების გახსნას ვერ მოიფიქრებდნენ. წამოდი ჩვენთან ერთად და თვითონ დარწმუნდები.

— ვითომ რატომ ვერ მოიფიქრებდნენ?

— იმიტომ, რომ ისინიც ვარხანელები, ჩვენი თანასოფლელები არიან. თუკი ჩვენ ვერ მოვისაზრეთ და ვერ მივხვდით ამას, ისინიც ვერ მოისაზრებდნენ. დაგვიჯერე, ალი-ტაი, წამოდი და თვითონ ნახავ.

წავიდნენ და რას ხედავს: ოთახში, სკამებზე ფეხებშეკრული და ხელებგახსნილი სამი აბრაგი ზის. ოთახს არც არავინ დარაჯობს, უბრალოდ კარია მიხურული.

მას შემდეგ მათი პასუხი-არგუმენტი: ჩვენ ხომ თანასოფლელები ვართო, — ფრთოსან გამოთქმად იქცა.

იმ დროს, როცა დედა სწავლობდა და მუშაობდა, მამას ხანდახან სახლშიც გამოუჩნდებოდა ხოლმე საქმე. საავადმყოფოში კი დეიდა შურა მუშაობდა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დახმარებისთვის მიმართავდა. მისი დახმარებით დეიდა შურაც სარგებლობდა, ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ხან ლურსმნები სჭირდებოდა, ხან რა და ხან რა. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მისი გამოჩენისთანავე მამას ხასიათი ეცვლებოდა, უფრო ხალისიანი, მხიარული ხდებოდა; რაზე საუბრობდნენ, არ მესმოდა, რადგან ან ქართულად ლაპარაკობდნენ, ან რუსულად, თან იცინოდნენ. ეს ამბავი საშინლად არ მომწონდა, მაგრამ ჩვენთან მოსვლას ხომ ვერ ავუკრძალავდი, თანაც მამაჩემისაც მეშინოდა. ერთხელ, როცა ის კიდევ ერთხელ გვესტუმრა ლურსმნებისთვის, ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო.

ძოვხვეტე ერთი მუჭა ლურსმანი და სახლში მივადექი (მამა შინ არ იყო), დავაკაკუნე. კარი გამიღო, ლურსმნები მივაწოდე და ვუთხარი:

— დეიდა შურა, აი თქვენ ბევრი ლურსმანი და ვიდრე დედა არ დაბრუნდება, ლურსმნებისთვის ნუღარ მოგვაკითხავთ-მეთქი.

მან კი მიპასუხა, — მამაშენის თხოვნით მოვდივარ, რომ სახლი დაგილაგოთ და სადილი მოგიმზადოთო.

— ვერ ხედავ, რასა ჰგავს თქვენი სახლი, სამოვარს ლაქებიც კი ატყვია.

არაფერი მითქვამს, მეორე დღეს სამოვრის გაწმენდა გადავწყვიტე, რადგან მისმა შენიშვნამ თავმოყვარეობა შემილახა. სამოვარი ჩემზე ოდნავ პატარა იყო, მაგრამ ამან ხელი ვერ შემიშალა იმაში, რომ ნაკადულამდე მიმეტანა, სახლის უკან რომ ჩამოდიოდა. სუფთა, კამკამა წყალი მოდიოდა. სამოვარი დავშალე და გულიანად გავრეცხე ყოველი მხრიდან. როცა ჩავთვალე, რომ საკმარისად გავასუფთავე, აწყობას შევუდექი. ავაწყვე, მაგრამ სამოვრის ონკანი ვერსად ვიპოვე. ვეძებ და ვფიქრობ: ეს რა ჩავიდინე, ახლა იმისათვის მომხვდება, რომ სამოვარი გავაფუჭე, დეიდა შურა კი მეტყვის: „ხომ გეუბნებოდი, სახლში წესრიგის დამყარება არ შეგიძლიაო". ჩემს თავზე ამას ვფიქრობ, ვეძებ და ვტირი, ვაწყდები აქეთ-იქით, აღელვებისა და შიშისგან ველარაფერს ვხედავ. უცებ რაღაც მჩხვლეტავ საგანს დავაბიჯე, ძირს დავიხედე და თვალებს არ ვუჯერებ — სამოვრის ონკანია, რომლის პოვნის იმედიც უკვე გადამეწურა. მოვარგე სამოვარს და ამაყად წავიღე სუფთა, გარეცხილი და, რაც მთავარია, მთელი სამოვარი. ნელა მივდიოდი, რომ დეიდა შურას დავენახე და დამემტკიცებინა მისთვის, ყველაფრის გაკეთებას თვითონაც კარგად მოვახერხებ და შენი დახმარება არ გვჭირდება-მეთქი.

ერთხელ მამამ დაკლული ქათამი მოიტანა. მითხრა, დეიდა შურასთვის დამეძახა, რომ ამ ქათმისგან სადილი მოემზადებინა. მამა წავიდა, ქვაბი ცეცხლზე შემოვდგი, როგორც ამას დედა აკეთებდა. მერე ქათამი მდულარეში გავფუფქე და ბუმბულის გაბდღვნას შევუდექი. ზოგგან ბუმბულს კანიც მოჰყვებოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ამ საქმიანობამ ისე გამიტაცა, ქვაბს უგერგილოდ წამოვედე, გადმოვაპირქვავე და მდუ-

ღარე წყალი ფეხებზე გადამესხა, თუმცა არ მიტირია. ქათმის წმენდას ვაგრძელებდი. შემდეგ დავამარილე და ისე, რომ შიგნეულობა არ ამომიცლია, მოსახარშად შემოვდგი. მამა რომ დაბრუნდა, სუნით მიხვდა, დეიდა შურა რომ არ დავიხმარე. ცხადია, ქათამი საჭმელად არ ვარგოდა, მამამ კი მხოლოდ ეს მითხრა: — კარგია, დამოუკიდებლობას რომ ცდილობ, მაგრამ ხომ შეგეძლო რჩევა გეკითხა? ახლა რაღა ვჭამოთო.

ერთი წელი ვარხანში ვცხოვრობდით. ვარხანიდან, 1932 წელს, მამა ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენში გადაიყვანეს. რაიონის დასახელება ყველაზე დიდი სოფლის სახელწოდებიდან მომდინარეობს. როგორც უკვე გითხარით, ჩვენს მხარეში რატომღაც, ბევრ სოფელს ორი სახელი ერქვა, ან ორ დასახლებულ პუნქტს ერთი სახელწოდება ჰქონდა: ორი რაბათი, ორი აბასთუმანი, პატარა რაბათი, დიდი რაბათი, ზემო ადიგენი, ქვემო ადიგენი. სოფელ ადიგენის ერთი ნაწილი შემაღლებულზე მდებარეობდა, მეორე — ვაკე ადგილას. შესაბამისად, ზემო და ქვემო ადიგენიც ამიტომ ეწოდა. დიდი სოფელი იყო. ქვემო ადიგენში ვცხოვრობდით. იმ დროს სკოლები ჯერ არ აეშენებინათ. რაიონის განათლების განყოფილება ერთ ან ორ ოთახს ართმევდა იმ მაცხოვრებლებს, ვისაც დიდი სახლები ჰქონდა და კლასებსაც იმ ოთახებში აწყობდა. სკოლა არც ერთ სოფელში არ არსებობდა. ზოგჯერ, თუკი ორი-სამი კლასი სჭირდებოდათ, ერთი კლასი სოფლის თავში იყო, მეორე — სოფლის ბოლოში. ასეთ სოფლებში, დაწყებითი კლასები არსებობდა პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით.

ბიძია ბედირის სახლში დაგვაბინავეს, საათების ამწყობი გახლდათ. მახსოვს, მთელი დღე იჯდა, თვალზე გამადიდებელი შუშა წამოეკოსებინა. მე კი მშურდა მისი, ასეთი რთული საქმე რომ ეხერხებოდა. შესაკეთებელი საათები მთელ სოფელს მასთან მოჰქონდა. დედა დაწყებით სკოლაში მუშაობდა, სკოლაში ჯერ არ დავდიოდი. პატივისცემის ნიშნად, დიასახლისმა (ბიძია ბედირის ცოლმა) დედაჩემს ქათამი აჩუქა. ძალიან ლამაზი ქათამი იყო, შავ ბუმბულზე თეთრი წინწკლები ეყარა, თითქოს შავ ფრთებზე თოვლის თეთრი ფიფქები დაჰფენოდა. ისე მომეწონა,

დედა დავარწმუნე, არ დაეკლა და ჩემთვის ეჩუქებინა. თეთრი წინწკლების გამო „ჩილ-თაუხი“ — კაკაბი — შევარქვი. მხოლოდ მე უნდა დამეყარა საკენკი, რომ შემჩვეოდა; მერე მივიჩვიე, რომ ხელისგულიდან აეკენკა. ისე შემეჩვია, სულ კუდში დამდევდა. წყალზე წავიდოდი სოფლის ბოლოში, პურზე და შაქარზე მაღაზიაში, თუ ნავთზე — საწყობში, ყველგან თან დამყვებოდა. ბავშვები დამცინოდნენ, მაჯავრებდნენ: — უყურეთ, თავის ქათამთან ერთად მოდისო! მწყინდა, მაგრამ ქათამი არ მშორდებოდა და მუდმივი დაცინვის საგანი ვიყავი. ერთხელ ქათამი დაიკარგა. მეც ისე შევეჩვიე, რომ მისი დაკარგვის გამო დიდხანს ვტიროდი. ყველანი ვეძებდით, — მე, დედა, ბიძია ბედირი, მისი შვილები, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. სოფლებში ქურდობა არ იცოდნენ. ბიძია ბედირის ცოლი მაწყნარებდა:

— აქ შენ ქათამს არავინ მოიპარავდა, თუკი ბავშვებმა შენ გასაჯავრებლად ქვები არ დააყარეს, შეიძლება კვერცხის დასადებად ახალი ადგილი ამოირჩია, მოვძებნოთ, ნუ ტირი, მისი ახალი საბუდარი იქნებ ვიპოვოთო.

მე მაინც ვტიროდი, ვერ ვმშვიდდებოდი. ერთი თვე გავიდა. ერთხელაც მაღაზიიდან ვბრუნდებოდი, სახლთან ახლოს მდებარე ბეღელს ჩავუარე, საიდანაც ქათმის კრიახი და წიწილების წივწივი შემომესმა.

ბეღელი ხიმინჯებზე იდგა, ხიმინჯებს შორის ადგილები კი ქვებით ამოექოლათ. შევხედე, ხვრელი არ ჩანს, კრუხის ხმა კი კარგად მესმის. ყვირილ-ყვირილით შინისკენ გავიქეცი:

— დედა, ჩემი ქათამი ვიპოვე, ბეღელქვეშ არის და იქიდან ვერ გამოდის-მეთქი.

დედასთან ერთად ბეღელს მივადექი და დედაც დარწმუნდა, რომ სიმართლეს ვამბობდი. სახლის პატრონს დავუძახეთ. იმასაც გაახსენდა, ერთი თვის წინ ერთი გარღვეული ადგილი ქვებით რომ ამოექოლა. როგორც ჩანს, ჩემი ქათამი შიგნით გადაძვრა, კვერცხები დადო, ხოლო როცა წიწილები გამოჩეკა, ის ხვრელი ამოქოლილი დახვდა და ჩაიკეტა. ბეღელქვეშ წვიმის წყალი გროვდებოდა, ასე რომ წყურვილს მოიკლავდა, ბეღლიდან კი ხორბლის მარცვლებიც ცვიოდა და სანამ წიწილებს ჩეკდა, შიმშილითაც არ მოკვდებოდა. სახლის პატრონმა ქვები გადააგორა

და იქიდან ჩემი კაკაბი გამოძვრა 25 წიწილასთან ერთად. ჩემი კუდში დევნა არ მოიშალა, ოღონდ ამჯერად 25 წიწილის თანხლებით ამედევნებოდა ხოლმე. ბიჭებსაც მეტი არ უნდოდათ, ისევ დამცინოდნენ და მაჯავრებდნენ:

— აგე, თავის საბავშვო ბაღთან ერთად მოდისო.

უფროსებიც კი ვერ მალავდნენ ღიმილს, როცა ჩემს „ნაჩეკთან“ ერთად ჩავივლიდი ხოლმე, მაგრამ ჩემ კრუხ-წიწილის „მატარებელს“ არაკეთილმოსურნეებიც გამოუჩნდნენ. როცა წიწილები ისე დაფრთიანდნენ, რომ დედალ-მამალს ერთმანეთისგან გაარჩევდი, ერთი-ორმა ყველაზე მავნებელმა ბიჭმა ჩემს კრუხს ორი მამლაყინწა მოჰპარა. სახერხზე გაწელ-გაჭიმეს და თავები დაახერხეს. როცა მეორეს ხერხავდნენ, ყვირილზე გამოვედი და რას ვხედავ, — ერთი ბიჭი თავით ჭიმავს, მეორე ფეხებით და თავს აჭრიან. ცხდია, მამლაყინწების გადარჩენა ვერ შეეძელი, მაგრამ არც კერძი არ გავაკეთებინე. მთელი დღე დავტიროდი და როცა გამოვიტირე, ორივე ბაღში დავმარხე.

ადიგენში რომ ვცხოვრობდით, დედას ვაჟი შეეძინა. დიდი ბავშვი იყო, ლამის ექვსი თვის ბავშვის ხელა. დედა მოსწავლეებთან ერთად ექსკურსიაზე უნდა წასულიყო ზარზმაში. მე და ჩემი ძამიკოც თან წაგვიყვანა. როცა დავბრუნდით, ბავშვს იღლიის ქვეშ (მახსოვს, ამაზე ქალები ლაპარაკობდნენ) იარა თუ წყლული გაუჩნდა, მაღალი სიცხე მისცა, სამი დღე იავადმყოფა და გარდაიცვალა. არ ვიცი, რა ავადმყოფობა შეეყარა, ქალები ამბობდნენ, — „მათავურასგან“ მოკვდაო. ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს ეს. ძამიკოსთან თამაშით გული ვერც ვიჯერე, ეფიქრობდი, — ჩემს მარტოობას ბოლო მოელო, მალე გაიზრდება და ერთად ვითამაშებთ-მეთქი, მაგრამ კიდევ დიდხანს მომიწევდა მარტოობაში ყოფნა.

1933 წელს რაბათში რამოდენიმე შენობა ააგეს. საცხოვრებელი სახლები და სკოლები ჯერ კიდევ არ იყო და როცა მამა რაბათში გადაიყვანეს, დამხმარე სათავსო გამოგვიძებნეს ბახში-ბეგ მაჩაბლის ყოფილ მამულში. პარტიული დავალება მამამ ღირსეულად შეასრულა, ყველა ახლომდებარე სოფელში

კოლექტივები ჩამოყალიბდა. პარტიამ სახალხო მოსამართლედ მიავლინა რაბათში. ჩვენი საცხოვრებელი ოთახების გვერდით, მაჩაბლის მამულში, კიდევ ერთი საკლასო ოთახი გამოყვეს. უკვე სასკოლო ასაკის გახლდით, პირველ კლასში უნდა მივსულიყავი. სკოლას, ანუ სასწავლო ოთახს, ერთი მასწავლებელი ქალი ჰყავდა, რომელიც რუსულ ენაზე ასწავლიდა. ნახევარი წელი რუსულ ანბანს გვასწავლიდა. ასოების ცნობა ვისწავლეთ და მასწავლებელი, რატომღაც, ჩვენგან წავიდა. დედა თავის სკოლაში, სოფელ წრეში, ფეხით დადიოდა. შორ მანძილზე ფეხით სიარულს ვერ შეეძლებდი, ხელში აყვანილს ვერ მატარებდა. ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი მონახა: დავალებას მიხსნიდა, რომელიც სახლში უნდა მომემზადებინა; მეც ვიჯექი სახლში და ვმეცადინეობდი. სასწავლო წლის პირველ ნახევარში რუსული ანბანი ვისწავლე, მეორე ნახევარში კი აზერბაიჯანული სკოლის პროგრამას გავდიოდი. მეორე კლასში გადავედი, რაბათში სკოლა არ მუშაობდა, არც მასწავლებლები ჰყავდათ, ამის გამო დედა იძულებული გახდა სოფელ წრეში ვეტარებინე. მეორე კლასი იქ დავამთავრე. მესამე-მეოთხე კლასი გორგულში დავხურე, აზერბაიჯანული სკოლის პროგრამა გავიარე. რუსი მასწავლებელი უკან აღარ დაბრუნებულა, განათლების განყოფილებამ კი რატომღაც ქართველი მასწავლებლები არ მოიწვია, ან იქნებ მოიწვია, ისინი კი არ ჩამოვიდნენ, — არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. მეოთხე კლასის განათლების პროგრამა გორგულში დამთავრდა და სწავლის გაგრძელების მსურველებს ადიგენში უნდა ევლოთ. რაბათიდან ადიგენამდე სამი კილომეტრია, შვიდწლედის დამთავრებამდე, ყოველდღე აქეთ-იქით 5-6 კილომეტრს გავდიოდი ფეხით. გზა რომ შემემოკლებინა, სასაფლაოზე უნდა გამევლო. მაშინ გავაცნობიერე, რომ ძმა მომიკვდა და დაასაფლავეს, მაგრამ როცა ის მოკვდა, არ მესმოდა, იმ თოვლში სად მიჰყავდა დედას ბავშვი. დავინახე, როგორ შეახვიეს საფენებში და დედას ვუთხარი:

— შესცივდება, ხომ ხედავ ეზოში რამდენი თოვლი დევს. ჩემი პალტო აიღე (მე კი იასამნისფერი თბილი, ახალი პალტო მქონდა) და დააფარე, არ გაიყინოს-მეთქი.

ვერც იმას მივხვდი, დედა რატომ ტიროდა. სახლში, მარ-

ტოდ ყოფნა ისე მქონდა მობეზრებული, ისე ვოცნებობდი კიდევ ერთ ბავშვზე, რომ ყველაზე საუკეთესო, რაც გამაჩნდა, ამ ბავშვისთვის გავიმეტე, ოღონდ არაფერი დამართნოდა და როცა მიეხვდი, რაში იყო საქმე, დედამ ძმის საფლავი მაჩვენა. სასაფლაოზე ყოველი გავლისას მის პატარა საფლავთან მივდიოდი, საფლავის ქვას ხელით ვეფერებოდი და ვეტყოდი ხოლმე:

— შენთან თამაში ვერ მოვასწარი, ახლა, როცა მიწაში წევხარ, მხოლოდ შენი საფლავის ქვის მოფერება შემიძლია-მეთქი.

ამ გზაზე სიარული მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა დღე დიდდებოდა, რადგან შებინდებულზე სასაფლაოს გზით სიარულისა მეშინოდა. მაგრამ იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებსაც ლაშედან, ფლატედან, წრედან და გორგულიდან უნდა ევლოთ სკოლაში, მე ძალიან გამიმართლა, რადგან მათ მარტო იქეთა გზაზე 5-7 კილომეტრის გავლა უხდებოდათ. ყოველ სოფელში, სადაც კი გვიცხოვრია, ყველა იმ ენაზე ლაპარაკობდა, რა ენაზეც ჩვენ ვლაპარაკობდით: თურქული ენის ანატოლიურ დიალექტზე. ამ ენაზე, — თურქულიაო, არასდროს არავის უთქვამს, მას მუსლიმურ ენას ეძახდნენ. ეს გამოთქმა ყველა ხალხში არსებობს, როცა ერთი ადამიანი მეორეს ვერ აგებინებს რამეს: მე შენ რუსულ ენაზე გეუბნები... ან — მე შენ ქართულად გეუბნები (ქართული არ გესმის?) ჩვენთანაც ასე ამბობდნენ: — მე შენ გასაგებად გიხსნი მუსლიმურ ენაზეო.

ვიცი, რომ ასეთი ენა ამ ქვეყანაზე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მუსლიმური სარწმუნოება, ამ სარწმუნოების მიმდევრები კი თურქულადაც ლაპარაკობენ, არაბულადაც, სპარსულადაც და ა. შ. მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა, როცა ძალით გაამუსლიმეს, ალბათ, აიძულეს დამპყრობთა ენაზე ელაპარაკა და მოსახლეობამ სარწმუნოება და ენა ერთმანეთთან გააიგივა, ამიტომაც უწოდა ენას მუსლიმური, ხოლო ეროვნებას, შესაბამისად — მუსლიმი.

ასე მაგალითად, მაღალმთიან სოფელ უდეში, ნახევარი სოფლის მოსახლეობა კათოლიკე იყო, ნახევარი — მუსლიმი. იგივე ხდებოდა ბოლაჯურში. იქაც და აქაც მუსლიმები თავის ენაზეც ლაპარაკობდნენ და ქართულადაც, ანუ მინდოდა მეთქვა, რომ ენა არ დავიწყებიათ, არ მოუშლიათ. ქართველებმაც იცოდნენ მუსლიმური, ახალმოსული ენა, რადგან მოსახლეობა ხომ ერთმანეთ-

თან ურთიერთობს. როცა ორმა ადამიანმა ერთმანეთის ენა იცის, იმ ენაზე საუბრობს, რომელსაც გარემოება მოითხოვს. ახალი თაობა ორენოვან გარემოში იზრდებოდა და მათგან სწავლობდა. იყო სოფლები, სადაც მხოლოდ მუსლიმები ცხოვრობდნენ, მარტო გვარები ჰქონდათ ქართული, ან არაქართული. ასეთ სოფლებში თურქულად ლაპარაკობდნენ, თუმცა ზოგი საგნის სახელწოდება, ან ზოგიერთი სიტყვა ქართულად წარმოითქმებოდა: ტყუპი-ერიუქი (ტყუპი-ქლიავი), ლურჯა (თევზის დასახელება), აკვანი. საურთიერთოდ სხვა ენა არ სჭირდებოდათ, რადგან ყველა „ჩვენ ენაზე", — „იერლი" — მეტყველებდა. ზოგან სომხებიც ცხოვრობდნენ, ამიტომ იქაურებმა ეს ენაც იცოდნენ. მაგალითად, რაბათში რომ გადავედით, სომხური ერთ თვეში ვისწავლე. იქ სომეხი ხელოსნები ცხოვრობდნენ და ჩემი ბავშვობის მეგობრები, გრიშა და შავაში, სომხური ენის პირველი მასწავლებლები იყვნენ. ამ ენას ისე დავეუფლე, რომ ჩვენებურ ზღაპრებს სომხურად ვუყვებოდი. ალბათ ცუდად არ ვუყვებოდი, რადგან ყურადღებითა და სიამოვნებით მისმენდნენ. დღემდე მათი მადლიერი ვარ, ეს ენა ხომ მათ შემასწავლეს.

ვინაიდან საცხოვრებელ ადგილს ხშირად ვიცვლიდით, გულითადი, მუდმივი მეგობრები არ მყოლია. უმოკლეს ხანებში უნდა შევგუებოდი ახალ გარემოს, რათა არ გავერიყე, ჩემთან ურთიერთობისთვის თავი არ აერიდებინათ, ზურგი არ შეექციათ; ურთიერთობისთვის კი, პირველ რიგში ის ენა უნდა მცოდნოდა, რა ენაზეც ის ბავშვები მეტყველებდნენ, რომლებთან თამაშიც მსურდა. ქრისტიანი ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ქართულიც ვისწავლე. განუყრელი, საყვარელი მეგობრები მხოლოდ აწყურში მყავდა, რადგან სადაც არ უნდა გვეცხოვრა, დედა არდადეგებზე, ყოველ წელს, აწყურში მგზავნიდა. მხოლოდ იქ ვგრძნობდი თავს საკუთარ წრეში და ბავშვების ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. აწყური მრავალეროვანია, იქ ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, მუსლიმები, ებრაელები; თამაშის დროს ერთმანეთის ყველას კარგად გვესმოდა. მახსოვს ერთი თამაში, რომელსაც „ქეფჩე-ხათუნი" ერქვა. გვალვების დროს ვთამაშობდით, როცა ხანგრძლივი დროის მანძილზე წვიმა არ მოდიოდა. უფროსები გვთხოვდნენ, ქეფჩე-ხათუნი გვეთამაშა. ვფიქრობ, რომ ეს უბრალო თამაში კი არა, ბუნების მომადლიერების რიტუალი იყო. ალბათ რცხვენოდათ, თორემ თვითონაც დიდი სიამოვნებით ითამაშებდნენ. ბავშვები, ყველა ეროვნების მოზარდი შეიკრიბებოდა, გოგო-ბიჭები ერთად დაირაზმებოდნენ და კარდაკარ დადიოდნენ, თანაც სიმღერის ტექსტს იმეორებდნენ თურქულ ენაზე. თამაშის მონაწილეებს ეს არ უჭირდათ, ისინი აქცენტის გარეშე,

ერთხმად იმეორებდნენ სიმღერას, რომლის შინაარსიც კარგად ესმოდათ:

„ქეფჩე-ხათუნ ნე ისთერ
ალაჰთან იამურ ისთერ
იახსინ, იახსინ გელ ოლსუნ
ტახილარ ბოლ-ბოლ ოლსუნ.“

ამას წარმოთქვამდნენ და თან სხვა სახლის ეზოსთან მიდიოდნენ, დიასახლისს მიმართავდნენ:

„ხანუმ-ნენე ქახსანა
ხაროლარა ბახსანა
(უნ ჩუალინა ბახსანა)
ბიზი იოლა ვურსანა.“*

დიასახლისი გამოდიოდა, საჩუქრები, ტკბილეულობა გამოჰქონდა. ბავშვები ტკბილეულს ართმევდნენ და მაშინვე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, რადგან მათთვის წყალი უნდა გადაესხათ. ვინ იცის, იქნებ ბუნებას მართლა გული მოულბებოდა ხოლმე, ან შემთხვევითობა იყო, მაგრამ მეორე დღეს წვიმა მოდიოდა. ამას უფროსების შეკვეთით ვთამაშობდით, ჩვენ თვითონ კი დამალობანას, დაჭერობანას, მურის კოჭობანას, ვირობანას, ბაგირის გადაწევას და ა. შ. ვამჯობინებდით.

1936 წელს მზის სრული დაბნელება იყო მოსალოდნელი. ხალხმა იცოდა და შემურული შუშის ნატეხები მოიმარაგეს. ჩვენც, ბავშვებიც მოვემზადეთ. შუშის ნატეხებით შეიარაღებულნი ეზოში დაწყობილ მორებზე ავძვერით და ვილოღებოდით. ეს ჩვენს ცხოვრებაში პირველად ხდებოდა და ცნობისმოყვარეობა გვკლავდა, ისე გვინდოდა გვენახა როგორ მოხდებოდა მზის დაბნელება.

---

*

რას ითხოვს ქეფჩე-ხათუნი?
ღმერთს წვიმის წამოსვლას შესთხოვს!
იწვიმე, იწვიმე გადაუღებლად,
წვეთები ნაკადულებად გადააქციე,
რომლებიც მიწას მორწყავენ,
მიწა კი ხორბალს მოგვცემს.
მასპინძელო, იჩქარე,
მარაგები გადაამოწმე,
გაგვიმასპინძლდი და
დასაჩუქრებულნი გაგვისტუმრე!

ნათელი, თბილი, მზიანი დღე იდგა; უცებ ჩამობნელდა და აცივდა. დიდებს მივბაძეთ, თვალზე შემურული შუშები ავიფარეთ და ცას მივაშტერდით. მე ვაკვირდებოდი, დედამიწა ნელ-ნელა როგორ ფარავდა მზეს, ბოლოს კი სულ დაფარა. მაშინ კი ნამდვილი წყვდიადი ჩამოწვა და უფრო აცივდა. გარკვეული ხნის მერე მზემ გამონათება დაიწყო; როცა მთლიანად გამოჩნდა, ისევ ცაში იყო, ისევ უწინდებურად ანათებდა და ათბობდა. ერთად თავშეყრილი უფროსები ამის თაობაზე დიდხანს მსჯელობდნენ. დამამახსოვრდა, ყველა ერთხმად რომ ირწმუნებოდა — მზის სრული დაბნელება სასიკეთოს არაფერს გვიქადისო. რომელ ქვეყანაშიც მზის დაბნელება მოხდება, იმ ქვეყანაში აუცილებლად რამე ცუდი ამბავია მოსალოდნელი. ოდითგან ასე ხდებოდაო. მათი პროგნოზები და შიშები გამართლდა და დადასტურდა. ყველაფერი კრემლში კრილოვის მკვლელობით დაიწყო. მზის სრული დაბნელების პირველი მსხვერპლი ის გახლდათ. ამან დასაბამი დაუდო ტოტალურ დაპატიმრებებს, გადასახლებებს, კატორღებს; პოლიტიკური მოღვაწეების, საკადრო მოსამსახურეების, მწერლების, მასწავლებლების, მეცნიერებისა და ექიმების და სხვების განუკითხავ, ფარულ მკვლელობებსა და დაუფარავ დახვრეტებს. ეს ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაო ყოფილა, მთავარი მოვლენების მოწმენი 1937 წელს გავხდით. გამუდმებული შიშის ხანა დადგა, როცა ადამიანებს ერთმანეთთან მისალმების, დევნისა და თვალთვალის ეშინოდათ.

ჩემი ალი-ემი რაიონის განათლების განყოფილებაში მუშაობდა. სკოლების მუშაობა უნდა შეემოწმებინა. ბოლაჯურში, ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს, ადგილობრივი მასწავლებელი ქალი — სანია — შეუყვარდა. სახლში დაბრუნებულმა უფროს ძმას (მამაჩემს) სთხოვა, მასზე დაქორწინებაში დახმარებოდა.

— ვინ არის, როგორი ოჯახიდანაა, ბოლაჯურში ისეთი ოჯახი არ მეგულება, განათლებული ქალიშვილი ჰყავდეს.

— არის ასეთი ოჯახი, ბეგ პიპინაშვილის ქალიშვილია, სანია.

— შენ რა, გაგიჟდი, ამ არეულ დროში ხალხი არ ესალმება იმის შიშით, ტროცკისტების სიაში არ შეგვიტანონო და შენ

გინდა ცოლად მოიყვანო? იმ დღესვე ყველას დაგვიჭერენ.

მაგრამ ალი-ემი არ შედრკა.

— ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, შენი გულისთვის ყველაფერზე წავალ, შენ კი ოდნავ მაინც რომ გიყვარდე, დახმარებაზე უარს არ მეტყოდი. არაფრის მეშინია და ვერც ვერაფერი შემაჩერებს. ამ ქორწინების გამო რომც დამაპატიმრონ, სანიაზე უარს მაინც არ ვიტყვი, — უთხრა მან მამაჩემს.

თავისი ძმა ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა, მამამ თანხმობა მისცა, მაგრამ დედაც და მამაც ქორწილისთვის გულდამძიმებულები ემზადებოდნენ; რას განიცდიდნენ, ენით ვერ აღგიწერთ. შეფიქრიანებული მამა ხმას არ იღებდა, მოსალოდნელი შედეგები ანაღვლებდა; დედა საპატარძლოსთვის საჩუქრებს აგროვებდა და სულ ტიროდა, თითქოს უკვე აციმბირებდნენ. ზამთარი იდგა. ბოლაჯურში ოთხი მარხილით გავემგზავრეთ. მაშინ 10 წლის ვიყავი და მეც თან წამიყვანეს. საპატარძლოს დედა და ძმები ამ ქორწინებას ეწინააღმდეგებოდნენ. მათი აზრით, სანიამ შეუფერებელი საქმრო ამოირჩია. ბეგის ქალიშვილი ცოლად თავისი წრის კაცს უნდა გაჰყოლოდა, ალი-ემი კი, მართალია, შეძლებული ოჯახიდან იყო, მაგრამ გლეხების ფენას ეკუთვნოდა. საცოლეს მამა არ ჰყავდა, გარდაეცვალა. მისი ძმები, დედა და ნათესავები დაგვხვდნენ. საჩუქრები სახლში შეიტანეს. მოთმინება არ მყოფნიდა, ისე მინდოდა მენახა, როგორ ცხოვრობდნენ ბეგები. დიდი სახლი ჰქონდათ, თუმცა კედლებშეულესავი. თანდათან იმედგაცრუებამ დამრია ხელი. ჩემს წარმოდგენაში ყველა ბეგს მდიდრულ და ლამაზ, უმშვენიერესი ავეჯითა და ნივთებით გაწყობილ სახლში უნდა ეცხოვრა. ეს სახლი კი ჩემს წარმოდგენას არანაირად არ შეესატყვისებოდა. ყველანი სასტუმრო ოთახში დასხდნენ, მე კი გადავწყვიტე სახლი დამეთვალიერებინა და შემოვლა დავიწყე. ამ ექსკურსიის დროს სამზარეულოს წავაწყდი. დავინტერესდი, ნეტავ ბეგების სახლში საჭმელს როგორ ამზადებენ-მეთქი, სამალავში მოვკალათდი და ყველაფერს იქიდან ვაკვირდებოდი. ეხედავ, საპატრძლოს დედა პროდუქტებს შუაზე ჰყოფს. ერთ ნაწილს მაგიდაზე აწყობს, მეორეს — ინახავს. ასე გაყო ბრინჯი და კარაქი. ფლავს ამზადებენ. ერთ-ერთმა დამხმარე ქალმა უთხრა:

— ფლავს ცოტა კარაქი დაუმატეთ, თორემ უგემური გამოვა და თავი მოგვეჭრება.

— ფიქრადაც არ მომივა. ვიცი, რასაც ვაკეთებ, ეს არავის საქმე არ არის და ნურვინ ჩაერევა. სოფლელები არიან, მაგათ რა იციან, ფლავი რა ხილია, რომ გემო გაუგონ.

ეს სიტყვები გულზე მომხვდა. რას ჰქვია ფლავის გემო არ ვიცით-მეთქი. ერთ ხანს დავფიქრდი და საფარიდან გამოვედი:

— ვინ არ იცის ფლავის გემო? ეს ყველაფერი ვინ მოგიტანათ? ეს თქვენ არ იცით ფლავის მომზადება. თუკი ყველაფერს, რაც ჩამოგიტანეთ, არ მოამზადებთ, წავალ და დედას ყველაფერს ვუამბობ.

ქალი მოულოდნელობისაგან დაიბნა, მაგრამ ჩემზე უფროსი გახლდათ და დიპლომატიურობით მაჯობა, რაღაც მიპასუხა და მდგომარეობიდან გამოვიდა.

დიდებული ქორწილი გაიმართა, შინ ახალგაზრდა პატარძლის თანხლებით, თუმცა გულდამძიმებულნი, დავბრუნდით. რძლის ოჯახს სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთ-ერთი და აწყურელ მუხრანელს მისთხოვდა და ქმარი ციხეში ჩაუსვეს. მეორე და ადიგენში, მუსა-ბეგზე (თუ არ მეშლება) გათხოვდა და ისიც დაიჭირეს. მესამე და ჩვენი რძალი გახდა; მივდიოდით და ყველა იმაზე ფიქრობდა, ამ ქორწინებას როგორი ბოლო ექნებოდა. ისინი ჩვენთან წამოვიდნენ და მანამდე, სანამ ალიემის სამუშაოდ სხვა ადგილზე გადაიყვანდნენ, ჩვენთან ცხოვრობდნენ. მშობლები ჩქამზეც კი შიშით კანკალებდნენ, მის დასაპატიმრებლად ხომ არ მოვიდნენო. ღვთის წყალობით გადავრჩით. სანია-ხანუმი, მართალია ბეგის ოჯახიდან გახლდათ, მაგრამ ხელმარჯვეობით არ გამოირჩეოდა. საჭმლის კეთებას რომ შეუდგებოდა, რჩევას მე მეკითხებოდა. ერთხელ, გორგულში, სამსახურში მიმავალმა დედამ საწებლის მომზადება სთხოვა; მე კი დამიბარა: აჩვენე, სად რას ვინახავთო. იმ დღეს სკოლაში დედასთან ერთად არ წავსულვარ, დედა კოლეგასთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო. შეგნებული მქონდა, რომ სტუმართან თავი არ უნდა შეგვერცხვინა, ამიტომ დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ საქმეს. დედა წავიდა და საწებლის მოსამზადებლად საჭირო პროდუქტები გადმოვალაგე. მერე ეზოში გავედი. იქ ბავშვებმა

თამაში წამოიწყეს, მეც მათ შევუერთდი და შუა თამაშში სანიას დაძახილი მომესმა. მივედი და მეუბნება:

— იცი რა, ის პომიდორი, საწებლისთვის რომ მომეცი, არ მომეწონა, მის ნაცვლად საწებელში ჭანჭურის ხილფაფა ჩავამატე. გამუქდა და ცუდი სანახავია, გემოზე კი ლაპარაკიც არ ღირს. როგორც ვატყობ, სადილი გავაფუჭე. ახლა რა ვქნა?

გავბრაზდი, რომ სადილიც გააფუჭა და თამაშსაც მომწყვიტა; ვუსაყვედურე:

— რაღა ბეგის ქალიშვილი ხარ, საწებლის მომზადება არ იცი. — თან შიშით ვფიქრობ, სტუმარს რით გავუმასპინძლდეთ-მეთქი.

როგორც კი გზაზე სტუმართან ერთად მომავალი დედა დავინახე, მასთან მივირბინე და ყურში ჩავჩურჩულე, — საწებელი მზად არ არის, უფრო სწორად, გააფუჭა-მეთქი. დედამ მანიშნა, არაფერი მეთქვა და სწრაფად მოამზადა ბასთურმის ხინკალი. სტუმარი გემრიელად დავაპურეთ და სახლამდე მივაცილეთ. დედას სიტყვაც არ გადაუკრავს სანია-ხანუმისთვის, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

ჯერ კიდევ 1936 წელს, როცა ზემო ვარხანში ვცხოვრობდით, კატის კნუტი ვიპოვე. ძალიან ლამაზი კნუტი იყო. კვერცხის გულისფერი თავი და თეთრ-ყვითელი ზურგი ჰქონდა, ყურები, ნიკაპი, კუდის წვერი, თათის წვერები თეთრად უქათქათებდა. მესტანი დავარქვი. პოვნისთანავე დავბანე და ვაჭამე. არ ჭამა, რძეს პირი არ დააკარა. ბავშვობიდან ძალიან მიყვარს გოგლი-მოგლი, ჩემთვისაც გავიკეთე და მესტანსაც შევთავაზე, ისე მოეწონა, მას შემდეგ გოგლი-მოგლის მეტს არაფერს ჭამდა.

პატარა ლეიბი, ბალიში და საბანი შევუკერე. ვარცლი და პირსახოციც გამოვუძებნე. ძალიან დავმეგობრდით. ბავშვებს უყვარდათ. ერთი წლის მერე დაიკარგა. ძალიან განვიცდიდი, ვტიროდი, ყველგან ვეძებე, მაგრამ ამაოდ. უფროსებმა მითხრეს:

— კატები, როცა სიკვდილის მოახლოებას გრძნობენ, სახლიდან მიდიანო.

ბევრი ვიტირე, მაგრამ, სხვა რა გზა მქონდა, ამ დანაკარგს შეეგუე. ისეთი დამჯერი იყო, დაძახებისთანავე მოირბენდა ხოლმე ჩემთან. ახლა კი მთელი დღე მას ვეძახდი და არ ჩნდებოდა.

უფროსების აზრი გავიზიარე, — ალბათ რამე დაემართა-მეთქი.

ერთხელ, თვენახევრის მერე, ჩემს მესტანს მოვკარი თვალი ეზოში, ისე გაძვალტყავებულ-დასვრილიყო, ჭუჭყისგან ლამაზი შეფერილობა დაეკარგა. ის რომ ნამდვილად მესტანი იყო, იმითღა მივხვდი, რომ გამეხახუნა. როგორ გამიხარდა! სასწრაფოდ ვაბანავე. მისი დაკარგვის მერე გოგლი-მოგლი აღარც გამიკეთებია, ახლა გახარებულმა გოგლი-მოგლი გავუკეთე და მას მერე ერთმანეთს აღარც დავშორებულვართ.

დედამ მითხრა: — ალბათ ვინმემ თაგვებზე სანადიროდ წაიყვანა. რა იცოდნენ, რა აზიზი მჭამელია. როცა მიხვდნენ, მისგან სარგებელს ვერ ნახავდნენ, გამოუშვეს. სანამ შინ, შენთან დაბრუნდებოდა, გახდა და დაისვარაო.

1937 წლის გაზაფხული იდგა. ერთხელ, მე და დედა გორგულის სკოლიდან ფეხით ვბრუნდებოდით. მგონი, უკვე ვახსენე, რომ ჩვენთან ერთი და იმავე დასახლებას ორ სახელს არქმევდნენ. გამონაკლისს არც რაბათი წარმოადგენდა. არსებობდა ორი — ზემო და ქვემო რაბათი. ზემო რაბათში სომეხი ხელოსნები — თერძები, დალაქები, მეწაღეები, მჭედლები ცხოვრობდნენ; ქვემო რაბათში კი ორგანიზაციები იყო განთავსებული და თანდათან იქ სახლებიც აშენდა. ააშენეს ვეტერინალური საავადმყოფო, სასტუმრო, რაიონი ფართოვდებოდა. სახლამდე მისვლა ვერც მოვასწარით, რომ წვიმა წამოვიდა. ხიდი გადავიარეთ, გზატკეცილზე გავედით და ქვემო რაბათის ცენტრიდან ზემო რაბათისკენ მივემართებოდით. შუა გზაზე კლდე იყო, კლდის თავზე — მოსწორებული ადგილი, რომელსაც ჩორათს ეძახდნენ და მომავალში მესამე რაბათად მოიაზრებოდა. მერე იქ პარკი გააშენეს, კინოთეატრი, ორსართულიანი შენობა და რამდენიმე პატარა სახლი ააგეს. ჩორათი სოფელ წრის დონეზე მდებარეობდა და მას ებმოდა. მკვეთრ მოსახვევს ვუახლოვდებოდით, ამ კლდეს გვერდს აუქცევდი თუ არა და, ზემო რაბათიც გამოჩნდებოდა; მოსახვევს გასცდებოდი თუ არა, რაბათიც იწყებოდა. უცებ წვიმა გაძლიერდა, იელვა, იჭექა. მე და დედამ თვალი მოვკარით, როგორ ჩაგვიქროლა წითლად გავარვარებულმა საგანმა, პატარა უღელს თუ უტარო წერაქვს რომ მოგაგონებდა. ეს წითელი საგანი ციდან

ჩამოვარდა და დიდი სისწრაფით, თითქოს ყინულზე გასხლტაო, ისე გასრიალდა სამჭედლოსაკენ, რომელიც ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც მე და დედა ვიდექით. სამჭედლოს მივუახლოვდით, სადაც უკვე მთელი სოფელი შეყრილიყო; მჭედელ მუკუჩას ვაჟები კი გამალებით თხრიდნენ ორმოს, რათა მამა მიწაში ჩაეფლათ. თურმე მეხი დასცემოდა. სამჭედლოში ბევრი რკინა ეყარა, ელვა ამ რკინამ მიიზიდა და მე და დედას აგვცდა. ვაჟები ყვებოდნენ, — ეს გავარვარებული საგანი ყუთს ისეთი ძალით დაეცა, ძირი გააგდებინაო. მამა გვერდით მდგარა, მაგრამ განმუხტვის ტალღა მასაც შეხებია. ორმოში ჩააწვინეს და მიწა მიაყარეს, თავიღა მოუჩანდა. ხალხი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ამ ამბავზე, მისნობდნენ, გადარჩებოდა თუ არა მჭედელი. ის კი გადარჩა.

სამჭედლო რომ არა, მეხი ჩვენ დაგვეცემოდა. მეხამრიდის როლი სამჭედლომ ითამაშა.

იმ წელს ალი-ემი სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ სოფელ ლელოვანში გადაიყვანეს. მისი წინამორბედი დაეპატიმრებინათ. დედამ ახალშექმნილ ოჯახს თან გაატანა ჭურჭელი, საწოლი, რაღაც-რაღაცა ნივთები, რაც პირველ ხანებში დასჭირდებოდათ, ვიდრე თვითონ მოახერხებდნენ მათ შეძენას. ქორწილის დღიდან სიკვდილამდე ალი-ემის ცოლი სამუშაოდ არ გაუშვია. მისი აზრით, მას ბავშვები უნდა გაეჩინა, აღეზარდა, სახლისთვის მოევლო, — ფულის შოვნა კი მისი, კაცის, საქმე იყო.

სანია-ხანუმი, ვისაც სადილის კეთებას ვასწავლიდი, კარგი დიასახლისი დადგა. მთელი მათი დღე და მოსწრება სიყვარულში გაატარეს, ცხოვრების ბოლომდე ერთმანეთზე ისე ზრუნავდნენ, როგორც პირველ დღეებში. ასეთი მოსიყვარულე, ბედნიერი, აწყობილი ოჯახი არასდროს მინახავს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მტრედებივით ეღუღუნებოდნენ და შესციცინებდნენ ერთმანეთს. შვიდი შვილი შეეძინათ. პირველი ქალიშვილი — ფლორა, 3 წლის ასაკში დაეღუპათ, მეორე შვილი — ედისონი — მოუკვდათ; თავიანთი ხუთი ვაჟით განსაკუთრებით ამაყობდნენ: ლამაზი, ჭკვიანი, მოხერხებული, შრომისმოყვარე, კარგად აღზრდილი ვაჟები ჰყავდათ, თანაც ყველა უმაღლესი განათლებით. მხოლოდ

ერთი ვაჟი, რასიმი, დაეუფლა მეჩანახის ხელობას და ამ საქმის საუკეთესო ოსტატადაც აღიარებდნენ. ყველა ვაჟს ოქროს ხელი აქვს. სრული სიმართლეა, როცა ამბობენ: მამამ მაგალითი უნდა მისცეს შვილებს, რომ მათ ცხოვრებაში ყველაფერი გამოუვიდეთო.

უფროსი ვაჟი მარვილი — რადიოინჟინერია; მეორე, რავილი — ავტოინჟინერი; მესამე, რასიმი — შესანიშნავი მეჩანახე; მეოთხე, ასიმი — მშენებელი ინჟინერი და უმცროსი, მაქსიმი — რადიოინჟინერი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ბიძია ალის ოჯახი აზერბაიჯანში, ხაჩმასის მეურნეობაში — „რევოლუცია" — დასახლდა. ბიძია ალი და სანია-ხანუმი სიკვდილამდე იქ ცხოვრობდნენ; როცა ცოლი გარდაეცვალა, იმ წლებში ჩვენთან ისეთი ამბები დატრიალდა, დასაფლავებაზე წასვლაც კი ვერ მოვახერხეთ. ცოლის გარდაცვალების მერე ერთი წელი იცოცხლა, წლისთავი გადაიხადა და ამის მერე მისცა თავს უფლება, ვალმოხდილი წასულიყო ამ ქვეყნიდან.

ერთხელ 1980 წელს, ალი-ემისგან წერილი მივიღე. მომწერა, — ძალიან ავად ვარ და შენი ნახვა მინდაო. საერთოდ, ასეთი რამ ჩვენთან მიღებულია, როცა ვინმეს ნახვა სურთ, ატყობინებენ, — ძალიან ავად ვარ, მინახულეო, რომ აუცილებლად მიხვიდე და ინახულო. მეც ვიფიქრე, — იგონებს-მეთქი, მაგრამ ასაკოვანი კაცი გახლდათ და შეიძლება, მართალიც ყოფილიყო. მეც დაუყოვნებლივ მასთან, აზერბაიჯანში გავეშურე. სერიოზული არაფერი სჭირდა და ჩემი ჩასვლიდან მოკლე ხანში გამოკეთდა კიდეც. შვილები მეუბნებოდნენ, — საქართველო გვენატრებაო. დღე არ გავიდოდა, საქართველოში ცხოვრების დრო არ გაეხსენებინათ და ამაზე ლაპარაკი არ წამოეწყოთ.

— მატერიალურად არაფერი გვიჭირს, მაგრამ მათმა საუბრებმა თვალით უნახავი საქართველო შეგვაყვარა, მათთან ერთად ჩვენც ვოცნებობთ, საცხოვრებლად თუ არა, სტუმრად ჩასვლა მაინც მოვახერხოთ. ქართველებიც შევიყვარეთ და ერთხელ, როცა ჩვენს მეურნეობაში, გამვლელ ქართველებს მანქანა გაუფუჭდათ, მივედით და დახმარება შევთავაზეთ.

— სანამ მანქანას შევაკეთებთ, იქნებ ვინმემ ღამე გაგვათევინოსო, — უთხოვიათ.

ძმებს კი უპასუხიათ:

— არ გრცხვენიათ, ამას რომ გვთხოვთ. თქვენ ხომ ჩვენი თანამემამულეები ხართ. ამიტომ ჩვენს სახლში წაგიყვანთ, ამასობაში სათადარიგო ნაწილსაც მოვძებნით, მანქანასაც შევაკეთებთ და გზასაც გააგრძელებთ.

უსაზღვროდ გაუხარდათ, ჩვენ კი ბედნიერები ვიყავით, რომ ქართველებს დავეხმარეთ. რავილმა სათადარიგო ნაწილი იშოვა და უფასოდ დაუყენა, იმიტომ, რომ სტუმრებს ფული არ ჰქონდათ. რასიმმა იმ დღეებში საფირმო ღვინის კასრი გააკეთა, ღვინით აავსო და, თავის მხრივ, ეს აჩუქა. მთელი საბარგული კაკლითა და თხილით გავუძეძგეთ. დამშვიდობებისას ავტირდით, მათი გაშვება არ გვინდოდა. იმათაც თავისთან დაგვპატიჟეს, დაგვპირდნენ, რომ ფულს ჩასვლისთანავე გამოგვიგზავნიდნენ; სათადარიგო ნაწილი 500 მანეთი ღირდა. გვეხვეოდნენ და გვკოცნიდნენ და გვიპირდებოდნენ,— ვეცდებით უკეთესი მასპინძლობა გაგიწიოთო. წავიდნენ და დაიკარგნენ. პირველ ხანებში დედა და მამა სიამაყით ამბობდნენ:

— ახლა ხომ მიხვდით, რატომ გვენატრება იქაურობა. ყველანი ასეთები არიანო!

ხანი გამოხდა, ფული არ გამოუგზავნიათ, არცკი დაურეკავთ იმის შესატყობინებლად, თუ როგორ იმგზავრეს. მაშინ კი ვუთხარი მშობლებს, როცა საქართველოზე ლაპარაკი წამოიწყეს:

— საქართველო არ გვინახავს, მაგრამ ქართველები გავიცანით-მეთქი...

მშობლებმა გვიპასუხეს:

— ტყეში მხოლოდ მგლები არ არიან, იქ ტურებიც დაძრწიან. ყველა ქართველზე მათი მაგალითით ნუ იმსჯელებთ: იქ, ჩვენთან, მესხეთში, სულ სხვანაირი ქართველები ცხოვრობდნენ, ამათ ვერ შევადარებთო.

ალი-ემიმ, ლილოვანში რომ მუშაობდა, არდადეგებზე თავისთან წამიყვანა. ჩემს საპატივსაცემოდ ცხვარი დაკლეს. ალი-ემიმ თვითონ დაკლა ცხვარი, გაატყავა და დაამუშავა. ბევრი რამ ემარჯვებოდა. დახმარება მოვინდომე, ალი-ემი ცხვარს ატყავებდა, მივუახლოვდი და ცხვრის ფეხს ხელი დავავლე. ალი-ემიმ

ნაჯახი ცხვრის ფეხს დაჰკრა, ძვალმა ნაჯახი აისხლიტა და შემთხვევით თითებზე მომხვდა. თითები გადამეჭრა და ძაფზე ასხმულივით დამეკიდა ხელზე. ელდანაცემი ალი გადაფითრდა. სასწრაფოდ ერთი მოხუცი კაცი მოიყვანეს. თითებზე რაღაც დამადო, ორივ მხრიდან ხელზე ფიცრის პატარა დაფები დამაფარა და გადამიხვია. ერთი კვირის შემდეგ მშობლებმა სოფსაბჭოში (ტელეფონი მარტო იქ ჰქონდათ) დარეკეს და შეატყობინეს, — ბავშვი ჩამოიყვანეთო. თითები ჯერაც დოლბანდით მქონდა გადახვეული. ალი-ემის არ უნდოდა მომხდარი ამბავი მათთვის გაეგებინებინა და სთხოვა, — აქ თავს კარგად გრძნობს, არ მინდა ვაწყენინო და ცოტა ხანს კიდევ დატოვეთო.

დოლბანდის მოხსნის დრო რომ მოვიდა, თითებიც შეხორცდა და უკვე ავამოძრავე კიდეც. ალი-ემი ცოტა დაწყნარდა; შინ დაებრუნდი და არავისთვის არაფერი მითქვამს, ხელი ისე მეჭირა, ნაიარევი არავის შეუმჩნევია. ალი-ემი ძალიან მიყვარდა და არ მინდოდა ჩემ გამო გასწყრომოდნენ.

იმავე 1937 წელს მეორე ბიძა — ალადინ-ემი, პედტექნიკუმის დირექტორი, მძიმედ დაავადდა და ახალციხიდან ჩვენთან, ზემო რაბათში ჩამოიყვანეს. გამოჯანმრთელება ვერც მოასწრო, რომ შავი მანქანით — „შავ ყორანს“ ეძახდნენ — მოაკითხეს და დააპატიმრეს. მახსოვს, სახლიდან საკაცით გაიყვანეს და იმ საშინელ მანქანაში შეაგდეს. მისი დაპატიმრების მერე, სანიახანუმის (ალი-ემის ცოლი) ძმა, ბოლაჯურელი ჯევდეთ-ბეგი დაიჭირეს.

წრე ვიწროვდებოდა. ამის შემდეგ დედაჩემის დეიდაშვილის ქმარი, ქეთიბ-ტაი, მიწების განაწილების განყოფილების უფროსი, დაიჭირეს; შუაღამისას დაადგნენ თავს და წაიყვანეს. მისი რეაბილიტაცია მალევე მოხდა, თუმცა დიდი შიში ვჭამეთ.

ალადინ-ემის დაპატიმრების შემდეგ, ქვემო რაბათში ორი ოთახი მოგვცეს. ამ ორ დიდ ოთახში ვცხოვრობდით გადასახლებამდე. ქეთიბ-ტაის დაპატიმრების ამბავი ჯერ არ ვიცოდით; ერთხელ, მე და დედა წყლის მოსატანად წავედით. დედაჩემის დეიდაშვილმა დაგვინახა და ტირილ-ტირილით ჩვენკენ წამოვიდა. თავში, ფეხებზე ხელებს იცემდა და გვიყვებოდა, შუაღამისას როგორ წამოაგდეს მისი ქმარი და დააპატიმრეს.

დედამ ჩუმად მითხრა, — შინ წადიო, — თვითონ კი მიიხედ-მოიხედა, ვინმემ ხომ არ მოჰკრა თვალი, დაპატიმრებულის ცოლს რომ ელაპარაკებოდა და უკან მომყვა. რამდენიმე დღე შიშისგან ხმას ვერ იღებდა. საშინელი დრო იდგა. ძალიან იოლად მოხვდებოდი ციხეში; ამისთვის ისიც კმაროდა, მავანი და მავანი პატიმრის ახლობელი მოგსალმებოდა. დედა სახალხო მოსამართლის ცოლი იყო და მით უფრო არ აპატიებდნენ.

ეს მძიმე წელი დიდი დანაკარგებით, მაგრამ მაინც გადავიტანეთ; მომდევნო წელი შედარებით მშვიდი გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ სტალინმა ასეთი განკარგულება გამოსცა: „შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს და მამა — შვილის გამოო".

დაჭერები არ შეწყვეტილა, თუმცა ამჯერად ნამდვილად ჩადენილი დანაშაულისა და დარღვევების გამო აპატიმრებდნენ. ვინც მანამდე دააპატიმრეს, ყველას ტროცკისტებს ეძახდნენ. პატარა ვიყავი, პოლიტიკის არაფერი გამეგებოდა და მიკვირდა, პატიმრებს ამ სახელს რატომ ეძახდნენ. როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ „ტროცკისტები" ბოლშევიკების მოწინააღმდეგეები იყვნენ და ეს სახელიც მათი მეთაურის — ტროცკის სახელის მიხედვით შეარქვეს.

1938 წელს ჩვენი ოჯახიც დაზარალდა. ამ წელს ჩემმა უფროსმა დამ, ფიქრიამ, პედტექნიკუმი დაამთავრა. თანაკურსელი ვაჟები და არა მარტო ისინი, შეყვარებულნი იყვნენ მასზე. ყველას ერთი დანახვით უყვარდებოდა, მაგრამ არ იცოდნენ, ვისი შვილი იყო და უარის შიშით შუამავლების გაგზავნას ერიდებოდნენ. ადიგენის რაიონის შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის უფროსს, მიშა ბლუდოვსაც შეუყვარდა. როცა ჩემმა დამ გაგვიმხილა, — ცოლობა მთხოვაო, ყველამ ერთხმად უარი უთხრა. მიშამ, ისევ ჩემი დის საშუალებით, მშობლებს შემოუთვალა: — თუ თანხმობას არ მოგვცემთ, ანტირუსული განწყობისა და რუს და მუსლიმ ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივების მიზეზით დაგაპატიმრებთო. ჩემმა ალი-ემინ ამაზე უპასუხა: „დამიჭირე, შიშით გული არ გამიხეთქო! მიჯობს დავზარალდე, ის კი გადავარჩინო. რას იტყვის მერე ჩვენი ხალხი; სირცხვილით ხალხში ისე ვეღარ გამოვჩნდებით, რომ არ დაგვძრახონ, „—

ჩვენიანი სასიძოები გადაშენდნენ, რუსს ცოლად რომ გააყოლეთო?“ მაგრამ მიშამ ისე დააშინა ჩემი და, რომ ის, ოღონდ ოჯახისთვის უბედურება აეშორებინა, ცოლობაზე დათანხმდა. ნათესავებმა, თანამემულეებმა, მეგობრებმა დიდხანს იყაყანეს. ამის გამო ჩვენს ოჯახს ყველა კიცხავდა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მოგვიანებით, როცა ყველა გადაგვასახლეს, მათთვის ხელი არ უხლიათ, ამან დედა და მამა ცოტა დააწყნარა. ეს სწორედ ის შემთხვევა გახლავთ, როცა ამბობენ: ზოგი ჭირი მარგებელიაო!

დედაჩემისგან ვიცი, რომ სიარული რვა თვის ასაკში დავიწყე. ერთი წლისა კი ავლაპარაკებულვარ. წლინახევრისა ყველას იმას ვეხვეწებოდი, — დამელაპარაკეთ-მეთქი. უფროსებიც უარს არ მეუბნებოდნენ, წინ ჩამომისხდებოდნენ და მეტყოდნენ ხოლმე:

— მოდი, აბა, ვილაპარაკოთ!

— მე ხომ პატარა ვარ, არაფერი ვიცი. თქვენ მომიყევით, მე კი მოგისმენთ.

ერთხელ, დედას საქმე გამოუჩნდა და მეორესართულელ მეზობელთან დამტოვა. ქალები აივანზე ისხდნენ და სიმინდს ფხვნიდნენ, მეც მათთან ერთად ვიყავი. ტანსრული ბავშვი ვყოფილვარ და ერთი თანასოფლელი მსუქანი ქალის სახელი შემარქვეს — გარან-ხანუმი. ეტყობა, აივნის რიკულზე ფიცრები უბრალოდ მიეყუდებინათ და როცა დავეყრდენი, მეორე სართულიდან პირდაპირ ეზოში გადავვარდი და ქვაფენილს დავენარცხე. თუ ამას გამართლება ჰქვია, ნამდვილად გამიმართლა, რომ კუტიკარი დაეკეტათ, თორემ ბასრ ლარტყებზე წამოვეგებოდი. შეიყარა ხალხი, მაჯას მისინჯავენ, ექიმი მოიყვანეს. დიაგნოზი დამისვა: მოტეხილობა არ ესინჯება, ძვლები მთელი აქვსო. ბაბუაჩემმა, სისხლნაჟღენთების თავიდან ასაცილებლად, თუ სხვა მიზნით, შავი თხა დაკლა და თბილ ბეწვში შემფუთნა. ერთხანს ამ ბეწვში ვიყავი შეფუთნული, საღამოს გამხსნეს. დედამ მითხრა, — მდგომარეობიდან ძალიან იოლად გამოძვერი, ოდნავ ოხრავდიო. ერთი ახალი დიდი თოჯინა მაჩუქეს, მაგრამ დედა ჯერ არ მაძლევდა. ჩემზე ოდნავ პატარა თოჯინა იყო, შეიძლება ვერც მოვრეოდი, ხელიდან გამვვარდნოდა და გამეტეხა. შევთანხმდით, როცა წამოვიზრდებოდი, ამ თოჯინით მაშინ ვითამაშებდი. თუმ-

ცა დედამ ჩემთვის ტკივილი რომ გადაევიწყებია, გამონაკლისი დაუშვა; საწოლში ჩამაწვინა, გვერდით სწორედ ეს თოჯინა მომიწვინა და მთხოვა, მამაჩემისთვის არ მეთქვა, რომ აივნიდან გადავვარდი. მამას ძალიან ვუყვარდი. დაღლილიც კი, ხელში ამიტაცებდა და მეთამაშებოდა. თბილისში იყო მივლინებული. იმ დღეს, ბორჯომში ჩამოსულა, გათენებამდე ვერ მოუცდია, ფაეტონი დაუქირავებია და შინ დაბრუნდა. როგორც კი მამის დაბრუნების ამბავი შევიტყვე, ოხვრა-კვნესას ვუმატე.

— რა სჭირს ბავშვს, რატომ კვნესის?

— არაფერია, ცოტა შეუძლოდ არის, — უპასუხა დედამ. შეთანხმებულები ვიყავით და იმედი ჰქონდა, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. საწოლიდანვე შევჩივლე, — გატყუებს, მამა. ავად კი არა ვარ, აივნიდან გადმოვვარდი-მეთქი.

1939 წელს, ნახევარწლიანი შუალედით, ოჯახში ერთბაშად ორი ბავშვი შემოგვემატა. ჯერ ჩემს დას შეეძინა გოგონა — ლარისა. მერე დედას ეყოლა გოგონა, დაბადების მოწმობაში ნაზლია ჩაუწერეს, სინამდვილეში კი ემა დაარქვეს. ემა სამიოთხი თვის იქნებოდა, როცა დედა თვენახევრით თბილისში, მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გააგზავნეს. ეს იყო 1940 წლის ზაფხულში. ემას ვერავის უტოვებდნენ. დედის კურსებზე ყოფნისას ემას მე ვუვლიდი. ერთი წლის რომ გახდა, გაცივდა. ჯერ ფილტვების ანთება ეგონათ, მერე თქვეს ბრონქების ანთება აქვსო. რაბათში ბავშვთა ექიმი არ გვყავდა. ერთადერთი ექიმი, გვარად შენგელია, პედიატრიც იყო, თერაპევტიც და ქირურგობასაც გვიწევდა. მან გვირჩია, ბავშვი სასწარაფოდ თბილისში გადაგვეყვანა. ემა უკვე იგუდებოდა. მშობლებმაც წაიყვანეს, გზად აწყურში შეიარეს. პაპამ ბავშვის წაყვანა დაუშალა.

— თქვენ რა, გინდათ, გზაში მოგიკვდეთო? — ჰკითხა მშობლებს და ემა აწყურის აღმოსავლურ აბანოში წაიყვანეს. ორი დღის შემდეგ დაბრუნდნენ. ემა აღარ იგუდებოდა და თანდათან მომჯობინდა. აი, ასეთი სასწაულმოქმედი აბანო არსებოდა.

სანამ სახლში ვიყავი, ერთი წლის განმავლობაში, დედას ბავშვის მოვლაში მე ვეხმარებოდი. რაბათში არც ბავშვთა ბაგები არსებობდა, არც საბავშვო ბაღები. ერთი წლის შემდეგ ტექნი-

კუმში მოვეწყვე და ბავშვთან დარჩენას ვეღარ ვახერხებდი. მაშინ დედაჩემი გორგულიდან წრეში გადავიდა, რადგან რაბათთან ახლოს მდებარეობდა. დედას უმუშევრობა არ შეეძლო, მით უფრო, რომ მამაჩემის ხელფასი არ გვყოფნიდა. დედა ემას იმ სახლის დიასახლისთან ტოვებდა, ვის სახლშიც სკოლა გახსნეს; სამსახურის მერე, ჩვილი ბავშვით ხელში, წრედან ფეხით ბრუნდებოდა.

ბავშვობაში ემა ჩემსავით ტანსრული გახლდათ. კარგი მადა ჰქონდა. ერბო უყვარდა და ლამის მუჭით ეჭამა. სახლში ყოველთვის გვქონდა ერბო, კარადაში თიხის ქოთნებით ვინახავდით.

მახსოვს: ემა ორი წლის არის. შინ მარტო დავრჩით. ის თამაშობს, მე ოთახებს ვგვი. უცებ მოდის და მეუბნება: „ჩიტი დავიჭირე, ჩიტი დავიჭირეო". დავხედე ამ ჩიტს და კივილი მოვრთე. თაგვების ბავშვობიდან მეშინია, მას კი თაგვი კუდით დაუჭერია და ბედნიერი სახით მიახლოვდება. ჩემს ყვირილზე თვითონაც შეშინდა და თაგვს ხელი უშვა.

საყვარელი ერბოთი ყელის ჩასაკოკლოზინებლად კარადასთან მისულა; ამ დროს თაგვს ჩაურბენია, მისი დაჭერა როგორ მოახერხა, დღემდე ვერ ვხვდები, თუმცა ფაქტია, რომ დაიჭირა.

1940 წელს მალარია შემეყარა და სამი წლის განმავლობაში, ყოველ ზაფხულს შეტევები მეწყებოდა. ათასნაირ ნემსს ვიკეთებდი, ვერაფერმა მიშველა. ექიმმა რაღაც ყვითელი აბები გამომიწერა. ამ აბების გამო ყვითელი ფერი დამედო, მაგრამ მათი დაულევლობა არ შეიძლებოდა. დილით თავს კარგად ვგრძნობდი, საღამოს შეტევა მემართებოდა. იმ სიცხეში სიცივისგან მაკანკალებდა, ვერ ვთბებოდი. ყვითელი აბები თეთრი აბებით შემიცვალეს. ამან ძალიან მარგო და გამოვჯანმრთელდი.

ომის წლები მთელი ქვეყნისთვის უმძიმესი წლები იყო და ახალს ვერაფერს ვიტყვი. მე თვითონ არ მიკვირს, ყველაფერი — რაც მოხდა და როგორც მოხდა — ასე კარგად რომ მახსოვს, რადგან მოზარდი გახლდით. მაგრამ თურმე ჩემს უმცროს დასაც ახსოვს რაღაც-რაღაცეები. არადა, გასახლებისას ოთხი წლის იყო! როცა წიგნის წერა წამოვიწყე, ემას მახსოვრობაც გამომადგა.

თურმე ახსოვს ვაგონით მგზავრობა; ისიც გაიხსენა წყალი რომ მოუნდა და გაყინული ჩაიდნიდან წყლის გამოწოვა ვერ მოახერხა. ხალხით სავსე მსხლით დატვირთული მანქანის გადაბრუნება ახსოვს. სატვირთო მაქანით ჩვენს ახალაშენებულ სახლს რომ ჩავუქროლეთ, ჩვენმა ბიცოლამ დაგვინახა, თავში ხელები წაიშინა და მოგვაძახა:

— ამას რას ვხედავ, თქვენც სხვებთან ერთადა ხართ? მე კი მეგონა, თქვენ არ გადაგასახლებდნენო. — ის გულისხმობდა, რომ მამას ჯავშანი ჰქონდა, თანაც სახალხო მოსამართლე იყო, მაგრამ ახლა, უბრალო მოკვდავივით, ხალხის საერთო მასასთან ერთად გადასახლებაში აგზავნიდნენ. ჩემმა დამ ესეც გაიხსენა.

ის, რაც დეპორტირებულ მესხებს 1989 წელს უზბეკეთში, ფერღანის ოლქში დაატყდათ თავს, — ეს ცალკე თემაა. მართალია, თვითმხილველი არ გახლავართ, მაგრამ თვითმხილველთა მონათხრობმა მკაფიო წარმოდგენა შემიქმნა დატრიალებულ ამბებზე. ფერღანის დარბევების მერე, მესხები ამჯერად თვითმფრინავებში ჩასხეს და ხელახლა მიმოფანტეს მთელ ქვეყანაში. ერთი ნაწილი ბელგოროდში მოხვდა, იქ კომლებად გაანაწილეს და თითო სოფელში თითო-ოროლა ოჯახი ჩაასახლეს. თვითმხილველის ნაამბობი:

„იმის გახსენებაც კი მზარავს, რაც აღვირახსნილმა ვაჟბატონებმა უზბეკეთში მესხების მიმართ ჩაიდინეს. ასე არავის დავუმცირებივართ. დაწვეს სახლები, მანქანები; მაგრამ ვერ მოისვენეს. ცეცხლმოკიდებული სახლებიდან გარეთ გამოქცეულ ადამიანებს იჭერდნენ, მამაკაცები ეზოში, მესერზე დააბეს და თვალწინ ცოლები და ქალიშვილები გაუუპატიურეს. ხელ-ფეხშეკრული ბიჭები დაცლილ სარწყავ არხებში ჩაყარეს, მერე კი წყალი მიუშვეს, გაქცეულები დაიჭირეს და ცეცხლში დაწვეს, ჩამოახრჩვეს, დაასახიჩრეს. ტყვია დაუშინეს სახლებიდან გამოქცეულებს. ბენზინის კანისტრებით დარბოდნენ ქუჩებში, ხანძარს გადარჩენილ სახლებს, მანქანებს, ადამიანებს ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. სიკვდილს ცოტანი გადაურჩნენ.

ერთ სოფელთან ახლოს, სადაც მესხები განასახლეს, ჭაობი იყო. ძალადობის მსხვერპლად ქცეულმა ასოცმა ქალმა, მათ

შორის ყმაწვილქალებიც ერივნენ, ხელი ჩაჰკიდა ერთმანეთს და ჭაობში შევიდა. მაშველები ჭაობიდან მათ გამოყვანას შეეულმ-ფრენებით ცდილობდნენ. ჭაობი ქალებს უკვე სიღრმეში ითრევდა, მაგრამ მათ, კიდევ უფრო მაგრად ჩაკიდეს ერთმანეთს ხელი და თქვეს: „ამ სირცხვილს ვერ ავიტანთ. ასეთი დამცირების შემდეგ ჩვენ კაცებს თვალს ვერ გავუსწორებთო“ და გადარჩენა არ მოინდომეს. უკან არც ერთს არ დაუხევია, ასოციევ იმ ჭაობში ჩაიხრჩო.

ამაზე არასდროს დაუწერიათ. თითქოს არაფერი მომხდარიყ-ოს, ეს გადასახლება ისე მიაჩუმათეს. ხალხი მეორედ ამოწ-ყვიტეს. ბევრს ვერ გაუგია, რატომ უნდათ მათ საქართველოში დაბრუნება და კომპაქტურად დასახლება. იმიტომ, რომ დაიღალ-ნენ დევნით, დამცირებით, დარბევებით, მკვდრების დატირებით, ახ-ალი სახლების შენებით, ყველაფრის თავიდან, უკვე მერამდენედ, ცარიელ ადგილზე დაწყებით. შინ, სამშობლოში ცხოვრება სურთ, რომ კარისკენ ვეღარავინ მიუთითოს. ნუთუ ეს ასე ძნელი გასაგე-ბია? რა დანაშაული მიუძღვით? 50 წლის მანძილზე ორჯერ ასე სასტიკად რატომ მოექცნენ? განა ეს არ არის გენოციდი? ჩვენი ხალხი ამ მიწაზე ალბათ იმიტომ მოვიდა, რომ ფეხქვეშ გაექელათ. რამდენი საუკუნეა, რაც ეს გრძელდება და ვინ იცის, ოდესმე ბოლო მოეღება თუ არა? ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ 1944 წლის გადასახლების შედეგებს ადამიანები დღემდე იმკიან.

ავადმყოფმა ალი-ემიმ, 1987 წელს მოსანახულებლად რომ ჩავაკითხე, ასეთი რამ მიამბო. ორი და, რომლებსაც ქმრები ომში დაეღუპათ, გაუსახლებიათ. ერთი მრავალშვილიანი დედა ყოფი-ლა. როცა მიმხვდარა, რომ ყველა შვილის რჩენას ვერ შეძლებ-და, უფროსი ვაჟი თავისთან დაუტოვებია, დანარჩენები კი ბავშ-ვთა სახლში ჩაუბარებია. შვილები შიმშილით სიკვდილისგან ასე გადაურჩენია. წლები გასულა. რეაბილიტაციის შემდეგ აზერ-ბაიჯანში წასულან და ხაჩმასში დასახლებულან, იქვე, ალი-ემის მეზობლად. ერთ-ერთი დის ვაჟი ტაშკენტში სწავლობდა თურმე და სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებდა. ერთი ქალიშვილი შე-ჰყვარებია. ქალიშვილი იმავე ინსტიტუტში, პირველ კურსზე სწავ-ლობდა. გოგონა ბავშვთა სახლის აღზრდილი ყოფილა. ვაჟს დედის თანხმობის გარეშე ცოლის მოყვანა არ უნდოდა და

ნებართვის სათხოვნელად დედამისთან ჩასულა. ყველაფერი უამბნია და უთქვამს, — წინააღმდეგი თუ იქნები, არასდროს აღარ დავქორწინდები, იმიტომ, რომ ასეთ გოგოს ვერასოდეს ვერსად შევხვდებიო.

— შენი არჩევანია, მთელი ცხოვრება მასთან ერთად შენ უნდა გაატარო და თუ გიყვარს, მოიყვანე ცოლად, წინააღმდეგი არა ვარო, — უთქვამს დედას.

ისინიც ტაშკენტშივე შეუღლებულან. ზაფხულის არდადეგებზე ვაჟი, ახალგაზრდა ცოლთან ერთად, დედას ესტუმრა. ქალიშვილის ამბავი რომ მოისმინა, ვაჟის დედას გულმა რეჩხი უყო. იმის გაფიქრებაც ზარავდა, რაც ივარაუდა. ქალიშვილის გარეგნობა და ნაამბობი ადასტურებდა, რომ ეს მისი ქალიშვილი იყო, ოდესღაც ბავშვთა სახლში რომ ჩააბარა. ფიქრები დას გაანდო. აბანოში წასვლა მოიმიზეზეს. ნიშანი, ნაიარევი თუ ხალი ჰქონია გოგონას, რამაც დედის ეჭვი დაადასტურა. მის ვაჟს საკუთარ დაზე ექორწინა. რა უნდა ექნა? ეს ამბავი შვილისთვის როგორ ეთქვა, ან სიცოცხლე როგორ გაეგრძელებინა? დაითრგუნა და თითქოს ჩაკვდა. რარიგ გაიხარებდა ქალიშვილს სხვა ვითარებაში რომ შეხვედროდა! აბანოდან გამოვიდნენ, თავისი ბოღჩა დას დაუტოვა და უთხრა: — თავს ცუდად ვგრძნობ, ცოტას გავივლი. თქვენ ჩაი მოადუღეთ, სუფრა გაშალეთ, ნახევარ საათში დავბრუნდებიო.

დიდხანს ელოდნენ მის დაბრუნებას, მერე ძებნა დაუწყეს, სამეზობლო შემოიარეს, მაგრამ ვერსად ნახეს. რამდენიმე დღის მერე ხაჩმასიდან შორს, მდინარის ნაპირზე იპოვეს, წყალს გამოერიყა. ვაჟიშვილს ვერ გაეგო, რა მოხდა და დეიდამ, ამ ამბის ნათელსაყოფად, დედამისის თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზი აუხსნა; დეიდასთან საუბრის მერე, ის თავისი მშენებარე სახლის სახურავზე ასულა და თავი ჩამოუხრჩვია. ამ ამბავზე ალი-ემის და მის თანამემამულეს, მასწავლებელ ბაჰრამს, სტატია დაუწერიათ და მათ მიერ მესხებზე ერთობლივად დაწერილი წიგნის ხელნაწერთან ერთად გამომცემლობა „აზერნეშირ“-ში მიუტანიათ. რედაქტორს, ხელნაწერისა და სტატიის წაკითხვის შემდეგ უთქვამს: თქვენ რა, თავისუფლება მოგბეზრდათ? წაიღეთ თქვენი ნაწერები და ყველაფერი დაივიწყეთო. აუღიათ წიგნის ხელნაწ-

ერი, სტატია და შინ დაბრუნებულან; აკი კარგად მოეხსენებოდათ ბედის უკულმართობა და წისქვილის ქვაც უამრავჯერ დატრიალებულა მათ თავზე.

ფერღანის მოვლენებამდე უზბეკეთში ჩემი ბიცოლა — ციცინა-ბიბი ცხოვრობდა სამ ქალიშვილთან ერთად. ერთ-ერთი ქალიშვილის ქმარს, ბადრი მეტონიძეს, იქაური კლიმატი არ მოუხდა, გამუდმებით ავადმყოფობდა და იმის მიუხედავად, რომ საქმე ცუდად არ მისდიოდათ — თვითონ ბადრი აკურგანის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი იყო — ხაშურის რაიონში ჩავიდნენ. უფროსი და, ცოტა ჯიუტი ქალი გახლდათ და აზერბაიჯანში დარჩა.

— საქართველოში თუ დავბრუნდი, მხოლოდ აწყურში დავბრუნდები, თუ არა და, სულ ერთია, სად ვიცხოვრებო.

ორი და, თავ-თავისი ოჯახითურთ, სოფელ ცხრამუხაში დასახლდა. ბადრი მეტონიძეს ამ რაიონის მილიციის უფროსმა გაუწია შუამდგომლობა. მათი მამები ბავშობის მეგობრები ყოფილან. ცხადია, შლაგბაუმს იქით არ უშვებდნენ და მხოლოდ შორიდან უყურებდნენ ტკივილამდე ნაცნობ ბავშვობის მხარეს. ერთხელ აზერბაიჯანიდან უფროსი და ესტუმრათ. ბორჯომში წაიყვანეს, შლაგბაუმამდე მივიდნენ, შორიდან ტკბებოდნენ ნაცნობი პეიზაჟებით. ყველაზე ახლოს გოდისის ბაღები მდებარეობს, ისე ახლოს, რომ შეგიძლია ხელითაც შეეხო. ყველაზე განაპირა ბაღი უწინ მათ ეკუთვნოდა. მიუახლოვდნენ. შვინდის ხის ტოტებს მათი ბაღიდან „საზღვარი“ გადმოელახათ და ნაყოფებს მიწვდებოდა კიდეც კაცი.

— მოდი, შვინდი მოვკრიფოთ, გავსინჯოთ მაინც, როგორი გემო აქვს ჩვენ მიერ დარგულ ხეს, — თქვა ერთ-ერთმა დამ. ფრთხილად, ყურადღება რომ არ მიეპყროთ, საკუთარი ბაღიდან შვინდი მალულად „მოიპარეს“. კრეფდნენ და თან სიცილით იხოცებოდნენ: — ამ დღესაც მოვესწარით, საკუთარი ბაღის ნაყოფს ვიპარავთო!

როცა ბადრი მეტონიძე ოჯახითურთ ხაშურის რაიონში ჩამოვიდა, თან წამოიყვანა ცოლის უმცროსი და, ქმართან და სამ ვაჟთან ერთად. ქალიშვილი უკვე გაეთხოვებინათ და ალიმკენტში დარჩა.

როცა ფერღანაში ხალხის დარბევა, აწიოკება და სახლების გადაწვა დაიწყეს, ამ ქალიშვილმა ბავშვებს ხელი მოჰკიდა და უფროს დეიდასთან ჩავიდა აზერბაიჯანში; დეიდას სთხოვა, მშობლებთან წაეყვანა, რადგან ცარიელ-ტარიელი გამოქცეულიყო და ბავშვებიანად თავიდანვე საქართველოში ჩასვლა ვერ გაებედა. ყველაზე უფროსი შვილი 6-7 წლის ჰყავდა. ცხრამუხის მკვიდრი მოსახლეობა ფერღანიდან გამოქცეულების ამბავმა ააფორიაქა.

— ახლა, ვითომ თავშესაფრის საძებნელად, ყველა ცხრამუხაში ჩამოვა. ეს დაუშვებელიაო.

მეზობლები მიდიოდნენ და ჩამოსულებს სოფლიდან წასვლას სთხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლის გადაწვით ემუქრებოდნენ. პატარა ბავშვებს, იმის შიშით, რომ მართლა რამე არ დამართნოდათ, ეზოში ვერ უშვებდნენ. ალიმკენტში არც მთებია, არც ტყეები. აქ კი ბავშვებს შინ ვერ აჩერებდნენ, ღობის მიღმა ხომ ზღაპრული ტყე მოჩანდა: ბებია ბავშვებს ფანჯრის რაფაზე ჩამოსხამდა ხოლმე, რომ ამ სილამაზისთვის ფანჯრიდან მაინც ეცქირათ, თან არც საფრთხე დამუქრებოდათ. მეზობლები ფხიზლად იყვნენ; შენიშნეს ეს და ერთხელაც, ფანჯრები გარედან ძველი ფარდაგებით დაუგმანეს, მშვენიერების ცქერა აუკრძალეს. ალბათ ეშინოდათ, — ვაითუ შეეჩვიონო. მაგრამ სოფლელები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. ბავშვების ბებიას — ფეზლიას, ულტიმატუმი წაუყენეს:

— აქედან თუ არ წაიყვან, დაგიხოცავთ და სახლსაც გადაგიწვავთო.

ბებიამაც ხელი დაავლო ბავშვებს და უფროს დასთან, აზერბაიჯანში წაიყვანა. მოგვიანებით, ორი უფროსი ვაჟი ოჯახებიანად გადავიდა ცხრამუხიდან კრასნოდარის მხარეში. აზერბაიჯანში დასახლებული დაც თავისთან წაიყვანეს. აზერბაიჯანიდან დაბრუნებული ფეზლია, უმცროს ვაჟთან და მის ოჯახთან ერთად, ცხრამუხაში დარჩა. მისი ქმრის — ათი დღის განმავლობაში რომ არ დაასაფლავებინეს — დედამთილისა და შვილიშვილის საფლავები აქ იყო და უპატრონოდ ვერ მიატოვა. მერე ფეზლია ძალიან ავად გახდა. ვაჟებმა შეახსენეს, რა სირთულეები შეხვდათ იმ სამი მიცვალებულის დასაფლავებასთან დაკავ-

შირებით და ახალი სირთულეების თავიდან ასაცილებლად თავისთან, კრასნოდარის მხარეში წაიყვანეს. ფეზლია, მოგვიანებით, იქ გარდაიცვალა. მისი უმცროსი ვაჟი ოჯახთან ერთად დღემდე ხაშურში ცხოვრობს. მართალია, ასეთი ცხოვრება არ აწყობს, მაგრამ სახლის გაყიდვა ვერ შეძლო, მიტოვებითაც ვერ მიატოვებს, რადგან სხვაგან გადასვლას და ახალი სახლის ყიდვას ფული სჭირდება. და ცხოვრობს ხაშურში, მარტოდმარტო, სამ ძმაზე გათვლილ უზარმაზარ სახლში.

1954 წელს, ჩვენი რეაბილიტაციის შემდეგ, საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობა მოგვეცა; სამშობლოს ნოსტალგიამ, უფროსი ქალიშვილის, ფიქრიას მონატრებამ, ჩემს მშობლებს გონება ისე დაუბინდა, რომ ორ კვირაში ბარგი-ბარხანა შევკარით და თბილისში ჩამოვედით. გვეგონა, რომ საქართველოში დაბრუნებით ყველა ჩვენს უბედურებასა და გაჭირვებას ბოლო მოეღებოდა. უცხოებად არავინ ჩაგვთვლიდა და ბოლოს და ბოლოს ჩვენიანების გარემოცვაში ვიქნებოდით, თავისიანებად მიგვიღებდნენ. სანამ ბავშვები სკოლაში, მერე კი ინსტიტუტში სწავლობდნენ, მაინც და მაინც კომფორტულად ვერ ვგრძნობდით თავს, რადგან ხალხის ძირითადი მასიდან ამოვარდნილები ვიყავით. არავინ გვიცნობდა, ჩვენც არავის ვიცნობდით. დღესასწაულს ვერ აღნიშნავდი, ქორწილში ვერ წახვიდოდი. მაგრამ როცა მთელი ქვეყანა საერთო დღესასწაულს ზეიმობდა, ჩვენც ყველასთან ერთად ვზეიმობდით. ცხოვრების ორომტრიალში ეს ძალიან მძაფრად არ აღიქმებოდა და არ იგრძნობოდა, გაუსაძლის პრობლემად არ ქცეულა. მაგრამ როცა ჩვენს შვილებს ოჯახების შექმნის დრომ მოუწია, მშობლები მიხვდნენ, რა დიდი შეცდომაც დაუშვეს. ვერ გაითვალისწინეს, რომ საქართველო მესხებს არ მიიღებდა და ჩვენ აქ ერთადერთ ოჯახად დავრჩებოდით. რას წარმოვადგენთ ქართველებისთვის? — თათრებს. საბოლოოდ, უცხოებად ვიქეცით ჩვენიანებს შორის. მესხები, როცა ვაჟებს აქორწინებენ, ან ქალიშვილებს ათხოვებენ, გვარიშვილობას შვიდ თაობამდე შეისწავლიან. ამიტომ უფრო მყარ ოჯახებსაც ქმნიან. მესხებისთვის განქორწინება იმდენად სამარცხვინოა, რომ განქორწინებული ოჯახის წევრებიდან ველარავინ მოახერხ-

ებს გათხოვებას და ცოლის მოყვანას. აქ კი, ვინ გვიცნობს? ან ჩვენ ვის ვიცნობთ ასე კარგად? თათრები გვიწოდეს, მაგრამ ჩვენ თათრები არა ვართ. ჩვენი შვილები, საქართველოში მცხოვრები ხალხების შვილებს არც რაიმეთი სჯობიან, არც ჩამოუვარდებიან. მაგრამ იარლიყების მიკერების ჩვევამ და ამ იარლიყის მიხედვით ადამიანების განსჯამ, მყარად მოიკიდა ფეხი მთელ ქვეყანაში. ვინც ჩვენ ქალიშვილებს შეუყვარდათ, იმათმა სანათესაომ ისინი არ მიიღო. ვინც ჩვენ შვილებზე დაქორწინება გადაწყვიტა, შვილები ჩვენ თვითონ არ მივათხოვეთ, რადგან აზერბაიჯანელები არა ვართ. სამი დის შთამომავლობიდან, უფროსი დის შვილი საერთოდ არ გათხოვილა. ჩემი ვაჟი დაქორწინდა, ბავშვებმა ვაჩნაძის გვარი აღიდგინეს, სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას და სხვებივით ჩვეულებრივად ცხოვრობენ. ქალიშვილი თანაკლასელს, სომეხი ეროვნების ახალგაზრდას გაჰყვა ცოლად. მას ორი ქალიშვილი ჰყავს. უფროსი ქართველზე გათხოვდა, მაგრამ ქმრის ოჯახმა არ მიიღო — სომეხ-თათრის ნაჯვარი რა უნდა იყოსო? ისიც ქმარს გაეყარა. საქართველოში, უკრაინის საელჩოში მუშაობდა, ბავშვიანი ქალი უკრაინის მოქალაქეს გაჰყვა ცოლად (მადლობა ღმერთს, ბედნიერი ქორწინებაა) და აქედან წავიდა. მეორე ქალიშვილის (ჩემი შვილიშვილის) ქმარს აქ არავინ ჰყავს, მშობლები გარდაეცვალა. ქმრის გვარზე — გველესიანზე — გადავიდა და იმედი მაქვს, მის გოგონას (ჩემი შვილთაშვილი), ელენე გველესიანს, თავისიანები, თუკი ჩამომავლობას არ დაუწყებენ ქექვას, ოდესმე თავისიანად ჩათვლიან. პირველი შვილიშვილი, თინათინ ელიზბარაშვილი, საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს, რათა თვალებში ჩახედოს მამამისს და ჰკითხოს, — რატომ უარყო იგი მამამ. თინიკო გვარის გამოცვლას არ აპირებს.

— დაე, ასეთი შემიყვარონ და ცოლად მომიყვანონ, შენიღბვას არ ვაპირებ, — ამბობს ის.

ახლა 13 წლის არის.

ჩემი უმცროსი დის შვილები მოსკოვში, სამხედრო აკადემიაში სწავლობდნენ და აღარ დაბრუნებულან, რადგან კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი გვარის — ბუნიატოვი — გამო აქ არანაირი პერსპექტივა არ ექნებათ. დაქორწინდნენ და სამუდამოდ რუსეთში დასახლდნენ.

დღემდე, ჩვენი ძველი თუ ახალი მეზობლები რომ მხვდებიან, მეკითხებიან:

— თვალები სად გქონდა, ბავშვებს რომ ათხოვებდი და აქორწინებდიო.

რა უნდა ვუპასუხო. ვდუმვარ. თვალები მქონდა, მაგრამ ბედნიერი ოჯახების შექმნაში ჩემ შვილებს სხვა ყველაფერი ხელს უშლიდა.

1989 წელს გვარისა და ეროვნების აღდგენის მსურველ მესხებს იუსტიციის სამინისტროში დოკუმენტების წარდგენის ნებართვა მისცეს. მესხებს შემდეგი საბუთები უნდა წარედგინათ:

1. დაბადების მოწმობა — ორიგინალი;
2. პასპორტი — ასლი;
3. ფოტოსურათი — 4 ცალი, ორნაირი ზომის;
4. წარმომავლობის დამადასტურებელი ცნობა არქივიდან.

მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ. ჩვენ, სამმა დამ, რაც გაგვაჩნდა, ყველა საბუთი შევაგროვეთ. არქივიდან ერთი ცნობაღა გვჭირდებოდა.

ჩემი ვაჟი რაუფ ჰასანოვი, მთელი ერთი თვე უშედეგოდ ცდილობდა სახელმწიფო არქივის შენობაში შეღწევას, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. ერთხელაც, როცა კიდევ უარით გამოისტუმრეს, შემთხვევით მერაბ კოსტავას გვერდით აღმოჩნდა. ეს 1990 წელს მოხდა. კოსტავა დაინტერესდა:

— ვინა ხარ, რა გაგჭირვებია?

— მესხი ვარ და გვარისა და ეროვნების აღსადგენად ცნობა მჭირდება. თვეზე მეტია აქ დავდივარ, მაგრამ ამაოდ, შიგნით არც მიშვებენ. აი, თქვენც ხომ დარწმუნდით ამაში.

მერაბ კოსტავა ჩემს ვაჟს არქივში შეუძღვა და იქაურ თანამშრომლებს სთხოვა რაუფისათვის მოესმინათ და დახმარებოდნენ მას. მერაბი იქ იდგა და ელოდა, ვიდრე საარქივო ცნობა არ იპოვეს და არ მისცეს.

ყველა დოკუმენტი ხელთ გვქონდა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წავიღეთ. ჩვენი, სამივე დისა, და ჩვენი შვილების საბუთები ერთ საერთო საქაღალდეში მოვათავსეთ.

საქალალდე გამოგვართვეს, მაგრამ დოკუმენტების ჩაბარების თაობაზე არანაირი წერილობითი ცნობა არ მოუციათ. სიტყვიერად კი გვითხრეს:

— ელოდეთ ზოგად დადგენილებას, თქვენ საბუთებს სხვების საბუთებთან ერთად განვიხილავთ და შეტყობინებას გამოგიგზავნითო.

1990 წლიდან 1993 წლამდე ველოდით. შეტყობინება კი არ მიგვიღია. მივხვდით, რომ ცდას აზრი არ ჰქონდა და დოკუმენტების დაბრუნების თაობაზე თხოვნით მივმართეთ. საბუთებით სავსე საქალალდე ვერ იპოვეს. დაკარგული გვარების აღდგენის ნაცვლად, დაკარგული საბუთების აღდგენა მოგვიხდა. ყველაზე მეტად მეტრიკების აღდგენა გაგვიჭირდა.

პროფესორ გურამ მამულიას მივმართეთ. იგი მესხების საკითხის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, მათი ქომაგი და რეპატრიაციის სამსახურის ხელმძღვანელი იყო. ვუამბეთ ჩვენი გასაჭირის შესახებ. ყურადღებით მოგვისმინა, რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა. სამივე დას ცნობა მოგვცა, რომ ჩვენი საბუთები იუსტიციის სამინისტროში განსახილველად იყო წარდგენილი. დროებითი საბუთი მაინც გვექნებოდა მეტრიკების აღდგენამდე; რამე რომ მომხდარიყო, დაზღვეულები ვიყავით. 1993 წლის 12 ნოემბერს „ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შემსაწვლელმა კომისიამ“ ეს ცნობები გადმოგვცა.

ჩვენი შვილები თან დიდი იმედით, თან უიმედოდ ელოდნენ ამ ამბის დაბოლოებას. ძალიან უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ გვარისა და ეროვნების აღდგენას მოვახერხებდით. რამდენჯერ შესწრებიან ამასთან დაკავშირებულ საუბრებს, მაგრამ... ლაპარაკი ყოველთვის ლაპარაკად რჩებოდა. ამჯერად თავიდანვე ეჭვებოდათ, რომ რამე გამოგვივიდოდა და ამის მიუხედავად, მოთმინებით იცდიდნენ. როცა ხელცარიელნი და შეწუხებულები დაებრუნდით, მაშინვე მიხვდნენ:

— საზრუნავი გაკლდათ და მოგემატათ, ახლა საერთოდ აღარავინ აღარა ხართ, იარეთ, რამდენიც გინდათ და ამტკიცეთ. წარსული ვერ დაიბრუნეთ, მომავალიც დაკარგეთ!

მამა ათეისტი იყო, დედა — მორწმუნე. რწმენის საკითხი სახლში მწვავედ არ იდგა. ყველაზე მთავარ ღირსებად ოჯახში წესიერება ითვლებოდა. ჩემი შვილი ისე გავზარდე, რწმენის საკითხი არც წამოჭრილა. ბევრ ოჯახს ვიცნობ, სადაც მალავდნენ, რომ მონათლულები იყვნენ — ასეთი დრო იდგა, გასაკვირი არ იყო. როცა აკრძალვა მოიხსნა და რწმენა ბუნებრივი და აუცილებელიც კი გახდა, ჩემმა უკვე სრულწლოვანმა შვილიშვილებმა ქრისტიანული სარწმუნოება შეგნებულად მიიღეს. ეს სარწმუნოება თვითონ აირჩიეს და ამ გადაწყვეტილებამდე თავისით მივიდნენ. თავდაპირველად უფროსი დის ქალიშვილმა მიიღო ქრისტიანობა, მერე ჩემმა ორმა შვილიშვილმა გოგონამ: ქალიშვილის შვილებმა, 1990 წელს, მშობლებს სთხოვეს, რომ მოენათლათ. 1994 წელს კი ვაჟიშვილის შვილები მოინათლნენ.

შვილიშვილებისაგან განსხვავებით, ჩემი შვილთაშვილები — ხუთნი მყვანან — დაბადების დღიდან მონათლულები არიან. კიდევ კარგი, ამის გაკეთება მაინც შეგვიძლია. ჩვენს წინაპრებს, ქრისტიან-მესხებს თავიდან ძალით შეაცვლევინეს სარწმუნოება, მერე კი ეროვნება და გვარებიც გამოუცვალეს. ამაზე ითქმის: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო", ან როგორც დედაჩემი იტყოდა, — „ოდესღაც დამშრალი მდინარის კალაპოტს წყალი უკან უბრუნდებაო"; ეს გამონათქვამი იმ დღის მოახლოებას გულისხმობს, როცა იმედები და ოცნებები ასრულდება.

ჩემმა შვილთაშვილებმა ამ დღის მოსაახლოებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს, ღმერთმა ქნას, ეს ნაბიჯი უკანასკნელი არ იყოს და ამას ყველას ეროვნებისა და გვარის აღდგენაც მოჰყვეს. ამის დიდი იმედი მაქვს.

ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, აკრძალვებისა და დასჯის მკაცრ წლებში დაკეტილ კარს რომ აკაკუნებდა და სიმართლის დადგენას ცდილობდა, ხალილ გოზალიშვილი გახლდათ. თბილისში პირველად ლატიფშაჰ ბარათაშვილთან ერთად ჩამოვიდა. თანამოაზრეები და მეგობრები იყვნენ. მას შემდეგ, თბილისში ყოველი ჩამოსვლისას, ხალილი ჩვენთან რჩებოდა; მაშინ, „ზემოდან" მიღებული მითითების გამო, მესხების წარმომადგენლებს სასტუმროებში არ უშვებდნენ. მოგვიანებით ზურაბ მამალაძე

გაიცნო და როცა დიდი ხნით ჩამოდიოდა, მასთან ჩერდებოდა. ძირითადად, ზაფხულში, შვებულების დროს ჩამოდიოდა. სკოლაში ისტორიას ასწავლიდა და ჩამოსვლას მხოლოდ არდადეგების დროს ახერხებდა. მისი ვაჟი ამბობდა ხოლმე:

— მამაჩემი 24 საათის განმავლობაში მუშაობს, მისი ხელფასი კი თვალით არ გვინახავსო.

მასწავლებლის მცირე ხელფასსაც „მივლინებებზე" ხარჯავდა, რათა მესხების სრული რეაბილიტაცია დაეჩქარებინათ. ის ერთ-ერთი მრავალთაგანი გახლდათ, ვინც ჩვენთან ჩამოდიოდა და ვიდრე საქართველოს მთავრობასთან შეხვედრას შეძლებდა, ჩვენთან რჩებოდა. იმ დროისათვის უკვე ძალზე ავადმყოფობდა. კარგად ესმოდა, რომ ხანგრძლივი ბრძოლა მოუწევდა და შეიძლება სიცოცხლეში დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოესწრო; ამიტომ ხალილ გოზალიშვილმა წიგნის წერას მიჰყო ხელი. სამწუხაროდ, გამოცემა ვერ მოასწრო და მადლობა ღმერთს, დასრულებული წიგნის ხელნაწერი დაგვიტოვა. მადლობელი ვარ „კავკასიური სახლისა" და ნაირა გელაშვილის, რომ მან ეს წიგნი 2004 წლის ნოემბერში გამოსცა და მესხთა დეპორტაციის 60-ე წლისთავს მიუძღვნა.

მესხეთში მოგზაურობა

ჩემი მეგობრები „კავკასიური სახლიდან" 2004 წლის პირველ აგვისტოს დაბადების დღის მოსალოცად მეწვივნენ. ამ დღეს 78 წელი შემისრულდა.

მიხო ბეროშვილმა, თამრიკო უჯუხუმ და ანიკო აბრამიშვილმა პირადად მომილოცეს; სხვები ტელეფონით მილოცავდნენ. ძალიან მსიამოვნებდა, რომ ვახსოვდი და ვუყვარდი. მეგობრების ყურადღებამ სიცოცხლე კიდევ რამდენიმე წლით გამიხანგრძლივა. მათი მადლიერი ვარ.

ნაირა გელაშვილის დავალებით, მესხეთში სისხამ დილით უნდა გავმგზავრებულიყავით. ეს ყველაზე დიდი საჩუქარი გახლდათ, რაც შეეძლოთ დაბადების დღეზე ჩემთვის ეჩუქებინათ. მილოცვისა და სასიამოვნო მოგონებების შემდეგ, მოგზაურობის

l...ორგანიზაციო საკითხები განვიხილეთ. მეორე დილით მიხომ და თამრიკომ მანქანით მომაკითხეს და გზას გავუდექით. ძალიან ვღელავდი. წამლები და წნევის აპარატი მოვიმარაგე. მთელი გზა ისე გავიარეთ, მიხოს და თამრიკოს ჩემთვის თვალი არ მოუშორებიათ, შიშობდნენ გულის შეტევა არ დამმართნოდა ან წნევას არ აეწია. თავს დამკანკალებდნენ და ისე ზრუნავდნენ ჩემზე, უხერხულობაც კი ვიგრძენი, ჩემს გამო ასე რომ შეწუხდნენ. ჩემი პირველი (1989 წელი) და როგორც გაირკვა, არა უკანასკნელი მოგზაურობის შემდეგ, მესხეთი ძალზე შეცვლილი მეჩვენა. ხაშურში რომ შევედით, გამახსენდა, რომ ცხრამუხაში მესხები ცხოვრობდნენ, ბიცოლაჩემის, ციცინა-ბიბის ქალიშვილები. მათი სახლის გზა კი დამავიწყდა. მანქანა მაღაზიასთან შევაჩერეთ და იქ შეკრებილ მამაკაცებს ვკითხეთ ფადლი არევაძის სახლის გზას ხომ ვერ მიგვასწავლიდნენ, — როგორ არაო, — და გზა მიგვასწავლეს.

მოკლე მანძილი გავიარეთ და ერთი ქალი შემოგვხვდა. მე კიდევ ერთხელ მინდოდა დამეზუსტებინა, სწორი გზით მივდიოდით თუ არა და მასაც ვკითხე. მან კი მიპასუხა: — თათრებს ეძებთ? ჰო, სწორად მიდიხართო, — და ხელი მათი სახლისკენ გაიშვირა. ვერ მოვითმინე და შევუსწორე: — თათრები კი არა, მესხები არიან-მეთქი!

მან კი ამას ყურადღება არ მიაქცია, გამჯდარი ჰქონდა — „თათრები" და ამის შეცვლას, სხვების მსგავსად, არც ის აპირებდა. სახლს რომ მივუახლოვდით, ჭიშკარი დაკეტილი დაგვხვდა. დიდხანს ვაკაკუნებდი. ხის ტოტებს შორის, ფანჯრიდან, მამაკაცმა გამოიხედა. ხელი დავუქნიე. ცოტა ხნის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და ფადლი გამოვიდა. 75 წლის კაცი ბევრად უფრო მოხუცებულივით გამოიყურებოდა. სახლში შეგვიძღვა. უზარმაზარ ორ ოთახში სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინა. ეზოში ძროხებისთვის იმხელა ბოსელი დგას, ბევრს ამხელა სახლი არ ექნება. მეორე სართულის აივანზე, ფიცრებზე კოხტად აწყვია გასაშრობად გაფენილი ქლიავი. თვითონ ახმობს, — თვითონ თუ ვერ შევჭამ, ქრისტე ღმერთის სახელით სხვას მაინც მივცემ, ხიდან ჩამოცვევნილი ნაყოფის გაფუჭება მენანებაო, — გვითხრა.

მეორე სართულზე — ცარიელი, სუფთად გარემონტებული ოთახებია. ყველაფერი საკუთარი ხელით გაუკეთებიათ. თვითონ პირველ სართულზე, ერთ ოთახშია მოწყობილი. შეხვედრისას გადამეხვია და ჩემს კითხვაზე, — მიცნო თუ არა, — მიპასუხა: „როგორ დაგივიწყებ, შენ ხომ ჩემს ცხოვრებაში კეთილი ანგელოზივით ყველაზე ძნელ წუთებში გამოჩნდები ხოლმე და მეხმარები. ახლაც დროულად მოხვედი. ღვთის მადლით, ალბათ ახლაც დამეხმარები. თვითონ მინდოდა შენთან, თბილისში ჩამოსვლა, ჩემი ამბები რომ შემეტყობინებინა. ცამეტი წლის წინ, როცა ცოლი ავად გამიხდა, მითხრეს, — 3-4 თვე იცოცხლებსო. ექიმებს დავუჯერე და დასაფლავებას აქ აურზაური რომ არ მოჰყოლოდა, ყაზახეთში გავუშვი. ექიმები შეცდნენ, ჩემი ცოლი ახლაც ცოცხალია და იქ ცხოვრობს. მერე თბილისიდან ვიღაც-ვიღაცები ჩამოდიოდნენ და მემუქრებოდნენ, — ბავშვებს დაგიხოცავთ, სახლს გადაგიბუგავთო და ფულს მძალავდნენ. შემეშინდა, ბავშვებისთვის მართლა არაფერი დაეშავებინათ და აქედან ისინიც გავუშვი. ამ უზარმაზარ ცარიელ სახლში მას მერე მარტო ვცხოვრობ. სამუშაო არა მაქვს. სახლის გაყიდვა და წასვლა არ შემიძლია, იმიტომ, რომ ვერ ვყიდი. ადრე პენსიას მაინც მაძლევდნენ, მაღაზიაში რაღაცას ვყიდულობდი, ახლა იმასაც არ მაძლევენ, თუმცა ჩემთან ერთად ვინც პენსიას იღებდა, იმას ისევ აძლევენ, ჩემი პენსია კი გაუუქმებიათ. შვილებს ვერ ვატყობინებ, მათი აფორიაქება არ მინდა. ვცხოვრობ ასე, არცა ეკვდები, არცა ვრჩები. თავი რომ გამეტანა, ყუთების შეკვრა დავიწყე. ეზოში ლარტყები მოაქვთ, მთელი დღე ვაჭედებ და ეზოში ვაწყობ. ერთხელ შევამჩნიე, რომ დილაობით ყუთები ცოტავდება. ჩემი მეზობელი ოსები თურმე ღამით ყუთებს მპარავდნენ. ამდენ ყუთს სახლში რა შემატანინებს, აღარ ვიცი, რა ვიღონო!“

მიხოს და თამრიკოს იმას უმტკიცებდა — მესხები ქართველები ვართო! საიდანღაც წინაპართა ფოტოები დააძრო. პაპამისი ჩოხაშია გამოწყობილი, წელზე შანებიანი ვერცხლის ქამარი შემოურტყამს.

„— აი, ნახეთ, ეს ქამარი სამასი წლისაა. აბა, ვისა აქვს ასეთი ქამარი. ამათ სახეებს შეხედეთ, მერე მე შემომხედეთ, ჩემი ცხვირი, პროფილი ნახეთ...“ — თქვა და აქვითინდა — „ჩემი

ქართველობის დამტკიცება რად უნდა მჭირდებოდეს, თუმცა შემიძლია დავამტკიცო კიდევაც, რომ ქართველი ვარ. აქ გაჭირვებამ კი არ ჩამომიყვანა"; ისევ ფოტოსურათი ამოიღო და სამსართულიანი სახლი გვაჩვენა, ჯამბულში, ყაზახეთის ქალაქში რომ ჰქონდა; „სამშობლოში მოვდიოდი, წლების განმავლობაში სამშობლოზე ვოცნებობდი. აქეთკენ მონატრება მეწეოდა ", — ამბობს და ისევ ტირის. „— ახლა, ნელ-ნელა ვკვდები სამშობლოში და ღმერთსა ვთხოვ, მალე მომკლას, რადგან ასეთი სიცოცხლე აუტანელია. არ მიმიღო იმ მიწამ, რომლისკენაც ვისწრაფოდი. ისევ სამშობლოს ვეძებ, ახლობლებს მოწყვეტილი, ოჯახს მოწყვეტილი, საარსებო წყაროს მოწყვეტილი. რისთვის?" ტიროდა, სათქმელს თავს ველარ უყრიდა, თავის ქართველობას გვიმტკიცებდა... დახმარებას გვთხოვდა, — იქნებ, პენსია აღმიდგინონ და პურის ფული მაინც მქონდესო. — „სახლს ვერ გავყიდი, არ იყიდიან. იმედი აქვთ, მალე მოვკვდები და მუქთად ჩაუვარდებათ ხელში, ამიტომ ფულს არ ხარჯავენ. მისი მიტოვებაც მენანება. მე ხომ ყველაფერი საკუთარი ხელით ავაშენე, სიყვარულით ავაშენე, რადგან მეგონა, რომ ეს სახლი ჩემს შვილებს სახსოვრად დარჩებოდათ; ჰოდა, ვცხოვრობ აქ, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია".

დავამშვიდეთ: „ახლა ახალციხეში მივდივართ, უკანა გზაზე აუცილებლად შემოგივლითო". საწყალი მოხუცი ისე შეგვეცოდა, მასთან ერთად ვქვითინებდით. ხაშურიდან ახალციხისკენ გავემართეთ. ბორჯომი გავიარეთ და გეზი აწყურისკენ ავიღეთ. ბორჯომს იქით გზად ზორეთია. ზორეთში რომ შევედით, სადგურზე სატვირთო ვაგონები დავინახე. გული შემეკუმშა, იმ შავ-ბნელი დღეების მოგონება უცებ გაცოცხლდა: იგივე სადგური, ისეთივე ვაგონები, მხოლოდ ამჯერად ცარიელი და შედარებით ახალი. ვთხოვე, მანქანა გაეჩერებინათ. გავჩერდით, მანქანიდან გადმოვედით, ლიანდაგებზე გადავიარე და ვაგონებს მივუახლოვდი, ხელითაც კი შევეხე. ტკივილისაგან გული მეწურებოდა, გამახსენდა 60 წლის წინ ამავე სადგურზე, სიების მიხედვით, როგორ ჩაგვტენეს ვაგონებში; იმ ადამიანების სახეები გამახსენდა, დიდი ხნის წინ რომ გარდაიცვალნენ. გული ლოდივით დამიმძიმდა. ტირილი ამიტყდა.

ისევ ჩავსხედით მანქანაში და გზას გავუყევით. ცხოვრებამ მწარედ დაგვცინა, ბედი არ გინდა, რომ სწორდ ახლა, როცა ზორეთი გავიარეთ, აქ იდგა ეს ვაგონები, რომელთა დანახვამ საშინელი მოგონებები ამიშალა. მახსოვდა, რომ ამის შემდეგ შლაგბაუმი უნდა ყოფილიყო, რომლის იქითაც, აქედან მარცხნივ, პირველივე სახლი ჩემი მშობლიური სახლი იყო. მრისხანე შლაგბაუმისგან ბოძებიღა შემორჩენილა. ამ ბოძებს გავცდით, გაფაციცებული გავყურებ გზის მარცხენა ნაპირს. მანქანა ისევ გავაჩერებინე, ისევ გადმოვედით. სახლთან მიახლოება ვერ გავბედე, მაცხოვრებლები რომ არ ამეფორიაქებინა. შორიდან შევხედე, მერე ციხე-სიმაგრეს დავუწყე თვალიერება. იქიდან კარგად რომ მოჩანს და ისე, სხვათა შორის, შევტრიალდი ჩვენი სახლისკენ. არ ვიცი, ახლა შიგნით რა ხდება, მაგრამ გარედან საცოდავი სანახავია. სხვანაირი მახსოვდა. მაშინ ახალი აშენებული გვქონდა. ეტყობა, ახალი პატრონი დიდად არ უვლიდა, უწვალებლად ერგო და თანაც მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. მაგრამ სახლი დგას და ამაზეც მადლობა უფალს!

ერთხანს ვიდექით, მერე მანქანაში ჩავსხედით და იმათ სანახავად წავედით, ვისთანაც აწყურში უნდა შეგვევლო. შინ არ დაგვხვდნენ, ახალციხეში წასულიყვნენ და ჩვენც იქ წავედით. ახალციხის სიახლოვეს, სოფელ მუღარეთში, ლადო ბერიძის — მუსლიმი მესხის — ოჯახი ცხოვრობს. გზად მათთანაც შევიარეთ. შინ მხოლოდ ლადოს ხანდაზმული მშობლები დაგვხვდნენ. ცოტა ვისაუბრეთ, ლადოს ველარ დაველოდეთ, დროის დაკარგვა არ გვინდოდა და დავპირდით, რომ უკანა გზაზე შევუვლიდით. მშობლებმა გვითხრეს, რომ სამსახურიდან საღამოს დაბრუნდებოდნენ. ლადო ყოფილი მფრინავია, ახლა რკინიგზაზე მუშაობს, სხვა სამუშაო ვერ უშოვია. მისი მეუღლე — გულნარა, მედდად მუშაობს ახალციხის საავადმყოფოში. ოცი წლის წინ სამსახური მიატოვა და მუღარეთში მიწის ნაკვეთი აიღო, იმიტომ, რომ მშობლებს სოფელში დარჩენა სურდათ, თვითონ კი მშობლების მიტოვება არ მოინდომა. ლადოს ქალიშვილი ბათუმის სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებს. შინ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ჩვენი ენა მარტო უფროსებმა იციან. ეს ყოველივე ლადოს მშობლებისგან შევიტყვეთ. გვთხოვეს, რომ ღამე მათთან გაგვეთია,

რათა ოჯახის წევრებსაც გავსაუბრებოდით. ჩვენ ახალციხეში წავედით. შეხვედრა იქაც არ შედგა, ხალხი საქმეებზე წასულ-წამოსულიყო: ზოგი თბილისში, ზოგი სოფელში და ჩვენც ისევ მუღარეთში დავბრუნდით. ამჯერად ყველანი შინ იყვნენ და გველოდებოდნენ. ისეთი დიდებული სუფრა დაგვახვედრეს, თავი უხერხულად ვიგრძენით, რომ მასპინძლები ასე შევაწუხეთ. ვახშმის შემდეგ შუაღამემდე ბაღში ვისხედით მაგიდასთან და ვსაუბრობდით. მე მშობლებს ვესაუბრებოდი, რადგან საერთო ინტერესები გვაქვს, ასაკითაც შევეფერებით ერთმანეთს და მოსაგონარიც ბევრი გვაქვს.

გადასახლების დღეები გავიხსენეთ. ლადო ბერიძის დედა, ტასიკო, კათოლიკე ქართველია (ფრანგი). როცა მუსლიმ მესხს გაჰყვა ცოლად, მუსლიმური სარწმუნოება მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ მას, გადასახლებისას დარჩენა შეეძლო, რადგან მუსლიმი მესხი არ იყო, ომში დაჭრილ და ფრონტიდან ახალდაბრუნებულ ქმარს, ორი წლის გოგონასთან, ანიკოსთან ერთად გადასახლებაში გაჰყვა. ეს ქალბატონი ახლა ოთხმოც წელზე მეტი ხნის გახლავთ. მაგრამ, რაც მაშინ მოხდა, დღემდე გულზე ლოდად აწევს. გზაში, ურალის მიმართულებით რომ მივდიოდით, ყინვები დაიჭირა. საწყალი ქალი დაჭრილი ქმრისა და პატარა ქალიშვილის მოვლას ვერ აუდიოდა. ისე ყინავდა, ჭურჭელში ჩარჩენილი წყალიც კი ჩაიყინა. გოგონა ავად გახდა. ერთ მშვენიერ დღეს კი გათოშილი იპოვეს. დედამ სცადა ბადრაგისთვის დაემალა მისი ცხედარი, მაგრამ ბადრაგმა აღმოაჩინა გოგონას გვამი და მისი სხეული გარეთ, თოვლში მოისროლა. ამ მოგონებამ ისე დაუმძიმა გული, რომ წნევამ აუწია. ქალბატონი ტასიკო დავაწვინეთ და ამ თემაზე მასთან აღარ გვისაუბრია, ვშიშობდით, რამე ცუდი არ დამართნოდა. შემდეგ, როცა მასზე ვწერდი, შემატყობინეს, რომ ის გარდაიცვალა. ამ ამბის კიდევ ერთი მოწმე წავიდა ამ ქვეყნიდან, ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებულიყოს, მსუბუქი იყოს მისთვის ეს მიწა.

თამრიკო და მიხო ახალგაზრდებს ესაუბრებოდნენ და მათ შევუერთდი.

— როგორც მახსოვს, მუღარეთი მაღალმთიანი სოფელი იყო, იქაურმა მესხებმა მართალია მუსლიმური სარწმუნოება მიიღეს,

მაგრამ ქართული ენა შეინარჩუნეს, რადგან თურქი-ზედამხედველები მთაში არ ადიოდნენ. მუსლიმები იყვნენ და უკანასკნელ დღემდე ქართულად ლაპარაკობდნენ, — ჩავერთე მათ საუბარში.

— დიახ, ეს ძველი სოფელია, ძველი მოსახლეობა გაასახლეს, ხოლო როცა სხვა რაიონებიდან ახალი მაცხოვრებლები ჩამოიყვანეს, გზასთან ახლოს ცხოვრება ამჯობინეს და თანდათან მთელი სოფელი ქვემოთ ჩამოსახლდა. ექვსი სოფელი, საიდანაც მუსლიმი მესხები გაასახლეს, ახალი მუღარეთის ახალ მაცხოვრებლებს დარჩა. ახლა მათ იმდენი მიწა აქვთ, დამუშავებას ვერ აუდიან და მიწები ცდება, — მიპასუხეს მათ.

— თქვენ, მუსლიმ მესხებს როგორღა გეპყრობიან, გეხმარებიან?

— ამდენი წლის მანძილზე დახმარებისთვის ერთხელაც არ მიმიმართავს. მეზობლებს კი ხშირად სჭირდებათ ჩვენი დახმარება. უარს არ ვეუბნებით, არც მე, არც ჩემი ცოლი. ისე, მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და მუსლიმობა კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ხელს არ გვიშლის. მეზობლებთან პრობლემები არა გვაქვს, ენა ვიცით და ერთმანეთის მშვენივრად გვესმის.

ამ საუბრებმა ძველი ჭრილობები გამახსენა და წნევამ ამიწია — 250/100. თამრიკოს ძალიან შეეშინდა, მაგრამ ლადოს ცოლმა, გულნარამ დაამშვიდა: „რაც საჭიროა, ყველაფერი მაქვს, დამშვიდდით და ნუ ინერვიულებთო“.

თავის გვერდით საწოლში დამაწვინა და მთელი ღამე ჩემი მაჯა ეჭირა ხელში, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, დროულად დამხმარებოდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, დახმარება არ დამჭირვებია. დილის შვიდ საათზე ავდექით და სტუმართმოყვარე მასპინძლები რომ არ შეგვეწუხებინა, ჩუმად წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ შენც არ მომიკვდე. სანამ არ გვასაუზმეს, არ გამოგვიშვეს. გულნარა სამსახურში მიდიოდა, ახალციხეში, იმ დღეს საავადმყოფოში მორიგეობდა. საავადმყოფომდე მივიყვანეთ, ჩვენ კი მესხებთან წავედით. მამუკა ხუციშვილს მივაგენით. ახალციხეში საკუთარი სახლი და პატარა მაღაზია აქვს. კარგად ცხოვრობს. სახლში მივაკითხეთ. მამუკას „ოქროს ხელები“ აქვს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სახლი თავისი ხე-

ლით ისე კოხტად და ლამაზად მოაწყო და გამართა, ავეჯიც კი უცხოური გეგონება. მთელ კედელზე ეტაჟერი დაამაგრა. დავდიოდით სახლში, ვათვალიერებდით და აღტაცებას ვერ ვმალავდით. სასკოლო ასაკის ორი გოგონა და სკოლამდელი ასაკის ერთი ბიჭუნა ჰყავს. გოგონები ქართულ სკოლაში სწავლობენ. მათ დუეტში ქართულად წაგვიკითხეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ერთ-ერთმა მათგანმა ფორტეპიანოზე დაუკრა, მეორემ იმღერა. ბიჭუნასაც სცოდნია პატარ-პატარა ლექსები, მაგრამ დაიმორცხვა და ოთახში არც შემოსულა. თვითონ მამუკა ძალიან კომუნიკაბელური ადამიანია. იქ ბევრი მეგობარი ჰყავს. დახმარებისთვის ბევრი ადამიანი მიმართავს, იციან, რომ დასახმარებლად მუდამ მზად არის და მხოლოდ მესხებს კი არა, განურჩევლად ყველას ეხმარება.

ახალციხეში მუსლიმი მესხების 12 ოჯახი ცხოვრობს, მართალია, ერთმანეთის მეზობლები არ არიან, მაგრამ მაინც ერთ ქალაქში სახლობენ. აქ ცხოვრებას ისინი არ ემდურიან. მამუკამ გვითხრა, — ყველას უნდა თქვენთან შეხვედრა, ყველა გელოდებათო. მაგრამ მათი მონახულება ვეღარ მოვასწარით. მათი ამბავი მამუკას გამოვკითხეთ.

— ბავშვებს ქართული განათლების მიღება შეუძლიათ. ახალციხიდან წაუსვლელად უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობაც აქვთ. მუსლიმი მესხებისათვის ყველაზე მტკივნეული — დასაფლავების — პრობლემაც მოგვარებულია. მესხი ბავშვებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სკოლაც არსებობს. ცირა მესხიშვილი საკუთარ სახლში მუსიკას, ენებს ასწავლის და ბავშვებს სკოლის მერე გაკვეთილების მომზადებაში ეხმარება; უამრავი წრე არსებობს. ბავშვები ამ წრეებში შაბათ-კვირასაც მეცადინეობენ. ამ სკოლაში ასზე მეტი ბავშვი სწავლობს.

ჩვენ შევხვდით ცირას. ის მოსახლეობაში მუსლიმი მესხების საკითხთან დაკავშირებით საგანმანათლებლო ხასიათის მუშაობას ეწევა. ტელევიზიით გამოდის, განმარტავს, ამტკიცებს, — მესხები ჩვენი ძმები არიან, უნდა მივიღოთ ისინი და ვაღიაროთო.

აწყურში წავედით, მიხოს დასთან. იქ უკვე გველოდნენ.

სუფრა გაგვიშალეს, დაგვაპურეს. მათთან ერთად ცხოვრობს თამარას (მიხოს დის) ქმრის დეიდა. საკუთარი ოჯახი არა ჰყოლია. ოთხმოც წელს არის გადაცილებული. თავისი ისტორია მანაც გვიამბო.

60 წელია, რაც იქ ცხოვრობენ. 1944 წელს, დეკემბრის დამდეგს, სამტრედიიდან ჩამოუყვანიათ, ანუ ჩვენი გასახლებიდან 15 დღის შემდეგ. ყველაფერი ემთხვევა.

— მანქანით ჩამოგვიყვანეს და ამ სახლში შემოგვასახლეს. სახლი ისეთი დიდი იყო, რომ ორ ოჯახზე გაანაწილეს და ორი შესასვლელი გაუკეთეს. შემოსახლების მერე არაფერი გადაგვიკეთებია, როგორც შემოვსახლდით, ისევე ვცხოვრობთ. ერთიორჯერ მსუბუქი რემონტი ჩავუტარეთ. როცა აქეთ მოვდიოდით ღია მანქანებით, ზამთარში, ბევრი ავად გახდა. 1944 წელს გაციებითა და ტიფით ბევრი ადამიანი დაიღუპა. ხალხს აქ დარჩენა არ უნდოდა, უკან წასვლას ითხოვდა. ჩუმად რომ არ გაპარულიყვნენ, შლაგბაუმთან მილიციელები ჩააყენეს. იმის მიხედვით განგვასახლეს, როგორც სამტრედიაში ვცხოვრობდით, იქაური მეზობლები აქაც დავმეზობლდით.

ტასიკოსა და სხვა გადასახლებულების ნაამბობი გონებიდან არ ამომდიოდა, ვუსმენდი და ვფიქრობდი: „თქვენ მეზობლებს არ დაგაშორეს, მაგრამ მაინც აღშფოთებული ხარ, ჩვენი ოჯახები კი სამ რესპუბლიკაში მიმოფანტეს-მეთქი“.

— ეს სახლებიც იმდროინდელია?

— ჰო, ეს სახლები მაშინდელია.

ირგვლივ, მთელ ქუჩაზე მშვენიერი ორსართულიანი, ერთსართულიანი, ბელეტაჟის ტიპის კოხტა სახლები იდგა. ბოსლებიც კი იმდროინდელია.

ჩვენი მასპინძელი თამარა ისტორიის მასწავლებელი ყოფილა. ვთხოვე, პაპაჩემის სახლის მოძებნაში დამხმარებოდა.

— ჯამესა და აბანოს უბანში უნდა მოვძებნოთ, — ვუკარნახე მე.

ყველანი ერთად წავედით. ჯამე დაუნგრევიათ, მხოლოდ საძირკველი შემორჩენილა, ისიც მავთულხლართით შემოულობავთ. მაღალ ბალახს დაეფარა იქაურობა. რკინიგზის ლიანდაგზე, რელსებს შორის დავდექი და იქაურობა მოვათვალიერე, აბანოს

ვეძებდი. ასე განვსაზღვრე, რომ ჩვენი ძველი სახლი ჩემს ზურგს უკან უნდა ყოფილიყო, მაშასადამე პაპაჩემის სახლი ჯამეს სიახლოვეს უნდა მეძებნა. ვიპოვე, მაგრამ ახლოს არ მივსულვარ, შორიდან შევხედე, ეს სურათი თითქოსდა სამუდამოდ აღბეჭდე ჩემს მეხსიერებაში; ალბათ, უკანასკნელად ვნახე. ჩვენგან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით მტკვარი მიედინებოდა, ხიდიც ახლოს იყო. ხიდისკენ გავემართეთ და ერთი ქალი შემოგვხვდა, წყლით სავსე ვედროებით ლიანდაგს რომ მიუყვებოდა. ჩვენს დანახვაზე შეჩერდა, ვედროები დადგა და გამოგველაპარაკა, ტელევიზიის წარმომადგენლები ვეგონეთ.

— ჩემს სახლს ვეძებ, ოდესღაც აქ ვცხოვრობდი, მახსოვს, ჩემ სახლთან ახლოს ჯამე იყო-მეთქი.

— აგერ ჯამე,— მიპასუხა მან და იმ ადგილისკენ მიმითითა, სადაც ცოტა ხნის წინ ვიყავით.

თავისი ამბავი ამ ქალმაც გვიამბო. 60 წლის წინ ბორჯომის რაიონიდან გადმოუსახლებიათ და მას მერე აქ, იმ სახლში ცხოვრობდა, აბანოს უკან რომ დგას. მოგვიყვა, როგორ დაანგრიეს ჯამე: — როდესაც მემანქანეს ამწით კედლების ნგრევა დაუწყია, თურმე საზარელი გუგუნის ხმა მოესმა, თითქოს მიწა იძრა; ქალს შეშინებია და სახლისკენ გაქცეულა. ფანჯრები და კარი დაუკეტია. ამ დროს ჩიტების გუნდი შესევია მის სახლს და ნისკარტით ლამის სარკმლები შეუმტვრევიათ. მემანქანე ამწის კაბინიდან გადმოვარდნილა და სასიკვდილოდ დაშავებულა. იმავდროულად თავის სახლში მომკვდარა კაცი, ვისაც ჯამეს დანგრევის ბრძანება გაუცია. ხალხს შეშინებია და მას მერე შემოღობილში ფეხი აღარავის დაუდგამს, იმიტომაც აბალახებულიყო იქაურობა.

— 80 წლისა ვარ, ჟუჟუნა მქვია. ერთხელ ოთხი მანქანით უცხო ხალხი მომადგა; მთხოვეს, სახლში შემოგვიშვი, ოთახებში და ეზოში ცოტას გავივლ-გამოვივლითო. შემეშინდა, სახლის წართმევას ხომ არ მიპირებენ-მეთქი და შევთავაზე,— სახლი ან იყიდეთ, ან სხვაგან სადმე მიყიდეთ-მეთქი. ტაშკენტიდან ჩამოსულიყვნენ. მითხრეს, არაფერი გვინდა, უბრალოდ იმ სახლის ნახვა გვინდოდა, რომელშიც ჩვენი მშობლები ცხოვრობდნენო, — საჩუქრები დამიტოვეს და წავიდნენ.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობთ, ხომ არ იცით მუსლიმთა სასაფლაო სად არის. მინდა ბებიაჩემის საფლავი მოვინახულო-მეთქი, — ვუთხარი.

— სასაფლაო აღარ არსებობს. თქვენი წასვლის შემდეგ, ცოტა დრო გავიდა და მისი მიწასთან გასწორება, მის ადგილზე კი ვენახის გაშენება გადაწყვიტეს. როცა ტრაქტორით სასაფლაოს გალავანი გაანგრიეს, რომელიც იქაურობას პირუტყვისაგან იცავდა, ტრაქტორი პირველივე საფლავის ქვებს შეეჯახა, სასაფლაოს თავში რომ აღემართათ.

მაშინვე მივხვდი, რა ქვებზეც იყო საუბარი და გავიფიქრე: „ეს ორი ძმა ქელემჯი-ეფენდილერის საფლავები იყო. ძველი ხალხი ხომ გვიყვებოდა, — თუკი ვინმე ბოროტი განზრახვით მოვა აქ, ამ საფლავებს ვერ გადასცილდებაო. თურმე მართალს გვეუბნებოდნენ. აი ამის დასტურიც, ზოგ-ზოგებს კი ეჭვი ეპარებოდათ მათ ნათქვამში. ჟუჟუნას ლეგენდა მოვუყევი და ვუთხარი, რომ ის საფლავები წმინდა საფლავებად ითვლებოდა.

ჟუჟუნამ თხრობა გააგრძელა:

— როცა ტრაქტორი საფლავებს დაეჯახა, გადაბრუნდა, მძღოლი გადმოვარდა და იქვე მოკვდა.

— რომ გცოდნოდათ რა დიდი სამკურნალო ძალა ჰქონდა იმ საფლავებს. ავადმყოფს თუ სამჯერ შემოატარებდი მათ ირგვლივ, თვალსა და ხელს შუა გამოჯანმრთელდებოდა, — ვუთხარი მე.

დამეთანხმა, — ეს არ უნდა ჩაედინათო. ახალმა მოსახლეებმა რა იცოდნენ, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ამ საფლავებს. ისე კი, მიწა რომ მოხნეს და ხალხმა ჩონჩხები და თავის ქალები დაინახა, იქ მოყვანილი ყურძნისათვის ყველაზე უღმერთოებსაც კი არ უხლიათ ხელი, ამიტომ ამ ყურძნისგან ღვინის დაწურვა გადაუწყვეტიათ. ღვინის ქარხანაც აუშენებიათ. გამოუშვიათ ღვინო — „აწყური", მაგრამ არც ეს ღვინო გაყიდულა; ამაოდ გაისარჯნენ, მოგების ნაცვლად ზარალი უნახავთ.

— ვენახის ამოძირკვა გადაწყვიტეს და მის ადგილას კლუბის, რესტორნისა და ყავახანის გახსნა მოინდომეს. აი, ასეთი რამ დაემართა თქვენს სასაფლაოს.

„ცოცხლები გაგვასახლეს, მკვდრები მიწიდან ამოგვიყარეს“- მეთქი, გაკიფიქრე. თითქოს გულში კიდევ ერთხელ გამიყარეს დანა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. დავეშვიდობეთ და ხიდისკენ წავედით. ძალიან მინდოდა ციხე-სიმაგრესთან მივსულიყავი, შევხებოდი, მაგრამ ხიდის შუაგულს მივაღწიეთ და თავბრუ დამეხვა, ამიტომ უკან გამოვბრუნდით.

გაწვიმებას აპირებდა. მანქანაში ჩავსხედით და თბილისისკენ გავეშურეთ. ცხრამუხას რომ მივაღწიეთ, დანაპირები შევასრულეთ და ფადლის შევუარეთ. ალაყაფის კართან იჯდა და გველოდა. შინ შეგვიყვანა. სუფრა დაგვახვედრა. ამ ბერიკაცს ჩვენს მოლოდინში რაღაც-რაღაცეები შეუძენია, თანაც გვებოდიშებოდა: „ოჯახს დიასახლისი არა ჰყავს, დაუპურებლად სტუმრების გაშვება კი წესად არა გვაქვს. პური, ყველი, კიტრი და ერთი ბოთლი ღვინო მაქვს, ნუ დამძრახავთ და მიირთვითო“.

უკან დაბრუნებას ვჩქარობდით, თავაზიანი უარი ვუთხარით. მითხრა: „შენთან თბილისში ჩამოსვლა მინდოდა. ეტყობა, ღმერთმა შემიბრალა, რომ თვითონ ჩამოხვედი და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეო“.

დავპირდით, რომ ყველაფერს ნაირას შევატყობინებდით. „ეცდება დაგეხმაროს-მეთქი“, — დავამშვიდე.

ასე დასრულდა ჩვენი მოგზაურობა მესხეთში. სამი აგვისტოს საღამოს უკვე თბილისში ვიყავით.

მუსლიმი მესხეების ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შეკრება და თურქულიდან რუსულად თარგმნა ნაზირა ვაჩნაძემ

ქალწული, ძაღლი და ჭაკი ვირი

ერთ სოფელში ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ. ვინც არ უნდა მოსულიყო მის სათხოვნელად, მამა ყველას უარით ისტუმრებდა, აქაოდა, ჩემი შვილის შესაფერი არ არისო. ბოლოს დაფიქრდა და თქვა:

— მის საკადრის საქმროს მაინც ვერ ვიპოვი. ის ხომ ერთადერთი შვილია, ძალიან მიყვარს და არავისთვის მემეტება. ამას უნდა შევეგუო. ავდგები და ცოლად პირველივე მთხოვნელს გავატანო.

თქვა და ასეც მოიქცა. ქალიშვილის ხელის სათხოვნელად ვინც პირველი ესტუმრა, იმას მისცა თანხმობა. ქორწილის დღე მომდევნო თვის დასაწყისში დანიშნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთი მთხოვნელი მოადგა კარს. მამას ეს სასიძო პირველზე მეტად მოეწონა და მასაც თანხმობა მისცა. ქორწილის დღე მომდევნო თვის დასაწყისში დათქვეს.

მესამე სასიძო რომ გამოჩნდა, ინანა, რომ აჩქარდა და იმ ორ სასიძოს ქალს შეჰპირდა, მაგრამ უარის თქმა არც განუზრახავს და ქორწილი მომდევნო თვის დასაწყისში დათქვეს.

ცოლი ჩუმად ადევნებდა თვალს, მაგრამ მოთმინების ძაფი გაუწყდა. მესამე სასიძო წავიდა თუ არა, ქმარს უსაყვედურა:

— ხომ არ შეიშალე? ახლა მეოთხე სასიძო რომ გამოგვეცხადოს, რომელიც იმ სამს ემჯობინება, იმასაც დათანხმდები? გონს მოდი, შენ ხომ ერთი ქალიშვილი გყავს! სამ საქმროს როგორ მიათხოვებ? შენ გამო უკვე სამ სახლში ემზადებიან ქორწილისთვის. ის მაინც მითხარი, ამ მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავ, რომ მეც ცოტა დავწყნარდეო.

ქმარმა არაფერი უპასუხა. თვითონაც ამას ფიქრობდა, თავი როგორ დაეძვრინა. ძილის წინ ღმერთს დახმარება შესთხოვა, — იქნებ ძილში გამოსავალი მაპოვნინოვო. დაეძინა თუ არა და ხმა ჩაესმა:

— შენი ქალიშვილი, ჭაკი ვირი და ძაღლი ერთი დღე-ღამით ოთახში ერთად გამოამწყვდიე. კარს გამოაღებ და მიხვდები, რაც უნდა იღონოო.

მეორე დღეს ასეც მოიქცა. დადგენილი დრო გავიდა თუ

არა, ოთახის კარი გამოაღო და რასა ხედავს, — ოთახში სამი ქალიშვილია, ტყუპისცალივით რომ ჰგვანან ერთმანეთს.

— ესეც შენი გამოსავალი! — გაიფიქრა მამამ, — მაგრამ ნამდვილი რომელია?

დათქმულ დღეს სამი ქორწილი გადაიხადეს.

გამოხდა ხანი და მშობლები ქალიშვილის მოსანახულებლად წავიდნენ. ჯერ პირველ ქალიშვილს ესტუმრნენ. ახალი ნათესავები თბილად შეხვდნენ. დედამთილი ეუბნება რძალს:

— შვილო, წყალი და პირსაწმენდი მოიტანე, სტუმრები დაღლილები იქნებიან, მოშივდებოდათ კიდეც, დავაპუროთო.

რძალი კი ადგილიდან არ იძვრის, თითქოს არც არაფერი ეყურება. სანამ დედამთილი არ მიუახლოვდა და ხელი არ წაჰკრა, ადგილიდან არ დაძრულა.

— აბა, როგორ მოგწონთ ჩვენი ქალიშვილი, კარგ რძლობას გიწევთ თუ არა? — იკითხა სადილის შემდეგ მამამ.

— ყველაფერი კარგად არის, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს თქვენს ქალიშვილს, — ხელის წაკვრა სჭირდება, თორემ ადგილიდან არ დაიძვრება. ისე ძალიან მშრომელი, ჩუმი, მოთმინებით სავსე ქალიაო.

— გასაგებია, — გაიფიქრა მამამ, — ესე იგი, ჭაკი ვირი ეს ყოფილაო.

წავიდნენ მეორე ქალიშვილთან. სახლამდე არც იყვნენ მისულები, რომ ბუზღუნი შემოესმათ. ეზოში შევიდნენ, ხედავენ მათი ქალიშვილი რაღაცას საქმიანობს და თან ხმამაღლა რაღაცას დუდუნებს თავისთვის. გამოეგებნენ მასპინძლები, სახლში შეიპატიჟეს, სუფრა გაუწყვეს, უმასპინძლეს. რძალი დედამთილს ეხმარება, მაგრამ ყოველ შენიშვნაზე იღრინება.

— აბა, როგორ მოგწონთ ჩვენი ქალიშვილი? კარგ რძლობას გიწევთ? — ეკითხება მამა.

— თვითონაც ხედავთ, — მარჯვეა და მუყაითი, მთელი სახლი შეიძლება ანდოს კაცმა, თავს გაართმევს, მაგრამ გამუდმებით ჯიჯღინებს და ყველას უღრენს.

— გასაგებია, — გაიფიქრა მამამ, — ეს კი ძაღლი ყოფილა.

მესამე ქალიშვილს ესტუმრნენ. ხედავენ სახლი დაწკრიალებულ-დალაგებულია. სახემღიმარი პატარძალი გამოეგება სტუმრებს და სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა. სტუმრები ქმრის

მშობლებთან ერთად შემოუსხდნენ სუფრას. ფეხმძიმე რძალი ციბრუტივით დატრიალდა და სუფრა გააწყო. სახიდან ღიმილი არ შორდება, სიხარულისგან პირდაპირ ანათებს. სადილის შემდეგ მამამთილმა სარდაფიდან საზამთროს ამოტანა სთხოვა. რძალმა საზამთრო მიართვა. მამამთილმა აიღო საზამთრო, ხელით მოსინჯა და ეუბნება:

— შვილო, ეს ჯერ მკვახეა, სხვა მოიტანეო.

ფეხმძიმე რძალმა საზამთრო აიღო, სარდაფის კიბეებს ჩაუყვა და ცოტა ხნის შემდეგ, სუნთქვაჩქარებული ამობრუნდა. მამამთილმა ეს საზამთროც შეამოწმა და კიდევ ეუბნება:

— არც ეს ვარგა. ტკბილი მოიტანეო.

მესამედ მოიტანა რძალმა საზამთრო, სუნთქვა უჭირს, მამამთილმა საზამთრო გამოართვა და ეუბნება:

— როგორც იქნა, შვილო, ტკბილი საზამთრო მოგიტანია. დაჯექი, სული მოითქვიო.

სადილის შემდეგ მამა ეკითხება სიძის მშობლებს:

— აბა, როგორ მოგწონთ ჩემი ქალიშვილი, ხომ არ ნანობთ რძლად რომ მოიყვანეთო.

— თავად განსაჯე, — უპასუხა მამამთილმა, — სარდაფში ერთადერთი საზამთრო გვქონდა. სამივეჯერ ერთი და იგივე საზამთრო მოიტანა და ხმაც არ ამოუღია, თქვენ წინაშე რომ არ შევერცხვინეო.

ჭიანჭველის ამბავი

ერთხელ, ბაღში სეირნობისას, ფადიშაჰმა და მისმა ვეზირმა ერთი ჭიანჭველა შენიშნეს, ჭიანჭველების ბუდეში პატარა მარცვალს რომ მიათრევდა. ფადიშაჰს სინანულით აღმოხდა:

— ჩემი მეომრები ფუტკრებივით რომ ირჯებოდნენ, ყმები კი — ჭიანჭველებივით, ყველაზე მდიდარი და ბედნიერი მმართველი ვიქნებოდიო.

ვეზირი დაეთანხმა ფადიშაჰს და დასძინა:

— ჭიანჭველა მშრომელიც არის და მომჭირნეც. ხორბლის ერთ მარცვალს შვიდ წელიწადს იმყოფინებსო.

— შეუძლებელია, — შეედავა ფადიშაჰი, — ვის უნახავს, ვის შეუძლია ეს დაადასტუროსო.

— კითხვა რად გვინდა, აგერ ჭიანჭველა, მარცვალიც აქა გვაქვს, მოდი და ერთად შევამოწმოთო, — უთხრა ვეზირმა.

ჭიანჭველა ჭურჭელში ჩასვეს, მარცვალი ჩაუგდეს და ეს ჭურჭელი შვიდი წლით დალუქეს. შვიდი წელი გავიდა, მაგრამ ამასობაში ფადიშაჰი შეიცვალა, ვეზირიც მოკვდა. მათი დავის მოწმეებმა კი ჭიანჭველა გაიხსენეს და იმის გასარკვევად წავიდნენ — ცოცხალი იყო თუ არა. გახსნეს ჭურჭელი და რას ხედავენ, — ჭურჭელში ნახევარი მარცვალი აგდია და ჭიანჭველაც აქეთ-იქით დარბის.

— მთელი მარცვალი რატომ არ შეჭამეო, — ჰკითხეს.

— დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ცხოვრების ორომტრიალში, შვიდი წლის მერე, ვინმეს გავახსენდებოდი და ასეც მოხდა. სანაძლეოს დამდებნი ცოცხლები აღარ არიან, თქვენც შემთხვევით გაგახსენდით. შვიდი წელი ისედაც გავძლებდი, მაგრამ ნახევარი მარცვალი დავზოგე, რომ კიდევ შვიდი წელი გამეძლო, თუ მეტი არა. ადამიანის იმედი არ უნდა გქონდეს, თავის თავზე ყველამ თვითონ უნდა იზრუნოსო.

ამბავი იმისა, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია: აღზრდა თუ წარმოშობა

ერთხელ, საუბრისას, ფადიშაჰი და ვეზირი დანიძლავდნენ, რა უფრო მნიშვნელოვანია — აღზრდა თუ წარმომავლობაო. ფადიშაჰმა თქვა, — აღზრდით ყველაფრის მიღწევა შეიძლებაო და მაგალითად მოიყვანა კატა, რომელიც წვეულებისას ფადიშაჰის სტუმრებს ლანგრით ყავას მიართმევდა ხოლმე.

— უკანა თათებზე დგება, წინა თათებით კი თავზე შემოდგმული ლანგარი უჭირავს. ოთხფეხა ცხოველია, მსახურებს კი არაფრით ჩამოუვარდება.

— ალაჰმა დღეგრძელი გამყოფოს, ჩემო ფადიშაჰო, მაგრამ ნება მომეცი, არ დაგეთანხმო, წარმოშობა უფრო მნიშვნელოვანია, ამაში დარწმუნებული ვარ, — მიუგო ვეზირმა.

— დამიმტკიცე და დაგეთანხმები, თუ არა და სამი დღის მერე ვუბრძანებ, რომ ეგ ცარიელი თავი მოგკვეთონ, — უთხრა ფადიშაჰმა.

ვეზირი შინ დაბრუნდა. არცა ჭამს, არცა სვამს, სულ იმაზე

ფიქრობს, როგორ დაუმტკიცოს ფადიშაჰს თავისი სიმართლე.

ვეზირის ქალიშვილმა, საგონებელში ჩავარდნილი მამა რომ იხილა, ჰკითხა:

— მამა, რა დაგმართნია, ავად ხომ არა ხარ?

— ნეტა ავად ვიყო, სხვა რამ გამჭირვებია. რა ეშმაკმა მომქაჩა ენაზე, რომ ფადიშაჰს არ დავეთანხმე. ის მიმტკიცებდა, — აღზრდა და წვრთნა წარმოშობაზე მნიშვნელოვანიაო, მე კი შევეწინააღმდეგე. ჩემი აზრით, წარმოშობა ურო მნიშვნელოვანია, მაგრამ ამას ვერ ვუმტკიცებ. სამი დღის მერე მაგალითი თუ არ მოვუყვანე და არ გადავარწმუნე, თავს მომკვეთენ. ფადიშაჰმა კატის მაგალითი მოიშველია, სტუმრებს თავზე შემოდგმული ლანგრით ყავას რომ მიართმევს ხოლმე.

— ნუ ინაღვლებ, მამა, შენ მართალი ხარ და ამას დაამტკიცებ კიდეც. შენ მანამდე თაგვი დაიჭირე და ჯიბეში დამალე, როგორც კი ლანგრიანი კატა დარბაზში შემოვა, თაგვი გაუშვი, მეტი დასაბუთება არ დაგჭირდება. კატას სტუმრებიც დაავიწყდება, ლანგარიც და თაგვს გაეკიდება, იმიტომ რომ სისხლში აქვს გამჯდარი თაგვებზე ნადირობის თვისება, და აი, დასტური იმისა, რომ წარმოშობა აღზრდაზე მეტია.

იმ სახლში, სადაც სტუმარს პირში შეჰყურებენ, საჭმელი არავის შეერგებაა

ერთ ოჯახს სტუმარი ეწვია. ვიდრე სტუმარ-მასპინძელი საუბრობდა, დიასახლისმა სუფრა გაშალა. სტუმარი მასპინძელთან ერთად მაგიდას მიუჯდა. თეფშით ცხელი კერძი მიართვეს. სტუმარმა დიასახლისს მადლობა გადაუხადა, კოვზი მოიმარჯვა, პური მოიტეხა და ჭამას შეუდგა. მეოთხე თუ მესუთე კოვზი პირთან რომ მიჰქონდა, უცებ მასპინძელმა ხელი უტაცა, კოვზიდან რაღაც აიღო და მოუბოდიშა: „ნუ დამძრახავ, კოვზში შემთხვევით თმის ბეწვი ჩაგვარდნიაო“.

სტუმარმა მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის, ადგა და ამ სიტყვებით დაემშვიდობა: „იმ სახლში, სადაც სტუმარს პირში შეჰყურებენ, საჭმელი არავის შეერგებაო“.

ცუდი ნიშანი

ერთ მეფეს შვილები არ ჰყავდა და ძალიან განიცდიდა: „მემკვიდრე არა მყავს, უშვილ-ძიროდ გადავეგები. ჩემი სიკვდილის მერე ჩემ ხალხს, ჩემ ქვეყანას რაღა ეშველება? ტახტზე ვინ ავა, როგორ მართავს ქვეყანას? ჩემი ქვეყანა და ხალხი ჩემსავით ეყვარება, მათზე ჩემსავით იზრუნებსო?“ ამაზე ფიქრი არ ასვენებდა. ყოველ დილით ღმერთს ევედრებოდა შვილები ებოძებინა მისთვის და აი, ერთხელაც, ცოლმა სასიხარულო ამბავი ამცნო, — შვილი გვეყოლებაო. მეფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება. დიდება ალაჰს!

გამოხდა ხანი. ერთხელ, როცა მეფე აბანოში იმყოფებოდა, მექისემ ახალი ამბავი ახარა, — ვაჟიშვილი შეგეძინაო! იმის ნაცვლად, რომ გახარებოდა, მეფემ თავზე ხელი იტაცა და — ვაი, ჩემს თავსო! — წამოიძახა. გაოცებულმა მექისემ ჰკითხა: — „მეფეო, ალბათ ვერ გაიგე, რომ მემკვიდრე გეყოლა, რაზეც ამდენ ხანს ოცნებობდი და ღმერთს ევედრებოდიო!“

— ბედკრული ჩემი ხალხი და ქვეყანა, — გმინავდა მეფე, — ჩემმა ცოლმა შიშველმა იმშობიარა, ჩემი ძეც შიშველი დაიბადა, შენ, რომელმაც ეს ამბავი მახარე შიშველი ხარ და მე უბედურმა, ამ წუთს ამდენ ხანს რომ ველოდი, შიშველმა შევიტყვე ეს ამბავი. ამ ამბავში ჩემი ხალხისთვის სასიკეთოს რას უნდა ეხედავდეო.

ხელცარიელი

ერთი ძალზე შრომისმოყვარე, კეთილი, კარგი კაცი დიდხანს ვერ ქორწინდებოდა, რადგან, მიუხედავად ჩამოთვლილი ღირსებებისა, ერთი პატარა ნაკლი ჰქონდა — ცალი თვალით ბრმა იყო. თავის სოფელში ვინც არ უნდა ეთხოვა, ყველა უარით ისტუმრებდა. ბოლოს, მაჭანკლის დახმარებით, საცოლე მეზობელ სოფელში გამოძებნა. ხელცარიელი შინ არასდროს მისულა. ცოლიც შესაფერისი შეხვდა, — ყაირათიანი, შრომისმოყვარე, მზრუნველი. შვილები ეყოლათ, გაზარდეს, ვაჟები დააქორწინეს, ქალიშვილები

გაათხოვეს. ყველაფერი წესითა და რიგით გააკეთეს, როგორც ჩვეულებრივ ოჯახებშია მიღებული. ამასობაში კაცი ასაკში შევიდა, ძალა ისე აღარ ერჩოდა, როგორც ახალგაზრდობაში. შემოსავალიც სულ უფრო შეუმცირდა. ერთხელაც ხელცარიელი დაბრუნდა შინ. ცოლმა შეხედა და უცებ, შემკრთალმა ჰკითხა: თვალზე რა დაგმართნია, რატომ დაგხუჭვიაო? " — დედაკაცო, ამდენი წელია ჩემთან ცხოვრობ და პირველად ხედავ, რომ ერთი თვალი დავსებული მაქვს", — გულში გაიფიქრა კაცმა და უცებ მიხვდა, — რაკი ხელცარიელი დაბრუნდა, ცოლმა სახეში იმიტომ ჩახედა.

სამშობლო

ტყის პირას კურდღელი დარბოდა, ანცობდა. მოსწყურდა, გუბესთან მიირბინა და ბაყაყი დაინახა, გუბიდან თავი ამოეყო და თავდავიწყებით ყიყინებდა.

— ამ გუბეში რას უზიხარ, წამო, ისეთ ადგილებს გაჩვენებ, სიზმრადაც რომ ვერა ნახავ!

ბაყაყი დათანხმდა. ტყეში ცოტა გაისერნეს და ბაყაყმა შინ დაბრუნება მოისურვა.

— დარჩი ჩემთან, ხომ ხედავ, რა კარგია აქაურობა, რა სილამაზეა, რა სივრცეა, ან რამდენი საჭმელია...

— არა, შინ მიმეჩქარება.

— იმ გუბეში რა დაგრჩენია, დღითი-დღე შრება მცხუნვარე მზის გულზე.

— მზის ქვეშეთში ყველას თავისი ადგილი ურჩევნია, იმიტომ, რომ სამშობლო იქ ეგულება! — უპასუხა ბაყაყმა.

ჩაფიქრებულმა კურდღლმა ბაყაყს გადახედა და დაეთანხმა. მასაც ხომ თავისი ადგლი მოსწონდა, თუმცა შედარება არ შეიძლებოდა.

დამეგობრდნენ. კურდღელი ხშირად მიირბენდა ხოლმე ბაყაყთან, თამაშობდნენ, ანცობდნენ საღამომდე. მერე კურდღელი თავის ტყეში გარბოდა, ბაყაყი კი გუბეში ჩაყვინთავდა ხოლმე. დამშვიდობებისას კურდღელი ბაყაყს უჩიჩინებდა:

— წამოდი ჩემთან, მეგობარო! შენი გუბე სულ უფრო

თავთხელდება, დროა, ახალი ადგილი მოძებნო. შენც ხომ ხედავ, რა ხდება.

— არ შემიძლია, ამაზე უკეთესად სხვაგან ვერ ვიცხოვრებ, ეს ხომ ჩემი სამშობლოა, სამშობლოს კი არ ირჩევენ, — უპასუხა ბაყაყმა.

— შენი ნებაა, — უთხრა კურდღელმა და ტყეში გაიქცა.

გავიდა დრო. კურდღელს საზრუნავი გაუჩნდა და ერთ ხანს თამაშისა და ანცობისთვის ვერ მოიცალა, ზამთრისთვის ემზადებოდა, მაგრამ ბაყაყზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

ერთხელაც გუბესთან მიირბინა. გუბე რა ხანია დამშრალიყო, დახეთქილ ფსკერზე კი მისი მეგობარი, სამშობლოს ერთგული ბაყაყი უსულოდ ეგდო.

— ეგეც შენი სამშობლო! — აღმოხდა კურდღელს, — მისი გულისთვის რომ მოკვდი, ახლა რა თავში იხლიო?!

როგორ გადადიან ბრმები ხიდზე

იყო ერთი მრავალშვილიანი კაცი. დღე და ღამე შრომობდა ოჯახის სარჩენად. მძიმე სამუშაოს ასრულებდა, ცოტას უხდიდნენ, სანახევროდ მშივრები იყვნენ, გამუდმებით რაღაც-რაღაცეებზე უარის თქმა უწევდათ, საჭმლის ფული რომ ჰყოფნოდათ; თავი ძლივს გაჰქონდათ. ყოველდღე, საშოვარზე წასვლის წინ ღმერთს შველას სთხოვდა: „ყველას ეხმარები, უფალო, მეც რამენაირად დამეხმარე. ნუთუ მთელი ჩემი დღე და მოსწრება მძიმე ჯაფით უნდა მოვიპოვო სარჩო? ვის სახლი ეძლევა, ვის მემკვიდრეობა, ვიღაცა კი რაღაცას პოულობს; მე კი, დაწყევლილივით, მხოლოდ დღიურ გასამრჯელოს ვშოულობ, არ გეცოდები? მუქთახორა და ზარმაცი ხომ არა ვარ, მაგრამ ძალა აღარა მაქვს, უფალო, გადმომხედე, მეც რამე გამომიგზავნე, რათა დავრწმუნდე, რომ მართლა არსებობ“. ბედს ისე უჩიოდა, ისე ემუდარებოდა ღმერთს, რომ მან ერთხელაც შეისმინა მისი ვედრება და გადაწყვიტა, დახმარებოდა. გზაში ოქროთი გატენილი ქისა დაუგდო. გზად არავინ ჩანდა და ღმერთი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის გარდა ქისას ვერავინ აიღებდა. მაგრამ ამ უბედურმა მუშა კაცმა გზის შემოკლების მიზნით ბოსტნებისკენ გადაუხვია.

მეორე დღეს, თავისი მწარე ბედით დაღონებული, ისევ გაუყვა გზას. ღმერთმა ამჯერად ფულით სავსე საფულე გადმოუგდო. ამ საცოდავმა კი ურმით მიმავალ მეზობელს მოჰკრა თვალი და სთხოვა, — გამოგყვებიო. გზაში მეზობელს შესჩიოდა და ღმერთს ემდუროდა, — ჩემ გარდა ყველას ეხმარებაო. „აბა, ერთი ჩემს ხელებს დახედე", — უთხრა მეზობელს იმ დროს, როცა ღმერთის მიერ ჩამოგდებულ საფულეს ჩაუარეს. ღმერთი გაწყრა: „ტყუილ-უბრალოდ მემდურის. ხან ოქროთი სავსე ქისა დავუდე წინ, ხან ფულით გატენილი საფულე, — ის კი ხან გზას იმოკლებს, ხანაც საუბარშია გართული, ხანაც სულ სხვა მიმართულებით მიდის. რა ჩემი ბრალია, რანაირად დავეხმარო?"

ერთხელ ამ კაცს მეორე სოფელში გამოუჩნდა საქმე. ის სოფელი მდინარის გაღმა მდებარეობდა, მდინარეზე კი საცალფეხო ხიდი იყო გაკიდული.

ღმერთმა იფიქრა: „კარგია ადგილია. ავდგები და ოქროთი სავსე ქისას აქ დავახვედრებ, ხიდი ისეთი ვიწროა, რაც არ უნდა მოინდომოს, გვერდს ვერ აუვლის ქისას ისე, რომ ვერ შეამჩნიოს, რადგან სულ ძირს უნდა იყუროს, ხიდიდან რომ არ გადავარდეს. ბოლოს და ბოლოს მეც დავისვენებ მისი გაუთავებელი წუწუნისაგან, თანაც იმ სოფლისკენ ამ ხიდის გარდა, სხვა გზა არ მიდის".

დაცდა ამჯობინა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ იმ ბედკრულმა არ გადაიფიქრა და ნამდვილად ხიდზე შედგა ფეხი. ამის მერე ხიდის შუაში ქისით მთელი ცხოვრების სამყოფი ოქრო დაუტოვა და იქაურობას გაეცალა. ჩვენმა საწყალმა მუშა კაცმა კი ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და გაიფიქრა: „მოდი, ერთი ვნახავ, ბრმები როგორ გადადიან ხიდზეო", — თვალები დახუჭა და ხიდის კიდემდე თვალდახუჭულმა გაიარა.

წავიდა — ვერ ვიტყვი, რა!
მოვიდა — ვერ ვიტყვი, რა!

ერთი კაცი უნაგირებს აკეთებდა. ახლომახლო სოფლებიდან უნაგირის შესაკეთებლად თუ ახალი უნაგირის საყიდლად ყველა მას აკითხავდა. მთელ ფულს ცოლს აძლევდა, მაგრამ რამ-

დენიც არ უნდა მიეცა, ცოლი ისე უყაირათოდ ხარჯავდა, მეორე დღისთვის აღარაფერი რჩებოდა. კაცმა გადაწყვიტა, ნაწილი ცოლისთვის მიეცა, ნაწილი კი გადაენახა, რომ უზრუნველი სიბერე ჰქონოდათ. სახელოსნოს ერთ კუთხეში ძველი, უვარგისი უნაგირები ეწყო. ერთ-ერთ ასეთ უნაგირში ინახავდა ფულს. შეგირდი აიყვანა და ორივე ერთად დღეში იმდენი კლიენტის მომსახურებას ასწრებდა, რამდენსაც მათი დახმარება სჭირდებოდა. შეგირდი ნიჭიერი ყმაწვილი იყო, არც ზარმაცობდა. ხელობა ისე კარგად აითვისა, რომ უნაგირების გაკეთება, დამოუკიდებლადაც ოსტატზე არანაკლებ შეეძლო.

ერთხელ ოსტატი ავად გახდა, ორი-სამი დღე არ გამოჩენილა, მაგრამ სახელოსნოში მუშაობა არ გაჩერებულა, შეგირდი ყველა შეკვეთას დროულად ასრულებდა. ერთხელ, უკვე წასასვლელად ემზადებოდა და ის-ის იყო, სახელოსნო უნდა დაეკეტა, რომ ერთი კაცი ესტუმრა და გატეხილი უნაგირი მიუტანა. შეგირდმა უნაგირი დაათვალიერა და კაცს უთხრა, — ეს უნაგირი აქ დატოვე და ხვალ მოდიო. ეს კაცი სხვა სოფლიდან ჩამოსულიყო და დაბრუნებას იმ დღესვე აპირებდა. შეგირდმა მიიხედ-მოიხედა და უცებ ძველ უნაგირს მოჰკრა თვალი, კუთხეში რომ იდო. მგზავრს შესთავაზა: „ეს უნაგირი შენ აიღე, სახლამდე მიგიყვანს, ამასობაში კი ვეცდები შენი უნაგირი აღვადგინო; თუ ვერ შევაკეთე, ახალს დაგიმზადებ. ერთ კვირაში გამომიარეო“. შეთანხმდნენ.

მეორე დღეს მოხუცმა ოსტატმა მუშაობა განაახლა. სახელოსნოში შეაბიჯა თუ არა, მაშინვე უნაგირი მოისაკლისა.

— სად არის უნაგირი, კუთხეში რომ ეგდო?

— არ იდარდო, ერთი კვირით ამ გატეხილ უნაგირში გავცვალე. დიდხანს მაინც ვერ გამოადგება... — და ოსტატს ყველაფერი უამბო.

მოხუცმა ოსტატმა თავზე ხელები იტაცა და მხოლოდ ამას გაიძახოდა:

— ვაი და ვახ-მე! წავიდა — ვერ ვიტყვი, რა!

შეგირდსაც კი არ გაუმხილა რაში იყო საქმე, — ღმერთს მივანდობ ამ ამბავს და ცოტა ხანს დავიცდიო, — ფიქრობდა.

კვირაზე მეტი ხანი გავიდა, მოხუცი კი დროდადრო ამ ფრაზას იმეორებდა: „ვაი და ვახ-მე! წავიდა — ვერ ვიტყვი, რა!“,

რადგან დღითი-დღე იმედი ეწურებოდა. ძველი უნაგირი ხომ ან იქით, ან აქეთ გზობაზე შეიძლებოდა ნაწილ-ნაწილ დაშლილიყო. ფული რომც ეპოვათ უნაგირში — გაამხელდა კი ამას ვინმე?

ერთხელ, როცა იმედი საბოლოოდ გადაეწურა, სახელოსნოს ზღურბლზე ერთი კაცი გამოჩნდა, ხელში კი მისი... ძველი უნაგირი ეჭირა.

ოსტატმა, ვითომც არაფერი, აუღელვებლად გამოართვა უნაგირი, შეამოწმა, ისევ მთელი იყო მისი „ყულაბა" თუ არა, ძველი ადგილი მიუჩინა და შვებით წარმოთქვა:

„მოვიდა — ვერ ვიტყვი, რა!"

ამბავი კუზიანებისა

ერთ სოფელში ორი კუზიანი ცხოვრობდა. ყოველ შეხვედრაზე ბედს უჩიოდნენ, კუზებით რომ დაეჯილდოვებინა. ერთხელაც ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, იმუსაიფეს. უცებ ერთმა მათგანმა შეამჩნია, რომ მეორეს კუზი აღარ ჰქონდა.

— მითხარი, ღვთის გულისათვის, კუზი როგორ მოიშორე? მეც დიდი სიამოვნებით გავთავისუფლდებოდი მისგან.

— მე კი გეტყვი, მაგრამ შენ არაფერი გამოგივა, იმიტომ, რომ ჯიუტი ხარ, ყოველთვის იმას აკეთებ, რაც საჭიროდ მიგაჩნია. თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია!

— ამიტომაც ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვი. ჩემი სიჯიუტე რა შუაშია, როცა საქმე კუზს ეხება, ჩემს სიჯიუტესაც მოვერევი. მალე მითხარი, რა უნდა გავაკეთო.

— კარგი, — დათანხმდა ყოფილი კუზიანი, — შაბათს ან კვირას აგერ, იმ ხიდთან მიდი, იმიტომ რომ ხიდქვეშიდან მხოლოდ ამ დღეებში გამოდის ის ხალხი, ვინც კუზი მომაშორა. თავზე ტომარას ჩამოგაცმევენ, ტყეში წაგიყვანენ. ორი-სამი დღე გაივლის და ქორწილს გადაიხდიან. ყველა, ვინც იქ იქნება, ცეკვას წამოიწყებს და რაღაც შელოცვის მაგვარს წაიბუტბუტებს. შენც ზუსტად იმავეს გააკეთებ, რასაც ისინი მოიმოქმედებენ და შელოცვასაც სიტყვა-სიტყვით გაიმეორებ. რაც არ უნდა თქვან, სიმართლეც რომ არ იყოს, მაინც გაიმეორე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როცა მოიქორწილებენ, ისევ იმ ადგ-

ილზე დაგაბრუნებენ, საიდანაც წაგიყვანეს და ნახავ, რომ კუზი აღარ გექნება.

— სულ ეს არის? შენზე ნაკლები რითი ვარ, ყველაფერს ზუსტად შევასრულებ. ყველაფერი სწორად მითხარი, ხომ არაფერი დაგვიწყებია?

— ყველაფერი ზუსტად აღგიწერე, — უთხრა ყოფილმა კუზიანმა.

კუზიანი შაბათ დღეს დაელოდა და ხიდთან მივიდა. ერთხანს იდგა და უცებ ხალხი დაინახა. ისინი მიუახლოვდნენ და თავზე ტომარა ჩამოაცვეს.

— კუზიანს არ მოვუტყუებივარ, ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც მითხრა, — გაიფიქრა მან.

ტყეში შევიდნენ, ტომარა მოხსნეს და ხეზე მიაბეს.

— სიცრუე არ უთქვამს კუზიანს, ღმერთმა ქნას, ყველაფერი შემდეგშიც ისე ზუსტად ასრულდეს, როგორც მან თქვა, — ფიქრობს კუზიანი.

რამოდენიმე დღის შემდეგ ქორწილი გაიმართა. ხელ-ფეხი გაუხსნეს და მოცეკვავეთა ფერხულში ჩააბეს. ხალხი ცეკვავს და თან შელოცვას წარმოთქვამს, ისიც მათთან ერთად ცეკვავს და შელოცვას იმეორებს. უცებ ყურები ცქვიტა, რომ ამ შელოცვის აზრი გაეგო და გაიგონა: „დღეს ოთხშაბათია, ხვალ კი ხუთშაბათი“. დაფიქრდა, გონებაში დღეები გადათვალა და უთხრა:

— არ არის მართალი, დღეს სამშაბათია, ხვალ კი — ოთხშაბათი.

ყურიც არ ათხოვეს, განუწყვეტლივ იმეორებენ: „დღეს ოთხშაბათია, ხვალ კი ხუთშაბათიო“.

კუზიანმა თავისთვის დაასკვნა: ეტყობა, ეშლებათ, მაგრამ მე ხომ ზუსტად ვიცი, რომ დღეს სამშაბათია, ხვალ კი ოთხშაბათი. ამათ ვერ გადავარწმუნებ, ამიტომ რაც უნდათ, ისა თქვან, მე კი სინამდვილეში როგორც არის, ისე ვიტყვიო და აბუტბუტდა:

— დღეს სამშაბათია, ხვალ — ოთხშაბათი!

არც არავის შეუჩერებია, არც შეუსწორებიათ — თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო. გამთენიისას ხესთან მივიდნენ, რაღაც მრგვალი საგანი აიღეს, ერთ-ერთი მათგანი კუზიანს მიუახლოვდა და უთხრა:

— ეს შენმა ძმაკაცმა დაგვიტოვა, რაკი შენ ასეთი ჭკვიანი ხარ, წაიღე და ესეც შენი იყოს!

უთხრა და „ესეც“ ზურგზე წამოჰკიდა. ისევ ტომარა ჩამოაცვეს თავზე და საიდანაც წამოიყვანეს, ისევ იქ დააბრუნეს. ტომარა მოხსნეს და როგორც გამოჩნდნენ, ისევე გაუჩინარდნენ.

კაცმა ზურგი მოისინჯა და რას ხედავს, ერთი კუზის ნაცვლად, ორი კუზი არ გასჩენია! როცა ყოფილ კუზიანს შეხვდა, გაცეცხლებულმა უთხრა:

— შენ ეტყობა, არასწორად ამიხსენი. მივხვდი, რომ არ გინდოდა კუზი მეც მომეშორებინა; ალბათ იცოდი, შენ კუზს სხვას თუ არ წამოჰკიდებდნენ, შეიძლებოდა უკან დაგბრუნებოდა, ამიტომაც იყავი ასეთი კეთილი, დამაიმედე რომ კუზს მოვიშორებდი, პირიქით კი გამოვიდა. ახლა, თითქოს ჩემი არ მეყოფოდა, შენიც დამემატა.

— არაფერი დამიმალავს, ყველაფერი ზუსტად აგიხსენი, ახლა კი შენ მომიყევი, თავს რა გადაგხდა.

ორკუზა კუზიანმა მოყოლა დაიწყო, როცა ახსენა სიტყვები: „დღეს სამშაბათია, ხვალ ოთხშაბათი“, ყოფილმა კუზიანმა ჰკითხა:

— ისინი რას ამბობდნენ?

— დღეს ოთხშაბათია, ხვალ ხუთაშაბათიო.

— აი, ხომ ხედავ, დამნაშავე თვითონვე ყოფილხარ. რატომ არ გაიმეორე ის, რასაც ისინი ამბობდნენ.

— იმიტომ, რომ იმ დღეს სამშაბათი იყო, მეორე დღეს კი — ოთხშაბათი!

ქალბატონი და მევახშე

ერთ ქალაქში ერთი მდიდარი მევახშე ცხოვრობდა. ყველამ იცოდა, რომ გირაოში მისგან ნებისმიერ თანხას აიღებდა. სახლი თვალსაჩინო ადგილას ედგა. ერთხელ მეორე მდიდარი კაცის ცოლი ფაეტონით სასეირნოდ გამოვიდა. მევახშის სახლს რომ ჩაუარა, ლამაზ კაცს მოჰკრა თვალი, პირდაპირ იმ სახლის ზღურბლთან რომ ჩამომჯდარიყო. თვალზე ცრემლი მოსდგომოდა, მისი შემხედვარე მაშინვე მიხვდებოდა კაცი, რომ დიდი სადარდელი გასჩენოდა. ქალბატონმა ფაეტონი გააჩერა, მიუახლოვდა და ჰკითხა: „რა გაწუხებს, რით შემიძლია დაგეხმაროო?“

— ჩემს უბედურებას არაფერი ეშველება! — უპასუხა კაცმა.

— მაინც რა მოხდა, მომიყევი, იქნებ გიშველო, — ჩაეძია ქალი.

მიხვდა კაცი, რომ ქალი არ მოეშვებოდა და თავისი უბედურების ამბავი გაუმხილა:

— დიდი თანხა მჭირდებოდა. ნაცნობ-მეგობრებიდან ვერავინ მასესხა. მთელი ოქრო და ძვირფასეულობა წამოეკრიფე, მევახშეს მოვუტანე და დავაგირავე. ფული ავიღე და საჭიროებისამებრ დავხარჯე. ახლა დაგირავებულის გამოსასყიდად ფული მოვიტანე. მევახშემ ფული კი გამომართვა, მაგრამ ჩემს გირაოს უკან არ მაძლევს. მსახურებს უბრძანა გარეთ გამოვეგდე, სიცრუე დამწამა: „ოქრო და ძვირფასეულობა საიდან გექნებოდა. შემეცოდე და ფული იმიტომაც გასესხეო", — მე კი მოწმეებიც არა მყავს. ახლა შენ თვითონ ხედავ, რომ ვერავინ დამეხმარება.

— მე დაგეხმარები, მაგრამ ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგებ. ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს, მევახშესთან მიდი. დანარჩენი ჩემზე იყოს.

დანიშნულ დღეს ქალბატონმა თავისი ძვირფასეულობა წამოკრიფა და მევახშეს მიაკითხა.

— ღრმადპატივსაცემო, ძალიან გამიჭირდა, ვერავის ვენდობი, ძალიან დიდ თანხაზეა ლაპარაკი. ჩემი ქმარი სავაჭროდ სხვა ქალაქში წავიდა. გუშინ შიკრიკი გამომიგზავნა, — უბედურება შემთხვევია და ჩასვლას მთხოვს. აი, მთელი ჩემი ძვირფასეულობა, გირაოში ფული მომეცი, ჩემი ქმარი რომ დაბრუნდება, ანგარიშს გავასწორებთ. ქმრისგან მსმენია, რომ წესიერი ადამიანი ხარ, ამიტომ ბევრი არც მიფიქრია, პირდაპირ შენ მოგაკითხე.

ძვირფასეულობის გროვა რომ დაინახა, მევახშეს ენა ჩაუვარდა. მხოლოდ ამას იმეორებდა: „აბა რა, აბა რა, ახლავეო..." ფული მაშინვე ჩაუთვალა ხელში. ამ დროს ვიღაცამ დააკაკუნა. ის ნაცნობი კაცი შემოვიდა, მევახშე ოქროს და ძვირფასეულობას რომ არ უბრუნებდა. „რა უდროო დროს მოვიდაო", — გაიფიქრა მევახშემ, — „ახლა ამასთან კინკლაობა რომ დავიწყო ქალბატონს დავაფრთხობო". აწონ-დაწონა ვითარება, კარგად გაიაზრა, რას დაკარგავდა და რას მოიგებდა და გადაწყვიტა იმ კაცისთვის ოქრო-ძვირფასეულობა ულაპარაკოდ დაებრუნებინა და დროზე მოეშორებინა თავიდან.

იმ უბედურს პირის გაღებაც არ აცალა. ქათინაურებად დაიღვარა:

— მადლობა უფალს, მოხვედი. ადგილს ვერ ვპოულობდი, დანიშნული დღიდან რამდენი ხანი გავიდა და არ გამოჩნდი. ისიც კი ვიფიქრე, უბედურება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. აი, გენაცვალე, შენი ნივთები, წაიღე, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს, სხვისი არაფერი მინდა. თუ გინდა, ვალს ჯერ ნუ დამიბრუნებ, სახეზე გატყობ, გიჭირს. როცა შეძლებ, მაშინ გადამიხდი.

დაშაქრულ სიტყვებს ეუბნება და თან კარისკენ მიუძღვება.

ამ დროს კარი ზათქით იღება და ქალბატონის მოახლე შემორბის მხიარული შეძახილებით:

— ხანუმ, ხანუმ, სამახარობლოს რას მომცემ?!

— წითელ წკაპუნებს გიყიდი!

მოახლე სიხარულისგან აკუნტრუშდა და ახარა:

— ბატონი ჩამოვიდა. ყველაფერი მოგვარდა, შინ გელოდება. ფული აღარ გჭირდებათ.

ქალბატონმა მაგიდაზე დახვავებულ ძვირფასეულობას ხელი დავლო, ბოხჩაში გამოკრა, იღლიაში ამოიჩარა, ცეკვა-ცეკვით ემშვიდობება მევახშეს და ემადლობლება.

საერთო მხიარულებას ის კაციც აჰყვა, მოულოდნელად თავისი დაკარგული ავლა-დიდება რომ დაიბრუნა. მევახშე მიხვდა, რომ გააცურეს, მაგრამ არ გაბრაზებულა, არც დაბნეულა და მათთან ერთად აცეკვდა, თანაც აღტაცებით შესციცინებს ქალბატონს. მოცეკვავე სამეული გაკვირვებული შეჰყურებს აცეკვებულ მევახშეს. ის კი ცეკვავს და თან სიცილით იგუდება. ქალბატონი ეკითხება:

— მე ვცეკვავ და ვიცინი იმიტომ, რომ ქმარი, რომლის დაბრუნების იმედიც აღარ მქონდა, მშვიდობიანად დამიბრუნდა. მოახლე ცეკვავს და უხარია, რომ წითელ წკაპუნებს გამოჰკრა ხელი. ეს კაცი ცეკვავს და იცინის იმიტომ, რომ უიმედოდ დაკარგული ძვირფასეულობა დაიბრუნა. შენ რაღა გაცეკვებს და გიხარია, არ მესმის. შენ ხომ ვერაფრით იხეირე.

— აღტაცება მაცეკვებს, ხანუმ! ცხოვრებაში ვის არ შევხვედრივარ, რამდენ გაიძვერასა და თაღლითს გადავყრივარ, მაგრამ შენნაირი თაღლითი არსად მინახავს! — უპასუხა მევახშემ.

გლეხი და ვაჭარი

ერთ ქალაქში წვრილმანებით მოვაჭრე კაცი ცხოვრობდა. ვაჭრობის საქმე ურიგოდ არ მისდიოდა და იყო უზრუნველად. მასთან ახლო-მახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ. მისი წამხედურობით სხვებმაც მიჰყვეს ხელი ამ საქმიანობას. მან კი მეტოქეობას ვერ გაუძლო და საქმეც უკან-უკან წაუვიდა. რა ელონა, როგორ გამოესწორებინა საქმე? დღენიადაგ ამაზე ფიქრობდა. იჯდა თავის სავაჭროში და ეს ფიქრები არ ასვენებდნენ.

ერთხელაც მეზობელი სოფლიდან ერთი ძველი მუშტარი ეწვია. დაინახა დაღონებული კაცი, რაღაცა იყიდა, ერთხანს შეყოვნდა, ხედავს — ვაჭრობის საქმე ცუდად მიდის, შეეცოდა ვაჭარი და უთხრა:

— თავს რად იტანჯავ! ჩამოდი ჩემთან სოფელში, საქონლის გაყიდვაში დაგეხმარები, უკანა გზაზე კი კვერცხი, ქათამი, არაჟანი, ყველი, — რაც კი რამ სოფლის ნობათია — შეიძინე და კიდევ უფრო მოგებული დარჩები. ერთი-ორჯერ წახვალ-წამოხვალ და საქმეც აგეწყობა.

— საქონელი როგორ ჩამოვიტანო?

— სავაჭრო გაყიდე, ვირი იყიდე, აჰკიდე ხურჯინი და პირდაპირ ჩვენს სოფელში ჩამოდი!

— საქონელი იმ დღესვე თუ ვერ გავყიდე, ღამე სად გავათიო?

— აბა, რას მეკითხები, ღამეს ჩემთან გაგათევინებ.

ვაჭარი დაფიქრდა, — ცდა ბედის მონახევრეაო. ერთმანეთს დაემშვიდობნენ, გლეხმა თავისი სოფლის სახელი უთხრა, აუხსნა, როგორ მიეგნო მისი სახლისთვის და წავიდა. ვაჭარსაც არ დაუხანებია, დილით თავისი სავაჭრო გაყიდა, ვირი იყიდა, ხურჯინის თვლები საქონლით გატენა და დასახელებულ სოფელში გაემგზავრა. გლეხის სახლის პოვნა არ გასჭირვებია, ამ კეთილ ადამიანს ყველა იცნობდა. საკადრისი პატივი სცა, ასვა, აჭამა, საძინებელში მოასვენა. დილით საქონლის გაყიდვაშიც დაეხმარა, სურსათ-სანოვაგეც აყიდინა და გამოისტუმრა.

კმაყოფილმა ვაჭარმა დიდხანს არ ალოდინა და შემდეგ კვირას ისევ ესტუმრა. გლეხი ისევ გულღიად შეეგება.

ვაჭარს, უწინდელივით ბედმა გაუღიმა და საქმე აეწყო.

ყოველ კვირა თავისი ვირით სოფელში საქონელი ჩააქვს, უკან პროდუქტები მოაქვს და ქალაქში ყიდის. ყოველი დამშვიდობებისას კი გლეხს ქალაქში, თავისთან ეპატიჟება. „რა საჩქაროა", — პასუხობს გლეხი, ხან რას მოიმიზეზებს, ხან რას, — „ჯერ დასარგავს დავრგავ და ჩამოვალ, ჯერ ჭირნახულს ავიღებ და მერე ჩამოვალ, საქმეებს მოვრჩები და აუცილებლად გეწვევი, ცოლსაც ჩამოვიყვანო".

ერთხელაც საქმე გამოუჩნდა და ქალაქში წავიდა. ცოლს ვაჭრისათვის ძღვენი გაამზადებინა, — „ვაითუ საქმე ერთ დღეში ვერ მოვასწრო და ქუჩაში ხომ არ გავათევ ღამეს, მასთან მივალ და არ მინდა ხელცარიელი ვესტუმრო", — უთხრა ცოლს და გზას გაუდგა. მისი ვარაუდი გამართლდა, ერთ დღეში საქმე ვერ მოაგვარა და ვაჭართან მივიდა. კარზე დააკაკუნა, კარს იქიდან კი ეკითხებიან:

— ვინა ხარ?

— შენი მეგობარი ვარ, ამა და ამ სოფლიდან, — ეუბნება გლეხი, ვაჭრის ხმა იცნო.

ის ისევ ეკითხება:

— ვინა ხარ?

— შენი მეგობარი ვარ-მეთქი, სოფლიდან, ვერ მიცანი?

— რა მეგობარი, რის მეგობარი, ვერა გცნობ!

— როგორ თუ ვერა მცნობ, სოფელში ჩემთან ჩამოდიხარ ხოლმე.

— ვინა ხარ? — არ იშლის ვაჭარი.

მაშინ კი მიხვდა გლეხი, რომ მისი სახლში შეშვება არ უნდოდათ და ამიტომაც ვერ ცნობდნენ. უცხო ქალაქში, ქუჩაში ღამის გათევა სახიფათოა და სიბნელის მიუხედავად, უკან, სოფელში გაბრუნდა. „არაფერია, — ფიქრობს, — კიდევ ჩამომაკითხავ".

გამოხდა ხანი. ვაჭარი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, თავის საქონლიანად გლეხს მიადგა. გლეხმა წყენა არ შეიმჩნია. გულითადი მასპინძელივით დახვდა, ღამე გაათევინა, სასტუმრო ოთახში მოასვენა და ისე, სხვათა შორის, უთხრა:

— სოფელში ავაზაკები დაძრწიან. აი თოფიც კი ვიშოვე. იცოდე, დატენილია. წავალ ახლა, ეზოს შემოვივლი და მერე მეც დავიძინებ.

გავიდა, ვაჭრის ვირი აუშვა და იმ ოთახის ფანჯარასთან

მიუშვა, სადაც ვაჭარს ეძინა. ფანჯარასთან კი სიმინდი ედგა. ვირი სწვდა სიმინდს და ხარბად ახრამუნებს. დადის ვირი სიმინდებში, სიმინდის ფოთლები შრიალებენ, ვაჭარს კი ჰგონია, რომ ქურდები მიძვრებიან ფანჯრისკენ. „გაიგეს, სადაც მძინავს და ფულის მოპარვას აპირებენ", — გაიფიქრა ვაჭარმა.

კედლიდან თოფი ჩამოხსნა და იქით ისროლა, საიდანაც ფაჩუნი შემოესმა. ხმაური მიწყდა. კმაყოფილმა ვაჭარმა თოფი თავის ადგილზე დაჰკიდა და დაწოლას აპირებდა, რომ ოთახში გლეხი შეეიდა.

— რა სროლა იყო, ოთახში ვინმე ხომ არ შემოგივარდა?

— არა, შემოსვლა სცადეს, მაგრამ მოვკალი.

გლეხმა ფანჯარა გამოაღო, მკვდარი ვირი დაანახა ვაჭარს და უთხრა:

— შენ რა კაცი ხარ, ქალაქში საკუთარ მეგობარს ვერ ცნობ, სოფელში კი საკუთარ ვირს. შეხედე ერთი, ვინ მოკალი!

ამ ზღაპრის შეგონება ასეთია: ფულის შოვნა უფრო იოლია, ვიდრე მეგობრის შეძენა.

როგორ იქცა იანიჩარი ნეხვად

ერთ სახელმწიფოში, იქაურების მეზობლად, იანიჩარები ცხოვრობდნენ. სახელი გასტეხოდათ. რაც არ უნდა მომხდარიყო, ყველაფერს მათ აბრალებდნენ. უდანაშაულონი, მაგრამ „გადამთიელები", „სხვები", „არაჩვენებურები" იყვნენ, მაშასადამე, ადგილობრივების აზრით, ცუდი საქციელის ჩადენა მარტო მათ შეეძლოთ. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მეფეს საჩივრით მიმართა, სთხოვეს, — ამ იანიჩარებისაგან გვიხსენიო. თავისი ხალხის თხოვნას მეფემ ამ განკარგულებით უპასუხა:

„ყველა იანიჩარმა ერთ დღე-ღამეში დატოვოს ქვეყანა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ყველა იანიჩარი, ვისაც ამ ქვეყანაში გადაეყრებიან, სიკვდილით დაისჯება".

იანიჩრებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და იმ ქვეყანას გაეცალნენ.

იმ ქვეყანაში ერთი მარტოხელა ოქრომჭედელი-იანიჩარიც ცხოვრობდა. მეფის ბრძანების ამბავი გაეგო, მაგრამ ბევრი იფ-

იქრა თუ ცოტა, მაინც დარჩენა ამჯობინა. „მარტოხელა ვარ, მე თუ არ გავამხელ, რომ იანიჩარი ვარ, არც არავინ მიცნობს, რომ გამცეს და მამხილოს. აქ დავბერდები და აქვე მოვკვდები. მაშინ, გინდა მიცნონ, გინდ არა, არაფრის შემეშინდება. მარტოობას კი შეჩვეული ვარო". — ასე ფიქრობდა.

ფიქრობდა და დარჩა კიდეც.

გავიდა მეფის ბრძანებით დადგენილი ვადა, რა ვადაშიც იანიჩრებს შეეძლოთ მშვიდად დაეტოვებინათ ეს ქვეყანა.

მეორე დღეს დაიწყო ჩხრეკა და შემოწმება. იანიჩარის ირგვლივაც წრე ვიწროვდებოდა. მიხვდა, რომ ასეთი მკაცრი შემოწმებისას მისი იანიჩრობაც გამოაშკარავდებოდა. ღამით სახლიდან გამოვიდა და ქალაქის გარეუბანში დაიმალა. როგორმე ქალაქიდან შეუმჩნევლად გაპარვა უნდა მოეხერხებინა, მერე კი იოლად დაემალებოდა ხელისუფლებას. შემოხვდა გლეხი, ზურგზე გოდორი წამოეკიდებინა. ამ გოდრებს თხილის წნელებისაგან წნავდნენ და გრძელ სახელურებს უკეთებდნენ, რადგან ზურგზე აკიდებული გოდრის ასეთი სახელურებით ტარება ეიოლებოდათ. ამ გოდრით მძიმე ტვირთის გადაზიდვაც უფრო მოსახერხებელი იყო. გოდრებით, ჩვეულებრივ, თივა და ბალახი მიჰქონდათ საქონლისათვის.

გლეხის დანახვაზე იანიჩარი საფარიდან გამოვიდა და სთხოვა მისთვის მოესმინა. გლეხი გაჩერდა და კალათა ჩამოდგა.

— საით გაგიწევია, ან გოდრით რა მიგაქვს?

— ქალაქგარეთ ბაღი მაქვს და იქ მივდივარ, გოდრით კი ნეხვი მიმაქვს.

იანიჩარმა გლეხს სთხოვა, ნეხვის ნაცვლად ქალაქიდან გოდრით ის გაეყვანა. დახმარების სანაცვლოდ ოქროს შეჰპირდა.

გლეხმა გოდრიდან ნეხვი გადმოყარა, ჩასვა შიგ იანიჩარი, თავზე ნეხვი წააყარა, გოდორი წამოიკიდა და გზას გაუდგა.

ამ დროს იმ ქალაქში ორი ჟანდარმი შემოვიდა. გლეხი გააჩერეს და ჰკითხეს, — რა მიგაქვსო? გოდორშიც ჩაიხედეს, ცხვირზე ხელი აიფარეს და გაუშვეს. ცოტა ხნის მერე ერთმა ჟანდარმმა უკან მოიხედა, რაღაც იეჭვა და მეორე ჟანდარმს გადაულაპარაკა:

— მომისმინე, ნეხვი ხომ მსუბუქია; ერთი იმ გლეხს შეხედე, ლამის წელში გაწყდეს, თითქოს ქვები მიჰქონდეს.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა მეორე ჟანდარმი.

გლეხს გასძახეს და გააჩერეს. გლეხმა გოდორი მიწაზე დაუშვა. ჟანდარმები მიუახლოვდნენ და გოდორს ხიშტებით ჩიჩქნა დაუწყეს. როგორც კი ხიშტმა უჩხვლიტა, იანიჩარი წელში გაიმართა და ნეხვიდან თავი ამოყო.

— ვინა ხარო, — ჰკითხეს ჟანდარმებმა.

— ნეხვი გახლავართო, — უპასუხა იანიჩარმა.

— რას ამბობ, შენ რა, დაგვცინი? გამოტყდი, რომ იანიჩარი ხარო, — უთხრეს ჟანდარმებმა.

— ღმერთმა დამიფაროს, თქვენს დაცინვას როგორ გავბედავო, — მიუგო იანიჩარმა, — მანამდე, სანამ თავს ნეხვად გავასაღებდი და გოდორში ჩავძვრებოდი, იანიჩარი ვიყავი, ახლა კი ნეხვად ვიქეცი.

ეწყემსი და გველი

ერთ სოფელში ერთი ღარიბი მწყემსი ცხოვრობდა. თავი რომ ერჩინა, სოფლის ნახირს უვლიდა, დილით საძოვარზე გარეკავდა, სოფლის შემოგარენში აძოვებდა და მზის ჩასვლამდე უკან მოერეკებოდა. დილითვე ჩამოწველიდა ერთ-ერთ ძროხას და რძეს ბადიაში აგროვებდა. მერე თავის აბგას, რომელშიც პურს ინახავდა, ხეზე ჩამოკიდებდა, ხოლო რძიან ბადიას ხის ქვეშ, ჩრდილში დადგამდა ხოლმე. საქონელს საძოვარზე გაუშვებდა, თვითონ იქვე, ახლოს მოიკალათებდა და შორიდან დარაჯობდა, რომ ძროხები არ დაფანტულ-დაკარგულიყვნენ. დრო და დრო ნახირი სხვა საბალახოზე გადაჰყავდა და ნელ-ნელა მთის ძირს მიუახლოვდა. იქ ერთი ტოტებგაშლილი ხე გამოარჩია, აბგა ტოტზე დაკიდა, რძე ჩრდილში ჩამოდგა, დასასვენებლად წამოგორდა და ჩასთვლიმა. როცა გაიღვიძა, რძიანი ბადია ცარიელი დახვდა, ბადიის ძირზე კი ოქროს მონეტა ეგდო. გაუკვირდა მწყემსს, მოულოდნელმა მონაპოვარმა გაახარა და მეორე დღეს იმავე ხის ქვეშ დადგა რძით სავსე ბადია. ნახირი ახალ საძოვარზე გარეკა, უკან მობრუნებულს ცარიელი ბადია და ბადიის ძირზე ოქროს მონეტა დახვდა. „კი მაგრამ, მზე ხომ არ ამოაშრობდა რძეს და ოქროს მონეტად გადააქცევდა?“ — გაიფიქრა

მწყემსმა, — „მოდი. დავუდარაჯდები და გავიგებ, ამას ვინ აკეთებს“. მეორე დღეს ახალი ნაწველი ხის ქვეშ დადგა, თვითონ კი ისე მოეწყო, რომ კარგად დაენახა, ბადიას ვინც მიუახლოვდებოდა. უცებ ხედავს, მთიდან უზარმაზარი გველი გამოძვრა, ბადიასთან მისრიალდა, შიგ მონეტა ჩააგდო და მთელი რძე ისე შესვლიპა, წვეთი არ დაუტოვებია. მწყემსის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ხომ ძალიან შეეწეოდა მცირე ჯამაგირის პატრონს. მას მერე სხვა საძოვარი აღარ უძებნია, ცდილობდა, გველს თვალში არ მოხვედროდა, რომ არ დაეფრთხო. ყოველ დღე გველს რძის სანაცვლოდ ოქროს მონეტა მოჰქონდა მისთვის. მალე ისე გამდიდრდა, რომ ახალი სახლი აიშენა, ყველაფერი იყიდა, რაც სახლის მოსაწყობად სჭირდებოდა, შვილებსაც ჩააცვა და დაახურა. რაკი გაჭირვებას თავი დააღწია, მექაში წასვლა გადაწყვიტა, უფლისათვის საკადრისი პატივის მისაგებად, გლახაკთათვის მოწყალების დასარიგებლად და გაუჭირვებელი ცხოვრებისათვის ღმერთის სამადლობლად.

მექაში გამგზავრებამდე ვაჟიშვილს უხმო და ეუბნება:

— ჩემს არყოფნაში საქონელი შენ აძოვე მთის ძირში, სოფელს იქით. იქ ერთი ტოტებგაშლილი ხე დაგს. ყოველდღე იმ ხის ქვეშ რძით სავსე ბადია ჩამოდგი. საღამოს, სახლში დაბრუნების დრო რომ მოვა, ბადიის ფსკერზე ოქროს მონეტას იპოვი, აიღე და ნურაფრის გაგებასა და შეცვლას ნუ ეცდები.

წავიდა მწყემსი მექას, ვაჟიც დილაადრიანად ადგა და როგორც მამამ დაარიგა, ნახირი მთისკენ გაერეკა. რძე ჩამოწველა, ბადია ჩრდილქვეშ დადგა, პურიანი აბგა ხის ტოტზე დაჰკიდა, ძროხები საბალახოდ მიუშვა და დასასვენებლად მიწვა. ვერც შენიშნა, როგორ ჩასთვლიმა, გაღვიძებულმა კი დაცარიელებული ბადიის ფსკერზე ოქროს მონეტა იპოვა. ცნობისწადილმა აიტანა, უნდოდა გაეგო, ამას ვინ სჩადიოდა. მეორე დღეს ზუსტად შეასრულა ყველაფერი, დაიმალა და სამალავიდან უთვალთვალებდა, ვინ მიუახლოვდებოდა ხეს. უცებ ხედავს: მთიდან უზარმაზარი გველი მოძვრება, ბადიასთან მიხოხავს, შიგ ოქროს მონეტას აგდებს, რძეს სვლეპს და თავის ბუნაგში ბრუნდება. „რა სულელი ყოფილა მამაჩემი“, — გაიფიქრა ვაჟმა, — „ზის და ელოდება, დღიდან დღემდე რიდის მოუტანს გველი თითო ოქროს მონეტას. ხვალ მთას გადავაბრუნებ და მიელ ოქროს ერთბაშად ავიღებ“. თქვა

და ასეც მოიქცა. მიანგრ-მოანგრია მთელი მთა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო, აფეთქების ტალღამ კი გველს კუდი წააცალა. ინანა ბიჭმა თავისი საქციელი და გადაწყვიტა მამის დაბრუნებამდე გველთან ურთიერთობა მოეგვარებინა. მეორე დღეს ძველ ადგილზე დაუდგა რძიანი ბადია და შორი-ახლოს დაუდარაჯდა. შეუმჩნევლად ჩაეძინა. გველი ფრთხილად გამოძვრა მთიდან, მძინარე ყმაწვილი დაგესლა, რძეს არ გაეკარა და ბუნაგში შეძვრა. ნახირმა რომ დააგვიანა, თანასოფლელები მის საძებნელად წავიდნენ და მკვდარ ყმაწვილს გადააწყდნენ. მალე მწყემსიც დაბრუნდა სალოცავიდან. ცოლი მოუყვა, — ჩვენი შვილი მკვდარი იპოვეს, ძროხებს რომ აძოვებდა, ჩასძინებია და გველს დაუგესლავსო. მწყემსს ცოლისთვის არაფერი უთქვამს. დილაუთენია გარეკა ნახირი მთის ძირისკენ, როგორც კი გველის დანგრეული ბუნაგი დაინახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ეწყინა და შვილის გამო გველისა შერცხვა. ძველ ჩვეულებას არ უღალატა, მოწვეული რძე ბადიაში ჩაასხა, ხის ქვეშ ჩამოდგა, ნახირი საბალახოზე გაუშვა, მიწვა და გველს დაელოდა. ამჯერად დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. რძის სუნზე გველი მალევე გამოძვრა, მაგრამ რძეს არ გაკარებია, თავი ასწია და აქეთ-იქით მიმოიხედა. მწყემსმა, კუდმოწყვეტილი გველი რომ დაინახა, ადგა, მიუახლოვდა და შვილის საქციელის გამო ბოდიში მოუხადა.

— მოდი, წყენა დავივიწყოთ, რაც იყო, იყო, ძველებურად ვიმეგობროთ. აპატიე ჩემს შვილს, ახალგაზრდა, ფიცხი და დაუთმენელია, მით უფრო, შენ ის უკვე დასაჯე. გთხოვ, რძე დალიო, ამის სანაცვლოდ მეგობრობის გარდა არაფერს გთხოვ.

— ამაოა შენი მცდელობა, მწყემსო. შენ არასოდეს მაპატიებ ტკივილს, მე რომ მოგაყენე, ვაჟი სასიკვდილოდ დაგიგესლე. არც მე გაპატიებ ტკივილს, შენმა შვილმა და ჩემი კუდის დაკარგვამ რომ მომაყენა, ასე რომ, ჩვენი მეგობრობა დამთავრდა.

როგორ ეძებდნენ ფესს

ადრე, ძველ დროში, როცა სოფლად ცხორება ძალიან ჭირდა, სიღარიბე ადამიანებს ქალაქში, საშოვარზე, ერეკებოდა. ხალხი თვეობით, ზოგჯერ წლობით მუშაობდა ქალაქში; ფულს შოუ-

ლობდნენ და თუ თვითონ ვერ ახერხებდნენ, ფულს ოჯახისთვის თანასოფლელებს ატანდნენ. ერთხელ, ორი მეზობელი, ომარი და ჯემალი, წავიდნენ ქალაქში ფულის საშოვნელად. ორივემ ცოლ-შვილი დატოვა ამ სოფელში. ჯემალს ტყუპი ვაჟიშვილი ჰყავდა. ორივე, წასვლის წინ, ცოლ-შვილს საჩუქრებს დაჰპირდა. ჯემალ-მა კი ტყუპებს უთხრა: სათითაო ფესს (მამაკაცის მორთული ქუდი) ჩამოგიტანთო.

ვინ იცის, დიდი დრო გავიდა თუ ცოტა, მუშაობაში დრო შეუმჩნევლად გადის. ომარმა და ჯემალმაც საკმარისი ფული იშოვეს, საჩუქრებიც იყიდეს და შინ დაბრუნება უკვე შეეძლოთ. ამ დროს, ომარმა ერთი თანასოფლელისაგან ჯემალის ერთ-ერთი ტყუპისცალის სიკვდილის ამბავი შეიტყო; რაიმე მიზეზი უნდა მოეგონებინა, რომ შინ მალე დაბრუნებულიყვნენ და დასაფლავე-ბისთვის მიესწროთ. ეს კი იოლი საქმე არ გახლდათ. ომარმა შორიდან მოუარა: აქაოდა, რამდენი ხანია წამოსულები ვართ, ნეტავ ჩვენიანები, იქ, უჩვენოდ, როგორ არიან, ყველაფერი რიგზეა თუ არა, ერთი კვირით ხომ არ წავსულიყავით, ცოლ-შვილი მომენატრა. მოდი, უფროსს დავეთხოვოთ ერთი კვირით და წავ-იდეთო. ჯემალი დათანხმდა, იმიტომ, რომ ოჯახი მასაც ძალიან ენატრებოდა.

— ახლავე წავიდოდით, მაგრამ ერთი რამ მაფერხებს, მარტო ერთი ფესი მაქვს, მეორე ტყუპისცალსაც უნდა ვუყიდო, ისე ვერ დავბრუნდებიო, — უთხრა ომარს.

ომარიც დაეთანხმა და მაშინვე ფესის საშოვნელად გაეშურნენ, რომ მეორე ბავშვს გული არ დაწყვეტოდა. დიდხანს ეძებს ქუდი, ხან ძალიან ლამაზი და ძვირფასი ქუდი ხვდებოდათ, ხანაც უშნო და ულამაზო. მზე ჩადიოდა, ისინიც დაიღალნენ. ომარმა იცის, რომ მეორე ქუდის ყიდვას აზრი არ აქვს, დროს ტყუილად კარგავენ და ამის გამო შეიძლება დასაფლავებას ვერ მიუსწრონ, მაგრამ ხმას ვერ იღებს. იქ, სოფელში, ამას თავისი თვალით ნახავს, მაგრამ თავისიანებთან ერთად მწუხარების გადატანა გაუიოლდება, აქ კი, როგორ გინდა, ბავშვის მამას უთხრა, — ვისთვისაც ქუდს ეძებ, ფესის გარეშეც შეიძლება დაკრძალოო, — ენა არ უტრიალდება ამის სათქმელად. ჯემალი კი თავისას არ იშლის და ომარიც ვერაფრით არწმუნებს.

— ეჰ, მეზობელო, შენც რომ იცოდე ის, რაც მე ვიცი, ორივეს ეს ერთი ფესიც თავს გადაუვიდოდაო.

როგორ დაისაჯა მძარცველი

ერთი მხედარი შორი ქვეყნიდან, სადაც საშოვარზე იყო წასული, შინ ბრუნდებოდა. გზაში ერთი კაცი გაიცნო, რომელიც დაემგზავრა. თანამგზავრთან მუსაიფში გრძელი გზა ხომ თითქოს მოკლდება. მხედარიც ალალად უყვებოდა თანამგზავრს თავის ამბავს: — ფული ვიშოვე და ოჯახში მიმაქვსო.

დაღამდა. ცხენი ხეზე მიაბეს და დასაძინებლად ბალახზე მიწვნენ. უცებ ესმის, როგორ იქექება მისი თანამგზავრი მის ნივთებში და მაშინვე მიხვდა, რომ გაძარცვას უპირებდა:

— რას სჩადიხარ, რამდენი წელია სახლში არ ვყოფილვარ, თავი გადავდე, რომ ოდესმე მდიდარი დავბრუნებულიყავი!

უცნობმა იარაღი დააძრო და დაემუქრა:

— არა უშავს, როგორმე გადაიტან, ახლა კი გაიძვრე ტანსაცმელი!

— ღვთის გულისათვის, შემიბრალე, ტანსაცმელი მაინც დამიტოვე. სოფელში ტანშიშველი ხომ არ დავბრუნდები.

— ფულს ყველა ისე შოულობს, როგორ შეუძლია, — უპასუხა მძარცველმა.

— ღმერთის მაინც არ გეშინია, ამ გზით ნაშოვნი ფული არ შეგერგება, ღვთის მოთმინებას ნუ სცდი.

— რამდენის მოთმენა შეუძლია?

— ორმოცი დღიდან ორმოც წლამდე!

— აბა, მაშ, დრო თავზესაყრელად მქონია, — თქვა მძარცველმა და სიბნელეში გაუჩინარდა.

საწყალი კაცი თვალის ერთ დახამხამებაში, წყვდიადში, უცხენოდ და უფულოდ დარჩა, თანაც დედიშობილა. გადაწყვიტა, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, ჩქარა ევლო, რომ სოფელში გათენებამდე ჩაეღწია. ამ სიბნელეში ტყე-ღრეში გზას რომ მიიკვლევდა, თხრილიდან ადამიანის კვნესა შემოესმა. შეჩერდა და ჰკითხა: „ვინა ხარ, ვერ ვხედავ შენი ხმა საიდან ისმისო". თხრილიდან უპასუხეს: „ცხენით მოვდიოდი, ფეხი დაუცდა და თხრილში ჩავვარდით, ცხენი ზედ დამეცა და ვერ გამოვდივარ, გეხვეწები, ქამარი ჩამოუშვი, მოვეჭიდები და ამოვალო".

— გამძარცვეს, ტანსაცმელიც არ შემარჩინეს, არც ქამარი მაქვს და არც არაფერი.

— უსინდისო მატყუარავ! აი, შენ გითვლი წყევლა-კრულვას. შენ არ მითხარი, ღმერთის მოთმინება ორმოცი დღიდან ორმოც წლამდე გრძელდებაო. მე კი ამ თხრილში ორმოცი წუთის მერე ამოვყავი თავი.

— ნამუსი არ გაქვს, ისევ მე რომ მადანაშაულებ! ღმერთმა ადრე ჩადენილი ცოდვებისათვის მოგიზღო სამაგიერო, რაც ჩემ წინაშე შესცოდე, ამისთვის მომავალში დაისჯები.

ჯკვიანი ცოლი

ერთ ქალაქში ერთი მჭედელი ცხოვრობდა. პატარა სამჭედლო სახლის წინ მოეწყო და მთელმა ქალაქმა იცოდა მისი ადგილ-სამყოფელი. ვინ ცხენის დასანალავად მოდიოდა, ვინ ნიჩბის შესაკეთებლად; რკინის ნივთები სულ მასთან მიჰქონდათ. უარს არავის არაფერზე ეუბნებოდა, დროულად ასრულებდა სამუშაოს და ყველას ძალიან უყვარდა. ყველას კეთილად ეპყრობოდა, ძველი მეგობარივით ხვდებოდა ყველას და ყველა პატივს სცემდა. ერთმა მეგობარმა საცოლედ კარგი ოჯახიშვილი შეურჩია და დააქორწინა. ლამაზი ცოლი მჭედელსაც შეუყვარდა და თავისი ბედით ძალიან კმაყოფილი იყო.

ერთხელ, სამჭედლოს წინ, ამ ქალაქის მმართველმა ჩაიარა. სწორედ იმ დროს მჭედლის ცოლს ქმართან ცივი წყალი მიჰქონდა. მმართველმა დაინახა თუ არა ქალი, შურისგან თვალთ დაუბნელდა: „ვიღაც უბრალო მჭედელს ამისთანა ლამაზი ცოლი უნდა ჰყავდეს, მე კი მთელი ჩემი ცხოვრება მახინჯ ქალთან უნდა გავატარო“. მჭედლისთვის ცოლის წართმევა გადაწყვიტა, თუმცა ვეზირმა არ მოუწონა ეს აზრი: „ხალხი განგსჯის. გონივრულად მოიქეცი. ისეთი დავალება მიეცი, რომ თავი ვერ გაართვას. მერე დასაჯე და მისი სიკვდილის შემდეგ მის ქვრივზე იქორწინე. მაშინ ვეღარავინ დაგძრახავსო“.

მმართველი მოუთმენლად ელის საწადელის ასრულებას, მჭედლის ცოლის მშვენიერება მოსვენებას არ აძლევს. სასახლეში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე მჭედელი დაიბარა და მეორე დღისთვის თექვსმეტი კილო წვრილი ლურსმნის გაკეთება დააავალა: „ამდენი ლურსმნის დამზადებას თუ მოასწრებ, ოქროს მიიღებ, თუ არა და, ნუ გეწყინება, სიკვდილით დაგსჯიო“.

მჭედელი სახლში დაბრუნდა, არც უვახშმია, სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა და საქმეს შეუდგა.

ცოლი სამჭედლოში მივიდა. შეამჩნია, რომ ქმარი აღელვებულია და მუხლჩაუხრელად შრომობს.

— რა დაგემართა? სამჭედლოს რატომ არ დაკეტავ? გუნებაწამხდარი მეჩვენები, ვახშმად გელოდი, შენ კი ამ შუაღამისას სამუშაოს თავს არ ანებებ.

ცოლისთვის ხასიათის გაფუჭება არ უნდოდა, მაგრამ იფიქრა, დილით მაინც ყველაფერს გაიგებს და ის მაინც იცოდეს, რომ დავალების შესრულებას თავდაუზოგავად ვცდილობ და თუ ვერ მოვასწრებ, ჩემი ბრალი არ იქნებაო.

მჭედლის ცოლი, სილამაზესთან ერთად, დიდი ჭკუითაც გამოირჩეოდა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ქმარს უთხრა:

— ხომ იცი, რომ ხვალამდე თექვსმეტი კილო წვრილ ლურსმანს ვერ დაამზადებ. თავი დაანებე მუშაობას, გადაიცვი, წავიდეთ, ვივახშმოთ. ღმერთს შევევედროთ, ის თუ დაგვეხმარება. მისი სამართლიანობის იმედი ვიქონიოთ. თექვსმეტი ხელი რომ გქონოდა, ხვალისთვის თექვსმეტი კილო წვრილი ლურსმნის გაკეთებას მაინც ვერ მოასწრებდი. შენი სიკვდილი ღმერთის ნება თუ არის, უკანასკნელ ღამეს ერთად მაინც გავატარებთ და სიკვდილს დაქანცული კი არა, დასვენებული შეეგებები.

მჭედელმა მოუსმინა ცოლს და გაიფიქრა: რა ჭკვიანი ცოლი გამომიგზავნა ღმერთმა. რაკი ასეთი გონიერი ქალია, მისი ჭკუა სიკვდილისაგანაც მიხსნისო. ცოლის რჩევას დაჰყვა. გადაიცვა და სავახშმოდ გაჰყვა. ივახშმეს, დასაძინებლად დაწვნენ და გათენება არც აცალეს, კარზე ბრახუნი ატყდა. გუნება გაუფუჭდა მჭედელს. მართალია ელოდა, რომ დილით მიაკითხავდნენ, მაგრამ სინამდვილე უფრო მძიმე გამოდგა.

ადგა, დაუპატიჟებელ სტუმარს რომ შეგებებოდა, მაგრამ ცოლმა არ გაუშვა.

— იწექი, მე თვითონ გავიგებ, რაშია საქმე.

კართან მივიდა და ჰკითხა:

— ვინ არის, ჯერ არ გათენებულა, უძილობა გჭირთ თუ რა ხდება!!

ეტყობა, დაუპატიჟებელმა სტუმარმა საქმის ვითარება იცოდა იმიტომ რომ, აცნობა:

— კარგი ამბავი მაქვს. ამ ღამით მმართველი მოკვდა, მჭედელს სთხოვენ მზის ჩასვლამდე თექვსმეტი მსხვილი ლურსმანი გამოჭედოს მისი კუბოს დასაჭედებლად, — უთხრა შიკრიკმა და სახლში შეუსვლელად გაეცალა იქაურობას. ცოლი კი შებრუნდა და ქმარს ახარა:

— ადექი, ჩემო სიცოცხლევ, ქება და დიდება უზენაესს. წვრილი ლურსმანი მსხვილ ლურსმნებად რომ გადააქცია. ასე რომ, მზის ჩასვლამდე თექვსმეტი კილო წვრილი ლურსმნის ნაცვლად თექვსმეტი ცალი დიდი ლურსმანი უნდა გამოჭედო ქალაქის მმართველის კუბოს დასაჭედებლად.

კადირი და ეშმაკი

ერთ სოფელში ერთი ძალიან კეთილი, პატიოსანი, ჩუმი კაცი ცხოვრობდა. ერთ უბადრუკ ქოხში დაედო ბინა, ახლობლებიც არა ჰყავდა. სიღარიბის გამო ცოლის თხოვნასაც ვერ ბედავდა, ცხოვრობდა ეულად. ავადმყოფობისას ცოტა გაუჭირდებოდა ხოლმე, მაგრამ კეთილი მეზობლები უვლიდნენ. დრო კი გადიოდა. მეზობელმა ქალებმა მოილაპარკეს, მისთვის საცოლე გამოეძებნათ და დაექორწინებინათ.

ერთხელ, მეზობელ სოფელში ვიღაც კაცის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს. ამ კაცის სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს თურმე სახლიდან აგდებდნენ. ჰოდა, გადაწყვიტეს ამ ქვრივზე დაექორწინებინათ.

კადირი დაყაბულდა. ქვრივმაც თანხმობა უთხრა, წასასვლელი მაინც არ ჰქონდა. გამოხდა ხანი, კადირის ცოლმა, — ემინამ, თანდათან ბუზღუნს, ჩხუბს მოუხშირა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

მოუხშირა და მოუხშირა... კადირმა ინანა, ცოლი რომ მოიყვანა. „რაში მჭირდებოდა, ვცხოვრობდი ჩემთვის, მშვიდად, უშფოთველად. ახია, ჩემზეო“, — ფიქრობდა. დაიწყო იმაზე ფიქრი, ეს ქალი თავიდან როგორ მოეშორებინა და გაახსენდა, ერთხელ შუაგულ ტყეში ქვით გადახურულ ჭას რომ წააწყდა. მაგრამ ცოლი იქამდე როგორ მიეყვანა, ძალით ვერ მიიყვანდა, ეშმაკური ხრიკი უნდა მოეფიქრებინა.

ერთ დილითაც კადირმა გაიღვიძა და ემინას გრძელი თოკის მოტანა სთხოვა.

— რა ჯანდაბად გინდა თოკი, დაკარგავ, ან გაგიწყდება და მერე სადღა ვიშოვო?

— ნუ გეშინია, კარგი საქმისთვის მჭირდება. მესიზმრა, რომ ტყეში ოქროთი სავსე ჭა არსებობს. ვინც ამ ჭას იპოვის, მასაც და მის შთამომავლობასაც ფული გამოულევლად ექნება. ეტყობა, ჩემი ბედია, თორემ ანგელოზი სიზმარში ამას არ მამცნობდა. ამ ჭის პოვნა არ გამიჭირდება, მისი ადგილ-სამყოფელი ისედაც კარგად ვიცი. შენ მარტო თოკი მომიტანე.

კადირს სათქმელი ჯერ არც დაემთავრებინა, რომ ემინამ ტანსაცმლის გადაცმა დაიწყო.

— შენ სადღა მიდიხარ?

— აბა შენნაირ ბედოვლათს ხომ არ ვანდობ ამ საქმეს. წამო, ჩქარა წავიდეთ, მაჩვენე ის ადგილი! ალბათ, წესიერად ისიც კი არ გახსოვს სად არისო!

უთხრა და გზას გაუდგნენ. ეჭვი რომ არ აეღო, კადირი გზადაგზა თითქოს იხსენებდა ჭის ადგილ-სამყოფელს, ჩაფიქრებული შეჩერდებოდა ხოლმე. ემინას ცნობისმოყვარეობს საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს კადირმა ჭასთან მიიყვანა. ემინას სიფრთხილე არც გამოუჩენია, თოკი შეიბა და კადირს უთხრა: — „ამ საქმეს შენ ვერ განდობო“ და პირდაპირ ქვის ქვეშ გამოჩენილ ხაროში გადაეშვა. კადირსაც დიდხანს არ უფიქრია, ჭას სარქველი დააფარა და თქვა: „დიდება უფალს, მგონი, გავთავისუფლდიო“, იქაურობას გაერიდა და შინ დაბრუნდა. სულმოუთქმელად ირბინა ქოხამდე. შინ შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა. დილამდე შიშით ელოდა ემინას დაბრუნებას. ინათა, ის კი არ ჩანდა! დამშვიდდა კადირი. ცხოვრება შეუმსუბუქდა. ცოტა ხნის შემდეგ, მარტოხელობა ისევ მობეზრდა, გაუჭირდა. ცოლის ბუზღუნა ხასიათიც დაავიწყდა, მარტო მყუდროება, სადილის სურნელი, სუფთა თეთრეული ახსენდებოდა: „მოდი, წავალ და ენახავ, იქნებ ცოცხალია; უკან წამოვიყვან. შეიძლება, უფრო დამყოლი გახდეს, მე ხომ სიკვდილისგან ვიხსნიო“.

წავიდა ტყეში, ჭას სარქველი ოდნავ გადახადა და უცებ ვიღაცის აკანკალებული ხელი ჩაებღაუჭა და ხმა მოესმა: „დახურე ჩქარა, გემუდარები, დახურეო!

სარქველი ხელიდან გაუვარდა და ჭას მთლიანად გადაეფარა. კადირმა ახლაღა შეხედა იმ არსებას, ყელზე რომ ჩამოჰკიდებოდა და ეშმაკი იცნო.

— კეთილო კაცო, რაკი ამ ჭაში მყოფი დედაკაცისგან მიხსენი, რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ.

კადირი სარგადაყლაპულივით იდგა და ხმას ვერ იღებდა.

— შენი არაფერი მინდა, შინ გამიშვი.

— კარგი, — უთხრა ეშმაკმა, — ახლა არაფერი გინდა, მერე მოგინდება. აი, შენ ულვაშის სამი ღერი. შეინახე. ერთ მეფეს ერთადერთი ასული ჰყავს. მალე გაიგებ, რომ იგუდება და ექიმები ვერ ეხმარებიან. მისი მგუდავი მე ვიქნები. მოხვალ და მეფეს ქალის გადარჩენას შეჰპირდები. ჯილდოდ, რაც გინდა, ის სთხოვე. მეფე დაგთანხმდება. ოთახში შეხვალ, სადაც მეფის ასული წევს და ერთ ულვაშს დაწვავ. შენ რომ დაგინახავ, მაშინვე თავს დავანებებ. აიღე, რაც მეფეს სთხოვე და შინ დაბრუნდი.

გავა დრო და სხვა მეფის ასულს დავუწყებ მოგუდვას. შენ მოგძებნიან. ისევ მოდი, ითხოვე, რაც გენდომება, ულვაშის მეორე ღერი დაწვი და გავქრები. მაგრამ მესამედ რომ მოვგუდავ სხვა მეფის ასულს, აღარ მოხვიდე. იცოდე, თუ მოხვალ, მეფის ასულს თავს დავანებებ და შენ გაგგუდავ. გაიგე? იმ ორი მეფის ასულის გადარჩენისთვის მოპოვებული სიმდიდრე სიკვდილამდე გეყოფა.

საქმის ასეთი შემობრუნება კადირს მოეწონა კიდეც, გამოართვა ულვაშის ღერები და შინ წავიდა.

გავიდა დრო, მაცნეებმა ამბავი მოიტანეს: ერთი მეფის ასული იგუდება. მისი გადარჩენის მსურველები სასახლეში გამოცხადდნენ. ვინც მას გადაარჩენს, გულუხვად დასაჩუქრდებაო. კადირიც იქით გაემართა, მეფის ასულის საძინებელში შევიდა, ულვაშის ღერი დაწვა, ეშმაკიც მოეშვა პრინცესას და გაუჩინარდა. აიღო კადირმა ჯილდო და შინ დაბრუნდა. გამოხდა ხანი, შიკრიკებმა ახლა სხვა მეფის ასულის ავადმყოფობის ამბავი მოიტანეს, პრინცესას მკურნალს ამჯერადაც დიდ გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ: ვინც მკურნალ კადირის ადგილ-სამყოფელი იცოდა, სასახლეში იბარებდნენ.

კადირი მეორედ წავიდა მეფის ასულთან, გადაარჩინა, ჯილდო აიღო და შინ დაბრუნდა.

დიდხანს ცდა არ დასჭირვებია. ამჯერად ინდოელ პრინცესას შეეყარა იგივე სენი; მეფემ ხალხი გაგზავნა კადირის ჩამოსაყვანად. კადირი წასვლაზე უარს ამბობდა, მაგრამ პირობა წაუყენეს: ან წამოხვალ და მეფის ქალს მოარჩენ, ან სიკვდილით დაისჯებიო.

რა უნდა ექნა, წავიდა მესამე მეფის ასულთან.

როგორც კი მესამე ულვაში დაწვა, ეშმაკი მეფის ასულს დაეხსნა და კადირს სწვდა ყელში.

— ხომ გითხარი, მესამედ აღარ მოხვდიე-მეთქი! რატომ არ დამიჯერე?

— მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა! რამდენი ხანია შენ გამოჩენას ველოდები. მინდა გაგაფრთხილო, ემინა ჭიდან ამოვიდა და მთელ დუნიაზე დაგეძებს, — ვიპოვი და შავ დღეს დავაყრიო, — გემუქრება. ამიტომაც მოვედი აქ. ახლა კი ჩემი სიცოცხლე შენ ხელთაა, რაც გინდა, ის მიყავი. ოღონდ გახსოვდეს, რომ ემინა დაგეძებს. შენ მე გამამდიდრე, ამას არასოდეს დაგივიწყებ, ამიტომ მადლობის ნიშნად, ეს ამბავი შეგატყობინე.

ემინას სახელი რომ გაიგონა, ეშმაკი აცახცახდა, თვალებს ელდანაცემივით აქეთ-იქით აცეცებდა.

— რას მეუბნები! არ მეგონა, ჩემ გამო თუ მოხვიდოდი. ვიფიქრე, ოქრომ და სიმდიდრემ გონება დაგიბნელა. მადლობელი ვარ. ამ სნეულების სამკურნალოდ ამიერიდან აღარავინ დაგიძახებს. ამ მხარეს საერთოდ გავეცლები, — უთხრა ეშმაკმა და ხელი უშვა.

თქვა ეს და მეფის ასულის საძინებლიდან უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

კადირმა ჯილდო მიიღო, შინ დაბრუნდა და სიბერემდე უზრუნველ-უშფოთველად ცხოვრობდა.

„ვინ ვიყავი, ვინა ვარ, ვინ ვიქნები?“

იყო ერთი უშვილო ფადიშაჰი. წლები გადიოდა, ძალიან ნაღვლობდა, რომ მემკვდრე არა ჰყავდა. ყველა ურჩევდა, სხვა ცოლი მოეყვანა. ცდას აზრი აღარ ჰქონდა და ისიც ახალ ქორწინებაზე დათანხმდა. ახალგაზრდა ცოლმა ქალიშვილი გაუჩი-

ნა. კმაყოფილმა მბრძანებელმა თავის სამფლობელოში ხანგრძლივი მოგზაურობა წამოიწყო. მის არყოფნაში პირველმა ცოლმა და ვეზირმა პირი შეკრეს და ბავშვის თავიდან მოშორება განიზრახეს. ძიძას დახმარება სთხოვეს და დიდძალი ფული შესთავაზეს. ერთხელაც, ბავშვს რომ ასეირნებდა, ძიძა ბავშვის სისხლიანი ტანსაცმლით დაბრუნდა უკან და ამბავი მოიტანა: — ბავშვი ძაღლებმა დაგლიჯეს და მისგან მხოლოდ ტანსამცლის ნაფლეთები დარჩაო. დედა მწარედ ატირდა, დიდხანს გლოვობდა შვილს, მაგრამ რას იზამდა, ბედს შეეგუა. როდესაც ფადიშაჰი დაბრუნდა, საზარელი ამბავი შეატყობინეს. უზომო იყო მისი მწუხარება, მაგრამ ისიც ბედს შეეგუა და იფიქრა, — ეტყობა, განგებამ ასე ინებაო.

ძიძას კი ისე შებრალებია ბავშვი, რომ მოსაკლავად არ გაუმეტებია, ერთი მეწისქვილისთვის მიუგდია, ბავშვიანი კალათა წისქვილის კართან დაუტოვებია. მეწისქვილეს ოთხი ვაჟი ჰყავდა და გოგონაზე ოცნებობდა. როცა კალათში გოგონა იპოვა, შინ შევიდა და ცოლს ახარა:

— დედაკაცო, ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება და ქალიშვილი გვიბოძა!

ასე მოხვდა გოგონა მეწისქვილესთან. როცა წამოიზარდა, დედობილ-მამობილმა გადაწყვიტა, ასეთი გონიერი, ლამაზი ქალიშვილი უცხოზე კი არა, ერთ-ერთ ვაჟიშვილზე დაექორწინებინა. გოგონას უამბეს, როგორ მოხვდა ის მათ ოჯახში, რათა ბავშვობიდანვე სცოდნოდა, რომ „ნაპოვარა“ შვილი იყო. გოგონა გაიზარდა, უფროსი ვაჟის დაცოლშვილების დრო მოვიდა. მეწისქვილემ რაც ჩაიფიქრა, აასრულა კიდეც და ისინი დააქორწინა. როცა ახალგაზრდებს ვაჟი ეყოლათ, რძალმა ნებართვა სთხოვა, ბავშვისთვის „ვინ ვიყავი“ დაერქმია. ეს კი იმით ახსნა, რომ:

— მინდა ვიცოდე, ვინა ვარ და თქვენთან საიდან მოვხვდი. გავა დრო და მის სახელს რომ გაიგონებენ, დაინტერესდებიან ამ უცნაური სახელით და ამბავს იკითხავენ. იქნებ ასე მაინც ვიპოვო ნამდვილი მშობლები. ნუ გეწყინებათ, ძალიან მიყვარხართ და მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ, თუმცა მინდა ჩემი წარმომავლობის ამბავიც ვიცოდე.

დედობილ-მამობილმაც ნება დართო.

მეორე შვილს, — „ვინა ვარ“ დაარქვა, მესამეს — „ვინ ვიქნები“.

ფადიშაჰი თავის ამალასთან ერთად სამფლობელოში მოგზაურობდა. წისქვილთან ახლოს შემოაღამდათ. მეწისქვილეს სთხოვეს, — ღამე გაგვათევინეო. მეწისქვილემ ღამის სათევი მიუჩინა და ავახშმა. ვახშმის შემდეგ სტუმარმა თქვა:

— სიამოვნებით დავლევდი ჭის ცივ წყალს.

მეწისქვილემ შვილიშვილს გასძახა:

— „ვინ ვიყავი", სტუმარს ჭის წყალი მოართვი.

სტუმარი უცნაურმა სახელმა გააოცა:

— რა საკვირველი სახელია, ქვეყნიერება შემომივლია და მსგავსი სახელი არა მსმენია. რა აზრი ძევს ამ სახელში?

ამ დროს მეორე შვილიშვილმა მოირბინა:

— ბაბუა, მეც მინდა, სტუმარს რაიმეთი გავუმასპინძლდე.

— „ვინა ვარ", შენც წყალი მოუტანე.

სტუმარს ცნობისმოყვარეობა კლავდა და მეწისქვილეს ამ უცნაური სახელების ახსნა სთხოვა. მეწისქვილემ ყველაფერი თავიდან-ბოლომდე უამბო. თხრობა ამ სიტყვებით დაასრულა:

— მესამე შვილიშვილს კი ჩემმა რძალმა „ვინ ვიქნები" დაარქვა.

სტუმარმა სთხოვა რძლისათვის ეხმო:

— რა გინდოდა ამ უცნაური სახელებით გეთქვა? — ჰკითხა ქალს ფადიშაჰმა.

— როცა ამ სახელებს ვარქმევდი, ვიმედოვნებდი, რომ ოდესმე, მავანი და მავანი — ვისაც თავს იგივე გადახდენია, რაც მე გადამხდა — ყურადღებას მიაქცევდა ამ სახელებს და მათ ამბავს იკითხავდა. იქნებ ასე მაინც გამოაშკარავებულიყო ჩემი წარსული და მეც შემეტყო, — ვინა ვარ და აქ საიდან მოვხვდი.

სტუმარი დაფიქრდა. რამდენიმე შეკითხვა დაუსვა მეწისქვილეს, წისქვილში გოგონას გამოჩენის თარიღი ქალიშვილის დაღუპვის თარიღს შეადარა, ყველაფერი ემთხვეოდა. დარწმუნდა, რომ მის წინ ბავშვობაში დაკარგული ქალიშვილი იდგა. გადაეხვია და უთხრა: — შენ სიკვდილში მუდამ ეჭვი მეპარებოდაო.

სასახლეში ყველა ერთად დაბრუნდა. ფადიშაჰმა პირველი ცოლი და მისი თანამზრახველი ვეზირი დილეგში ჩაყარა. სიძე თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, ხოლო თავისუფალ დროს შვილიშვილებთან — „ვინ ვიყავი", „ვინა ვარ", „ვინ ვიქნები" — ატარებდა.

ერთხელ ფადიშაჰმა იმის შემოწმება მოიწადინა, თუ რამდენად კანონმორჩილი ქვეშევრდომები ჰყავდა. განკარგულება გასცა:

„ხვალ, როგორც კი სიბნელე დაისადგურებს, სახლებში სინათლე არ აანთოთ. ვინც ბრძანებას არ დაემორჩილება — სიკვდილით დაისჯებაო!"

მეორე დღეს, შებინდებისთანავე, ფადიშაჰი უფროსი ვეზირისა და დაცვის თანხლებით სასახლიდან გავიდა იმის შესამოწმებლად, მის ბრძანებას როგორ ასრულებდნენ. წყვდიადში ჩაძირულ ქალაქს თვალი მოავლო და უცებ... რას ხედავს — სოფლის განაპირას სინათლე ბჟუტავს. „ხომ გამოვიჭირე", გაიფიქრა მან და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად იქით გაემართა, საიდანაც შუქი მოდიოდა. ერთი სული ჰქონდა ის ადამიანი ეხილა, რომელმაც მისი ბრძანების დარღვევა გაბედა.

ერთ ძველ, პატარა ქოხს მიადგნენ, გაუფრთხილებლად შეეიდნენ შიგნით, სადაც ასეთი სურათი დახვდათ: მოხუცი კაცი და პატარა ბიჭი კერიას მისხდომიან, ახალგაზრდა ქალი კი დაზგაზე, ამ სინათლის შუქზე ხალიჩას ქსოვს.

— მოხუცო, შენ რა, ფადიშაჰის ბრძანების შესახებ არაფერი გსმენია — დაბნელებისას სახლებში სინათლე არავინ აანთოს, თორემ ურჩები სიკვდილით დაისჯებიანო?

— მსმენია, მაგრამ სინათლეს თუ არ ავანთებ, ჩემი შვილიშვილი ხალიჩას ვერ დაამთავრებს და ხვალ ბაზარზე გასაყიდიც არაფერი გვექნება. ჩვენი ერთადერთი მარჩენალი ჩემი შვილიშვილია. მეორე შვილიშვილი — ეს ბიჭი — ჯერ პატარაა, მე კი მოვხუცდი და ჯან-ღონე გამომელია, მუშაობა სადღა შემიძლია. ჰოდა, თავად განსაჯეთ, უშუქოდ ხალიჩა არ გვექნება. ხალიჩა თუ არ იქნება — ვერც ფულს ვიშოვით, ამის გამო შიმშილით დავიხოცებით. ცეცხლს თუ დავანთებდით და ფანჯრებს დავგმანავდით, ხალიჩის ქსოვასაც დავამთავრებდით. ბრძანება მოვისმინეთ, მაგრამ იმედი გვქონდა ამ დიდ ქალაქში ჩვენს პატარა სარკმელს ვერავინ შეამჩნევდა, ხოლო თუ შეამჩნევდნენ... რა მნიშვნელობა ექნებოდა, რა მოგვიღებდა ბოლოს, ასეც დავიხოცებოდით და ისეც.

მოხუცის სიტყვებმა განრისხებულ ფადიშაჰს გული ოდნავ მოულბო.

— ამ ბავშვების მ'მობლები სადღა არიან? შენ რატომ ზრდი? — თავისას არ იშლიდა ფადიშაჰი.

ჯერ სიძე მომიკვდა, მერე ქალიშვილი გამიხდა ავად და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ დამიბარა, — ჩემ შვილებს მიხედეო. შვილი დავკრძალე, ბავშვები ჩემთან წამოვიყვანე და სამივენი ერთად ვცხოვრობთ. ეს გოგონა რომ არა, ახლა ცოცხლები არ ვიქნებოდით.

გოგონა ფადიშაჰს თვალში მოუვიდა. როცა მბჟუტავ სინათლეს თვალი შეაჩვია, დაინახა, რომ ის ცალი თვალით ელამი იყო და ვეზირს ჩუმად გადაულაპარაკა: — ბუხარი კი კარგად ათბობს, მაგრამ საკვამური დაცერავებულიაო.

გოგონა მიხვდა, სიელმეზე რომ გადაუკრეს:

— საკვამურს რას უყურებ, ფადიშაჰო, ყურადღება იმას მიაქციე, რომ კვამლი პირდაპირ ზეცაში ადის, ისეთი ძალით გაიწოვება საბუხრე მილიდან.

მიხვდა ფადიშაჰი, რომ ქალიშვილმა მისი სიტყვების ფარული აზრი ამოიცნო.

ბერიკაცისთვის დასმულ ყველა შეკითხვას ის პასუხობდა, მოხუცს პასუხის გაცემას ასწრებდა. მისი პასუხები სწრაფი და გონივრული იყო.

ფადიშაჰმა ოჯახს ბრძანების შეუსრულებლობა მიუტევა და ამალასთან ერთად სასახლეში დაბრუნდა. გამოხდა ხანი, მაგრამ ფადიშაჰი გონიერ გოგონას ვერ ივიწყებდა. ბოლოს ვეზირს უხმო და გოგონასთან შუამავლობა სთხოვა.

გაოცებულმა ვეზირმა უთხრა:

— ფადიშაჰო, უქეიფოდ ხომ არ შეიქენი, მახსოვრობა ხომ არ გლალატობს? ხომ არ დაგავიწყდა, ვინა ხარ? შენი ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ აქ, სასახლეში მოგგვარონ, წამის უსწრაფესად შენი ნათელი მზერის წინაშე გააჩინონ.

— არა, არ მინდა ჩემი ბრძანებით გამოცხადდეს. მინდა, მისივე თანხმობით, ნებით მოვიდეს. ის ხომ სხვებს არა ჰგავს, აკი შენი თვალით ნახე?!

რა გაეწყობოდა, წავიდა ვეზირი ბერიკაცთან. ქალიშვილმა მოუსმინა ვეზირს და ჰკითხა:

— რა ხელობის კაცია ეგ თქვენი ფადიშაჰი?

ვეზირი არანაირ შეკითხვას არ ელოდა, მაგრამ ამ შეკითხვამ საერთოდ გააოგნა:

— რას ამბობ, რა ხელობაზე მელაპარაკები, ის ხომ ფადიშაჰია!

— მერე რა! ეს თანამდებობაა, მე კი ხელობაზე გეკითხები. აი, როცა შეძლებ იმის თქმას, თუ რა ხელობა ემარჯვება, ცოლადაც მაშინ გავყვები.

გაოცებული ვეზირი ფადიშაჰთან დაბრუნდა და ქალიშვილის უცნაური პირობა ამცნო. თქვენ წარმოიდგინეთ, ფადიშაჰი ცოტა კი აბუზღუნდა, მაგრამ ვეზირს უბრძანა ისეთი ხელობა გამოეძებნა, რომლის შესწავლას სამ-ოთხ დღეში მოახერხებდა. ვეზირი ხელოსნებს დაეკითხა და ბოლოს ის ხელობა შეარჩია, რომელიც ფადიშაჰის შესაფერისად მიიჩნია, — მბეჭველის ხელობა.

ოსტატმა ფადიშაჰს თავისი ხელობა ერთ კვირაში შეასწავლა. ამისთვის მატყლი სჭირდებოდათ, რაც ყველგან იშოვებოდა. საღებავი და მდუღარე წყალიც მუდამ ხელმისაწვდომი იყო.

ქალიშვილს შეატყობინეს: — შენი პირობა შევასრულეთო. მანაც თანხმობა შეუთვალა, ქორწილი გადაიხადეს და ქალიშვილმა სასახლეში დაიდო ბინა.

ორი წელი გავიდა მათი ქორწინებიდან, მაგრამ ფადიშაჰს მისი პირობა თავს ახსენდებდა ხოლმე:

— არა, მაინც რატომ მაიძულე ხელობის შესწავლა, ფადიშაჰი თუ ვიყავი, რა, ოჯახის რჩენას ვერ შევძლებდი?

კიდევ რამდენიმე წელი გავიდა. შვილები შეეძინათ, ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა.

ერთხელაც ფადიშაჰი ამალასთან ერთად სასეირნოდ წავიდა. გზად სამიკიტნოში შეიარეს. ამ სამიკიტნოში ისეთი კერძებით უმასპინძლდებოდნენ, სხვაგან არსად რომ არ ამზადებდნენ. თუმცა ამ სამიკიტნოს ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. იქ, ზოგჯერ, სტუმრები იკარგებოდნენ. თავის თავში დარწმუნებული ფადიშაჰი თამამად შევიდა სამიკიტნოში. ზღურბლთან გულღია მასპინძელი შეეგება და განცალკევებულ ოთახში შეუძღვა. ისეთი ნუგბარ-ნუგბარი კერძები მიართვეს, რომელთა მსგავსი სასახ-

ლეშიც არასდროს ეგემნა. საჭმელს მაშინვე შეექცნენ და ვერც შეამჩნიეს, გაშლილი მაგიდა მათთან ერთად როგორ გაუჩინარდა იატაკქვეშ. როცა მზერა საჭმელს მოსწყვიტეს და თავი აწიეს, დაინახეს, რომ იმ ოთახში კი აღარ იყვნენ, რომელშიც შევიდნენ, არამედ ორმოს მსგავს ხაროში იმყოფებოდნენ. რამდენიც არ უნდა ეყვირათ, ხმას ვერავის მიაწვდიდნენ.

დილით ორი კაცი მივიდა და ფადიშაჰი სადღაც წაიყვანა. ფადიშაჰმა რაღაც იეჭვა და ჰკითხა: — სად მივდივართო?

— ახლა დაგკლავთ და შენი ხორცისგან ჩვენს სახელგანთქმულ კერძს მოვამზადებთ, ასე რომ იზიდავს სტუმრებს. თქვენ ბევრნი ხართ, ხორცი ორი-სამი დღე გვეყოფაო.

— ჩვენი ხორცით რამდენ ფულს იშოვით, სხვა რამეს გთავაზობთ. მატყლი და საღებავი მომიტანეთ. მდუღარე წყალი ისედაც გექნებათ. თექას დაგიმზადებთ, რაც ბევრად მეტ მოგებას მოგიტანთ და მუდმივად ასე იქნება. შეკვეთა მაქვს, მუშტარი საქონელს ელოდება. თქვენ ამ საქონელს მას წაუღებთ და ფულსაც მაშინვე გადაგიხდიან. ეს თქვენ მოგეწონებათ, ასე რომ, სამიკიტნოსაც დახურავთ, რადგან აღარაფერში გამოგადგებათ.

მაცდური პირობა იყო და მასპინძელმაც გადაწყვიტა ბედი ეცადა, — ვინ იცის, იქნებ გაამართლოს. მათ დაკვლას ისედაც მოვასწრებო, — გაიფიქრა და დათანხმდა.

ფადიშაჰის რჩევით პირველივე ხელი საქონელი სასახლეში გაგზავნეს.

ცოლმა თექა რომ დაინახა, მიხვდა, სად ეძებნა ქმარი, მაგრამ არ შეიმჩნია. დიდი რაოდენობით თექა დაუკვეთა. ფადიშაჰმა თექის ნახჭებით თავისი ადგილ-სამყოფელი მიანიშნა და როცა ცოლმა თექები ნახა, მაშინვე ყველაფერი შეიტყო. მცველებთან ერთად სამიკიტნოს მიაშურა. მისი პატრონი დაიჭირეს, აწამეს და გამოტეხეს. საიდუმლო ოთახიც აღმოაჩინეს და ყველა, ვინც იქ გამოემწყვდიათ, გაათავისუფლეს, მერე კი ფადიშაჰიც იპოვეს. ცოლმა მორიგი თექის ბეჭვისას მიუსწრო, მის შემხედვარეს გულიანად გაეცინა და უთხრა:

— ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ხელობა არასოდეს გიმტყუნებსო?!

გაუგონარი ტყუილი

ერთხელ, ფადიშაჰმა, რომელიც მშვენიერ გუნება-განწყობაზე ბრძანდებოდა, შიკრიკებს უბრძანა ხალხისთვის ეცნობებინათ: ყველას, ვინც ისეთ ტყუილს მოიგონებს, სიმართლისგან რომ ვერ გავარჩევ, გულუხვად დავაჯილდოვებო.

იოლად გამდიდრების მოყვარულნი, მატყუარები, თავგადასავალთა მაძიებელნი სასახლეს მიაწყდნენ. ფადიშაჰმა ყველას დაუმტკიცა, რომ მათი მონაყოლი წმინდა წყლის ტყუილი იყო.

მომსვლელებში ერთი ზურგზე კოკაწამოკიდებული კაციც ერია.

— მოწყალეო მბრძანებელო, მრავალი წლის წინ, როცა სამეფო გასაჭირში ჩავარდა, მამათქვენმა მამაჩემისგან ერთი კოკა ოქრო ისესხა და დაბრუნების პირობაც მისცა. მამაჩემმა სიკვდილის წინ მაცნობა ეს ამბავი. ახლა ვხედავ, ჩვენი სახელმწიფო გაფურჩქვნის ხანაშია და ვალის დასაბრუნებლად გეახელით. აი ეს კოკა, პირთამდე ოქროთი ამივსეთ.

— ეს გაუგონარი ტყუილია! — წამოიძახა ფადიშაჰმა.

— თუკი ეს ტყუილია, მაშინ ჯილდო მეკუთვნის, — მიუგო კაცმა.

— არა, ეს ტყუილი არ არის. — გადათქვა ფადიშაჰმა.

— მაშინ, ვალი დამიბრუნეთ! — სიტყვა მოუჭრა კაცმა.

ანდაზები

1. აჩქარება ხეა, სინანული — ნაყოფიო.
2. აჩქარებით მანძილს ვერ შეამოკლებო.
3. სულსწრაფ საქმეში ეშმაკის ხელი ურევიაო.
4. ვისაც სიმწარე არ უგემია, სიტკბოს გემოს ვერ გაუგებსო.
5. დამწუხრებულ ადამიანს ჭკუა არ უჭრისო.
6. მშიერი ძაღლი საცხობს დაანგრევსო.
7. მაძღარი მშიერს ვერ გაუგებს, როგორც ჯანმრთელი — ავადმყოფსო.
8. მშიერი კუჭს გაიძღობს, თვალს კი ვერაო.
9. მშიერი ძაღლი მგელსაც არ ეპუებაო.
10. მშიერი მგელი ლომსაც დაეტაკებაო.
11. მშიერს ძილიც არ ეკარებაო.
12. დაღებული პირი მშიერი არ დარჩებაო.
13. ღია ჭრილობას მარილს არ აყრიანო.
14. მშიერ კაცს ფეტვის პური ჰალვაზე გემრიელი ეჩვენებაო.
15. მოთმინებიდან გამოვიდა, გამოვიდა და გაუტიაო.
16. ნუ აიძულებ, სკივრს თავი ახადონ, ცუდის სათქმელად პირს ნურავის დააღებინებო.
17. ერთხელ მოიპარე და საუკუნოდ ქურდად იქეციო.
18. ეშმაკს თვალიდან სურმას ჰპარავსო.
19. ჩვეულება — მეორე ბუნებააო.
20. ჭია ხეს შიგნიდან ღრღნისო.
21. სჯობს გვიან, ვიდრე ძნელადო.
22. დაგვიანებულ საქმეში სიკეთეც არისო.
23. თავი ბაღჩაში არ იზრდებაო.
24. თავი გებას და თუნდაც ვირისაო.
25. ნამდვილი ცრემლით მარტო დედა ტირის, სხვები — თვალს ძალით ინამავენო.
26. მკედარზე ნუ წუხხარ, ცოცხალზე იზრუნეო.
27. საყვარელს ცრემლით ვერ შეაკავებო.
28. იოლად მოსულს, იოლად დაკარგავო.
29. ავის ჩამდენი, სიავითვე ისჯებაო.
30. შინაური ანგარიში ბაზარში არ მართლდებაო.
31. სახლის მფლობელს ერთი სახლი აქვს, დამქირავებელს — ათასიო.

32. მისატყუებლად ერთი მარცვალიც არ აბადია, წისქვილის რიგში კი ჩამდგარაო.
33. ღარიბისთვის პური ჭვავია, თხა კი — ძროხაო.
34. ღარიბის ნუგეში სიკვდილიაო.
35. ბედი ვისთვის დედაა, ვისთვის — დედინაცვალიო.
36. ბედი ზოგს დიდ დოლზე აბრაგუნებინებს, ზოგს — პატარა დაფდაფზეო.
37. ცუდი თუ არა შეგმთხვევია რა, კარგის ფასსაც ვერ გაიგებო.
38. ცუდი ამბავი უფრო სწრაფად ვრცელდებაო.
39. ვაჟი ეუბნება: „მამა, სამოთხეში მოხვდებიო", მამა პასუხობს: „არა მჯერა, შვილო, მე ხომ ვიცი, რა ცოდვებიც ავიკიდეო".
40. ბრმა ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობსო.
41. ბრმა თავის ჯოხს მხოლოდ ერთხელ კარგავსო.
42. ზოგი ჭირი მარგებელიაო.
43. თავისუფლებას მხოლოდ სიკვდილი გვანიჭებსო.
44. ჯანმრთელ თავს ბალიში არ სჭირდებაო.
45. თეთრ ცხვარსაც ჰყავს შავი ბატკნებიო.
46. რაც პატიოსნად გიშოვნია, ეშმაკს იმის ნახევარი მიაქვს, უპატიოსნოდ ნაშოვნს კი ეშმაკი პატრონიანად წაილებსო.
47. საუკეთესო თავდაცვა — თავდასხმაა.
48. თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო.
49. მოსახდენი მოხდებაო.
50. წეროების გუნდს თუ ყვავი მეთაურობს, წეროებს ნისკარტი სამუდამოდ ნეხვში ჩარგული ექნებათო.
51. ახალი ყველაფერი კარგია, მეგობარი კი ძველი სჯობიაო.
52. მეგობარს საიდუმლოს ნუ გაანდობ, იმასაც თავისი მეგობარი ჰყავსო.
53. საიდუმლოს ნაცად მეგობარსაც ნუ გაანდობ, შეიძლება, საფრთხობელად გაქციოსო.
54. თუ კარგი მეზობელი გყავს, ხეიბარ ქალიშვილსაც იღბლიანად გაათხოვებო.
55. წვიმას ემალებოდნენ და სეტყვაში მოხვდნენო.
56. ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო.
57. ყოველ საღამოს თავისი დილა აქვსო.
58. ცოცხლებს ჰგონიათ, მიცვალებულები იმქვეყნად ჰალვას მიირთმევენო.

59. თევზი ფიქრობს, პირში წყალი რომ არ მქონდეს ჩაგუბებული, ბევრ რამეს ვიტყოდიო.
60. შენს ნივთებს ისე მოუფრთხილდი, რომ მერე მეზობელს ქურდობა არ დასწამოო.
61. მომპარავი ერთ ცოდვას სჩადის, დამკარგავი — ათასსაო.
62. სამოთხეში მინდა, მაგრამ ცოდვები არ მიშვებენო.
63. ორ ღორის თავს ერთ ქვაბში არ ხარშავენო.
64. ფეხს ავუჩქარე — უბედურებას დავეწიე, ნელა წავედი — უბედურება დამეწიაო.
65. რასაც ჯამში ჩაყრი, კოვზითაც იმას ამოიღებო.
66. თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო.
67. გიჟისთვის სულ ერთია — გინდ აქ ყოფილა, გინდა ბაღდადშიო.
68. ერთმა გიჟმა ჭაში ქვა ჩააგდო და ორმოცმა ჭკვიანმა ამოღება ვერ შეძლოო.
69. ერბო-კვერცხს უგუნური ძაღლი თუ ინატრებსო.
70. ფეხები იქამდე გაიწვდინე, სადამდეც საბანი გაგწვდებაო.
72. წარბის შესწორება უნდოდათ და თვალი კი ამოთხარესო.
73. ძაღლთან დაწოლილს, ტილები დაესევაო.
74. ვისაც ვარდი უყვარს, ის ეკლებსაც აიტანსო.
75. იმ კაცს უფრხილდი, ვისაც სიკეთე გაუკეთეო.
76. მტირალის ქონება მოცინარს სარგებელს არ მოუტანსო.
77. სიკვდილი შავი გორგალია, ყველა სახლში შეგორდებაო.
78. სიკვდილი საპალნეაკიდებული აქლემია, ყველას წინაშე მუხლებზე დაიჩოქებსო.
79. ზურგი რომ მქონოდა, მუცელში ჩარტყმას ვერ გამიბედავდნენო.
80. ვინც შრომობს, იმას ეხმარებიანო.
81. მამას შვილისთვის მთელი ვენახი არ ენანება, შვილმა მამისთვის კუფხალიც ვერ გაიმეტაო.
82. თვინიერმა ცხენმა მწარე წიხლი იცისო.
83. მერე რა, რომ ცხვარს დიდი დუმა აქვს, მხოლოდ უკანალს უფარავსო.
84. გიჯობს ერთ ღმერთს შეეევედრო, ვიდრე ორმოც წინასწარმეტყველსაო.

ნაზირას მიერ შეგროვილი მაკმადიან მესხეთა ხალხური პოეზიის ეს ნიმუშები თურქული ენის ანატოლიური დიალექტიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

* * *

ტაბაკია თუ გობია, —
ვაშლი თავს გადამხობია.
ბევრი ქვეყანა მივლია,
ჩემსას ვერცერთი სჯობია:

* * *

მტრედი გაფრინდა, რა ვუყო?
ბალდადს ჩაფრინდა, რა ვუყო?
ახალციხის და აწყურის
დარდმა დამფლითა, რა ვუყო?

* * *

არცა ვარდი ყველგან ჭვირსა,
არც ბულბული მისთვის ტირსა.
ბედმა ერთურთს დაგვაცილა,
გადაგვყარა: ვინ — სად, ვინ — სად.

* * *

ყარიბო, ყველას მქენებო,
შე ხელ-მუხლ-დაუსვენებო,
ვისაც ბინა აქვს, შინ წავა,
შენ სადღა გაათენებო?

* * *

შორს, ზღვა რო ტალღებს აფოთებს,
ნავები ჰგვანან ნაფოტებს,

სამშობლოს მოშორებულსა
ძილშიც სამშობლო აბოდებს.

* * *

ხელთ სანთლით, სანთლის სახითა,
დავალთ ახით და ვახითა,
ჩვენს მიწას, ჩვენს ხალხს გაგვყარეს,
დაგვადგნენ იარაღითა.

* * *

უდედ-უმამოდ, ხანგრძელი
ეს ჟამი როგორ გავძელი?!
უცხო თემს ვწევარ სნეული,
არვინ მყავს გულის დამწველი.

* * *

ვტირი ჩემთვის, ჩემს ოთახში,
ეს ვარამი მომკლავს ახში,
ფოთოლივით ჩამოვცვივდი
ამ ცხოვრების ვერან ბაღში.

* * *

მთვარე ჩამოდგა ბინაში,
ვით ვარდისწყალი მინაში.
ქვეყანა მურაზს ეწია,
მელა ვარ ოხვრა-გმინვაში.

* * *

ჟამი მიჰქროდა აფრითა,
ყვავილითა და დაფნითა,
ჯეილი ჭკუით ვერ მივხვდი,
რო სიჯეილე გაფრინდა.

* * *

იხვო, ლამაზო თვალადა,
მცურავო ჭალა-ჩალადა,
შენი მეწყვილე რა უყავ,
რატომ დაცურავ ცალადა?

* * *

ჰეი, შე შავო ღრუბელი,
წვიმა-წყლის დასაგუბელო,
სატრფოს წერილი მიწვდინე,
ცაში რო მიჰქრი უბელო.

* * *

ვაშლის ხეები ჩანანო,
ლამაზად მწკრივში დგანანო,
ეს აწყურელი ქალები
გიჟმაჟ ჯეირნებს ჰგვანანო.

* * *

ოქროს ბეჭედში ლალი ვარ,
თვით ოქროდ მისათვალი ვარ,
ჩემ თავსაც ძვირად ვაფასებ,
გურჯისტანელი ქალი ვარ.

* * *

პატრონმა გააშენა რა.
ბაღი შეძეძვა, შენარა,
ტყუილად ლიქნი მამაჩემს,
სიძედ სხვა უნდა, შენ — არა.

* * *

ბაღი მაქვს საგსე ლელვითა,
შემოვიარე ფეხითა,

სატრფო მოგდისო, მახარეს,
გავვარდი კისრისტეხითა.

* * *

ეგ ბროწეული მოიტა,
თუ გსურს, შეგმოსო მოვითა,
კარებში ჩრდილი დავლანდე,
მეგონა, სატრფო მოვიდა.

* * *

ყარამფილისა კონა ვარ,
ბულბული — ვარდის მონა ვარ,
სნეული ვწევარ, მომხედოს,
სატრფოს უთხარით ონავარს.

* * *

სიკვდილო, დარში, ავდარში,
რას დაძრწი ზაფხულ-ზამთარში,
ჯერ ჯეილი ვარ, ნუ მომკლავ,
ჯერ არ ჩამწერო დავთარში.

* * *

ფანჯარაში ამ დილითა,
დაგინახე მანდილითა,
გოგო, შენი სილამაზე
მომკლავს შენი წადილითა.

* * *

მიხაკს რად უნდა სურნელი,
თუკი არა ჰყავს მსურველი,
ამაღამ სატრფოს მოველი,
მოვა, არ მოვა, — სულ ველი.

* * *

ჩვენი სახლი — სახლივითა,
თქვენი — დუქან-დახლივითა,
ბიჭო, რა სულ უკან დამდევ
სალახანა ძაღლივითა.

* * *

ქადავ, ტკბილად დასაცხობო,
ვაშლო, გობზე დასაწყობო, —
ნანდაური რო მეწვევა,
მისთვის ჯიბეს ჩასაწყობო!

* * *

თურაშაულსა ქებულსა,
ჩაწითლულ-ჩაშაქრებულსა, —
ჩავკბეჩ და, ძმას კი არ მივცემ,
ვაჩუქებ შეყვარებულსა.

* * *

წყალი ჩამოდის მღერითა,
არხში ინჩქრევა ჩქერითა,
თვალები ჩამომილამდა
მიჯნურის გზაზე ცქერითა.

* * *

გამოდის ბადრი მთვარე,
გულს მიკლავს დარდი მწარე,
ან ჩემ საყვარელს შემყარე,
ან მომკალ, ღმერთო, ბარემ.

* * *

ჭირიმე მთვარის, ბადრისა,
ცის თაღზე მონავარდისა

საყვარლის ნელსურნელი მცემს,
მსგავსი აწყურულ ვარდისა.

* * *

ლექსის სათქმელად მოვედი,
ხილის საჭმელად მოვედი,
ხილიც საბაბად მოვიდე, —
შენთვის საცქერლად მოვედი.

* * *

გეტყვი ჩემი გულის ამბავს, —
სიყვარულის ქსელი ლამბავს,
ჩემ ნანდაურს ვენაცვალე,
მაღალსა და შავთვალწარბას.

* * *

ეს ფანჯარა — ანჯამითა,
ღვინოსა ვსვამ ამ ჯამითა,
ჩემ საყვარელს ვენაცვალე
ამ გულით და ამ ჯანითა.

* * *

როს ვიხილე შენი სახე,
ვარდს და მიხაკს დავასახე,
თორმეტ ჭედილას დაგიკლავ,
მარტო ხელზე ხელი მახე.

* * *

მივდიოდი ტყეშია,
ტყვია მომხვდა ხელშია,
სხვა ექიმი მე არ მინდა,
სატრფო მედგას გვერდშია.

* * *

ვისაც მახე დაუგია,
თავი თავად წაუგია,
ორი დღეა გოგო მიყვარს,
უკვე ყველას გაუგია.

მორზე დავჯექ, დავდე ბარგი,
დანა ვპოვე დანაკარგი.
რა ძალიან იპრანჭები,
სხვა გავიცან შენზე კარგი.

* * *

სადაფასხმული მკერდი ვარ,
დარდისგან ანაყბედი ვარ,
გინდა მითხოვე, გინდ — არა,
მე მაინც შენი ბედი ვარ.

* * *

ყარამფილი თავით მედო,
ჩემი გულის საიმედო,
გუშინ ღამე სად იყავი,
ეგ მითხარი ჩემო მტრედო.

* * *

ორი წყარო — გვერდიგვერდსა,
ჩაველ, დავეწაფე ერთსა,
სატრფოს დედას ვენაცვალე, —
ხვალე, ხვალზეგ — ჩემ სიდედრსა!

* * *

სულ სუმბული და სულ ია,
მთის წვერი დანისლულია,

გოგო, შენს მოგონებაზე
მითრთის გული და სულია.

* * *

გულში რაც დარდი მეწება,
სულ შენგან ამეწეწება,
ამოვთქვა, — რა ვქნა, — ხალხსა სწყინს,
არ ვთქვა და, — ჯანი მეწვება!

* * *

სხვა სატკივარი კი არა, —
ეგ ეშხი მესატკივარა;
თუკი მკურნალი არ იყავ,
რატომ გამიხსენ იარა.

* * *

ცრემლი და დარდი მეწია,
სევდა მკლავს გულის მწეწია,
გავალ, გავხედავ გორიდან,
იქნებ ჩემი ძმა მეწვია.

* * *

ეს ჩვენი ხევი გრძელია,
ქარ-ყინვა იცის ძნელია.
აფერუმ ჩემ თავს — ჩერქეზ ცოლს
დღემდის რო გავუძელია!

ფერღანის ტრაგედია

(პოემა)

სანახაობა შემზარავი
ამისი დარი არავის უნახავს;
ვერავინ გაიგო
ამ დარბევის ფარული აზრი.
ქვეყნიერების დასასრულის
დღე დადგა თითქოს
ხელისუფალთა მდუმარებით
აღვირახსნილი.
ალყა შეიკრა მესხების ირგვლივ:
ამაზედ ვტირი!
ხსნას დაეძებდნენ რაიონულ კლუბში მესხები;
იქაც მიაგნო, თავს დააცხრა მტერი ვერაგი.
ჩვენს დასახსნელად
არ აღმდგარა ხელისუფლება,
ქვეყნიერების აღსასრული დადგა იმ კლუბში.
ამაზედ ვტირი!
ააწიოკეს, მოაოხრეს ათასი სახლი,
შელეწეს კარი, ჩაამსხვრიეს ყველა ფანჯარა
და სულიერი თუ უსულო
ამობუგეს ცოცხლად ყოველი.
და მძვინვარებდა ირგვლივ ცეცხლი,
ამაზედ ვტირი!
მტრებად გაგვიხდნენ ურჯულოები,
უბრალო სულებს ვინ დაითვლის ცოცხლად დაფერფლილთ.
ძარცვეს, გაცალეს დოვლათისგან ჩვენი სახლები.
ამის მხილველის გულმა ტკივილს როგორ გაუძლოს,
ამაზედ ვტირი!
ყოველ მაჰალში ხუთჯერ ასი შლეგი შეიჭრა,
ნაალაფარით იხარეს და უკან გაბრუნდნენ,
ვინც კი შემოხვდათ, ცეცხლს მიუგდეს,
ცოცხლად დაბუგეს.
ამაზედ ვტირი!
ცეცხლს მისცეს ჩვენი საცხოვრისი, რა არ იკადრეს,

ურჯულოებმა გაიტაცეს ავლა-დიდება
და აისრულეს საწადელი, რაც ჩაიფიქრეს,
არა, უბრალოდ არ ჩაუვლით ჩვენი წამება,
ამაზედ ვტირი!
წიხლით შელეწეს სახლს კარი და
ვინც შემოხვდათ — ჩამოახრჩვეს, ანდა აჩეხეს.
კუპრი შეასხეს სახლებს, უკეთ რომ ებურბურა
და გაქცეულებს, სათითაოდ, ტყვია ახალეს.
ხანძარმა შთანთქა კარმიდამო,
თვითმხილველებიც ცოცხლად იწვოდნენ.
ჩემს მწუხარებას ვინ გაიგებს, ვისთან ვიგლოვო.
ბედნიერ დღეებს არ მოასწროს ღმერთმა ისინი,
ვინც ამოგვწყვიტა, თოფი დაჰკრა
გამოქცეულებს.
ნაჭრილობევი სხეულები უხმოდ მოთქვამდნენ
და უპატრონოდ დარჩა მათი კოხტა სახლები.

ჩვენს მონაგარზე კვლავ უფლება აგვყარეს მესხებს,
ძარცვას ვერ გაექცა ვერცერთი სახლი,
მიტოვებულ, უპატრონო სახლებზე ვტირი!

კვნესამ დაფერფლა ჩვენი გულები
როდემდე უნდა იღვრებოდეს მესხების სისხლი?
ჩვენი სიმდიდრე და დოვლათი ხელთ იგდო მტერმა
კვლავ უსახლკაროდ დავეხეტებით.
ამაზედ ვტირი!
შავმა ღრუბლებმა გადაფარონ მთელი ფერღანა,
წვიმა მოვიდეს, ღვარცოფებმა შმაგად იდინონ,
ერთად შეჰყარონ ყველანი და სირდარში დანთქან,
აი ეს არის, რაც მინდა, რომ ღმერთს შევავედრო
და რაზეც ვტირი!
დე, შავმა ჭირმა მოსრას
მათი ტკბილი სულები,
სისხლმა შელებოს ალისფერმა,
ტკივილმა ტანჯოს,
ამაზედ ვტირი!

ძე-ხორციელი არ გადარჩეს, ყველა მოისპოს,
მიწისძვრამ განხვნას მთათა პირი და ხევ-ხუვები.
უშთამომავლოდ გადაეგონ,
რომ ვერავინ ველარ თქვას „დედა“.
დღისით და ღამით უფალს შევთხოვ თვალცრემლიანი,
მეხმა დალახვროს, ელვამ დაჰკრას
ფერლანას ისე,
რომ ცა და მიწა შეზანზარდეს და ცად აჭრილი
მტრის თვითმფრინავი მეხმა დალახვროს.
ვის შეეხიზნონ განდევნილი მესხები ახლა,
ვისთან ეძებონ სამართალი, ვის რა შესჩივლონ?
ბუდემოშლილი, გაფრენილა ნაზი ბულბული,
და ძველ ბუდეს ვერ უბრუნდება,
ამაზედ ვტირი!
აღარაფერი გვაბადია,
სამშობლო ჩვენი ახლა უკვე ბელგოროდია,
სანათესაოს მოწყვეტილნი, უცხო მხარეში
გემოს ვერ ვატანთ ვერც ცხოვრებას და
ვერც ლუკმა-პურს,
დაე, უფალმა ბედნიერი ბოლო გვაღირსოს,
ვამბობ და ვტირი!
სამ-სამი კომლი დაგვასახლეს და დიდ რუსეთში
ვმომთაბარეობთ, აქეთ-იქით დავეხეტებით,
უფლის გლახათა წამების ხმა უცებ გავარდა,
გაიგოს ყველამ მწუხარების მიზეზი ჩემი,
თუ რაზე ვტირი!
აქ ყველგან მხოლოდ წიფელი ხარობს,
ვინ ძმა დაკარგა, ვინ დას ეძებს და მერამდენედ,
მერამდენედ გვემეს მესხები.
უნდა გავუძლოთ ამ ტკივილსაც,
ამაზედ ვტირი.
ჰა, ბრძოლის ველზე ულუფები ჩამოარიგეს,
შავ თვალებს სისხლი მოასკდა და ცრემლად იხეთქა.
გული აგვივსო მრისხანებით მესხების ბედმა,
ამაზედ ვტირი!
სალამს არავინ დაგამადლის უცხო მხარეში,
მაგრამ არა გვყავს ახლობელი და მეგობარი.

აქ თოვლი იცის, იცის ქარბუქი,
ჩვენც ქარბორბალამ ჩაგვითრია,
ამაზედ ვტირი!
ძმა ძმას ვეღარ ცნობს, გაუცხოვდა ტომი ეული,
დიად რუსეთში დაუცველნი არვინ დაგვიცვა,
ხელისუფლებაც ვერას გვშველის,
ღმერთს ვთხოვ შეწევნას!
ვის ბატები ჰყავს, ვის იხვები,
და გაზაფხული და ზაფხული აქ სწრაფად გადის,
ამ სადაფის საზს სათქმელი არ გამოელევა,
მაგრამ დააწყდა საზს სიმები ამბის თხრობაში,
ამაზედ ვტირი!

აშული ოსმან უჩინაძე,
წინათუბანი, ახალციხის რაიონი,
1989 წლის 20 ივლისი.
თურქულიდან რუსულად
თარგმნა ნაზირა ვაჩნაძემ;
რუსულიდან – ასმათ ფარჯიანმა.

შემონახული დოკუმენტები და ფოტოები, ამ წიგნს რომ მინდა დავურთო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

380009, თბილისი 9, ზენაძის ქ. № 10
ტელ. 99-06-82

АКАДЕМИЯ НАУК ГССР

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ
И ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ
И. А. ДЖАПАХИШВИЛИ

380009, Тбилиси 9, ул. Зенадзе, 10
тел. 99-06-82

19.04.90 № 06.01/667

თქვენ. № _____

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს
ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის
სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს
გ. კეკელიძეს

წყნეთის ქუჩაზე, №6 კორპუსში მცხოვრებმა, ემა მოადინის ასულ შაჰფანდაროვამ მოგვმართა განცხადებით მისი გვარის, წარმომავლობისა და ეროვნების ისტორიის გარკვევის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ: შაჰფანდაროვა წარმოშობით მესხეთიდან, სოფელ ხერთვისიდან არის. მისი გვარი ნაწარმოებია რუსული სუფიქსით და მისი მატარებლები აზერბაიჯანულ ეროვნებას მიეკუთვნებიან. მაგრამ როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა, შაჰფანდაროვები წარმოშობით ქართველები არიან და მათი ადრინდელი ქართული გვარია — ვაჩნაძე. ვაჩნაძეების შაჰფანდაროვებად და აზერბაიჯანელებად ჩაწერა მათი კონფესიური მიკუთვნებულობის მიხედვით მოუხდენიათ. ცნობილია, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი, საინგილო, აჭარა) გავრცელდა დამპყრობთა რელიგია. არამართლმადიდებელ ქართველებს ქართველებად არ მიიჩნევდნენ, ვინაიდან იმ დროს ეროვნებას და სარწმუნოებას აიგივებდნენ. მაჰმადიან ქართველებს თათრებს უწოდებდნენ. XIX საუკუნეში, ცარიზმის დროს, მუსლიმ ქართველებს თათრული (XX საუკუნიდან — აზერბაიჯანული) ეროვნება ოფიციალური იურიდიული დოკუმენტებით დაუკანონეს და ქართული გვარები არაქართულით შეუცვალეს. XIX საუკუნის ბოლოს თათრებად, მერე კი აზერბაიჯანელებად ჩაწერეს

მუსლიმი ქართველებიც, მესხეთის მკვიდრი მოსახლეობა. მუსლიმები გახდნენ ქართული გვარის — ვაჩნაძეების წარმომადგენლებიც, მესხეთის სოფელ ხერთვისის მკვიდრნი. მუსლიმი ვაჩნაძეებიც ახალი გვარით (რომელიც მამის სახელიდან მომდინარეობს) ჩაწერეს შაჰფანდაროვები. ადრინდელი ქართული გვარი ვაჩნაძე და მათი ქართული ეროვნება დაფიქსირებულია 1886 წლის ოჯახობრივ სიებში (საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 254, აც3, საქმე №1771).

ამრიგად, შაჰფანდაროვები წარმოშობით ქართველები არიან. მათი უწინდელი გვარია — ვაჩნაძე. ვაჩნაძეების შაჰფანდაროვებად და აზერბაიჯანელებად ჩაწერა მოხდა იმის გამო, რომ მათ მუსლიმური სარწმუნოება მიიღეს.

შაჰფანდაროვების მიერ მათი ოდინდელი გვარის (ვაჩნაძე) და ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია.

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი
გ. მელიქიშვილი
სწავლული მდივანი თ. თორდია
წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი,
ისტ. მეცნ. კანდიდატი რ. თოფჩიშვილი

საქართველოს პარლამენტი
ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნულ
უმცირესობათა საკითხთა კომისია

ПАРЛАМЕНТ ГРУЗИИ
КОМИССИЯ ПО ЗАЩИТЕ ПРАВ ЧЕЛОВЕКА И ПО ДЕЛАМ
НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ

PARLIAMENT OF GEORGIA
COMMISSION ON HUMAN RIGHTS AND NATIONAL MINORITIES

№ 32/933

12/XI-93.

ცნობა

მიეცა ნაზირა ჰასანოვას, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ნამდვილი გვარია ვაჩნაძე. შესაბამისი დოკუმენტები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში ინახება. უახლოეს ხანებში გადაწყდება მუსლიმი ქართველების — მესხების ჭეშმარიტი გვარების აღდგენის საკითხი.

ცნობა გაცემულია საჭიროებისამებრ წარსადგენად

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე
გ. ლორთქიფანიძე

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენი პრეზიდენტობის პირველივე დღეებში წარმოთქვით სიტყვები, რომლებმაც ჩვენ, სამშობლოდან გასახლებულ, უდანაშაულოდ დასჯილ და დამცირებულ მესხებს იმედის სხივი აგვინთო, იმედისა, ნახევარ საუკუნეზე მეტი უნუგეშოდ რომ იყო ჩამქრალი ჩვენს გულებში.

თქვენ თქვით: დადგა ჟამი ქვების შეკრებისა, და საქართველოდან შორს მყოფი, ოდესღაც ძალით გასახლებული თუ საკუთარი ნებით უცხოეთში დამკვიდრებული ქართველები იგულისხმეთ. მართლაც მალევე ჩახვედით ფერეიდანში და იქური ქართველები მოინახულეთ.

და იმედი აგვიკიაფდა გულში, რომ ამ ქართველებიდან ჩვენც არ გამოგვწყვეტდით, მაჰმადიან მესხებს, ვინც, 1944 წელს, ნოემბრის ერთ სუსხიან ღამით, პირუტყვივით შეგვყარეს სატვირთო ვაგონებში და შუა აზიაში გადაგვკარგეს. ეს მივიღეთ ჯილდოდ ჩვენი კანონმორჩილებისათვის, სამშობლოსათვის თავდადებული შრომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მას შემდეგ აღარ შეწყვეტილა ჩვენი ტანჯვა და გოდება. რამდენი მესხის გული გამოხრა საყვარელი სამშობლოს მონატრებამ, რამდენს ჩაუქრო სიცოცხლე ნაადრევად... სად აღარ არიან მოფანტულნი მაჰმადიანი მესხები, მათი დროებითი სახლები თუ საფლავები: შუა აზიაში, რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანში...

ჩვენ დავიღალეთ, უსაშველოდ დავიღალეთ. გვენატრება ერთმანეთი, გვენატრება სამშობლო. მაჰმადიანი მესხების სახით ერთი პატარა, საინტერესო სამყარო ნადგურდება: განსაკუთრებული ისტორიის, ადათ-წესების, ღრმა ზნეობრივი კანონების მქონე სამყარო...

ძვირფასო პრეზიდენტო! დაუბრუნეთ ამ ტანჯულ, განწირულ ხალხს სამშობლო! მიეცით საშუალება, მშობლიურ მიწაზე მოიყარონ თავი საქართველოს დაკარგულმა შვილებმა — მაჰმადიანმა მესხებმა, ემთხვიონ მონატრებულ მშობლიურ მიწას, გადა-

ეხვევნონ ერთმანეთს და ქართველ ხალხს: დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ ფესვებს, ქართულ ენასა და ქართულ კულტურას!

კარგად გვესმის, რომ ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს თქვენს ოპონენტთა უმრავლესობას, უარყონ ღვთაებრივი და იურიდიული სამართალი, ფეხით გაქელონ ჰუმანიზმი და ყალბი პატრიოტიზმის პოზიციიდან დაიწყონ თქვენს წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით და მთელი არსებით გისურვებთ, არასოდეს დაკარგოთ რწმენა იმისა, რომ მას, ვინც მართალ სამართალს იქმს, და ღმერთის გულს ახარებს, ვერაფერს დააკლებს უღმერთო კაცების მტრობა. მართალი სამართლის დამამკვიდრებელი სამუდამოდ დარჩება იმ გულებში, რომლებშიც ღმერთის სინათლე ანთია.

მე, უკვე მოხუცებული და ავადმყოფი, გულით და სულით გლოცავთ და იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი ხელშეწყობით საქართველოს დაუბრუნდება ჩემი ხალხის ის ნაწილი, რომელსაც უსამშობლოდ ცხოვრება ცხოვრებად არ მიაჩნია. თუმცა, სამართლის ამ ზეიმს მე, ალბათ, ველარ მოვესწრები.

იყავით დღეგრძელი თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად. წარმატებით გევლოთ თქვენს ძალიან ძნელ გზაზე.

დეპორტირებული მესხი
ნაზირა ვაჩნაძე
2005 წელი. 15 მაისი.

1. მარიანა მუადინი, თბილისი, 1974 წ.

2. დედა გადასახლებაში, „ბულუნგურის“ მეურნება, 1950 წ.

3. მამა მეგობრებთან ერთად, „ბულუნგურის“ მეურნეობა, გადასახლებაში, 1950 წ.

4. დედა, მამა, ფიქრია, ბავშვები:
დისწული ლარისა, დაიკო ემა და მე, 1944 (

5. დედა, ემა, მაიას შვილები, ვენერა და რაუფი, გადასახლებაში, 1950 წ.

6. დედა და დაიკო ემა, „ბულუნგურის“ მეურნეობა, გადასახლებაში, 1950 წ.

7. დედა შვილიშვილ ელდართან ერთად, 1971 წ.

8. ჩემი თანაკურსელი ისრაფ ნანიშვილი გადასახლებამდე, ადიგენი, 1943 წ.

9. ბუკა, ტაშკენტის ოლქი, გადასახლებაში, 1945 წ.

10. ჩემი ოჯახი: მეუღლე და ჩვენი შვილები გადასახლებაში, 1950 წ.

11. ჩემი შვილები ვენერა და რაუფი გადასახლებაში, 1950 წ.

12. ჩვენს ეზოში, 1957 წ. თბილისი,
სამი წელია რაც გადასახლებიდან დავბრუნდით.

13. მე და ჩემი ქალიშვილი, დმანისი, 1956 წ.

14. დედაჩემი, ჩემი რძალი ლენა, და – ემა, მე და ბავშვები: დისწული ელდარი და შვილიშვილი – დემური, 1975 წ. თბილისი

15. შუაში: ციცინო, მამაჩემის ძმისშვილი, ტაშკენტიდან ჩამოვიდა სტუმრად; უფროსი და – ფიქრია, უმცროს დას ემას პირველი შვილი, ელდარი, ხელში ჰყავს აყვანილი; დედაჩემი და მე, თბილისი, 1971 წ.

16. ჩემი და ემა, 1944 წლის გაზაფხული, ადიგენი (ის 1944 წლის შემოდგომაზე გადაასახლეს).

17. დაიკო ემა გადასახლებაში, 1944 წ. მეურნეობა „ბულუნგური“, სამარყანდის ოლქი, ბულუნგურის რაიონი.

18. ემა თანაკლასელებთან, გადასახლებულ ყირიმელ თათრებთან ერთად, მეურნეობა „ბულუნგური“, 1954 წ.

19. ჩემი და ემა, თბილისი, 1966 წ.

20. ემას ქმარი, ვალერი, შვილებთან – ელდართა და ჰეიდართან ერთად, თბილისი, 1977 წ.

21. უროსი და ფიქრია, თბილისი, 1964 წ.

22. ლარისა, უფროსი დის, ფიქრიას, ქალიშვილი, თბილისი, 1965 წ.

23. ჩემი ვაჟი რაუფი, შვილიშვილები: დემური, მადინა, დისწული ჰეიდარი, თბილისი, 1980 წ.

24. ჩემი შვილები ვენერა
და რაუფი, დმანისი, 1955 წ.

25. ჩემი ქალიშვილი
ვენერა, თბილისი 1965 წ.

26. ჩემი ქალიშვილი ვენერა, მისი შვილიშვილები თინიკო და ალიოშა, ტაშკენტი, 2003 წ.

27. ჩემი შვილიშვილის, ირინას ქმარი – გია ელიზბარაშვილი, საბავშვო ეტლში – თინიკო, ჩემი შვილთაშვილი, თბილისი, 1991 წ.

28. ჩემი შვილიშვილები ირინა და ბელა, დისწული ელდარი, თბილისი, 1988 წ.

29. ეს მამაჩემის უმცროსი ძმა თოფიქია სანატორიუმში, ყაზახეთი, 1970 წ.

30. მამაჩემის ძმა ნუსრადინი და ბელა (ბალაში). ის მამაჩემის ძმის, ალადინის, ქალიშვილია, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს. 1956 წელს ისინი ყაზახეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ.

31. ჩემი უფროსი და ფიქრია ლარისასთან ერთად გვესტუმრა ბულუნგურში, სამარყანდის ოლქი, 1949 წლის ზაფხული, გადასახლებაში.

32. აღსაზრდელებთან ერთად დმანისში, 1958 წ.

33. ემა, მისი ვაჟი ჰეიდარი და მე ხაშურში, მამაჩემის ძმისწულებთან ერთად, 1993 წ.

34. ჩვენმა ახლობლებმა ვენერასთან მოიყარეს თავი, ვენერას ქალიშვილს, ირინას, უკრაინაში ვაცილებთ, თბილისი, 1995 წ.

35. მე, 2004 წლის ნოემბერში, დეპორტაციიდან მესამოცე წლისთავზე.

36. მე, თბილისი, 2005 წელი.



37. მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს ბუკაში, ტაშკენტის ოლქში. ჩემს გვერდით ჩემი თანამშრომელი ნადია დგას, წარმოშობით უდმურტი. 1945 წ.

38. დედაჩემი, თბილისი, სამოცდაათიანი წლები.

39. მამაჩემი, ახალციხე, 1929 წელი.



С Р

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ПРОСВЕЩЕНИЯ

АТТЕСТАТ

№ 135

Настоящий аттестат выдан Шаханаровой
(фамилия, имя, отчество)
Мазиде Мирзаевне в том, что она
в 1924 году окончила полный курс школьного отделения
Шаханского педагогического училища и при
поведении обнаружила следующие успехи:

по грузинскому языку	Отлично	по педагогике	Отлично
грузинской лит-уре	Отлично	конституции СССР	Отлично
русскому языку	Отлично	школьной гигиене	Отлично
русской литературе	Отлично	методике грузинского яз.	Отлично
родному (азер.) яз.	Отлично	методике русского яз.	Отлично
(азер.) литературе	Отлично	методике арифметики	Отлично
иностранному (нем.) яз.	Отлично	методике естествознания	Отлично
алгебре	Отлично	методике истории	Отлично
геометрии	Отлично	методике географии	Отлично
тригонометрии	Отлично	рисованию	Отлично
естествознанию	Отлично	чистописанию	Отлично
физике	Отлично	физкультуре	Отлично
химии	Отлично	военному делу	Отлично
истории	Отлично	пению и музыке	Отлично
географии	Отлично	педагогической практике	Отл.

На основе постановления ЦК ВКП(б) и СНК СССР от 29 ноября 1939 года „О присвоении звания учителя лицам, оканчивающим педагогические учебные заведения" Шаханаровой М.М. присваивается персональное звание учителя начальной школы.

На основании правил, утвержденных Всесоюзным комитетом по делам высшей школы при СНК СССР, от 10 марта 1933 года Шаханарова М.М. пользуется правом поступления в высшее учебное заведение по своей специальности без вступительных экзаменов.

(п. п.) Директор педагогического училища

20 июня 1923 г. Зав. учебной частью

Учитель

ნაზირა ვაჩნაძე

დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი

გამოიცა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ხელშეწყობით
გერმანია

PUBLISHED BY SUPPORT
OF HEINRICH BOELL FOUNDATION
Germany

დაკაბადონება ნიკა გელაშვილი
ოპერატორი ნინო პიპინაშვილი

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
„კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20